

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დიანა მოსეშვილი

**არაბული ენის ტრადიციები ჩრდილოეთ კავკასიაში**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი **გ. ჩიქოვანი**

ქუთაისი

2015

## სარჩევი

|  |     |
|--|-----|
| შესავალი .....   | 1   |
| § 1. ჩრდილოეთკავკასიური (დაღესტნური) არაბულენოვანი ძეგლების კვლევის ისტორია .....  | 17  |
| § 2. არაბული ენის ადგილი ჩრდილოეთ კავკასიაში და ენობრივი სიტუაცია XX ს-ის 20-იან წლებამდე .....  | 45  |
| 2.1. არაბთა მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის დაპყრობისა და ისლამიზაციის პირველი მცდელობები; არაბული ელემენტის გაჩენა რეგიონში .....                 | 45  |
| 2.2. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის რეგიონის ისლამიზაცია X-XVI სს-ში .....  | 62  |
| 2.3. კულტურული კონტაქტების გაძლიერება მუსლიმური აღმოსავლეთის ქვეყნებთან VII-XV სს-ში .....   | 70  |
| 2.4. არაბული ენის გავლენის მომძლავრება VII-XIV სს-ის დაღესტანში და არაბულენოვანი ორიგინალური მწერლობის ტრადიციის ჩამოყალიბება.....                   | 78  |
| 2.5. არაბული ენის ადგილი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში XV ს-დან მოყოლებული ვიდრე XX ს-ის 20-იან წლებამდე ..... | 90  |
| § 3. მუსტაფა ეფენდი ილისუს ჩრდილოეთკავკასიური (დაღესტნური) არაბულენოვანი ხელნაწერი ძეგლი „თარის ალ-ჰარბი“ .....                                      | 121 |
| 3.1. ძეგლის აქეოგრაფია .....   | 121 |
| 3.2. დამხმარე ნიშნები .....  | 122 |
| 3.2.1. ძეგლის პალეოგრაფია .....  | 126 |
| 3.2.2. განმარტებითი ნიშნები .....  | 128 |
| 3.3. ძეგლის ენობრივი თავისებურებანი .....  | 135 |
| 3.3.1. ფონეტიკა-ფონოლოგია .....  | 135 |
| 3.3.2. მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები .....   | 136 |
| 3.3.3. ლექსიკა .....   | 143 |
| ძირითადი დასკვნები .....   | 145 |
| ბიბლიოგრაფია .....   | 152 |
| მუსტაფა ეფენდი ალ-ილისუს ნაწარმოების „თარისუ-ლ-ჰარბი“ თარგმანი .....   | 167 |
| მუსტაფა ეფენდი ალ-ილისუს ნაწარმოების ხელნაწერი ტექსტის ფაქსიმილე .....   | 176 |

## შესავალი

დაღესტანი ერთ-ერთი მსხვილი არაბულ-მუსლიმური ლიტერატურული ტრადიციის კერაა. არაბულმა ენამ, არაბულმა ლიტერატურამ და არაბულ-მუსლიმურმა კულტურულ-ფილოსოფიურმა ტრადიციებმა, რომლის გავრცელებაც აქ ისლამის დამკვიდრებასთან ერთად დაიწყო, დიდი როლი შეასრულა დაღესტნელი ხალხების ნაციონალური კულტურის განვითარებაში.

„იმისთვის, რომ გამოირკვეს კავკასიელი ხალხების ისტორიული წარსულის ნათელი სურათი და დადგინდეს, რამდენად ძლიერი იყო რეგიონში არაბული ენის ტრადიცია, აიხსნას მისი არსებობის ფენომენი, ერთნაირად მნიშვნელოვანია ნებისმიერი არაბულენოვანი ძეგლი მიუხედავად მისი შინაარსისა“ (კრაჩკოვსკი 1945: 200). ამის გათვალისწინებით, არაბულენოვან ხელნაწერთა შესწავლას (ხელნაწერთა მოძიებას, მათს თავდაპირველ აღწერასა და შემდგომში მათ განზოგადებულ კვლევას) დიდი და ხანგრძლივი პერსპექტივა აქვს, მითუმეტეს, რომ ხელნაწერთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ შეუსწავლელი რჩება, მათ შორის, არქეოგრაფიული თვალსაზრისითაც (აბდულხალიკოვა 2005: 2).

ჩვენ მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის დაღესტნური წარმოშობის ერთი არაბულენოვანი ხელნაწერი ძეგლი „თარიხ ალ-ჰარბი“ („ომის ისტორია“), რომელიც დაღესტნელი ავტორის მუსტაფა ეფენდი ილისულის მიერ XX საუკუნის დასაწყისშია შექმნილი და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაბულენოვან ხელნაწერთა ფონდშია დაცული.

ხელნაწერი განსაკუთრებით საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ შექმნილია რეგიონში არაბულენოვანი სამწერლობო ტრადიციის მიწურულს, როცა არაბულთან ადგილობრივი და რუსული ენების კონკურენცია განსაკუთრებით ძლიერია და 30-იანი წლების შემდგომ არაბულ ენაზე ლიტერატურა, პრაქტიკულად, აღარც იქმნება.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის ეთნოლინგვისტური და სოციოლინგვისტური სურათის ასახვა დიაქრონიაში, რაც გულისხმობს ჩრდილოეთ კავკასიაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ენობრივი ერთობების ენობრივი სურათის ჩვენებას (VIII ს-დან მოყოლებული ვიდრე XX ს-ის 30-იან წლებამდე პერიოდში), რომელიც საკმაოდ არასტაბილური იყო და გეოპოლიტიკური, დემოგრაფიული, მიგრაციული და სხვა ტიპის მოვლენათა შედეგად იცვლებოდა ხოლმე, ხოლო სოციოლინგვისტური ანალიზი

გულისხმობს რეგიონის ენათა სოციალური ფუნქციების დადგენას, მათი ფუნქციონირების საკვანძო საკითხების (მათი ფუნქციური განაწილება, ენობრივი კონტაქტების ტიპები, მოსახლეობის ენობრივი კომპეტენცია და სხვა) განზოგადებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილობრივ ენათა ფუნქციონირებასა და ასევე რეგიონში არაბული ენის არსებობასა და მისი სოციალური ფუნქციების კვლევის საკითხს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, დღემდე საკითხთა ამგვარი განზოგადება არ ყოფილა მოცემული.

ნაშრომის ერთადერთ მიზანს არ წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოლინგვისტური და სოციოლინგვისტური სიტუაციების ანალიზი. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვინტერესებს ამ სიტუაციის ლინგვისტური ასპექტები, რაც ენებს შორის მიმდინარე ურთიერთგავლენის პროცესებს გულისხმობს, როგორც შეიძლება იყოს: სესხება, ტერმინოლოგიის აგების პრინციპები, ენობრივი კონტაქტებით გამოწვეული ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილებები და სხვა. ამ შემთხვევაში, ჩვენ გვინტერესებს, კონკრეტულად, ის გავლენა, რომელსაც ადგილობრივი ენები ახდენდნენ არაბულ ენაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციებს რეგიონში. მართალია, ის არასოდეს ყოფილა ადგილობრივი ხალხებისათვის საყოველთაო სასაუბრო ენა და ყოველდღიური საურთიერთო საშუალება, მაგრამ ადგილობრივი ენების გარკვეულ გავლენას, ბუნებრივია, ისიც განიცდიდა, ყველაზე მეტად კი, სავარაუდოდ, ლექსიკის უბანზე.

ნაშრომის მიზანია, შევაფასოთ, რამდენად ძლიერია არაბული ენის ტრადიცია რეგიონში, ისეთ პირობებში, როცა არაბული ენა ფუნქციონირებს არაბული სამყაროსაგან შორს და თანაარსებობს სრულიად განსხვავებული, არამონათესავე ენების გარემოში, მითუმეტეს, რომ რეგიონში მისი არსებობა (მთელი თავისი ისტორიის მანძილზე) არ ყოფილა გამყარებული არაბული ელემენტით.

რომელიმე ერთი ხელნაწერი, რაც უნდა ვრცელი იყოს მოცულობის თვალსაზრისით, საკმარისი არ იქნებოდა ასეთი საკითხის განზოგადებისათვის, ბუნებრივია, ჩვენ ვითვალისწინებთ და ვეყრდნობით იმ მრავალრიცხოვან სამეცნიერო ნაშრომსა და მათ შედეგებს, რომლებშიც სხვადასხვა დროს შექმნილ დაღესტნურ არაბულენოვან ხელნაწერთა ლინგვისტური ანალიზია მოცემული.

ნაშრომის აქტუალობა განისაზღვრება არა მარტო აქამდე უცნობი არაბულენოვანი ხელნაწერის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანით, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი

ფაქტია, არამედ, იმითაც, რომ იგი ეხმიანება არაბისტიკის მეცნიერებაში ხელნაწერთა შესწავლის თვალსაზრისით თანამედროვე ეტაპზე არსებულ მოთხოვნასა და შესაძლებლობას ზოგადი, შედარებით მასშტაბური თემებისა და საკითხების დასმისა და განხორციელებისა.

მუსტაფა ეფენდი ილისუის ხელნაწერი ნაწარმოები ისტორიული შინაარსის პოემაა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის თემაზე შექმნა ამ ომის უშუალო მონაწილემ. სამეცნიერო ნაშრომს ვურთავთ ხელნაწერი პოემის თარგმანს, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ისტორიის დარგის მკვლევართათვის, განსაკუთრებით კი, დადესტნის ისტორიის მკვლევართათვის, რამეთუ „მათი მონაწილეობა და როლი რუსეთის მიერ წარმოებულ ბრძოლებში სათანადოდ შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის“ (ჰასანჰუსეინოვიჩი 2000: 2).

დისერტაციაზე მუშაობისას გამოვიყენებულა ის მეთოდები, რომლებიც მიზნად ისახავენ ყველა იმ საკითხისა და დეტალის ანალიზს, რომელსაც მოიცავს გამოკვლევა.

დისერტაციისათვის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს ისტორიული კვლევის პრინციპები და მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს. მათ შორის უმთავრესია ისტორიზმისა და ობიექტივიზმის პრინციპები. ისტორიზმის პრინციპის არსი მდგომარეობს ისტორიულ ფაქტებთან, როგორც უნიკალურ მასალასთან, მიდგომაში, სადაც თითოეული ფაქტისა თუ მოვლენის გაგება შესაძლებელია, მხოლოდ საკუთარ პირობებში. ისტორიზმისა და ისტორიული დეტერმინიზმის პრინციპი გულისხმობს ფაქტების შესწავლას მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, ისტორიულ მოვლენათა ურთიერთგაპირობებასა და თანმიმდევრულობას. ობიექტივიზმის პრინციპი კი გულისხმობს ისტორიული ფაქტების შეფასებას ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე. ისტორიზმისა და ობიექტივიზმის პრინციპები კვლევის ქრონოლოგიური, სისტემური, ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევიან.

ხელნაწერი ძეგლის მეცნიერული შესწავლისა და აღწერის ძირითადი საფუძველია მასალის დამუშავება არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური თვალსაზრისით და შედარებით-ისტორიული და აღწერითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით. ძეგლის არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერისას აღინუსხება: ხელნაწერის შიფრი, ფურცელთა რაოდენობა, ზომა, საწერი მასალა, ქაღალდი, ყდა, დაცულობის ხარისხი, დამწერლობის სახეობა,

მელანი, დარგი, ავტორი, გადაწერის ადგილი და თარიღი, გადამწერი, ანალოგიური ხელნაწერის ნუსხების მოძიება, მინაწერები.

ლიტერატურა, რომელიც გამოყენებული იქნა კვლევისათვის, როგორც სამეცნიერო ბაზა, საკვლევი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე შინაარსის თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის არაბულენოვანი ხელნაწერებისა და ეპიგრაფიკული მასალის ლინგვისტურ-პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის მიზნით განხორციელებული ფუნდამენტური კვლევები. ასევე სამეცნიერო სანაშრომები, რომლებიც შეეხება: ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს; რთული ეთნო-ლინგვისტური შედგენილობის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ენების ფუნქციონირების საკითხებს; რეგიონში ისლამისა და ისლამური კულტურის გავრცელების საკითხებს; არაბული ენისა და არაბული დამწერლობის გავრცელების, დადესტნური ორიგინალური არაბულენოვანი ლიტერატურის ფორმირებისა და ლიტერატურული ორენოვნების საკითხებს; არაბულენოვანი წიგნის ბეჭდვისა და არაბულენოვანი პრესის ფორმირების ისტორიის საკითხებს; არაბული გრაფიკის საფუძველზე ადგილობრივი ენებისათვის „აჯამური“ დამწერლობების შექმნის საკითხს და სხვა.

იმ ნაშრომებს შორის, რომლებიც ხელნაწერებისა და ეპიგრაფიკული მასალის ლინგვისტურ-პალეოგრაფიულ ანალიზს ასახავს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკად. ი. კრაჩკოვსკის შრომები. კრაჩკოვსკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არაბულენოვანი ხელნაწერების შესწავლის საკითხს, ორგანიზებას უწევდა სსრკ-ს ხალხების ისტორიის ამსახველი არაბული წყაროების შეკრებასა და გამოცემას. მისი სამეცნიერო ნაშრომი სახელწოდებით - „არაბულენოვან ხელნაწერებზე“ (1945 წ.) - ამ დარგის მკვლევართათვის დღემდე არ კარგავს აქტუალობას. მასვე ეკუთვნის აღმოსავლეთის მუსლიმური ქვეყნების ისტორიული გეოგრაფიის სფეროში არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა. ასევე სტატიები რუსული და საზღვარგარეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ისტორიიდან, რომლებიც მისი სამეცნიერო ნაშრომების მრავალტომეულში გაერთიანდა სახელწოდებით „რჩეული თხზულებები“. არაბულენოვანი ძეგლების პალეოგრაფიული თავისებურებების საკითხს ეძღვნება მისი „რჩეული თხზულებების“ VI ტომი სრულად.

კავკასიის არაბულენოვან ძეგლთა პალეოგრაფიის საკითხზე შექმნილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური ნაშრომია რუსი მეცნიერის ა. ბარაბანოვის

მეცნიერული კვლევა „განმარტებითი ნიშნები ჩრდილოეთ კავკასიის არაბულენოვან ძეგლებსა და დოკუმენტებში“. ბარაბანოვმა პირველმა მოგვცა პალეოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო და სპეციფიკური ნიშნების აღწერა-კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის კავკასიური წარმოშობის ხელნაწერთა შედარებით მცირე რაოდენობა იყო შესწავლილი, ხოლო მის შემდეგომ შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომებში ბარაბანოვის მიერ მოცემული კლასიფიკაცია არაერთგზის გადაიხედა და შესწავლილი ნიშნების რიგიც რამდენადმე გამდიდრდა, ეს წიგნი, საუკეთესო სახელმძღვანელოდ რჩება ამ სფეროს მკვლევართათვის.

დამატებითი ნიშნების საკითხს იკვლევდა აგრეთვე დაღესტნელი მეცნიერი ა. ალიკბეროვი ჩრდილოეთ კავკასიის არაბულენოვან ეპიგრაფიკაში. თავის სამეცნიერო მონოგრაფიაში „დამატებითი ნიშნები ჩრდილოეთ კავკასიის არაბულენოვან ეპიგრაფიკაში“ ალიკბეროვმა მოგვცა ამ ნიშანთა კლასიფიკაცია და გამოთქვა საინტერესო მოსაზრებები მათ შორის ურთიერთმიმართებაზე, ასევე მათი წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით. ალიკბეროვი ამ მონოგრაფიაში ასევე ეხება ბექდურ და ხელნაწერ ძეგლებს შორის ენობრივი და პალეოგრაფიული თვალსაზრისით არსებული განსხვავებებისა და მათი თავისებურებების დადგენის საკითხს.

არაბულენოვანი ხელნაწერი ძეგლების ენობრივ და პალეოგრაფიულ შესწავლას მიემდვნა ქართველ მეცნიერთა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. აკადემიკოს გ. წერეთელს ეკუთვნის სამეცნიერო სტატია: „შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი“. მეცნიერი შენიშნავდა, რომ ეს წერილები განსაკუთრებით საინტერესო იყო ისტორიული შინაარსის თვალსაზრისით, რამეთუ პირველწყაროს წარმოადგენდა და შექმნილი იყო იმ პერიოდის ისტორიული და პოლიტიკური პროცესების უშუალო მონაწილის მიერ.

დაღესტნური წარმოშობის ისტორიული შინაარსის არაბულენოვან დოკუმენტებს სწავლობდა მეცნიერი თ. მარგველაშვილიც. კერძოდ, ეს იყო წერილები, რომლებიც ეხება შამილის იმამატისა და მის კალუგაში ტყვედ ყოფნის პერიოდს: „შამილურ ბრძოლებში მოელვარე დაღესტნური მახვილები“, რომლის ავტორია მუჰამად ტაჰირ ალ-კარახი და 'აბდ არ-რაჰმან ლუმუკელის: „შამილის მდგომარეობათა ახსნის ექსტრაქტი“. ხელნაწერები, უპირველეს ყოვლისა, შესწავლილია ენობრივ-პალეოგრაფიული თვალსაზრისით. გამოვლენილია კავკასიური არაბულენოვანის დამახასიათებელი ზოგი თავისებურება. შინაარსის თვალსაზრისით თხზულებები ისტორიული დოკუმენტებია, რომლებშიც

ასახულია სახალხო მოძრაობა, მიურიდიზმი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში არასწორად იყო გაშუქებული, აგრეთვე XIX ს-ის პირველ ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ბრძოლები რუსეთის წინააღმდეგ.

ნანა ყანჩაველის სამეცნიერო შესწავლის საფუძველს წარმოადგენს ასევე ისტორიული შინაარსის დოკუმენტები, კერძოდ, დაზიდულმუქელი ხანის წერილები მოსე ზაქარიას-მე არლუთინსკი-დოლგორუკისადმი. დოკუმენტი მეცნიერის მიერ შესწავლილია ენობრივ-პალეოგრაფიული თვალსაზრისით. გამოვლენილია დაღესტნური არაბულისათვის დამახასიათებელი ზოგი თავისებურება. დოკუმენტები დაწვრილებით აღწერენ XIX ს-ის 40-იანი წლების კავკასიის ომების ცალკეულ საბრძოლო ეპიზოდებს. მეცნიერის მტკიცებით, ისინი ახალი დეტალებით ავსებენ ამ საკითხის გარშემო არსებულ ცნობებს.

მ. გუდავას შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა ცნობილი დაღესტნელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მუჰამად ტაჰირ ალ-კარახის გრამატიკული ტრაქტატი - „ზმნურ ფორმათა შემსწავლელი სახელმძღვანელო“, რომელიც ძალიან პოპულარული იყო დაღესტანში. მ. გუდავას მიერ მასალა შესწავლილია პალეოგრაფიულ და ენობრივი თვალსაზრისით. დაღესტნურ არაბულთან მიმართებით საინტერესო პასაჟებია გამოვლენილი. განსაკუთრებით საინტერესოა ხელნაწერები პალეოგრაფიული თვალსაზრისით.

დაღესტნურ არაბულენოვან ძეგლებს იკვლევდა აგრეთვე ლ. ლელაშვილიც, რომელმაც მოგვცა XIX ს-ის დაღესტნელი ავტორის ჰაჯი ჰაიდარ-ბეგ ალ-გინიჩუთლის თხზულების - „ქრონიკა დაღესტნის სამ იმამზე“ - ენობრივ-პალეოგრაფიული ანალიზი.

კავკასიის არაბულენოვან ძეგლებს იკვლევდა ა. გენკოც შამილის ეპოქის ისტორიული შინაარსის წერილებზე დაყრდნობით. შამილის ეპოქის დოკუმენტები მას შესწავლილი აქვს, უპირველეს ყოვლისა, ენობრივი თვალსაზრისით. ჩვენი დისერტაციის საკვლევ საკითხებთან მიმართებით განსაკუთრებით საინტერესო იყო ა. გენკოს ერთ-ერთი ფუნდამენტური კვლევა „არაბული ენა და კავკასიოლოგია“, რომელშიც მსჯელობისას მეცნიერი თავის მიერვე შესრულებულ არაბულენოვან ხელნაწერ ტექსტთა თარგმანებს ეფუძნებოდა. ამ სტატიაში გენკომ პირველმა გაამახვილა ყურადღება ჩრდილოეთ კავკასიაში არაბულ ეთნიკურ ელემენტსა და მიგრანტი არაბების როლზე ადგილობრივი მოსახლეობის ეთნო-კულტურულ განვითარებაში, ასევე ამ უკანასკნელთა უკუგავლენაზეც, რამეთუ, საბოლოოდ, მათი ადგილობრივ ეთნოსებთან ასიმილაცია მოხდა. ამავე სტატიაში



გენკო განიხილავს სამხრეთ დაღესტნის ზოგი ხალხის ცხოვრებაში არაბთა მონაწილეობის საკითხს; გვამღვეს არაბთა დაპყრობების ეპოქაში მიგრანტი არაბების დაღესტანში განსახლების ისტორიულ გეოგრაფიას; გამოჰყოფს დაღესტნელი ხალხების ისლამიზაციის ეტაპებს და სხვა.

ამ სტატიაში გენკო ეხება შუასაუკუნეების წახურში მწერლობის არსებობის საკითხს. ანალიზებს რა XIII ს-ის გეოგრაფის ზაქარია ყაზვინის შრომაში არსებულ ცნობას, ასკვნის, რომ შუა საუკუნეების წახურში იქმნებოდა და ითარგმნებოდა ნაწარმოებები, რომლებიც სრულდებოდა არაბულ გრაფიკაზე დაფუძნებული ე. წ. „აჯამური“ დამწერლობით. გენკოს ამ მოსაზრებამ თავის დროზე შუა საუკუნეების დაღესტანში დამწერლობის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა შეხედულებები სრულიად შეცვალა.

დაღესტანში „აჯამური“ დამწერლობების შექმნის ისტორიის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო იყო დაღესტნელი მეცნიერის პ. ალიკბეროვას სამეცნიერო სტატია „დიბიდ ყადი ხუნძახელი - არაბოგრაფიული დამწერლობის რეფორმატორი დაღესტანში“, რომელშიც გაანალიზებულია საკითხის ისტორია, მოცემულია დიბირ ყადის რეფორმის დეტალური ანალიზი.

ჩეჩნურისათვის „აჯამური“ დამწერლობის ჩამოყალიბების საკითხის ისტორიის მონოგრაფიულ დონეზე შესწავლის პირველი მცდელობა პ. გადაევს ეკუთვნის. ამ ნაშრომში ავტორი არსებული მასალების, წყარო-ხელნაწერების, საფუძველზე დეტალურად ანალიზებს აღნიშნულ საკითხს. ნაშრომი მოიცავს ჩეჩნეთში არაბული დამწერლობისა და არაბოგრაფიული (აჯამური) დამწერლობების გავრცელების ისტორიის ამსახველ მონაკვეთებს.

დაღესტანში არაბული-ისლამური კულტურისა და ტრადიციების, მათ შორის არაბული ენისა და დამწერლობის გავრცელების თვალსაზრისით, ჩვენი დისერტაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაღესტანში ისლამისა და სუფიზმის საკითხთან დაკავშირებით შექმნილი სამეცნიერო შრომები. სუფიზმის საკითხის სერიოზული ჩაღრმავება, როგორც საბჭოთა, ასევე ევროპულ აღმოსავლეთმცოდნეების მიერ, XX ს-ის პირველ ათწლეულში მოხდა. ამ პერიოდში შექმნილი შრომები მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ რას წარმოადგენს სუფიზმი თავისთავად და რა როლი ითამაშა მან აღმოსავლური ლიტერატურის განვითარებაში. როგორც მეცნიერი ა. ბერტელსი წერდა: მას ვერც წარმოედგინა აღმოსავლური კულტურისა და ლიტერატურის შესწავლა ამ

(აღმოსავლეთის) ქვეყნების კულტურული და ლიტერატურული კავშირების გათვალისწინების გარეშე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საუკუნეების მანძილზე გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

დაღესტნის ისლამიზაციის საკითხს სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა ა. შიხსაიდოვმა სათაურით: „ისლამი შუა საუკუნეების დაღესტანში“ (VII-XV სს.). ეს არის ამ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი გამორჩეული და ღირებული ნაშრომი. მასში ავტორი დეტალურად აშუქებს არაბული დაპყრობების მომენტში და უფრო ადრე ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონის პოლიტიკურ რუკას; ასევე დეტალურად ეხება არაბთა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას დაპყრობილ რეგიონებში; აშუქებს დაღესტნის მთისწინა რეგიონში ფეოდალურ სამფლობელოებსა და დაბის ტიპის დასახლებათა გაერთიანებებში ისლამის გავრცელების ისტორიას. ნაშრომის განსაკუთრებულობას განაპირობებს ისიც, რომ მასში გამოყენებულია წყაროების ფართო სფერო: ხელნაწერი წყაროები, არქეოლოგიური, ტოპონიმიკური და ფოლკლორული მასალები.

შიხსაიდოვი ამ წიგნში გამოყოფს დაღესტანში ისლამის გავრცელების პროცესზე დაკვირვებისას შესასწავლი საკითხების მთელ რიგს (ადათისა და შარიათის ურთიერთობა, ისლამი და ხელოვნება, ისლამი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ისლამი და თანამედროვეობა და სხვა), რომლებიც სიღმისეულ ანალიზსა და გააზრებას საჭიროებენ, რათა შესაძლებელი გახდეს მეტ-ნაკლებად სრული სურათის ასახვა და იმის შეფასება, თუ რა როლი შეასრულა ისლამმა დაღესტნელი ხალხების ცხოვრებაში მისი გამოჩენიდან დღემდე (შიხსაიდოვი 1969).

VII-XIV სს-ის ისლამის წაყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია, ისლამის ფილოსოფია სამეცნიერო ინტერესის სფერო იყო აგრეთვე დაღესტნელი მეცნიერის ა. ალიკბეროვისათვის. მეცნიერი შუა საუკუნეების პერიოდის ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ისტორიას იკვლევდა. ალიკბეროვის სამეცნიერო დისერტაციის - „კლასიკური ისლამის ეპოქა კავკასიაში: აბუ ბაქრ ად-დერბენდი და მისი სუფიური ენციკლოპედია - „რაიჰან ალ-ჰაკაიკ“ (მე-XI-XII სს.) - კვლევის საფუძველს წარმოადგენს სწორედ ად-დერბენდის ეს უნიკალური არაბული ხელნაწერი ტექსტი და კიდევ რამდენიმე სხვა მანამდე უცნობი ხელნაწერი. ალიკბეროვის მიერ თავის სამეცნიერო შრომაში წარმოდგენილი იქნა ბევრი ახალი ფაქტი, ან მანამდე ცნობილი ისტორიული ფაქტების ახლებური ინტერპრეტაცია, რაც შეეხებოდა კავკასიის მთის მოსახლეობის

ისტორიასა და კულტურას და მათს კონტაქტებს სხვა ხალხებთან (ირანელებთან, ჰუნ-სავირებთან, არაბებთან, ხაზარებთან და სხვებთან).

ალიკბეროვის ნაშრომში ვკითხულობთ: „ად-დერბენდის ნაწარმოები ამტკიცებს X-XI სს-ის დერბენდში ჰადისების, ფიკჰის, სუფიური და ისტორიული ლიტერატურის ტრადიციის არსებობას. ამ პერიოდისათვის ქალაქი უკვე ხალიფატის რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ორბიტაზე მოძრაობდა. XI საუკუნის 70-იანი წლებიდან რეგიონის სელჩუკთა გავლენის სფეროში მოქცევის გამო ადგილობრივ სწავლულთა დანარჩენ მუსლიმურ სამყაროსთან სულიერი კონტაქტები კიდევ უფრო გაფართოვდა“ (ალიკბეროვი 1991: 5).

დალესტნის რეგიონში ისლამის დამკვიდრების საკითხს ეძღვნება შ. შიხალიევის სამეცნიერო ნაშრომი: „თურქული ელემენტის როლი დალესნის ისლამიზაციაში XI-XIV სს-ში“, რომელშიც ძველი სისტემების ახალთან ჭიდილი მიმდინარე სარწმუნოებრივი პროცესები, ისლამამდელი რელიგიური სისტემები და რეგიონში ისლამის გავრცელების საწყისი პერიოდია გაშუქებული. საუბარია ისამიზაციის პროცესებზე XI-XIV სს-ში, მის ფორმებსა და მეთოდებზე. ამ პერიოდის ისლამის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა თურქულ ელემენტს, კერძოდ, სელჩუკებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომის შესახებ: „ჩეჩნების ისტორიული გეოგრაფია და ეთნო-პოლიტიკური განვითარება XVI-XVIII საუკუნეებში“ (გამოიცა 2009 წელს), რომელიც ჩეჩნების ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნო-პოლიტიკური განვითარების საკითხებს მიუძღვნა ჩეჩენმა მეცნიერმა ა. აჰმადოვმა. მონოგრაფიაზე მუშაობისას ავტორი ეყრდნობოდა რუსულ, თურქულ, ნოღაურ, ყირიმულ ქართულ და სპარსულ ენებზე შექმნილ ისტორიულ წერილობით წყარო-მონაცემებს.

მონოგრაფიაში საუბარია ჩეჩნების მიერ მონოთეისტური რელიგიის - ისლამის - მიღებისა და დამკვიდრების პროცესზე, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ჩეჩენი ხალხის შემდგომი განვითარებისათვის. ნაშრომში ასევე გაშუქებულია კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მრავალრიცხოვანი ერის, ჩეჩნების, ისტორიული გეოგრაფია, მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ნაციონალური განვითარების ისტორია XVI-XVIII სს-ში ევროპულ და აღმოსავლურ-ისლამურ სამყაროს შორის. ეს ყველაფერი საკუთარი, საკმაოდ სპეციფიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული მენტალობის

(„მთის ცივილიზაცია“) გათვალისწინებით, რამაც განსაზღვრა კიდევ ჩეჩენი ხალხის ისტორიულ-კულტურული განვითარების გზა.

სამეცნიერო სტატიებში „დაღესტანში სუფიზმის გავრცელების დასაწყისი“, „დაღესტანი და ბაღდადი X-XIII სს-ში“, „დაღესტანი ორი კულტურისა და ცივილიზაციის გზაჯვარედინზე“ დაღესტნელი მეცნიერი ა. შიხსაიდოვი ფართოდ აშუქებს საკითხებს დაღესტანში არაბულ-მუსლიმური მეცნიერებისა და კულტურის გავრცელების, ასევე რეგიონში სასულიერო ელიტის ჩამოყალიბებისა და ადგილობრივი არაბულენოვანი ორიგინალური ლიტერატურული ტრადიციის ფორმირების პროცესში არაბული ენის როლის შესახებ.

ა. შიხსაიდოვის აზრით დაღესტნელთა ლიტერატურული შემოქმედების შესწავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას მასზე ახლო აღმოსავლეთის ხალხების კულტურის, კერძოდ, ისლამის, არაბული ენისა და არაბულენოვანი ლიტერატურის, გავლენის შესწავლა და ამ გავლენის როლისა და ადგილის გარკვევა წარმოადგენდა. მეცნიერის აზრით ფილოლოგებმა და ლიტერატორებმა უნდა გამოიკვლიონ დაღესტნის ლიტერატურული ტრადიციები მთლიანად. მაგრამ ასევე უნდა დაახასიათონ მისი ცალკეული ასპექტები: ისლამიზებული პროცესების აღწერა დაღესტანში; არაბული ენა, მისი გავრცელების არეალი, არაბულენოვანი ლიტერატურა, მისი ხასიათი და როლი ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთკავკასიის ურთიერთობების განმტკიცებაში; საკუთრივ დაღესტნური ლიტერატურა არაბულ ენაზე და მისი ადრეული ჟანრების ჩამოყალიბება და სხვა.

ა. შიხსაიდოვმა სპეციალური მონოგრაფიები მიუძღვნა აგრეთვე დაღესტანში არაბულენოვანი მწერლობის ტრადიციის საკითხს: „ისტორიული შინაარსის არაბულენოვანი მწერლობის ჩამოყალიბება დაღესტანში“; „არაბული ხელნაწერი წიგნი დაღესტანში“ (ნ. ტაჰიროვისა და დ. გაჯიევას თანაავტორობით); „დაღესტნელი ხალხების ხელწერის ტრადიცია XI-XV სს-ში“ (მ. გაჯიევისა და ო. დაუდოვის თანაავტორობით). ამ მონოგრაფიებში შიხსაიდოვმა უარყო დაღესტანში არაბულენოვანი მწერლობის ჩამოყალიბების ჩარჩოსა და ქრონოლოგიასთან დაკავშირებით იქამდე არსებული შეხედულებები და არგუმენტირებულად წარმოაჩინა თავისი და ასევე თანაავტორი მეცნიერების მოსაზრება ამ ქრონოლოგიური ჩარჩოს მთელი 5-6 ს-ით გაზრდის შესაძლებლობის თაობაზე. მეცნიერების მიერ შესწავლილი ხელნაწერი მასალა და კვლევის შედეგები საშუალებას იძლევიან ვილაპარაკოთ დაღესტანსა და ახლო აღმოსავლეთის

ქვეყნებს შორის მტკიცე კავშირებზე მეცნიერებისა და განათლების სფეროებში. ასევე აჩვენებენ შუა საუკუნეების დაღესტანში განვითარებულ სამწიგნობრო კულტურას, ხატავენ იმ როლს, რომელიც გააჩნდა მედრესესა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ხსნიან დაღესტნის, როგორც მუსლიმური კულტურის „პერიფერიული“ კერის ფენომენს.

არაბული ლიტერატურული ტრადიციების, დაღესტნის ლიტერატურის ჩამოყალიბების ზოგადად და კონკრეტულად კი, არაბულენოვანი ორიგინალური ლიტერატურის ჩამოყალიბების შესწავლის საქმეში შეუფასებელია გ. გაზმატოვის როლი. მეტად ღირებულია მისი მონოგრაფია „წერილობით ძეგლთა საგანძური“, რომელიც გამოსცა მ. საიდოვისა და ა. შიხსაიდოვის თანაავტორობით. მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთიელთა სამწერლობო კულტურის ისტორიის საკითხებს. გაზმატოვის სხვა ნაშრომებში დაღესტნისა და მთლიანად საბჭოთა მეცნიერების ისტორიაში პირველად გაშუქდა ამ პოლიეთნიკური რეგიონის მრავალნაციონალური მხატვრული ლიტერატურის, როგორც მთლიანი სისტემის, ისტორია მსოფლიო კულტურულ-ისტორიული განვითარების კონტექსტში ფოლკლორული წყაროებიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე. გაზმატოვის სამეცნიერო ინტერესის სფეროები ვრცელდება ასევე ზეპირსიტყვიერების, სოციოლინგვისტიკისა და სხვა საკითხებზე.

XIX ს-ის დაღესტნის ორიგინალური არაბულენოვანი ლიტერატურის საკითხებს შეეხება ნ. ტაჰიროვის შრომა: აბდ არ-რაჰმან ყაზი-ყუმუხელის ნაშრომის „იმამ შამილის საქმეთა დეტალური აღწერის მოკლე ანალიზი“ და თარგმანი.

დაღესტნის ისტორიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შრომა ეკუთვნის ვ. ბარტოლდს („კასპიის ზღვის მიმდებარე ტერიტორია მუსლიმური სამყაროს ისტორიაში“) რომელმაც მთლიანად დაღესტნისა და განსაკუთრებით დერბენდის შესახებ არსებული ცნობები შეკრიბა სისტემიზებული სახით. ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი გააშუქა ისლამის გავრცელებისა, და საზოგადოდ, რელიგიის საკითხებთან დაკავშირებით. მასვე ეკუთვნის არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხედულება ისლამისა და არაბთა ცხოვრების ისტორიის თემაზე. ბარტოლდმა თავის სამეცნიერო მონოგრაფიებში: „მუსლიმური სამყაროს ეთნოგრაფიული შედგენილობა“, „ბაღდადი და არაბთა შემდგომი კულტურული ცხოვრება“, „სპარსული კულტურა და მისი გავლენა სხვა ქვეყნების კულტურებზე“, „მუსლიმთა კულტურა“, „მუსლიმური კულტურა XVI ს-ის შემდგომ პერიოდში“ და სხვა, სამეცნიერო მუშაობის ხანგრძლივი ეტაპის შედეგად არაბთა ყოფისა და მათი კულტურის

განვითარების სხვადასხვა მიმართულებების ერთგვარად განმაზოგადებელი ვრცელი სურათი მოგვცა. ეს ნაშრომები დღემდე არ კარგავენ აქტუალობას.

ისტორიული შინაარსის ნაშრომებს შორის მნიშვნელოვანია ბ. მინორსკის „შირვანისა და დერბენდის ისტორია მე-X-XI სს-ში“. ამ ნაშრომში გაშუქებულია მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც უკავშირდება შუა საუკუნეების შირვანისა და დერბენდის და ასევე მათი მეზობელი პოლიტიკური გაერთიანებების პოლიტიკური და რელიგიური ცხოვრების საკითხებს. ასევე ე. კოზუბსკის ფუნდამენტური ისტორიული ნაშრომი „ქალაქ დერბენდის ისტორია“.

ადრე შუა საუკუნეების დაღესტნის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აგრეთვე დაღესტნელი სწავლულის დასან ეფენდი ალ-კადარის თხზულება „ასარი დაღესტან“, რომელშიც ბევრი საინტერესო ცნობაა მოცემული არაბულ დაპყრობებთან დაკავშირებით. აქ დაწვრილებითაა მოთხრობილი აბუ მუსლიმის (მასლამას) საქმიანობის შესახებ, ასევე დერბენდის სანახებში მეჩეთების მშენებლობასა და აქ მოსახლე არაბების შესახებ.

რეგიონის რელიგიურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესწავლისათვის მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა აგრეთვე XIX ს-ის პირველი ნახევრის ცნობილი ისტორიკოსი და ფილოლოგი აბას კული-ადა ბაკიხანოვი. ის თავის ნაშრომში „გიულისტან ი ირამ“ დეტალურად აღწერს დაღესტნის ისლამიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ჩრდილო კავკასიის რეგიონში სელჩუკთა ბატონობისა და რეგიონზე თემურ-ლენგის ლაშქრობების შესახებ.

XVIII-XIX სს-ის ცნობილი დაღესტნელი სწავლულების პედაგოგიურ საქმიანობას, დაღესტნის კულტურულ განვითარებაში მათ მიერ შეტანილი წვლილისა და ასევე რევოლუციამდელი პერიოდის დაღესტნელთა განათლებისა და არაბული ენის სწავლების საქმეში რელიგიური სკოლების ადგილისა და როლის საკითხებს შეეხება მეცნიერების გ. კაიმარაზოვის, მ. აბდულაევას, ა. იარლიკაპოვის, ტ. ბეკოევის, ა. ბეკოევას, ა. მუსლიმოვასა და სხვათა შრომებში.

ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში არაბული ენის სოციალური ფუნქციების საკითხთან მიმართებით ჩვენთვის საინტერესო იყო სამეცნიერო ნაშრომები რეგიონში არაბულ ენაზე წიგნის ბეჭდვის ისტორიისა და არაბულენოვანი პრესის ჩამოყალიბების საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა მ. ყურბანოვას „არაბული წიგნის ბეჭდვა დაღესტანში XIX ს-

ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში“, მ. ახმადულის „არაბული შრიფტით წიგნის ბეჭდვის ხელოვნება ურალ-ვოლგისპირეთის რეგიონში XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში“, მ. ოსმანოვას „არაბულენოვანი წიგნის ბეჭდვა ა. მიხაილოვის ტიპოგრაფიაში“, რომლებშიც მოცემულია არაბულ ენაზე წიგნის ბეჭდვის ისტორია, არაბულენოვანი პროდუქციის წილი და მისი შინაარსი დაღესტნის ისლამურ საზოგადოებაში არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაანალიზებულია არაბულენოვანი ნაბეჭდი წიგნის როლი და ადგილი დაღესტნის ცხოვრებაში. ასევე ა. ნავრუზოვის „გაზეთი „ჯარიდა დაღესტანი“ - 1913-1918 წლების ისტორიულ-კულტურული ძეგლი“, ა. კამალოვის „დაღესტნის პერიოდული გამოცემების საფუძვლები“, რომლებშიც პირველი არაბულენოვანი პერიოდული გამოცემები შესწავლილი და გაანალიზებულია დაღესტნის საზოგადოებრივ განვითარებაში მათი როლისა და ადგილის თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება სამი თავისაგან.

პირველ თავში - „ჩრდილოეთკავკასიური (დაღესტნური) არაბულენოვანი ძეგლების კვლევის ისტორია“ - მოკლედ არის მოყვანილი არაბულ ენაზე შექმნილ ხელნაწერთა უზარმაზარი მემკვიდრეობის კვლევის ისტორია. მართალია, ჩრდილოეთ კავკასიის არაბულენოვანი ხელნაწერები ამ მემკვიდრეობის ერთ პატარა ნაწილს წარმოადგენს, თუმცადა, ისინი რაოდენობისა და შედგენილობის თვალსაზრისით ნებისმიერი მუსლიმური ქვეყნის ხელნაწერთა საგანძურს დაამშვენებდნენ (შიხსაიდოვი). ამ თავში გაანალიზებულია საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიის არაბულენოვან ძეგლთა კვლევის ისტორია, მასში რუსული, დაღესტნური და ქართული არაბისტიკის სკოლის წარმომადგენელთა როლი; აღწერილია არაბულენოვან ძეგლთა შესწავლის თანამედროვე ეტაპზე არსებული მდგომარეობა; დასახელებულია რუსეთისა და დაღესტნის ხელნაწერთა ფონდებში დაცულ კავკასიური წარმოშობის ხელნაწერთა ბაზაზე დაყრდნობით არაბისტთა კვლევებისა და მათი საქმიანობის ძირითადი, ამ ეტაპისათვის პრიორიტეტული მიმართულებები, მათ შორის, უნიკალურ ძეგლთა კატალოგებისა და აკადემიური გამოცემების მომზადება, ხელნაწერთა ბაზაზე დაყრდნობით სხვადასხვა მსხვილი საკითხის დამუშავება, არსებული მასალის დაცვისა და მასზე საერთაშორისო წვდომის არსებობის მიზნით მისი კონსერვაცია და გაციფრულება და სხვა.

მეორე თავი - „არაბული ენის ადგილი ჩრდილოეთ კავკასიაში და ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 20-იან წლებამდე“ - ხუთი ქვეთავისაგან შედგება. **პირველი ქვეთავი** შეეხება

„არაბთა მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის დაპყრობისა და ისლამიზაციის პირველ მცდელობებსა და არაბული ელემენტის გაჩენას“. მასში აღწერილია არაბული დაპყრობების მომენტისათვის რეგიონის ისტორიული გეოგრაფია, ეთნიკური შედგენილობა და გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რაც არაბების ამ რეგიონით დაინტერესების მიზეზი გახდა. აქვე განხილულია რეგიონის ისლამიზაციაში არაბული ელემენტის როლი და შემდგომი მისი ბედის (არაბული ელემენტის) საკითხთან დაკავშირებით სათანადო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები. **მეორე ქვეთავში** - „ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის რეგიონის ისლამიზაცია X-XVI სს-ში“ - ისტორიულ ჭრილშია აღწერილი ისლამიზაციის თითქმის ცხრასაუკუნოვანი მონაკვეთი, როცა ისლამი თანდათან მკვიდრდება ჩრდილოეთ კავკასიაში, ძირითადად, აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტნის რაიონის დიდ ნაწილში, რასაც შედეგად მოჰყვა ის რომ, ჩრდილოეთ კავკასია საუკუნეებით დაუკავშირდა მუსლიმურ აღმოსავლეთს. ამ თავში აღწერილია სხვა არაარაბ დამპყრობელთა როლი ისლამიზაციის ისტორიაში; დერბენდის როლი და მნიშვნელობა ამ პროცესებში; სელჩუკთა მიერ სუფიზმის გავრცელება რეგიონში, მონღოლთა დაპყრობების შედეგად თურქულენოვანი ტომებისა და თურქული ელემენტის როლის გაძლიერება და სხვა. **მესამე ქვეთავში** - „კულტურული კონტაქტების გაძლიერება მუსლიმური აღმოსავლეთის ქვეყნებთან VII-XV საუკუნეებში“ - გაანალიზებულია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურული კონტაქტების აღმოსავლეთისაკენ გადამისამართების საკითხი; ამასთან კავშირში, აღწერილია ახლო აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის, პირველ რიგში კი, არაბული ენისა და არაბულ-მუსლიმური კულტურის, გავლენის მომძლავრების პროცესი; დაღესტნის რეგიონში ისლამური განათლების კერების ფორმირების ისტორია, რომელშიც სწავლება არაბულ ენაზე მიმდინარეობდა; აღწერილია ადრე შუა საუკუნეების დერბენდის ინტელექტუალური სახე, მისი კულტურული და სამეცნიერო ცხოვრების დონე; ადგილობრივი მუსლიმური ელიტის ფორმირება და სხვა. **მეოთხე ქვეთავში** საუბარია „არაბული ენის გავლენის მომძლავრებასა და არაბულენოვანი ორიგინალური მწერლობის ტრადიციის ჩამოყალიბებაზე VII-XIV სს-ის დაღესტანში“. X-XV საუკუნეები, განიხილება, როგორც შუა საუკუნეებში არაბული, სპარსული, თურქული და კავკასიური კულტურების ფუნქციონირებისა და მათი განახლებული ლიტერატურის აყვავების კონკრეტული ეტაპი, სადაც არაბული ლიტერატურა დაღესტნის ხალხების თავის ლიტერატურულ პროცესში ჩამთრევის როლში გამოდიოდა და მასზე უდიდეს გავლენას ახდენდა, როგორც ამ



რეგიონის კულტურის განვითარების წყარო. აქვე დეტალურადაა განხილული არაბული ენის „პირველი და მეორე ტალღის“ გავრცელებისა და მომძლავრების საკითხები, მათი თავისებურებები და ქრონოლოგია. შეჯერებულია სათანადო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული განსხვავებული შეხედულებები; დეტალურადაა დახასიათებული აღნიშნულ ეტაპზე არაბული ენის როლი და მისი ფუნქციები დაღესტნელი ხალხების ცხოვრებაში. **მეხუთე ქვეთავში** საუბარია „არაბული ენის ადგილზე ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში XV ს-დან მოყოლებული ვიდრე XX ს-ის 20-იან წლებამდე“. საკითხი კვლავაც ისტორიულ ჭრილშია განხილული: დაღესტნის რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებებთან და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან უშუალო კავშირში არაბული ენის პოზიციები გარდამავალი ხდებოდა ხოლმე, თუმცა, გარკვეულ სოციალურ ფუნქციებს ის ინარჩუნებდა მთელი ამ ისტორიული მონაკვეთის მანძილზე. ამ ქვეთავში საუბარია მიზეზებზე, რისი წყალობითაც არაბული ენა თავის პოზიციებს მყარად ინარჩუნებდა და ეს იყო, პირველ რიგში, მულტიეთნიკური რეგიონისათვის ერთიანი საურთიერთო სამწერლობო ენის აუცილებლობა, აგრეთვე არაბული ენის ძლიერი და მდიდარი სამწერლობო ტრადიცია, ისლამი და ისლამური განათლების ძლიერი სკოლა, რომლის წყალობითაც არაბულს ფლობდა რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი; მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურული კონტაქტების შენარჩუნებაც. ამ თავში ასევე აღწერილია ახალი ძალის, რუსეთის სახელმწიფოს, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონზე, პოლიტიკური და კულტურული გავლენების მომძლავრების ისტორიული პროცესი რომლის ლოგიკური დასასრულიც აღმოჩნდა ის, რომ XVIII საუკუნიდან მოყოლებული არაბულმა ენამ თანდათან დათმო თავისი პოზიციები და ბოლოს XX ს-ის 20-იან წლებისათვის სრულიად გამოიდევნა, თითქმის, ყველა სფეროდან. იმ პერიოდისათვის გაწყდა კონტაქტები ახლო აღმოსავლეთთანაც. ამ დროისათვის არაბულ ენას რუსულის გარდა გარკვეულ კონკურენციას უწევდა აგრეთვე ადგილობრივი დაღესტნური ენებიც.

მესამე თავი ეთმობა დაღესტნელი ავტორის მუსტაფა ეფენდი ილისუის არაბულენოვან ხელნაწერ ძეგლს „თარიხუ-ლ-ჰარბი“. ეს თავი იწყება ძეგლის **არქეოგრაფიული** აღწერილობით, რასაც მოჰყვება მისი **ენობრივი, პალეოგრაფიული** და **ლექსიკური** ანალიზი. განსაკუთრებით მდიდარია ტექსტი პალეოგრაფიული ნიშნების თვალსაზრისით, თუმცა,

ხშირ შემთხვევაში, ავტორის მიერ ამ ნიშანთა განაწილება შემთხვევითია და არ ატარებს მოწესრიგებულ სისტემურ ხასიათს. ფონეტიკური თავისებურებების თვალსაზრისით საინტერესოა ევროპული ეთნიკური და გეოგრაფიული, ასევე რამდენიმე რუსული ლექსემის არაბულად ჩაწერისას მომხდარი ბგერათცვლილებები. გარკვეული შემთხვევებში გვხვდება სინტაგმების წყობის და ასევე ზმნის ან სახელის ბრუნვის ფორმათა დაბოლოებების თვალსაზრისით კლასიკური არაბულის პოზიციიდან მცდარი ფორმები, თუმცა, ნაწარმოები ლექსის ფორმითაა დაწერილი და ასეთი შემთხვევები, შესაძლოა, რითმის გაწყობის მიზეზით იყოს გაპირობებული და ავტორის მიერ დაშვებულ შეცდომებად ვერ ჩაითვლება.

მესამე თავის შემდეგ წარმოდგენილია ძირითადი დასკვნები, რომელსაც მოსდევს ბიბლიოგრაფია. ნაშრომს ერთვის ხელნაწერი ტექსტის ფაქსიმილე და მისი ქართული თარგმანი.

## გ. 1. ჩრდილოეთკავკასიური (დაღესტნური) არაბულენოვანი ძეგლების კვლევის ისტორია

არაბული ფილოლოგია თავისი არსებობის დასაწყისიდანვე მჭიდროდ უკავშირდება არაბული ხელნაწერების შესწავლას. უფრო მეტიც, ის ევროპაში ყალიბდებოდა, როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის დისციპლინა, რომელიც, ძირითადად, სალიტერატურო არაბულ ენასა და ამ ენაზე შექმნილ ხელნაწერ მემკვიდრეობას შეისწავლიდა. ხოლო XIX ს-ში, როცა არაბული ფილოლოგიის სხვა მიმართულებების განვითარება დაიწყო, როგორებიც იყო: დიალექტოლოგია, ფოლკლორისტიკა, ეპიგრაფიკისა და თანამედროვე არაბულენოვანი ლიტერატურის შესწავლა, ხელნაწერთა კვლევამ სულ სხვა მნიშვნელობა და როლი შეიძინა.

არაბულენოვანი ხელნაწერები უმნიშვნელოვანესი წყარო აღმოჩნდა ევროპული არაბისტიკისათვის XVI-XVIII სს-ის არაბულენოვანი ლიტერატურის შესწავლის თვალსაზრისით. ამ პერიოდის მემკვიდრეობა, პრაქტიკულად, ხელნაწერების სახითაა წარმოდგენილი, რადგანაც ევროპაში არაბულენოვანი ლიტერატურის ბეჭდვის საქმე მნიშვნელოვან მასშტაბებს მხოლოდ XIX ს-ში აღწევს. ევროპაში არაბულენოვანი ხელნაწერების პირველი შემგროვებლები და შემსწავლელები იყვნენ ევროპული არაბისტიკის წარმომადგენლები: პასტელი (1510-15810), გალიუსი (1596-1667), რაისკე (1716-1774) და სილვესტრ დე სასი (1758-1838). არაბული ხელნაწერები იმ დროისათვის იშვიათობას არ წარმოადგენდა, ყოველდღიურად იყიდებოდა ბაზრობებზე. არაბულენოვანი ხელნაწერების მოპოვება შესაძლებელი იყო ყველა იმ ქვეყანაში, რომელშიც გავრცელებული იყო არაბული ენა და ისლამი, დაწყებული მაროკოდან, ვიდრე ინდონეზიამდე. არაბულენოვან ხელნაწერთა რაოდენობის ზრდის მიუხედავად მათი მეცნიერული შესწავლის პროცესი სპეციალისტთა სიმწირის გამო საკმაოდ ნელა მიიწევდა წინ. XIX ს-ში პირველად ჩატარდა დიდი რაოდენობით დაგროვილ ხელნაწერთა კატალოგიზაციის მასშტაბური სამუშაო, დიდი რაოდენობით გამოიცა მნიშვნელოვან არაბულ ხელნაწერთა ტექსტები ორიგინალსა და თარგმანებში, დაიწერა გამოკვლევები ცალკეულ ნაწარმოებებსა და მთლიანად ჟანრებთან დაკავშირებით. დროდადრო კონკრეტული ჟანრებისა და კონკრეტული ავტორების შესწავლის საფუძველზე დაგროვილი მასალები ბიბლიოგრაფიულ კრებულებში და ასევე ისტორიის, ლიტერატურისა, თუ რომელიმე სხვა მიმართულებით შექმნილ ნაშრომებში მთლიანდებოდა (ხალიდოვი 1983: 10-15).

არაბისტიკის ფორმირება ასევე მნიშვნელოვანწილად იყო დაკავშირებული არაბულენოვანი ხელნაწერების შეგროვებასა და შესწავლასთან რუსეთშიც. პეტერბურგის აზიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში (XIX ს-ის დასაწყისიდან მოყოლებული) არაბულენოვან ხელნაწერთა დიდი რაოდენობა დაგროვდა. აქ თავი მოიყარა მნიშვნელოვანი ხელნაწერი თხზულებების მთელმა კომპლექსმა არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებზე, რომლებიც მუსლიმური აღმოსავლეთის ხალხებმა შექმნეს. ხელნაწერთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანი ხდებოდა მათი მეცნიერული შესწავლა. ბ. დორნი, ჰ. ფრენი, ვ. როზენი. ა. ზალემანი, ი. კრაჩკოვსკი და ი. ბელიაევი საუბრობდნენ აზიის ინსტიტუტის არაბულენოვან ხელნაწერთა კატალოგის შექმნის აუცილებლობაზე და აქტიურადაც მუშაობდნენ ამ მიმართულებით. მათ სხვა აღმოსავლეთმცოდნეებთან ერთად ძალიან ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ სანქტ-პეტერბურგის აზიის მუზეუმის ხელნაწერები, რომელთა დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი და გამოცემული, მისაწვდომი გამხდარიყო მსოფლიოს მასშტაბით აღმოსავლეთმცოდნე სპეციალისტებისა და ფართო მკითხველისათვის (სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი 2005: 2).

ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებით დიდი იყო ჰ. ფრენის როლი, რომელიც სანქტ-პეტერბურგის აზიის მუზეუმს (1819 წლიდან) ხელმძღვანელობდა. მისი სისტემური, ენერგიული და გეგმიური მუშაობის წყალობით, ხელნაწერთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მეცნიერი ხშირად იყენებდა მათ, როგორც მასალას, თავის სამეცნიერო შრომებისათვის. ფრენს განსაკუთრებით აინტერესებდა IX-XV სს-ის ისტორიული და გეოგრაფიული შინაარსის თხზულებები და ენციკლოპედიები, რომლებიც სამხრეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ხალხებს ეკუთვნოდა. იგი სხვადასხვა კუთხით იკვლევდა და სწავლობდა (გამოსცემდა, თარგმნიდა, კომენტარებს ურთავდა) იაკუთის, ამ-შიჰნის, ას-სუიტისა და სხვათა ხელნაწერებს. ფრენმა ნაყოფიერი საფუძველი დაუდო რუსეთში შუასაუკუნეების იმ არაბულენოვან ხელნაწერთა შესწავლის საქმეს, რომლებიც კავკასიელი ხალხების ისტორიას აშუქებდა (სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი 2005:3).

1834 წელს ჰ. ფრენი წერდა: „ის, რომ დაღესტნელ ლეზგებს ჰქონდათ ლიტერატურა თავიანთ ენაზე, აქამდე უცნობი გარემოება იყო, რომელიც მხოლოდ ცოტა ხნის წინ გახდა ჩემთვის ცნობილი. მათ ენაზე თარგმნილი იყო არაბული ნაწარმოებები. მათ შორის იყო

„იმამ შაფ'ის წიგნი“ (شفايف الامامكاتب) „მუზენიას შემოკლებები“ (..... ეს უკანასკნელი უნდა იყოს ე. წ. „ისმაილის ყურანი“ (ისმაილ იბნ იაჰია ალ-მუზანი იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურა შაფიიტური სკოლის კლასიკოსთა შორის, რომელიც ჰიჯრით 264 /878 ქრ-ით წელს გარდაიცვალა), რომლის შესახებაც საუბრობენ რეინგესი და კავკასიის სხვა ეთნოგრაფები, როგორც ძველ არაბულ კოდექსზე, რომელსაც მიმართავდნენ ლეზგები სამართალთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად. ასეთი ხელნაწერების მოძიება და შესწავლა ბევრი მიმართულებით, და მათ შორის ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა“ (გენკო 1941: 91).

1844 წლიდან აზიის მუზეუმის ხელმძღვანელი ბ. დორნი გახდა. დორნმა გააგრძელა ფრენის მიერ წამოწყებული აზიის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერისა და კატალოგიზაციის საქმე, მაგრამ კატალოგის გამოცემა ვერც მან მოასწრო. სამაგიეროდ დიდი სამუშაოს შესრულება შეძლო ტექსტოლოგიის სფეროში. დორნმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა აზიის მუზეუმის ბევრი სპარსულენოვანი ხელნაწერი და არაბულენოვანი ხელნაწერთა ნაწილი. მას განსაკუთრებით აინტერესებდა ირანის ისტორიისა და კასპიის სანაპიროს ტერიტორია და აქ მოპოვებული ხელნაწერები. მეცნიერი სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს ახალი ხელნაწერი ძეგლების მოპოვებისა და მათი შესწავლის შესახებ.

ფრენისა და დორნის მიერ დაწყებული (ხელნაწერთა შესწავლის, კატალოგიზაციისა და პოპულარიზაციის) საქმე წარმატებით გააგრძელა 70-იანი წლებიდან აკადემიკოსმა ბ. როზენმა. როზენმა ბ. გირგასთან ერთად აღწერა და გამოსცა არაბულენოვანი ხელნაწერ ტექსტთა კრებული „არაბული ქრესტომათია“. მასვე ეკუთვნის აზიის მუზეუმის ხელნაწერების კატალოგის (გამოცა 1881 წელს) პირველი ნაწილი და არაბულენოვანი ხელნაწერებზე დაყრდნობით არაერთი სხვა სამეცნიერო გამოკვლევა.

აკადემიკოს როზენის (1849-1908) საქმიანობამ საბჭოთა პერიოდში გაგრძელება ჰპოვა არაბისტიკის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლების: ბარტოლდის, შმიდტის, კრაჩკოვსკისა და მათი მოსწავლეების შრომებში. XX ს-ის 20-30-იან წლებში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აზიის ხელნაწერთა მუზეუმის ბაზა კიდევ უფრო გამდიდრდა. იმ დროისათვის რუსული არაბისტიკა ევროპულ სკოლას მჭიდროდ დაუკავშირდა: რუსეთში ხელნაწერთა შესწავლასთან დაკავშირებული ბევრი შრომა ლათინურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე ქვეყნდებოდა. იმავე წლებში და მოგვიანებითაც ხელნაწერთა შეგროვებისა და დაცვის ახალი კერები გაჩნდა ტაშკენტში, ყაზანში, ბაქოში,

თბილისში, მახაჩყალაში, დუშანბეში, სამარყანდსა და ერევანში. ქვეყნდებოდა სულ უფრო მეტი ხელნაწერი ტექსტი და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო პუბლიკაცია. წყაროთმცოდნეობისა და წყაროთა კლასიფიკაციის პრობლემებთან დაკავშირებით შექმნილი რუსი მეცნიერების ნ. პაკროვსკის, მ. ტიხომიროვის, ი. კოვალჩენკოს, დ. ლიხაჩევის, ლ. ჩერეპნინის, ო. აკიმუშკინის, ა. პრონშტეინის, ო. ბოლშაკოვას, პ. გრიაზნევიჩისა და სხვათა შრომები დღესდღეობით ხელნაწერებზე მუშაობისა და მათი ისტორიის კვლევისას მეცნიერთათვის ერთგვარ მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენენ (სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი 2005: 4).

მ. **კაზემბეკი** იყო რუსეთში აღმოსავლეთმცოდნეთაგან ერთ-ერთი პირველი, რომელმაც საფუძველი დაუდო დაღესტნური არაბულენოვანი ხელნაწერების შესწავლის, თარგმნისა და გამოქვეყნების საქმეს. მან პირველმა გამოსცა დაღესტნურ ისტორიოგრაფიულ ნაშრომ „დერბენდ-ნამეს“ არაბულენოვანი ტექსტი და მისი თარგმანი. ასევე პირველმა გამოსცა „თარხ დაღესტანის“ („დაღესტნის ისტორია“) ტექსტიც. მასვე ეკუთვნის დაღესტანში ისტორიისა და ისლამის ისტორიის სფეროში შექმნილი შრომები: „შამილი და მიურიდიზმი“, „ისლამის ისტორია“, „ბაბი და ბაბიდები“ და სხვა (აბდულხალიკოვა 2005: 17).

„დერბენდ-ნამეს“ ტექსტზე მუშაობა, რომლის დაახლოებით 40-მდე ხელნაწერი ნუსხა არსებობს არაბულ, სპარსულ, აზერბაიჯანულ, ყუმუხურ, ავარიულ, დარგულ და ლაკურ ენებზე, კაზემბეკის შემდეგაც გრძელდებოდა. ძეგლის წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებულ გარემოებათა ანალიზი ეკუთვნის ასევე ახლო აღმოსავლეთის არაბთა შუასაუკუნეების ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მკვლევარ ბ. **ბარტოლდს** (ბარტოლდი 1918).

მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც დაღესტნის არაბულენოვან ძეგლთა ყოველმხრივ (ენობრივი, პალეოგრაფიული, შინაარსის თვალსაზრისით) შესწავლას გულისხმობს, ეკუთვნის აკადემიკოს ე. **კრაჩკოვსკის**. მან დაღესტნის ხელნაწერი მემკვიდრეობა ევროპელი მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახადა. პრაქტიკულად, პირველმა აღნიშნა და მოუწოდა არაბულ ენაზე შექმნილი მთელი წერილობითი მემკვიდრეობის ყოველი ნიმუშის შეკრებისა და შესწავლის საჭიროებაზე, რომელიც კავკასიელი ხალხების ისტორიული წარსულის ნათელ სურათს გამოარკვევდა. მეცნიერის აზრით განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა ამ ხელნაწერთა ენობრივი თავიბურებების

შესწავლა, რაც მეცნიერებს საშალებას მისცემდა, საუკუნეების განმავლობაში კლასიკური არაბული ენის უცხო ენობრივ გარემოში არსებობის მეტად საინტერესო ფენომენი აეხსნათ.

1945 წელს გამოქვეყნდა აკად. ი. კრაჩკოვსკის წიგნი „არაბულ ხელნაწერებზე“ („მოგონებათა ფურცლები წიგნებსა და ადამიანებზე“). ამ წიგნმა, რომელიც მეტად ღირებულ ნაშრომს წარმოადგენს არაბისტიკის მნიშვნელოვან საკითხებთან და შუა საუკუნეების არაბულენოვან ხელნაწერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, იმთავითვე მიიპყრო მკითხველთა ფართო წრის ყურადღება. კრაჩკოვსკიმ მასში ასახა რუსული და ევროპული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლების ძველი ტრადიციები და ხაზი გაუსვა არაბულ ხელნაწერთა შესწავლის მნიშვნელობას. წიგნში საუბარია იმ ხელნაწერთა კრებულებზე, რომელთა ტექსტებიც მეცნიერს იმ დროისათვის თავად ჰქონდა შესწავლილი და გამოაქვეყნებული (კრაჩკოვსკი 1945).

მომდევნო წელს (1946 წ.) გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „არაბული ლიტერატურა ჩრდილოეთ კავკასიაში“ აკად. კრაჩკოვსკი ცენტრალური აზიის არაბული დიალექტების, მისი მდიდარი ფოლკლორისა და ჩრდილოეთ კავკასიაში მეცნიერთათვის იქამდე თითქმის უცნობი XVII-XIX სს-ში შექმნილი დაღესტნური ორიგინალური არაბულენოვანი ლიტერატურის აღმოჩენისა და შესწავლის აუცილებლობაზე წერდა (კრაჩკოვსკი 1960).

აკად. კრაჩკოვსკი ხაზს უსვამდა XIX ს-ის 50-იან წლებში შამილის მეთაურობით გაშლილ მთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი ისტორიული შინაარსის ნაწარმოებების შესწავლის მნიშვნელობას, რომლებიც კავკასიელ ხალხთა ამ პერიოდის ისტორიის იქამდე უცნობ ბევრ დეტალს მოჰფენდა ნათელს (კრაჩკოვსკი 1960).

კრაჩკოვსკის ხელმძღვანელობით აღიზარდა, როგორც რუს, ისე დაღესტნელ ცნობილ აღმოსავლეთმცოდნე-არაბისტთა მთელი თაობა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს დაღესტნის არაბულენოვანი წერილობითი მემკვიდრეობის შენახვისა და შესწავლის საქმეში.

ერთ-ერთი მათგანი იყო ა. ბარაზანოვი, რომელმაც 1941 წელს პირველმა გამოსცა XIX ს-ის ცნობილი დაღესტნელი სწავლულის მუჰამედ ტაჰირ ალ-კარახის (რომელიც შამილის თანაშემწე იყო 1850-1858 წლებში) ისტორიული ქრონიკის „შამილურ ბრძოლებში მოელვარე დაღესტნური მახვილები“ არაბულენოვანი ტექსტის რუსული თარგმანი. მასვე ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი სტატია „ჩრდილოეთ კავკასიის არაბულენოვანი

ხელნაწერებისა და დოკუმენტების განმარტებითი (დამატებითი) ნიშნები“, სადაც აღნიშნული ნიშნების სისტემური დახასიათება მოახდინა იმავე („მამილურ ბრძოლებში მოელვარე დაღესტნური მახვილები“) არაბულენოვანი ხელნაწერის საფუძველზე. ეს არის მაღალი მეცნიერული ღირებულების ნაშრომი, რომელიც დღემდე ფუნდამენტურ სახელმძღვანელოდ რჩება ჩრდილოეთ კავკასიის არაბულენოვანი ხელნაწერების მკვლევართათვის (ბარაბანოვი 1941).

კავკასიის ღმოსავლურ და განსაკუთრებით არაბულენოვან ხელნაწერთა როლსა და მათი შესწავლის მნიშვნელობაზე ხაზგასმით მიუთითებდა კავკასიოლოგი ა. გენკო. სტატიამ „არაბული ენა და კავკასიოლოგია“ (1941 წლის) გენკო ყურადღებას ამახვილებდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის შესწავლის საქმეში არაბული და არაბულენოვანი წყაროების უდიდეს მნიშვნელობაზე, როგორც პირველწყაროზე, რომლის საფუძველზეც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე შესწავლილ ფაქტებსა და საკითხებში გარკვეული ახალი შტრიხების შეტანა და მათი ცხადყოფა მოხდებოდა (გენკო 1941: 89).

ცალკე უნდა ითქვას არაბულენოვან ხელნაწერთა კვლევის სფეროში ცნობილი მეცნიერის აღმოსავლეთმცოდნე ა. ხალიდოვის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. ისიც კრაჩკოვსკისა და ბელიაევთან სწავლობდა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მისი სპეციალიზაციის ძირითადი სფერო არაბული კლასიკური ფილოლოგია, ლიტერატურა და კულტურა იყო, მაგრამ სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის (რომლის მეცნიერ-თანამშრომელიც იყო 1955 წლიდან მოყოლებული 2000 წლამდე) არაბულენოვან ხელნაწერთა ფონდის შესწავლა მისთვის უმთავრეს საქმედ გადაიქცა, რამდენადაც მათ არაბისტიკის ბაზად თვლიდა. მან თავის თავზე აიღო ამ ფონდის ხელნაწერთა კატალოგიზაციის მეტად შრომატევადი საქმე და თავის თანამშემწეებთან ერთად ჩატარებული ხანგრძლივი სამუშაოების შემდეგ გამოსცა კიდევ იგი 1986 წელს.

ა. ხალიდოვის სამეცნიერო დისერტაცია (რომელიც XX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში წარადგინა) არაბულ ხელნაწერებსა და არაბულენოვან სამწერლობო ტრადიციას შეეხებოდა და იმ დროისათვის გამოვლენილი და ცნობილი (ნაბეჭდი თუ ხელნაწერი) იმ უზარმაზარი მოცულობის მასალის ანალიზს ეფუძნებოდა, რომელსაც 28 წლის განმავლობაში სწავლობდა. ხალიდოვი თავის დისერტაციაში წერდა: „ხელნაწერებთან ურთიერთობისას არაბისტი, როგორც წესი, გამოდის არქეოგრაფის, ტექსტოლოგის,



ლიტერატურის ისტორიკოსის, ლინგვისტის, ან ხელოვნების მკვლევრის როლში. კიდევ უფრო მრავალფეროვანია არაბული წერილობითი ძეგლების წყაროდ გამოყენების შემთხვევები: არაბისტები და მასთან დაკავშირებული სპეციალობების წარმომადგენლები მასში ისტორიული და ისტორიულ-კულტურული გამოკვლევებისათვის მნიშვნელოვან ცნობებს ეძებენ. უდავოა, არა მარტო არაბულ ხელნაწერებთან სხვადასხვაგვარი მიდგომისა და შესწავლის კანონზომიერება და ნაყოფიერება, არამედ აგრეთვე ისიც, რომ ხელნაწერთა შესწავლას (ხელნაწერთა მოძიებას, მათ თავდაპირველ აღწერასა და შემდგომში მათ განზოგადებულ კვლევას) ხანგრძლივი პერსპექტივა აქვს“ (საიდოვი 1983: 14).

ა. ხალიდოვი, იმ ეტაპზე ხელნაწერთა კვლევის არსებული დონის მიუხედავად, არაბული ხელნაწერებისა და სამწერლობო ტრადიციის შესახებ მრავალპლანიანი შრომების არარსებობაზე საუბრობდა. მეცნიერის აზრით შუა საუკუნეების აღმოსავლური კულტურის არსებითი, მისთვის სპეციფიკური დეტალები ჯერ კიდევ მეცნიერთა ყურადღების მიღმა რჩებოდა და ეს ნაკლი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იმ ინტერესის ფონზე, რომელსაც საბჭოთა მეცნიერება იჩენდა ანტიკური, ბიზანტიური, შუა საუკუნეების დასავლეთევროპული და რუსული კულტურისა და სამწერლობო ტრადიციების მიმართ. დიდი რაოდენობით არაბულენოვანი ხელნაწერი იმ ეტაპისათვის ჯერ კიდევ შეუსწავლელი რჩებოდა, თუნდაც, არქეოგრაფიული თვალსაზრისით და კატალოგიზაციას საჭიროებდა. ამასთან, რომელიმე ერთი ქვეყნის არაბულენოვან ხელნაწერთა სათანადოდ დამუშავება-შესწავლა, მეცნიერის აზრით, საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ შუა საუკუნეების აღმოსავლური არაბულ-მუსლიმური სამწერლობო-სამწიგნობრო კულტურის ტრადიციები სათანადოდ გაშუქებულიყო.

მეცნიერ ხალიდოვის აზრით იმ დროისათვის ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლის საკითხში არაბისტის წინაშე იდგა ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემა: არაბულენოვანი წერილობითი მემკვიდრეობის გაანალიზება თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი ფორმალური და შედგენლობითი ელემენტების მიხედვით; არაბულ ხელნაწერებზე, როგორც შუა საუკუნეების არაჩვეულებრივად ვრცელ, რთულ და მრავალწახნაგოვან ფენომენზე განზოგადებული წარმოდგენის შექმნა; არაბულენოვანი ხელნაწერი ძეგლების გადახედვა და მათი შესწავლა ჟანრული მრავალფეროვნებისა და ისტორიული განვითარების თვალსაზრისით; შეძლებისდაგვარად უნდა მომხდარიყო არაბულენოვანი წერილობითი მემკვიდრეობის უზარმაზარი მასის რაოდენობრივი და

ხარისხობრივი დახასიათება და მისი ათვისება სივრცით-დროითი, თუ სოციალურ-ისტორიული ყველა პარამეტრის გათვალისწინებით; საჭირო იყო არაბული სამწერლობო ტრადიციის, როგორც შუა საუკუნეების აღმოსავლეთში არაბულ-მუსლიმური საზოგადოების სოციალური და კულტურული ცხოვრებისათვის კანონზომიერი მოვლენის, ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ახსნა.

ხალიდოვის აზრით დაღესტნის არაბულენოვანი ხელნაწერები ზოგადი არაბისტიკისათვისა და ლიტერატურათმცოდნეობისათვის ერთნაირად საინტერესო ისტორიულ წყაროებსა და მნიშვნელოვან მასალებს იძლეოდა, რომლებიც თავის მხრივ დაღესტნის არაბულენოვანი მწერლობისა და ლიტერატურის, როგორც მთლიანი უზარმაზარი არაბული ლიტერატურის ერთი შტოს, შესწავლის საშუალებას იძლეოდა (ხალიდოვი 1983: 13).

თავის სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე მ. ხალიდოვი არაერთ არქეოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობდა რუსეთში, იემენში, კაიროში, ბაღდადსა და რაბატში. მან ასევე მონაწილეობა მიიღო დაღესტნის არქეოგრაფიულ ექსპედიციაში. ამ ექსპედიციის წევრთა მუშაობისათვის განსაკუთრებით ღირებული აღმოჩნდა არაბულენოვან ხელნაწერთა ტრადიციის სფეროში მისი დიდი გამოცდილება და ცოდნა. მ. ხალიდოვს ეკუთვნის შიხსაიდოვის თანაავტორობით გამოცემული სტატია არაბი მოაზროვნის ალ-ღაზალის ნაწარმოებების დაღესტანში შექმნილი ასლების შესახებ.

საკუთრივ დაღესტანში არაბულენოვან ხელნაწერთა შეგროვებისა და მათი სამეცნიერო დაწესებულებებში თავმოყრის გეგმიური პროცესი XIX ს-ის 50-იან წლებში დაიწყო. ამ პროცესის გააქტიურებას ხელი შეუწყო იმან, რომ XIX ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ჩრდილოეთ კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კავშირები რუსეთთან სულ უფრო მტკიცე ხდებოდა, ხოლო რუსი სწავლულების დაინტერესება ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ისტორიით, მათი კულტურის თავისებურებებითა და კულტურული მემკვიდრეობით განსაკუთრებით დიდი იყო.

დღესდღეობით ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე მსხვილ ცენტრად, რომელშიც აღმოსავლურ ენებზე შესრულებული ხელნაწერებია თავმოყრილი, ითვლება დაღესტნის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდი. ეს ფონდი დაღესტნის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და ნაციონალური კულტურის ინსტიტუტში არსებულ ხელნაწერთა ბაზაზე შეიქმნა 1945 წელს, მაგრამ მისი

ინტენსიური შევსება XX ს-ის 50-70-იანი წლების ყოველწლიური არქეოგრაფიული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე მოხდა. 1963 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტში ცალკე შეიქმნა აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდი, რომლის მიზანიც იყო დაღესტნის აღმოსავლურ ენებზე შესრულებულ ხელნაწერთა გამოვლენა, ფიქსაცია და პუბლიკაცია.

მოგვიანებით აზიის მუზეუმის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდს ჯერ აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილება დაერქვა, ხოლო შემდეგ (აზიის მუზეუმი) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტად გადაკეთდა. რეორგანიზაციასთან ერთად შეიცვალა ინსტიტუტის მუშაობის მიზნები და ამოცანები. ხელნაწერთა შეგროვება და აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდის შევსება და გამდიდრება აქამდეც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ახლა ხელნაწერთა შეგროვება მათი გადარჩენის და ნაციონალური სიმდიდრისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით ხდებოდა (ზაქარიაევი 2012: 4).

დაღესტანში ეს პროცესი 1997 წლიდან განსაკუთრებით გააქტიურდა, როცა ქვეყანაში „ინტეგრაციის“ საერთო ფედერალური პროგრამისა და რუსეთის ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობის ფონდის დახმარებით ინტენსიური არქეოგრაფიული საქმიანობა გაიშალა. მათი მეშვეობით განხორციელდა პროექტი „დაღესტნის ხელნაწერი კოლექციები“, რომელიც ითვალისწინებდა კოლექციის შესწავლის ახლებურ მიდგომას, რომელიც ორიენტირებული იყო ხელნაწერების გამოვლენაზე, აღრიცხვაზე, ხელნაწერი მემკვიდრეობის სრულად აღწერასა და დაცვაზე. რამეთუ იქამდე არქეოგრაფიული ექსპედიციების წევრთათვის საქმიანობის მთავარ მიმართულებას, ძირითადად მაინც, იშვიათ ეგზემპლართა გამოვლენა და შეგროვება წარმოადგენდა. მთელი კოლექციის ფიქსაცია, მისი წინასწარი აღწერა, თუნდაც ხელნაწერთა და წიგნთა აღწერა-ჩამონათვალის მომზადება შედარებით იშვიათად ხდებოდა. რის გამოც ისტორიულ-კულტურული ერთეულები - ბიბლიოთეკები და წიგნის კოლექციები - აღიარების გარეშე რჩებოდა. ბიბლიოთეკების ხელუხლებლად შენახვამ და ამ კოლექციების წინაპართა მემკვიდრეობად და რეგიონისა და მთელი ქვეყნის ინტელექტუალურ სიმდიდრედ გამოცხადებამ ხელნაწერი კრებულებისადმი საერთო დამოკიდებულება სრულიად შეცვალა. ხელნაწერთა შენახვის, ფიქსაციის, ახალმა კონცეფციამ არქეოგრაფიული ექსპედიციების მონაწილეთათვის ხელმისაწვდომი გახადა, წინათ მათთვის მიუწვდომელი წიგნის კოლექციები. დღეს ფონდის ხელნაწერთა დიდ ნაწილს სწორედ კერძო კოლექციების

მფლობელთა ან მათი მემკვიდრეების მიერ საჩუქრად გადაცემული ხელნაწერები შეადგენს (დალესტნის ხელნაწერი კოლექციები 2013: 4-7).

ახალ სამეცნიერო პროექტზე „დალესტნის ხელნაწერი კოლექციები“ მუშაობის პროცესში მონაწილეობდნენ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები, დალესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგები, ასპირანტები და აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების სტუდენტები. უშუალოდ ამ პროექტის განხორციელების ფარგლებში აღმოჩენილი იქნა სამასამდე ხელნაწერი კოლექცია, დაახლოებით, 3 000-მდე ეგზემპლარით, რომლებიც შექმნილი ან გადაწერილია XII-XX სს-ის შუალედში. მათ შორისაა ადგილობრივი ავტორების მიერ შექმნილი ორიგინალური არაბულენოვანი (ასევე სხვა აღმოსავლურ ენებზე შექმნილი) ლიტერატურაც.

ცნობილია, რომ დალესტნის მსხვილი დასახლებების მედრესეებში არსებულ წიგნთსაცავებში ინახებოდა აღმოსავლეთიდან შემოსული და ადგილზე შექმნილი ან გადაწერილი ლიტერატურა. მეცნიერთა და მკვლევართა მიერ აღნიშნული პროგრამის განხორციელებისას მიკვლევული მასალა, მოწმობს, რომ ცნობილი დალესტნელი სწავლულები, როგორებიც იყვნენ იბნ შაბანი ობოდიდან (გარდ. 1667 წელს), მუჰამად კუდუთლელი (გარდ. 1717 წელს), დამადანი მეგებიდან (გარდ. 1724 წელს), დაუდი უსიშადან (გარდ. 1757 წელს) ფლობდნენ წიგნის მდიდარ კოლექციებს. ცნობილია სწავლულების აბუ ბაქრ აიმაკინელის (გარდ. 1791 წელს), საიდ არახანელის (გარდ. 1834 წელს), ჰასან ალ-ალკადარის (გარდ. 1910 წელს) ხელნაწერთა აღწერა-კატალოგები ე. წ. „ფიჰრისტები“ (აღმოაჩენილი არქეოგრაფიული ექსპედიციების მიერ). მაშინ, როცა საკუთრივ ხელნაწერები მათი კოლექციებიდან, თითქმის, განადგურდა. შემორჩენილია ასევე ცნობილი საზოგადო მოღვაწეების: მუჰამად უბრელის (გარდ. 1733 წელს), შამილის (გარდ. 1873 წელს), ალი კაიაევის (გარდ. 1943 წელს) და საიდ არახანელის პირადი კოლექციების მხოლოდ ნაწილი (შიხსაიდოვი 2003: 6-10).

დალესტნით ფონდის შემადგენლობაში 13 653 ერთეულია. ფონდს წარმომავლობის თვალსაზრისით სამი ტიპის მასალა ავსებს, რომელიც, თითქმის, ათასწლოვან პერიოდს მოიცავს 1009 (ყურანის ყველაზე ძველი ხელნაწერი) წლიდან, ვიდრე 1930 წლამდე. ესენია:

1. დაახლოებით 4 000 ხელნაწერი, რომლებიც შესრულებულია დალესტნის ტერიტორიაზე არაბულ, სპარსულ, თურქულ ენებსა და ასევე ავარიულ, ყუმუხურ, ლაკურ, დარგულ ენებზე აჯამური დამწერლობით. ესენი სამეცნიერო-სასწავლო ან სხვა მიზნით

დალესტნის ადგილობრივი გადამწერების მიერაა შესრულებული, რომელთა ორიგინალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ძირითადად, XIV-XX სს-ით თარიღდებიან. მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ადგილობრივი ავტორების მიერ არაბულ ენაზე შექმნილი ორიგინალური ნაწარმოებები, რომლებიც ადგილობრივ ორიგინალურ არაბულენოვან ლიტერატურულ ტრადიციას ქმნიან და ძირითადად XI-XX სს-ით თარიღდებიან.

2. ფონდის არაბულენოვანი ხელნაწერების ნაწილი სხვადასხვა დროსაა გადაწერილი ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში და ისინი დალესტანში სხვადასხვა გზით მოხვდნენ, ძირითადად, XV-XIX სს-ში.
3. ფონდში დაცულია: 5 819 წერილი და წიგნი. აქედან 2 500-ზე მეტი წიგნი ნაბეჭდია, რომლებიც გამოცემულია სტამბოლში, კაიროში, ყაზანში, თემირ-ხან-შურაში, პორტ-პეტროვსკსა და თეირანში; ასევე დაახლოებით 6 000 წერილი და რუსეთისა და მსოფლიოს სხვადასხვა ბიბლიოთეკაში დაცული უიშვიათესი წიგნების 300-ზე მეტი მიკროფილმი და ფოტო-ასლი.

მეტად მრავალფეროვანია ხელნაწერები შინაარსობრივი თვალსაზრისით. აქ გვხვდება ნაწარმოებები მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან, კერძოდ, სახელმძღვანელოები არაბული ენის გრამატიკაში, ლექსიკოგრაფიაში, ყურანის შესახებ მეცნიერებებში, მუსლიმურ სამართალში, ისტორიაში, ლოგიკაში, ეთიკაში, ასტრონომიაში, მედიცინაში. მათ შორის არის ადგილობრივ ენებზე არაბული გრაფიკით შესრულებული ტექსტები და ლაპიდარული წარწერები, რომელთაგან ყველაზე ადრინდელია XIV-XV სს-ით დათარიღებული ეპისტოლარული ჟანრის ხელნაწერები; დალესტნის რეგიონების სააქტო მასალები და ოფიციალური შინაარსის მიმოწერა (დალესტნის ხელნაწერი კოლექციები 2013: 7-9).

დალესტნის ხელნაწერთა ფონდში და ასევე სხვა კერძო საცავებშიც ინახება არაბულენოვანი (ხელნაწერი და ბეჭდური) მასალების ის რაოდენობა, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერი აღმოსავლური ტრადიციის ქვეყანა იამაყებდა. გარდა ამისა, ხელნაწერთა ფონდში დაცულია საკმაოდ დიდი რაოდენობით უნიკალური ხელნაწერი, რომლებიც საინტერესოა შუა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების არა მარტო ისტორიკოსების, არამედ აგრეთვე ფილოლოგებისა და ხელოვნებათმცოდნეებისათვისაც. მაგალითისათვის: ალ-ჯავჰარის ოთხტომეული გრამატიკული ტრაქტატი, რომელიც

ჰიჯრით 512 წელსაა გადაწერილი ბაღდადში; შუა საუკუნეების ცნობილი სუფი სწავლულის აჰმად ბენ იდრისის მიერ ჰიჯრით 912 წელს გადაწერილი ალ-დაზალი ატ-ტუსის ცნობილი სუფიური მოძღვრება.

ცალკე უნდა ითქვას ხელნაწერთა ფონდის ყურანის ხელნაწერების შესახებ. ფონდში არის ყურანის, როგორც სრული ტექსტების, ისე მისი ცალკეული ფრაგმენტების 57 ხელნაწერი ნუსხა, რაც დალესტნის მასშტაბებისათვის საკმაოდ დიდი რიცხვია. ხელნაწერთა ფონდში დაცულია ქუფურით შესრულებული ყურანის ტექსტები, რომლებიც დათარიღებული არ არის, მაგრამ პალეოგრაფიული თვალსაზრისით მათ XII-XIV სს-ს მიაკუთვნებენ (შიხსაიდოვი et al 2003: 21).

ხელნაწერთა ამ მდიდარი ფონდის შექმნაში, მათი მეცნიერული შესწავლის, პუბლიკაციისა და პოპულარიზაციის საქმეში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ცნობილი აღმოსავლეთმცოდნეები: ა. ინკვაჩილოვი, ა. კაიაევი, მ. საიდოვი, მ. აჰმედოვი, მ. ჰურმაგომედოვი, მ. მაგომედოვი, ხ. ომაროვი, გ. ორაზაევი, პ. ისაევი, ა. აიტბეროვი, ნ. ტაჰიროვი, პ. გაჯიევი, დ. გაჯიევა, ა. შიხსაიდოვი და სხვები.

ყოველი ახალი ხელნაწერის აღმოჩენა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა სულ უფრო ამდიდრებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურული დიალოგის შესახებ წარმოდგენას და ამდიდრებდა იმ ბაზას, რომლის საფუძველზეც ხდებოდა ისლამური სამყაროს პერიფერიულ ზონებში მდებარე ხალხების ისტორიისა და კულტურის კვლევა. ა. შიხსაიდოვის შეფასებით „ამ მასალების შესწავლილის საფუძველზე სულ უფრო ცხადი ხდება, რომ არაბული სამწიგნობრო კულტურისა და საგანმანათლებლო კერების საქმიანობების ფონზე დალესტნის, როგორც პერიფერიული რეგიონის გაგება პირობითია“ (შიხსაიდოვი 2003: 11).

1954 წლიდან აქტიურ სამეცნიერო საქმიანობაში ერთვება ა. შიხსაიდოვი, დალესტნელი მეცნიერი და აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა, რომელიც აკად. ი. კრაჩკოვსკის მოსწავლე და მისი აღზრდილი იყო. შიხსაიდოვი აქტიურად მონაწილეობდა დალესტნის სხვადასხვა რეგიონის 50-70-იანი წლების არქეოგრაფიულ ექსპედიციებში, რომელთა მიზანსაც დალესტნელი ხალხების მიერ არაბულ და დალესტნურ ენებზე შექმნილი ხელნაწერი და ეპიგრაფიკული მასალის გამოვლენა, შესწავლა და კატალოგიზაცია წარმოადგენდა. ა. შიხსაიდოვის როლი ფასდაუდებელია დალესტანში ისლამის გავრცელების ისტორიის, დალესტნის დიდი საწავლულების

შემოქმედებითი მემკვიდრეობისა და წიგნის კოლექციების და ასევე ეპიგრაფიკული და სამწერლობო კულტურის ძეგლთა არქეოგრაფიული კვლევის ასპექტების შესწავლასა და დამუშავებაში.

2001 წელს ა. შიხსაიდოვის მიერ **ნ. ტაჭიროვისა და დ. გაჯიევის** თანაავტორობით გამოცემულ წიგნში „არბული ხელნაწერი წიგნი დაღესტანში“ მკვლევრების მიერ დაღესტნის ხალხთა ხელნაწერი მემკვიდრეობის ფორმირებისა და მის საერთო მახასიათებლებთან დაკავშირებული საკითხებია გაშუქებული; დაღესტნის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აღმოსავლურ ხელნაწერთა ბაზაზე დაყრდნობით განხილულია დაღესტნელ ავტორთა მიერ X ს-დან მოყოლებული ვიდრე XX ს-მდე შექმნილი ხელნაწერები და მათი თემატიკა; საუბარია არაბი ავტორების მიერ შექმნილი ცნობილი გრამატიკული ტრაქტატების შესახებ დაღესტნელი ავტორების მიერ დაწერილ კომენტარებზე. ბევრი ხელნაწერი, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდა ეს შრომა პირველად სწორედ მისი ავტორების მიერ იქნა შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში (შიხსაიდოვი et al 2001).

ხელნაწერთა ფონდში დაცული ხელნაწერი მასალების საფუძველზე გრამატიკისა და მუსლიმური სამართლის სფეროში შექმნილი ნაწარმოებების დახასიათება მოგვცა დაღესტნელმა მეცნიერმა **ნ. ტაჭიროვმა**. მან თავისი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „არაბული სამწიგნობრო კულტურა დაღესტანში“, არა მარტო ხელნაწერთა ფონდში, არამედ აგრეთვე დაღესტანში მეჩეთებთან არსებულ და კერძო ბიბლიოთეკებში დაცულ უზარმაზარ მასალაზე დაყრდნობით მოამზადა. პირველად იქნა განხილული აღნიშნული ჟანრის ლიტერატურა თემატური და ხარისხობრივი თვალსაზრისით. ტაჭიროვს ეკუთვნის 'აბდ არ-რაჰმან ლუმუკელის ნაშრომის „იმამ შამილის საქმეთა დეტალური აღწერის მოკლე ანალიზი“ რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანის პუბლიკაცია (ტაჭიროვი 2002).

კრაჩკოვსკის სკოლის კიდევ ერთი გამორჩეული ფიგურა იყო **მ. საიდოვი**. საიდოვმა 1960 წელს პირველმა მოგვცა ცნობილი დაღესტნელი (დერბენდელი) სწავლულის აბუ ბაქრ მუჰამად იბნ მუსა იბნ ალ-ფარაჯ ად-დერბენდის ხელნაწერი თხზულების „რაიჰან ალ-ჰაკაიკ“ საერთო დახასიათება. ეს იყო სუფიურ ტერმინთა ლექსიკონი, რომლის შესწავლასაც X-XI სს-ის დაღესტნის საზოგადოების სოციალურ-იდეოლოგიური ცხოვრების შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ხელნაწერის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანამ სრულიად ახალი ცნობები მოიტანა დერბენდის, როგორც ისტორიულ-

კულტურული თვალსაზრისით კავკასიის ერთ-ერთი უმსხვილესი კულტურული კერის, შესწავლის სფეროში.

მ. საიდოვმა ასევე პირველმა გააკეთა ცნობილი ნაკშბანდიელი შეიხის ჯამალ ად-დინ ალ-ლუმუკის ვაჟის 'აბდ არ-რაჰმან ლუმუკელის (რომელიც იყო შამილის თანამედროვე და მისი მასწავლებელი) ორიგინალური თხზულების „შამილის მდგომარეობათა ახსნის ექსტრაქტი“ რუსული თარგმანი, რომელიც სამი იმამის (ლაზი მუჰამადის, გამზატისა და შამილის) ცხოვრებას შეეხება და სრულიად უნიკალურ მასალას შეიცავს შამილის იმამატის შიდა სრუქტურის აღწერის სახით. 1997 წელს ამ თარგმანს რედაქტირება გაუკეთეს და კომენტარებითურთ გამოსცეს ა. შიხსაიდოვმა და ხ. ომაროვმა.

მ. საიდოვი იყო პირველი, ვინც არსებული წერილობითი მასალების საფუძველზე დადესტნელი სწავლულების მიერ ე. წ. „აჯამური“ დამწერლობის შექმნის ისტორია შეისწავლა. თავის შრომაში - „ავარიელთა დამწერლობის წარმოშობა“ - პალეოგრაფიული თვალსაზრისით გაანალიზა XV ს-ის ხელნაწერი ძეგლი „ანდუნის ანდერძი“ და განიხილა ავარიული სიტყვების ჩასაწერად დადესტნელი ავარიელების მიერ არაბული გრაფემების გამოყენების საკითხი (აბდულხალიკოვა 2005: 3). მ. საიდოვმა მეცნიერთათვის ხელმისაწვდომი გახადა ავარიულ, ლეზგურ, დარგულ, ყუმუხურ და ლაკურ ენებზე შექმნილი უზარმაზარი ფაქტობრივი წერილობითი მასალა, რომელიც თავის დროზე ამ დამწერლობის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს და რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით იქამდე არსებული შეხედულებები სრულიად შეცვალა.

1986 წელს გამოიცა ა. ბაკიხანოვის 1841 წელს გამოქვეყნებული ნაწარმოების - „გულისტანი და ირანი“ - ტექსტის მეცნიერული ვერსია მ. ბუნიათოვისა და ზ. გაჯიევის ანალიზითა და კომენტარებით. მ.ბროსე და ზ. დორნი ამ ნაწარმოებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ: „ეს არის კავკასიის ჩრდილოეთი ნაწილის ისტორია, რომელიც დაწერა პოლკოვნიკმა ბაკიხანოვმა ბაქოდან. ის შეიცავს მეტად მნიშვნელოვან ცნობებს სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილის შესახებ და იძლევა შირვანისა და დადესტნის ისტორიის მეცნიერულ ანალიზს ძველი დროიდან მოყოლებული დღევანდლამდე (გულისტანის ეპოქამდე, რომელიც 1813 წელს დასრულდა). ეს წიგნი შეიძლება, კავკასიის ქვეყნების ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ ცნობებისა და ლიტერატურის ღირებულ დამატებად მივიჩნიოთ, რამეთუ ბაკიხანოვმა გამოიყენა დიდი რაოდენობით ძველი და შუა



საუკუნეების წყარო, რომელთაგანაც ხშირად მოაქვს ციტატები თავის თხზულებაში“ (გაჯიევი 1986: 7).

1981 წელს გამოქვეყნდა აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ნაწარმოების „დაპყრობათა წიგნი“ ახალი თარგმანი. წიგნში გადმოცემულია აზერბაიჯანისა და დაღესტნის VII-IX სს-ის ისტორია. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო კრაჩკოვსკის მიერ ჩაფიქრებული იდეის განხორციელების გზაზე ერთგვარი მოსამზადებელი ის ეტაპი, რომელზეც მისი „კავკასიური ნაწილი“ შესრულდა. კრაჩკოვსკის იდეა კი გულისხმობდა კავკასიის ხალხების ისტორიის შესახებ არაბული წყაროების კორპუსის გაკეთებას.

XX ს-ის მეორე ნახევრის კიდევ ერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანი ფიგურა არაბულენოვანი ძეგლების კვლევის მიმართულებით არის დაღესტნელი მეცნიერი ა. ალიკბეროვი (უმცროსი). იგი იყო შიხსაიდოვის სტუდენტი, რომელმაც, ალიკბეროვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჯერ კიდევ ახალგაზრდა სტუდენტს აკადემიური არაბისტიკის საოცარი სამყაროსა და არქეოგრაფიული ექსპედიციების კარი გაუღო“.

1991 წელს ალიკბეროვი თავის სადისერტაციო ნაშრომის შესავალში წერდა: „რუსი მეცნიერების მიერ არაბულენოვან ხელნაწერთა შესწავლას, თითქმის, ასწლიანი ისტორია აქვს, თუმცა გეგმაზომიერი კვლევის ეტაპი მხოლოდ ახლა იწყება. დაღესტნურ არაბულენოვან ხელნაწერთა შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტს, რომელშიც მომზადდა მთელი წყება არაბულენოვან ხელნაწერთა მეცნიერული გამოცემებისა, თუმცა, ძირითადი სამუშაო ამ მიმართულებითაც ჯერ კიდევ წინ არის“ (ალიკბეროვი 1991: 5).

ალიკბეროვი თავის საკანდიდატო დისერტაციაში კიდევ ერთხელ მიუბრუნდა დაღესტნელი სწავლულის ად-დერბენდის ნაწარმოებს „რაიჰან ალ-ჰაკაიკ“ (პირველად მ. საიდოვმა შეისწავლა და გამოსცა), როგორც X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის დასაწყისის მუსლიმური ისტორიოგრაფიისათვის უმნიშვნელოვანეს ძეგლს. იგი კლასიკური სუფიზმის პერიოდის ყველაზე ადრეული და ჯერჯერობით ერთადერთი წყაროა იმ პერიოდის დაღესტნის ხალხების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ინტელექტუალური ცხოვრების შესახებ. ეს ნაწარმოები ისლამის ისტორიის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა კავკასიის, ირანის, ერაყის, ხორასანისა და აბასიდთა სახალიფოს სხვა რეგიონებისათვისაც, რომელმაც რელიგიის ისტორია ახალი ფაქტებით გაამდიდრა. ნაწარმოებში გადმოცემულია კავკასიის მთის ხალხების ისტორიისა და კულტურის ბევრი

საინტერესო ფაქტი, საუბარია მათი კონტაქტების კონკრეტული ისტორიული ფაქტების შესახებ ირანელებთან, ჰუნ-სავირებთან, არაბებთან, ხაზარებთან და სხვა ერებთან.

ამავე ხელნაწერზე დაყრდნობით 2003 წელს მეცნიერმა ალიკბეროვმა ვრცელი მონოგრაფია გამოსცა სათაურით: „კლასიკური ისლამის ეპოქა კავკასიაში“ (2003 წელი). აღნიშნულ მონოგრაფიაზე მუშაობისას ალიკბეროვის კვლევის საფუძველს ად-დერბენდის უნიკალურ ხელნაწერთან ერთად წარმოადგენდა რელიგიური შინაარსის კიდევ რამდენიმე სხვა მანამდე უცნობი ხელნაწერი. ამ წყაროების შესწავლამ მეცნიერს საშუალება მისცა, მისულიყო დასკვნამდე, რომ X-XI სს-ში ბააბ ალ-აბვაბში (დერბენდში) არსებობდა ფიკჰის, ჰადისების, სუფიური და ისტორიული ლიტერატურის შექმნის მტკიცე ტრადიციები (ალიკბეროვი 2003).

დაღესტნელმა მეცნიერმა **გ. მაგომედოვმა** კვლევის ობიექტად აიღო დაღესტანში არაბულ ენაზე შესრულებული ისტორიული შინაარსის დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფის - ეპისტოლარული ჟანრის დოკუმენტები. სწორედ ამ ჟანრში შესრულებული დაღესტნური წარმოშობის ხელნაწერების შინაარსის, ფორმის, სტრუქტურისა და ენობრივი თავისებურებების საკითხებს ეხება მაგომედოვის არაერთი პუბლიკაცია (მაგომედოვი 2005).

დაღესტნელმა მეცნიერმა **ხ. ომაროვმა** შეისწავლა და თარგმნა რამდენიმე სამეცნიერო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არაბულენოვანი იურიდიული აქტი, როგორც დოკუმენტური წყარო. ესენია ხელნაწერები, რომლებშიც მეტ-ნაკლებად არის ასახული დაღესტნის სოციალურ-ეკონომიკური ყოფა. ცალკე გამოიყოფა კერძო პირთა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც ხელნაწერ წიგნებში სპეციალური ჩანაწერების ან სპეციალური აქტების სახითაა შესრულებული. ამ მასალაზე დაყრდნობით მოამზადა მან თავისი მონოგრაფია სათაურით „მთიანი დაღესტნის XVII საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის წყაროები“.

ჩრდილოეთ კავკასიაში დაღესტნის რეგიონის გარეთ შექმნილი არაბულენოვანი ხელნაწერები დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. XVII-XVIII სს-ის ჩეჩნების მიერ შექმნილი არაბულენოვანი ხელნაწერი დოკუმენტები ჩრდილოეთ კავკასიისა (ძირითადად, დაღესტნის) და რუსეთის ხელნაწერთა საცავებში იყო გაბნეული, რაც მათ კვლევას საკმაოდ ართულებდა. თანამედროვე დაღესტნელი მკვლევარი ლინგვისტი და ისტორიკოსი ტ.

აიტბეროვი, იყო პირველი, ვინც ასეთი ხელნაწერები სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა (აჰმადოვი 2010: 218).

მეცნიერ მ. აბდულხალიკოვას სადისერტაციო ნაშრომი (წარადგინა 2005 წელს), სათაურით „დაღესტნის სამწერლობო ტრადიცია“, იყო ხელნაწერთა ფონდში დაცული დაღესტნური წარმოშობის არაბულენოვანი ხელნაწერების კომპლექსური შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მცდელობა. ამასთან მისი მომზადებისას პირველად შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში და საკვლევ მასალაში გაერთიანდა ბევრი იქამდე სრულიად უცნობი ხელნაწერი, რომლებიც მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს დაღესტნის ხალხთა ისტორიისა და კულტურის მკვლევართათვის. ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: დაღესტანში არაბული სალიტერატურო ტრადიციის ფორმირების ზოგადი თავისებურებები, ფონდის ხელნაწერთა ხარისხობრივი და რაოდენობრივი დახასიათება, ლითოგრაფიული და არატექსტური ჩანაწერები. მასში საუბარია აგრეთვე არაბული ტექსტების ნიშანთა სისტემაზე, გადამწერებსა და მათს საქმიანობაზე. როგორც შესწავლილი მასალიდან ჩანს, ისინი XVI-XIX სს-ში რეგიონში არაბულენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით არსებულ მოთხოვნას სრულად უმკლავდებოდნენ. კოლოფონები კი, რომლებიც ფერადია და ხელნაწერის გაფორმებას ემსახურება (რაც ასევე ადასტურებს დაღესტანში ფერადი მეღვინის წარმოებას), საშუალებას იძლევიან თვალი მივადევნოთ გადაწერის რაიონებსა და მედრესეთა საქმიანობას არაბულენოვან ხელნაწერთა გავრცელების თვალსაზრისით (აბდულხალიკოვა 2005).

მეცნიერი მ. აბდულხალიკოვა წერდა: „დაღესტანში დაცული აღმოსავლური წარმოშობის ხელნაწერთა შესწავლა, კვლევა და პუბლიკაცია მეტად მნიშვნელოვანი საქმეა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დაღესტნისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შედარებით შესწავლას. არაბისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ხელნაწერთა ისტორია ძველი, თუ შედარებით ახალი წიგნთსაცავებისა და ბიბლიოთეკების ისტორიას დაუკავშიროს. წარსულისა და თანამედროვეობის ხელნაწერთა საცავების რაოდენობათა შესახებ მონაცემები და ამ მონაცემების კრიტიკული შეფასებები საშუალებას იძლევიან, ვილაპარაკოთ შუა საუკუნეების არაბულ ხელნაწერ ლიტერატურაზე, როგორც მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ლიტერატურაზე“ (აბდულხალიკოვა 2005: 167).

დაღესტნის ისტორიის შესახებ წინაპართა მიერ შექმნილი წერილობითი წყაროები მთელი მსოფლიოს სხვადასხვა წიგნთსაცავში, ბიბლიოთეკასა და მუზეუმშია გაბნეული,

რაც მათს შესწავლას ართულებდა. ამასთან დაკავშირებით აქტუალური გახდა მეცნიერთა რეგულარული კონტაქტებისა და ერთობლივი კვლევების საკითხი, რათა ქვეყნის გარეთ დაცული ხელნაწერები დაღესტნელი ორიენტალისტებისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

დაღესტნელ მეცნიერს **გ. გამზატოვს** დიდი წვლილი მიუძღვის დაღესტანში ამერიკულ-დაღესტნური არქეოგრაფიული ექსპედიციის პროექტის განხორციელებაში, ასევე საზღვარგარეთ არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და სამწერლობო კულტურის ნიმუშთა ჩვენებების მოწყობის ორგანიზებაში. დიდია მისი როლი საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებისა და საზოგადოების ინტელექტუალური ძალების მოკრებასა და გაერთიანებაში (აბდულხალიკოვა 2005: 13).

აღმოსავლური მათ შორის დაღესტნური წარმომავლობის არაბულენოვანი ხელნაწერები საკმაო რაოდენობით არის დაცული საქართველოშიც, რომელთა შესწავლის საქმეშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმაც. ამ პროცესს აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა დაუდო სათავე, რომლის ინიციატივითაც 1930-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ შექმნილი იქნა არაბულენოვანი ხელნაწერების კოლექციები. მის მიერ შექმნილი ხელნაწერები საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტი) აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში დაცული არაბულენოვანი ხელნაწერების დიდ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მას შემდეგ კიდევ უფრო გამდიდრდა და დღესდღეობით ათასზე მეტ ერთეულს შეიცავს, რომლებიც XIV ს-დან XIX ს-მდე პერიოდით თარიღდება (ყანჩაველი 2003: 249).

აკად გ. წერეთელი თავად იყო ერთ-ერთი პირველი საქართველოში, ვინც დაიწყო ამ ხელნაწერთა არქეოგრაფიული თვალსაზრისით კვლევა და აღწერა. 1969 წელს გ. წერეთლის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით მომზადდა და გამოიცა არაბულენოვანი (K კაჯარის) კოლექციის აღწერილობა. ეს კატალოგი მოიცავდა რამდენიმე დაღესტნური წარმომავლობის ხელნაწერსაც, რომელიც აზერბაიჯანიდან ჩამოტანილ ხელნაწერთა კოლექციას ჩამოჰყვა საქართველოში და გ. წერეთელმა ისინი აღარ გამოაცალკევა. მოგვიანებით მომზადდა კიდევ ერთი (L) კოლექციის კატალოგი, რომელიც საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, დაღესტნიდან და საქართველოს მოსაზღვრე თურქეთის რეგიონებიდან შემოსულ ან კერძო პირებისაგან შექმნილ 366 არაბულენოვან ხელნაწერს მოიცავდა. ამ კატალოგში შემოსულობის მიხედვით შევიდა რამდენიმე ქვეკოლექცია, მათ

შორის დადესტნურიც. კატალოგის შედგენა დამუშავებაში მონაწილეობდნენ ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები რ. გვარამია და ნ. ყანჩაველი, ასევე ლ. მამულია და ლ. სამყურაშვილი (არაბულენოვან ხელნაწერთა კატალოგი 2002).

აღნიშნულ კატალოგში არ იყო შესული დადესტნური ქვეკოლექციის აღწერილობანი, რამეთუ, განსაზღვრული იყო მომავალში მათი ცალკე ნაკვეთად გამოქვეყნება, ითვალისწინებდნენ რა შემდგენელები იმ განსაკუთრებულ ინტერესს, რომელსაც იწვევდა მეცნიერებში დადესტნური წარმომავლობის არაბულენოვანი დოკუმენტები და ხელნაწერები. ეს ქვეკოლექცია რაოდენობრივ თვალსაზრისითაც იძლეოდა ცალკე კატალოგის მომზადების საშუალებას, რადგან საკმაოდ მოცულობითი იყო და ხელნაწერთა ფონდის არაბულენოვანი კოლექციის ნახევარს შეადგენდა.

დადესტნობით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში დაცულია დადესტნური წარმომავლობის 300-ზე მეტი ერთეული, რომლებიც ძირითადად XVIII-XIX სს-ს განეკუთვნება. ყველა მათგანი დადესტანს შეეხება და წარმოადგენს პირველწყაროს, რომელიც ასახავს ადგილობრივ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, მთიელთა ყოფასა და ცხოვრების წესს. ასეთებია: ცნობილი დადესტნელი მწერლებისა და სწავლულების შრომათა არაერთი კრებული, გრამატიკის შემცველი ხელნაწერები და სხვა.

საქართველოში არაბულ ხელნაწერთა შესწავლის, აღწერისა და პუბლიკაციის საქმე აკად. გ. წერეთლის ხელმძღვანელობით დაიწყო და შემდგომში გაგრძელდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (მაშინდელი ხელნაწერთა ინსტიტუტისა) და აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის სხვა მეცნიერ თანამშრომლების მიერ, რომელთაც დადესტნური წარმომავლობის ხელნაწერთა შესწავლის საქმეში ღირებული ნაშრომები შექმნეს. მათთვის დადესტნის არაბულენოვანი ძეგლები საინტერესო იყო, უპირველეს ყოვლისა, კლასიკური არაბული ენის ერთ-ერთი განშტოების - დადესტნური არაბულის - თავისებურებების შესწავლის თვალსაზრისით.

თ. მარგველაშვილის საკანდიდატო დისერტაცია (რომელიც წარადგინა 1952 წელს) სათაურით: „ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბულენოვან ძეგლთა ენის თავისებურებანი“, ეფუძნებოდა დადესტნელი ავტორების მუჰამად ტაჰირ კარახელის ქრონიკას „შამილის ბრძოლაში მოელვარე დადესტნური მახვილები“ და აგრეთვე 'აზდ არ-რაჰმან ლუმუკელის მოგონებების წიგნს - „შამილის მდგომარეობათა ახსნის ექსტრაქტი“. თ. მარგველაშვილმა იხელმძღვანელა მუჰამად ტაჰირ კარახელის ქრონიკის ა. ბარაბანოვის

მიერ კრიტიკული გამოცემისათვის დადგენილი ტექსტითა და მისი რუსული თარგმანით, რომელსაც შეუდარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მის მიერვე მიკვლეული კარახელის ქრონიკის კიდევ ერთი ნუსხა. რაც შეეხება 'აბდ არ-რაჰმან ღუმუკელის მოგონებებს, მისი ორად-ორი ნუსხა არსებობს. ერთი მათგანი, ორიგინალი, დაცულია სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ხელნაწერთა ფონდში, ხოლო მეორე, გადაწერილი, დაცულია მახაჩყალაში. მეცნიერმა გამოიყენა და ერთმანეთს შეუდარა ორივე ნუსხა. აღნიშნულ სამეცნიერო ნაშრომში თ. მარგველაშვილი მოკლედ შეეხო ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა მოძრაობას XIX ს-ის პირველ ნახევარში და მიურიდიზმის საკითხს, რომელიც მეცნიერის სიტყვებით: „ათეული წლების განმავლობაში არასწორად იყო გაგებული და გაშუქებული“ (მარგველაშვილი 1972: 4).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში დაცულია დაღესტნური წარმომავლობის არაბულენოვან დოკუმენტთა ერთი წყება (კრებული), რომელიც შამილის წინამძღოლობით დაღესტნის მთიელთა მოძრაობის შესახებ ისტორიულ ცნობებს შეიცავს. კრებულში შედის ერთ-ერთი დაღესტნელი ხანის, რუსეთის მეფის სამსახურში მყოფი გენერლის ალაარხან ღაზიღუმუკელის წერილები კასპიის მხარის მმართველ მთავარსარდალ მოსე ზაქარიასძე არღუთინსკი-დოლოგორუკისადმი. სწორედ ამ წერილებზე დაყრდნობით მოამზადა სამეცნიერო ნაშრომი ნ. ყანჩაველმა. მეცნიერს წერილები განხილული აქვს, უპირველეს ყოვლისა, ენობრივი თვალსაზრისით. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე იმაზე, რომ ძველი დაწვრილებით ინფორმაციას შეიცავს XIX ს-ის 40-იანი წლების კავკასიის ომის ცალკეული ეპიზოდების შესახებ. სამეცნიერო ნაშრომს ახლავს აღნიშნული წერილების ქართული თარგმანები (ყანჩაველი 1971).

მუჰამად ტაჰირ ალ-კარახელის გრამატიკული ტრაქტატის „მორფოლოგიის წესების საგანგებო განმარტებანი“ ოთხი სხვადასხვა გადამწერის მიერ შესრულებულ ხელნაწერ ნუსხებს ეფუძნებოდა მ. გუდავას საკანდიდატო დისერტაცია, სათაურით: „დაღესტანში არაბული ენის შესწავლის ტრადიცია“. ამ ხელნაწერის შესწავლა მ. გუდავამ დაღესტანში დაიწყო 1976 წელს, ხოლო შემდეგ იმავე ტრაქტატის კიდევ რამდენიმე ხელნაწერი ნუსხა იქნა აღმოჩენილი პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში, რომლებიც მან დანარჩენ ნუსხებს შეუდარა. კარახელის ტრაქტატი ძალიან პოპულარული იყო ჩრდილოეთ დაღესტანში და წლების მანძილზე არაბული ენის სწავლებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა. მეცნიერმა ტრაქტატის ნუსხები შეისწავლა ენობრივი და

პალეოგრაფიული თვალსაზრისით. საინტერესოა მისი დასკვნები ტრაქტატის, როგორც არაბული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს, შეფასებასა და დაღესტანში არაბული ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებით (გუდავა 1980).

დაღესტნური წარმოშობის არაბულენოვან ძეგლებს იკვლევდა აგრეთვე ლ. ლელაშვილი, რომელმაც შეისწავლა XIX ს-ის დაღესტნელი (ხუნძი) ავტორის ჰაჯი ჰაიდარ-ბეგ ალ-გინიჩუთლის თხზულება - „ქრონიკა სამ იმამზე“. ამ თხზულების მხოლოდ სამი ხელნაწერი ნუსხაა ჩვენამდე მოღწეული. ლ. ლელაშვილმა მოგვცა მათი პალეოგრაფიული და ენობრივი ანალიზი (ლელაშვილი 1983).

დაღესტნელი მეცნიერების მიერ არაბულ ენაზე შექმნილი ნაბეჭდი წიგნების მეცნიერული შესწავლა შედარებით ახალი მიმართულებაა. ეს სფერო ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, რადგან მისი შესწავლა და გაანალიზება იმთავითვე რამდენიმე სირთულესთან იყო დაკავშირებული: არ არსებობდა ბიბლიოთეკა, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ძველი ნაბეჭდი (ლითოგრაფიული) არაბულენოვანი წიგნები. მათი დიდი ნაწილი, რომლებიც გამოცემული იყო ადგილობრივ ტიპოგრაფიებში, განადგურდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ზოგი ცნობის მიხედვით XX ს-ის 20-30-იან წლებში „სიბნელესთან ბრძოლის“ ლოზუნგის ქვეშ დაღესტანმა ათასობით უნიკალური წიგნი და ხელნაწერი დაკარგა; გადარჩენილი პროდუქციის დიდი ნაწილი დაღესტნის კერძო ბიბლიოთეკებში, ან კიდევ რუსეთის სახვასხვა წიგნთსაცავში იყო გაბნეული; ცნობები დაღესტნის ტიპოგრაფიული საქმიანობის შესახებ მეტად მწირი იყო; არ არსებობდა სტატისტიკური მონაცემები არაბულ ენაზე გამოცემული წიგნების რაოდენობასთან დაკავშირებით.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში დაღესტანში არაბულ ენაზე შესრულებულ ბეჭდურ პროდუქციას იკვლევდა და შეისწავლიდა დაღესტნელი მეცნიერი მ. ყურბანოვა. მისი ნაშრომი არაბული წიგნის ბეჭდვის საკითხის შესწავლის პირველი მცდელობა იყო, რომელიც ეყრდნობოდა უშუალო პირველწყაროს, მასალას, რომელმაც არქეოგრაფიული ექსედიციების შედეგად ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავებში მოიყარა თავი. ეს იყო 150-მდე ნაბეჭდი წიგნი, რომლებიც გამოცემულია XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში, როგორც დაღესტანში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ დროისათვის არ არსებობდა დაღესტანში ხელნაწერთა ინსტიტუტში თავმოყრილი დაღესტნური წარმოშობის ნაბეჭდი წიგნების კატალოგი, რომელშიც ასახული იქნებოდა ნაბეჭდი იმ წიგნების ნუსხა ან

თემატური შედგენილობა, რომლებიც დადესტნელმა სწავლულებმა დადესტანში ან მის გარეთ დაბეჭდეს. ყურბანოვამ დადესტანსა და საზღვარგარეთ გამოცემული არაბულენოვანი წიგნების შედარებითი ანალიზი მოახდინა. მეცნიერის მიერ გამოყენებული იქნა ახალი საარქივო მასალა. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა აქამდე სრულიდ უცნობი მასალა. ბევრი რამ გახდა ცნობილი გადამწერი „ქათიბების“ საქმიანობისა და დადესტნელ გამომცემლებთან მათი თანამშრომლობის შესახებ (ყურბანოვა 2002).

დადესტნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წერილობით ძეგლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი აქვს ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომლებიც წარსული თაობების ენას, აზროვნებას და ისტორიას აშუქებენ, ობიექტურად აღწერენ დადესტნელთა რელიგიური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს. ეს ძეგლები ფასდაუდებელია დადესტანში არაბული ენისა და დამწერლობის, ასევე ისლამის გავრცელების საკითხთა შესწავლისათვის. „კავკასიის ალბანეთის დაცემის, არაბთა დაპყრობებისა და ისლამის გავრცელების პირველი მცდელობების შემდეგ, დადესტნის რეგიონში ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი უმრავლესობა არაბულ ენაზეა შესრულებული. მასთან შედარებით სპარსულ და თურქულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები გაცილებით ცოტაა. ძირითადად ქვაზე შესრულებული ეპიგრაფიკული მასალა თავისი შინაარსითა და მოცულობით, როგორც წესი, ლაკონურია, მაგრამ თავიანთი სამეცნიერო მნიშვნელობით ახლოს არიან უძველეს ხელნაწერებთან, რადგანაც უფრო გამძლეა და შესაბამისად უფრო ძველი, ვიდრე ქსოვილზე, ფაიფურზე ან სხვა მასალაზე შესრულებული წარწერები“ (ზაქარიაევი 2012: 4).

ეპიგრაფიკით პირველი დაინტერესება **პეტრე პირველის** სახელს უკავშირდება, რომელმაც წარსულის ძეგლები, მათ შორის ეპიგრაფიკულიც, კაცობრიობის სიმდიდრედ გამოაცხადა, რომელიც უნდა დაეცვათ. ამის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური წარწერების ინტენსიური შეკრება დაიწყო. 1722 წელს რუსი მეომრების ირანზე გალაშქრების დროს ამ ლაშქრობის მონაწილე დ. **კანტემირმა**, რომელმაც არაბული ენაც იცოდა, ჩაიწერა ქალაქ დერბენდის ქუფური წარწერები და მათი ტრანსკრიფციით ჩაწერაც სცადა, მაგრამ კანტემირის ნაადრევი გარდაცვალების გამო მის მიერ შესწავლილი ეპიგრაფიკული ძეგლები და მასალები უცნობი დარჩა. ისინი მხოლოდ 100 წლის შემდეგ გამოაქვეყნა ჰ. ფრენმა (ზაქარიაევი 2012: 3).

დადესტნის ეპიგრაფიკის მეცნიერული შესწავლა XIX ს-ის 20-იანი წლებში დაიწყო, როდესაც სამეცნიერო მოღვაწეობას იწყებენ **პ. კეპენი** და **ჰ. ფრენი**. ფრენი სთხოვდა მეცნიერ



მოგზაურთ, რომელთაც გზა დაღესტანსა და დერბენდზე ჰქონდათ, რომ აღებეჭდათ სანდო მასალა და გადაერჩინათ იგი განადგურებისაგან. ის იყო პირველი, ვინც ეპიგრაფიკულ ძეგლთა **შტამპირების მეთოდი** გამოიყენა კავკასიაში. ბევრი ეპიგრაფიკული ძეგლი შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში ბ. **დორნმაც** (ზაქარიაევი 2012: 4).

დაღესტნისა და ჩრდილოეთ კავკასიის ეპიგრაფიკული მასალების შესწავლის ისტორიაში წარმატებული აღმოჩნდა XIX ს-ის 40-იანი წლების ბოლოდან 60 იან წლებამდე პერიოდი იყო. ამ პერიოდში მოღვაწეობდა ნ. **ხანიკოვი**, რომლის სახელსაც უკავშირდება არაბულ ენაზე შესრულებული დიდი რაოდენობით წარწერის შეკრება, წაკითხვა და პუბლიკაცია. მათ შორის ყველაზე მეტი დაღესტნის ტერიტორიაზე ნაპოვნი არაბულენოვანი ეპიგრაფიკული მასალა იყო. ხანიკოვი არ იყო აღმოსავლეთმცოდნე და არაბულის სპეციალისტი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი კვალი დატოვა ეპიგრაფიკის კვლევის სფეროში.

XIX ს-ის ბოლოსათვის განსაკუთრებით გაფართოვდა ეპიგრაფიკული ნიმუშების კვლევის რეგიონების გეოგრაფია. ამ დროისათვის ცენტრალური და სამხრეთის რეგიონის ბევრი რაიონი პირველად მოექცა სამეცნიერო შესწავლის არეალში. დიდია მათი შესწავლის საქმეში მეცნიერ ა. **ბაკიხანოვის** როლი. თავის პუბლიკაციებს ბაკიხანოვი თან ურთავდა საინტერესო კომენტარებს, რომლებიც ნათელს ჰფენდა დაღესტნელი ხალხის ისტორიის სხვადასხვა მომენტს.

დაღესტანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ლაპიდარულ ტექსტთა გამოვლენასა და ფიქსაციაზე მკვლევართა რამდენიმე თაობის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად 1960-1980 წლებში ღირებული შრომები შეიქმნა. მათ შორის მნიშვნელობითა და მასშტაბებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. ლავროვისა და ა. შიხსაიდოვის შრომები, რომლებმაც საშუალება მისცეს მეცნიერებს არა მარტო მთლიანი წარმოდგენა შეექმნათ დაღესტნის ხალხების ეპიგრაფიკულ მემკვიდრეობაზე, არამედ ასევე შექმნეს წინაპირობა მასალის შემდგომი მოპოვებისა და დამუშავებისათვის.

ერთ-ერთ უმსხვილეს ნაშრომად ითვლება დაღესტნის ეპიგრაფიკაში ს. **ლავროვის** შრომა სამ წიგნად სათაურით: „ჩრდილოეთ კავკასიის ეპიგრაფიკული ძეგლები“. პირველი ნაწილი მოიცავს აღმოსავლურ, ძირითადად, არაბულენოვან წარწერებს, რომლებიც შექმნილია X-XVII სს-ს შორის. მასში მოცემულია ვრცელი მასალა არაბული დამწერლობისა და ასევე კავკასიელთა სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებით. მეორე ნაწილი 200-მდე

ეპიგრაფიკის ნიმუშს აერთიანებს, რომლებიც დათარიღებულია XVIII-XIX სს-ით. ორივე ნაწილში ეპიგრაფიკული მასალები სათანადო ისტორიული კომენტარებითაა წარმოდგენილი და დალაგებულია რამდენიმე ძირითად ჯგუფად: ეპიტაფიები, შენობა-ნაგებობებზე შესრულებული წარწერები, ქრონიკები. მესამე წიგნში მან წარმოადგინა 1968 წლის შემდგომ აღმოჩენილი წარწერები, რომლებიც X-XX სს-ს შორისაა შექმნილი (ლავროვი 1968).

ა. შიხსაიდოვის აზრით, X-XV საუკუნეების დაღესტანში შექმნილი ეპიგრაფიკული მასალის რაოდენობა სახალიფოს არაარაბი მოსახლეობის სხვა რეგიონებთან შედარებით იმდენად დიდია, რომ საშუალებას იძლევა, ვილაპარაკოთ აქ ეპიგრაფიკული ხელოვნების აღორძინებაზე. შიხსაიდოვმა შუა საუკუნეების არაბულ ეპიგრაფიკას არაერთი მონოგრაფია მიუძღვნა. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მონოგრაფია გამოქვეყნდა 1984 წელს. მეცნიერმა მასში სამხრეთი და ცენტრალური დაღესტნის ეპიგრაფიკული ძეგლებთან დაკავშირებით საკუთარი ანალიზი და ინტერპრეტაცია წარმოადგინა. შიხსაიდოვისათვის ეპიგრაფიკა, უპირველეს ყოვლისა, საინტერესო იყო დაღესტანში არაბული გრაფიკისა და არაბული დამწერლობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ის იყო პირველი, ვინც სუფი შეიხების სალოცავებსა და სამარხის ქვების წარწერებზე გაამახვილა ყურადღება. ამან მეცნიერებს რეგიონში ისლამის სუფიზმის გზით გავრცელების ფორმებზე დაკვირვების საშუალება მისცა. საინტერესოა მისი მოსაზრება ეპიგრაფიკულ და ნარატიულ ტექსტთა კავშირის თაობაზე, რომელსაც სპეციალური სტატია მიუძღვნა. სტატიაში ნათქვამია: „ეპიგრაფიკული მასალისა და ნარატიული მემკვიდრეობის მჭიდრო კავშირი, რომელიც მათ შორის არსებობს ისტორიულად, ჯერ კიდევ შეუსწავლელი სფეროა. ხოლო ეპიგრაფიკული მასალების დიდ მასაში განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ე. წ. წარწერა-ქრონიკები, როგორც ისტორიული თხრობის ორიგინალური ჟანრი (შიხსაიდოვი 1997: 15).

ა. შიხსაიდოვი იყო პირველი, ვინც დაინტერესდა დამატებითი ნიშნებით დაღესტნურ-არაბულ ეპიგრაფიკაში. მან შეადგინა დაღესტნურ საკუთარ სახელთა და ტოპონიმთა მთელი კატალოგი, რომლებშიც არაბულისათვის უცხო და დაღესტნური ენების ფონეტიკური სისტემებისათვის დამახასიათებელი ბგერების აღსანიშნად გამოყენებული იყო დამატებითი ნიშნები (ძირითადად წერტილები) (შიხსაიდოვი 2003).

დადესტნელი ხალხის ეპიგრაფიკის შესწავლის საქმეში შიხსაიდოვსა და ლავროვთან ერთად მნიშვნელოვანია აგრეთვე მეცნიერების: ა. ალიკბეროვის, გ. იუსუპოვის, ო. ბოლშაკოვას, ვ. კრაჩკოვსკაიას, ე. პახომოვისა და სხვათა მიერ შეტანილი წვლილი.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ეპიგრაფიკული მასალის გამოვლენის, დაცვისა და შესწავლის სამუშაოები თითქმის შეწყდა. ბევრი ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია. ამ ფონზე მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო ეპიგრაფიკის სფეროში შექმნილი ფუნდამენტური და მასშტაბური გამოკვლევა, რომელიც ზ. ზაქარიაევს ეკუთვნის. ავტორის მიერ გამოვლენილი იქნა ახალი მასალა, რომელმაც მოიცვა ახალი რაიონები და ქალაქი დერბენდიც. კვლევამ მოიცვა თითქმის ყველა რაიონი და მრავალეთნიკური დადესტნის თითქმის ყველა ხალხის მემკვიდრეობა. გარდა იმისა, რომ გეოგრაფიული რეგიონი მეტად ფართოა, აქ შემოვიდა ისეთი რეგიონებიც, რომლებშიც პირველად იქნა მეცნიერის მიერ მიკვლეული ქუფურით შესრულებული არაბულენოვანი ეპიგრაფიკული მასალა (ზაქარიაევი 2012).

დღეს მყარ მასალაზე შესრულებული ახალი აღმოჩენილი და შესწავლილი ტექსტები ფასდება არა თავისთავად ამ ტექსტის ღირებულებისა და შინაარსის, არამედ უკვე შესწავლილი, სისტემატიზებული მთლიანი და ანოტირებული ეპიგრაფიკული მასალის ფონზე. ეპიგრაფიკული მასალის შესწავლის ამ დროისათვის არსებული დონე კავკასიის ტერიტორიაზე არაბულენოვანი წარწერების გრაფიკული ფონდის უსასრულოდ გავრცობის საშუალებას იძლევა იმ მცირე რაოდენობით ეპიგრაფიკული ძეგლების სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანით, რომლებიც ეკუთვნის ცალკეულ საზოგადოებებს, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებსა და მცირე ზომის ეთნოპოლიტიკურ და ისტორიულ-კულტურულ ერთობებს.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი დასავლეთსა და არაბული სამყაროს ქვეყნებში, კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა, რაც ნაკარნახევი იყო მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში არაბული ქვეყნების მნიშვნელობის ზრდით და ამ ხალხების ტრადიციული კულტურის დიდებული მისიის განახლებისადმი მისწრაფებით, მრავალსაუკუნოვანი საერთაშორისო კონტაქტების კონტექსტში. ამას დაემატა თურქეთსა და არაბეთის ქვეყნებში მცხოვრები დადესტნური წარმოშობის მოსახლეობის გაცხოველებული ინტერესი თავიანთი წარსულის, ისტორიისა და კულტურისადმი და დადესტანში ისლამის იდეის აღორძინებისა

და არაბული ენის შესწავლისაკენ მისწრაფება, რომელიც ბოლო პერიოდში სულ უფრო ფართო ხასიათს ატარებს.

კულტურული მემკვიდრეობების მეცნიერული შესწავლა მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელსაც ნაციონალური მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები უჭერენ მხარს. წერილობითი კულტურის ძეგლთა შესახებ ინფორმაციის გაცვლა და მათი ერთობლივი ძალებით დაცვა და გამოცემა სამეცნიერო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პერსპექტიული ფორმებია. ამასთან კავშირში, ტექნიკის განვითარებისა და თანამედროვე ეტაპზე არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, დაღესტნის ხელნაწერთა ფონდში დაცული უნიკალური ხელნაწერების საზღვარგარეთ გავრცელების მიზნით მათი ფაქსიმილარული გამოცემების მომზადება მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია.

ბოლო პერიოდში არაბულენოვანი ხელნაწერი მემკვიდრეობისადმი გაზრდილი ინტერესიდან გამომდინარე და იმის გამოც, რომ დაღესტანში ჯერ კიდევ რჩება არაბულენოვანი და სხვა აღმოსავლურ ენებზე შესრულებული ხელნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც სამეცნიერო მიმოქცევაში არაა მოქცეული, არაბულენოვან ხელნაწერთა შესწავლის საკითხი კვლავაც აქტუალურია (აბდულხალიკოვა 2005: 2). ამასთან კავშირში, დაღესტნის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში 2008 წლის თებერვალში შეიქმნა აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრი (აღმოსავლურ ხელნაწერთა განყოფილება), რომლის უშუალო დანიშნულებას წარმოადგენს აღმოსავლურ (არაბულ, თურქულ, სპარსულ) და ადგილობრივ დაღესტნურ ენებზე შესრულებული წერილობითი ძეგლების ლოკალიზაცია, ფიქსაცია და შესწავლა. ამ მიზნით ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობენ ყოველწლიურ არქეოგრაფიულ ექსპედიციებში და აგროვებენ და აღწერენ დაღესტნის ხალხების სამწიგნობრო კულტურის ძეგლებს. მიმდინარეობს ამ კოლექციებისათვის ერთი სრული კატალოგის მოსამზადებელი სამუშაოები.

აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრის მიერ ხელნაწერთა ფონდის მასალების საფუძველზე მომზადდა მონოგრაფიული კვლევები და თემატური კრებულები, დაღესტნის ადგილობრივ ენებზე შექმნილ ხელნაწერთა კატალოგი, ყურანის ხელნაწერთა კატალოგი, მიხეილ საიდოვის კოლექციის ამსახველი კატალოგი, ორი მონოგრაფია ჩრდილოეთ კავკასიის თურქულენოვან ძეგლთა შესახებ, არაბულენოვანი წიგნების კატალოგი,

რომლებიც გამოცემულია დადესტნელების მიერ ყაზანში, თემირ-ხან-შურაში, პორტ-პეტროვსკსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, შუა საუკუნეების დადესტნის ისტორიის, არქეოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის ნარკვევები, არაბული სამწერლობო ტრადიცია დადესტანში, ხელნაწერების ორი მსხვილი თემატური კატალოგი მუსლიმური სამართლისა და არაბული ენის გრამატიკის შესახებ და სხვა (აკიმუშკინი 2012: 4-6).

თანამედროვე ეტაპზე ცენტრის მუშაობა ორიენტირებულია შემდგომი ძირითადი მიმართულებებით: რუსეთისა და სხვა ქვეყნების აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრებთან ერთად მუსლიმური შუა საუკუნეების არაბულ და თურქულ ძველ და უნიკალურ (ისტორიის, არაბული ენის გრამატიკის, ლექსიკოგრაფიის, ეთიკის, სამართლის, პოეზიის) ძეგლთა მომზადება გამოცემისათვის; დადესტნელ სწავლულთა მიერ XI ს-დან ვიდრე XX ს-მდე ისტორიაში, ლიტერატურაში, გრამატიკაში, სუფიზმში, პოეზიაში, მუსლიმურ სამართალში, ასტრონომიაში აღმოსავლურ ენებზე შექმნილი ორიგინალური ნაწარმოებების, ასევე ბიბლიოგრაფიული და ენის ლექსიკონებისა და სასწავლო-სახელმძღვანელო ლიტერატურის აკადემიური გამოცემების მომზადება; არაბული გრაფიკით დადესტნურ ენებზე შესრულებულ და ნათარგმნ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოცემა; დადესტნელი ავტორების შესახებ ბიბლიოგრაფიული კატალოგის მომზადება; ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურისა და ისტორიის შესახებ დოკუმენტური და სააქტო მასალებისა და ეპისტოლარული ჟანრის ძეგლთა პუბლიკაცია.

ინსტიტუტის თანამშრომლები აღმოსავლურ ხელნაწერების შესწავლაზე დაყრდნობით მუშაობენ ისეთი თემების ირგვლივ, როგორებიცაა: დადესტანში ისლამის გავრცელება და ფუნქციონირება, მისი გავრცელება და გავლენის სფეროები; ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალთლის (ადათის) ნორმებთან ისლამის ადაპტაცია; მუსლიმური განათლების სისტემა დადესტანში და დადესტნის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობები და სხვა.

დადესტნის ხელნაწერთა ფონდში ჯერ კიდევ მიქმედებს ძველი კატალოგების სისტემა, რომელიც დაინტერესებულ მეცნიერთათვის ხელნაწერთა წვდომას ართულებს. ხელნაწერთა კოპირებისა და ელექტრონული ვერსიების გაკეთებისათვის საჭირო ტექნიკური ბაზის არარსებობის გამო მკვლევართ უშუალოდ იშვიათ ხელნაწერებზე უწევთ მუშაობა, და ეს მაშინ, როცა ხელნაწერების ფონდის მასალები სულ უფრო მზარდ იტერესს განიცდის ადილობრივი და საზღვარგარეთის აღმოსავლეთმცოდნეთა მხრიდან.

ცენტრში იგეგმება არსებული მასალის დაცვის, შენახვისა და კონსერვაციის მთელ რიგ ღონისძიებათა დაგეგმვა და გატარება, მათ შორის, ხელნაწერთა ციფრული ვერსიების მომზადება, რისი ანალოგიური პროცესი უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს მსოფლიოს ხელნაწერთა მსხვილ საცავებში.

## § 2. არაბული ენის ადგილი ჩრდილოეთ კავკასიაში და ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 20-იან წლებამდე

2.1. არაბთა მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის დაპყრობისა და ისლამიზაციის პირველი მცდელობები; არაბული ელემენტის გაჩენა რეგიონში

კავკასია კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება ალბანო-სარმატულ პერიოდში (ძვ. წ. აღ-ით III და ახ. წ. აღ-ით IV სს. ), როცა მთლიანად აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი საერთო ეკონომიკური აღმავლობისა და ამავე პერიოდში ელინისტურ-ბარბაროსული ვაჭრობის ზრდის ფონზე კავკასიის რეგიონის როლი მნიშვნელოვნად იზრდება. ეს იყო თავისებური დამაკავშირებელი ხიდი ანტიკური სამყაროს ცენტრალურ და პერიფერიულ ზონებს შორის სავაჭრო და კულტურული კონტაქტების განხორციელებისათვის. ამ სიტუაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი ფაქტორი იყო კასპიის ზღვისპირა გზის ფუნქციონირება და მისი მნიშვნელობის ზრდა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას წინა აზიასთან აკავშირებდა და რომელიც ერთგვარი საერთაშორისო მაგისტრალი გახდა. ამ ინტერკონტინენტალური გზის წყალობით, რომელიც ძვ. წ. აღ-ის II-I სს-დან მოყოლებული სულ უფრო აქტიურად ფუნქციონირებდა, დაღესტანი და მთლიანად ჩრდილოეთ კავკასია ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე აღმოჩნდა, რომელიც ინტენსიური, სხვადასხვაგვარი და მრავალმხრივი კავშირებით აკავშირებდა და აერთებდა ერთმანეთთან ჩრდილოეთსა და სამხრეთს და აღმოსავლეთსა და დასავლეთს.

ადრე შუა საუკუნეებში, დიდი გადასახლებების პერიოდში, დაღესტნისა და მისი გარემომცველი სამყაროს ურთიერთგავლენა მნიშვნელოვნად იზრდება. დაღესტანი, და განსაკუთრებით, მისი ზღვისპირა ტერიტორია ამ პერიოდისათვის სხვადასხვა ტიპის საომარ-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, რელიგიურ-იდეოლოგიური და ეთნოკულტურული კონტაქტების აქტიური ზონა გახდა მომთაბარე ხალხებსა (ჰუნების, სავირების, ალანებისა და ხაზარების) და მოსახლე მიწათმოქმედების კულტურის ხალხებს შორის. V-VI სს-ში დაღესტანი და მთლიანად აღმოსავლეთ კავკასია ირანის ეკონომიკურ-კულტურული ორბიტის სივრცეში მოექცა. სასანიდური ირანის შაჰებმა, რომელიც ბიზანტიის დიდი კონკურენტი იყო აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ კავკასიაში, კასპიის დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე ააგეს საპორტო ქალაქები (ბევრი მათგანი (ტორპახ-

ყალა, სემენდერი, ბელენჯერი) შემდგომში ხაზარეთის სამეფოს მთავარი ცენრი გახდა), რომლის მწვერვალზე აღმოჩნდა დერბენდი. დერბენდის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობისა და აქედან გამომდინარე ადგილობრივ მოსახლეობასთან ტოლერანტული დამოკიდებულების წყალობით, აქ ზოროასტრიზმთან ერთად (რომელიც იყო სასანიდური ირანის ოფიციალური რელიგია) ძლიერი პოზიციები ეჭირა ქრისტიანობასაც (რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში IV ს-ის დასაწყისიდან იწყებს გავრცელებას, როცა სომხეთმა, იბერიისა (ქართლის) და კავკასიის ალბანეთის სამეფოებმა ოფიციალურად მიიღეს ეს რელიგია) (შისსაიდოვი et al 2007: 2-7).

VII ს-ში არაბეთის ნახევარკუნძულზე განვითარებული მოვლენების წყალობით ხმელთაშუა ზღვისპირა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა. ამ დროისათვის დასრულდა ტომთა მცირე ერთობების ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი. არაბულ ტომთა პოლიტიკურ გაერთიანებას თან ახლდა ახალი მონოთეისტური რელიგიის ფორმირება, რომელმაც თანდათან ჩაანაცვლა მიწათმოქმედი და მესაქონლე ტომების წარმართული კულტები. მიუხედავად იმ წინააღმდეგობებისა, რომელსაც ისლამი ხვდებოდა ამ ხალხებში მისი გავრცელებისა და მიღების გზაზე, იგი, უპირველეს ყოვლისა, მკაცრი მონოთეიზმისა და „მუსლიმთა ძმობის“ ქადაგებით, მძლავრ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა, რომელსაც არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ტომთა გაერთიანებისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციის ძალა შესწევდა.

ნახევარკუნძულის არაბულ ტომთა გაერთიანებისათვის ბრძოლა, რომელიც მუჰამადმა დაიწყო, მისმა მემკვიდრეებმა უცხო ტერიტორიების დაპყრობისათვის ბრძოლად გადააქციეს. ტერიტორიებისათვის ბრძოლები ახალი რელიგიის გავრცელებისა და ადგილობრივი მოსახლეობების სოციალური წნეხისაგან განთავისუფლების ლოზუნგებით ინიღბებოდა. არაბული დაპყრობები შემდგომში (ომაელი და აბასელი ხალიფების პერიოდში) კიდევ დიდ ხანს გაგრძელდა. 632-656 წლებში, პირველი სამი ხალიფას პერიოდში, მნიშვნელოვანი დარტყმები მიაყენეს ბიზანტიასა და ირანს, დაიპყრეს სირია, პალესტინა, ერაყი, ხორასანი, კავკასია და ჩრდილოეთ აფრიკის ნაწილი. არაბებმა ბიზანტიის იმპერიას მნიშვნელოვანი მატერიელური და ტერიტორიული ზიანი მიაყენეს, ხოლო სასანიდურმა ირანმა ხუთსაუკუნოვანი დიდების შემდეგ არსებობა შეწყვიტა (შპიულერი 1952: 25). ამის შემდეგ არაბებს გზა გაეხსნათ კავკასიისა და ცენტრალური აზიის



მდიდარი რეგიონებისაკენ. ამ რეგიონების ნაწილი დაპყრობილი იქნა ჯერ კიდევ 640-651 წლებში, მაგრამ აქაურმა ხალხებმა პრინციპული წინააღმდეგობები გაუწიეს არაბ დამპყრობლებს. ისინი მუდმივად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის (შიხსაიდოვი 1969: 80).

IV-X სს-ის დაღესტნის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლამ აჩვენა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე უკვე IV ს-თვის თემურ-გვაროვნული ერთობები ჩაანაცვლა ტერიტორიულმა ერთობებმა. კავკასიის ალბანეთის დაცემამ (უფრო სწორად, მას შემდეგ, რაც იგი შევიდა ირანის შემადგენლობაში, როგორც ცალკე სამფლობელო) და შიდა პროცესებმა, რომელმაც შემდგომში განაპირობა ტერიტორიული ერთობების განმტკიცება, შედეგად მოიტანა თანამედროვე დაღესტნის ტერიტორიაზე პატარ-პატარა პოლიტიკური გაერთიანებების წარმოშობა. ესენი იყო: დერბენდი, ლაქზი, თაბასარანი, სერირი, ლუმიკი, ხაიდაყი, ფილანი, მასკატი, ზირიჰგერანი და სხვები. ამ პოლიტიკურ გაერთიანებათა საზღვრები მნიშვნელოვნად იცვლებოდა ხოლმე, რადგან ზოგი მათგანი ძლიერდებოდა და ითვისებდა ახალ ტერიტორიებს, ხოლო ზოგი კი სუსტდებოდა და ეცემოდა. მაგრამ უკვე V ს-თვის ვლინდება ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული მეტ-ნაკლებად მტკიცე სახელმწიფოებრივი ერთეულების ფორმირების ტენდენცია. VI ს-ის ბოლოდან ხდება ეთნიკური პრინციპით ფორმირებულ ახალ პოლიტიკურ გაერთიანებათა გამოკვეთა, რომელთა საზღვრებიც შედარებით სტაბილური ხდება (შიხსაიდოვი 1969: 29-48). სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა ჩამოყალიბების პროცესს ხელი შეუწყო აგრეთვე V-VI სს-ში საერთო წარმოების ზრდამ. იმავდროულად აღმოცენდნენ ახალი ქალაქები, გამოცოცხლდა შიდა და საგარეო ვაჭრობა, გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ-ერთი ასეთი პოლიტიკური გაერთიანების, **დერბენდის**, შესახებ. დერბენდის სამეფო დამოუკიდებლად არსებობდა, მაგრამ დროდადრო, როდესაც შაჰის გავლენის ქვეშ ექცეოდა, ერთგვარად შირვან-შაჰების მმართველობის პერიფერიულ ცენტრად იქცეოდა ხოლმე. V საუკუნისათვის ეს არის უკვე არა მარტო სამხედრო ადმინისტრაციული პუნქტი, რომელიც კავკასიის მოსახლეობას იცავდა ჩრდილოელი მომთაბარე ხალხების თავდასხმებისაგან, არამედ აგრეთვე მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი აღმოსავლეთ კავკასიაში და სასანიდების ერთ-ერთი სამმართველოს დედაქალაქი (შიხსაიდოვი 1969: 30).

დერბენდი ადრე შუა საუკუნეების ტიპური ფეოდალური ქალაქ-სახელმწიფო იყო, რომელიც კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, კონცენტრირებული იყო სავაჭრო-სამეურნეო საქმიანობაზე და გამოირჩეოდა მოსახლეობის მრავალრიცხოვნებით. აქ სახლობდნენ ირანელები, არაბები, დაღესტნელები, რუსები, აზერბაიჯანელები, თურქები, სომხები. ქალაქთან ახლოს, დაღესტნელების გვერდით სახლობდნენ ალანები. ეს მაშინდელი, ადრე შუა საუკუნეების, ახლო-აღმოსავლეთის ქალაქებისათვის დამახასიათებელი თავისებურება იყო.

დერბენდის უშუალო მეზობლობაში (დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეების რუბასუსა და ყარჩაგუს ნაპირებზე და თაბასარანის ზეგანზე) მდებარეობდა **თაბასარანი**, რომლის დამოუკიდებელ გაერთიანებად არსებობა დასტურდება ისტორიული წყაროებით უკვე IV ს-თვის (ეგიშე 1853: 157). თაბასარანელები ლეზგიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ჯგუფს მიეკუთვნებიან. ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ იქამდე თაბასარანი კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა, რომლის დაშლის შემდეგაც, საისტორიო წყაროებში თაბასარანი ფიგურირებს, როგორც დამოუკიდებელი მხარე, თაბასარანელები კი, როგორც დაღესტნის ერთ-ერთი დიდი ხალხი (თოფჩიშვილი 2007: 145).

თაბასარანის მოსახლეობა ეთნიკური თავლსაზრისით მეტად მრავალფეროვანი იყო, მაგრამ სჭარბობდნენ ადგილობრივები - თაბასარანელები. IV ს-ში თაბასარანს ჰუნები შემოესივნენ. V-VI სს-ში ჰუნები აქ სასანიდებმა შეცვალეს. ამ პერიოდში დერბენდსა და თაბასარანში სპარსეთიდან ათასობით ოჯახი გადმოასახლეს. სწორედ აქედან მოყოლებული თაბასარანში გვხვდება სპარსული კოლონიები. აქ ასევე სახლობდნენ არაბული თემები, რასაც არაერთი ადრე შუა საუკუნეების წერილობითი წყარო და შემდგომდროინდელი სტატისტიკური მონაცემიც ადასტურებს (შიხსაიდოვი 1969: 36). თაბასარანელებს იხსენიებენ ადრე შუა საუკუნეების არაბი ისტორიკოსები და გეოგრაფები: ლაკების მეზობლად თაბასარანელებს იხსენიებს XIII ს-ის ავტორი იაკუთი (მინორსკი 1963: 64).

ძველ საისტორიო წყაროებში VI ს-დან მოიხსენიება კიდევ ერთი პატარა, მაგრამ ეკონომიკური თავლსაზრისით მზარდი რეგიონი სამხრეთ აღმოსავლეთ დაღესტანში - **ზირიჰგერანი**, საოცარი ქვეყანა, რომლის სახელი დაღესტნის საზღვრებიდან შორს იყო ცნობილი. ზირიჰგერანის თურქული სახელწოდებაა **ყუბაჩი**. ყუბაჩელთა მეტყველება ჩრდილოეთ კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნურ ჯგუფში შედის. ის ახლოს დგას დარგულ ენასთან. ყუბაჩი პირველად XV ს-ის წერილობით ძეგლებშია დასახელებული. ის

მომდინარეობს თურქული სიტყვისაგან - “გიუბე” (ჯავშანი, ჯაჭვის პერანგი); “ყუბეჩი” კი მეჯავშნეებს აღნიშნავს. კუბაჩელები დარგოულ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელთა ტრადიციული დასახლების ადგილი შუა დაღესტნის მთისა და მთისწინა რაიონებია, ზღვისპირა ზოლსა და მდინარე ღაზიყუმუხის ყოისუს აუზს შორის (თოფჩიშვილი 2007: 130-131).

V-X სს-ში **ყუბაჩი** იყო დაღესტნის ერთ-ერთი პოლიტიკური წარმონაქმნის - ზირიჰგერანის ცენტრი, რომელიც აქტიურ როლს თამაშობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ზირიჰგერანი ცნობილი იყო ხელნაკეთი საიუველირო ნივთებისა და იარაღის ნაწილების წარმოებით. მისი სახელწოდებაც, რაც სპარსულად „ჯავშნის მწარმოებლებს“ ნიშნავს, საშუალებას აძლევს მეცნიერებს ივარაუდონ, რომ ზირიჰგერანი უკვე VI ს-თვის წარმოადგენდა ხელნაკეთი ნივთების წარმოების ერთ-ერთ ცნობილ სავაჭრო ცენტრს ჩრდილოეთ კავკასიაში.

V-VI სს-ის აღმოსავლეთ კავკასიის ცხოვრებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა **ხაიდაყი**, რომელიც დერბენდის მეზობლად, დასავლეთით მდებარეობდა. ხაიდაყელები დაღესტნის ხაიდაყის რაიონის ძირძველი მკვიდრნი არიან. ხაიდაყის რაიონში, მათ გარდა, ცხოვრობდნენ აგრეთვე დარგუელები, ყუმუხები, მთის ებრაელები (თოფჩიშვილი 2007: 130). ხაიდაყი არაბულ წყაროებში პირველად IX საუკუნეშია მოხსენიებული. არაბთა ლაშქრობებამდე ხაიდაყელებს საკუთარი მმართველები ჰყვავდათ. ხაიდაყის უკანასკნელი მმართველი, რომელიც სარწმუნოებით ქრისტიანი იყო, არაბებთან ბრძოლაში დაიღუპა. ხაიდაყის ცენტრი და მის მმართველთა პირველი რეზიდენცია იყო ყალა-ყორეიში (qal'a qurayš), ანუ ყურეიშელთა სასახლე (შიხსაიდოვი 1969: 38-39).

X ს-ის წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება **კარახის** სამეფო (თანამედროვე ურკარახი), რომელიც მდებარეობდა ხაიდაყის დასავლეთით, სერირის მიმართულებით. მისი მმართველი „მარზუბანის“ ტიტულს ატარებდა, რაც საზღვრის მცველს ნიშნავს (მინორსკი 1963; 129-131). „შირვანისა და დერბენდის ისტორიის“ ტექსტში მოხსენიებულია აგრეთვე კარახის მეზობელი დასახლებები - **ჩიშლი** და **დიგბაშა** (დერბენდ-ნამე 1993: 24).

**ლაქის** (არაბულენოვან წყაროებში كلك / كلكان - აღნიშნავდა ლეზგებს) სამეფო დაღესტნის სამხრეთ რეგიონში მდებარეობდა და დაახლოებით ის ტერიტორია ეჭირა, სადაც ახლა ლეზგიური ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხი სახლობს (შიხსაიდოვი 1969: 30). ლეზგები დაღესტნის ერთ-ერთი ძირძველი მოსახლეობაა. მათი ისტორიაც

დაკავშირებულია კავკასიის ალბანეთთან (რომელიც ძვ.წ. III ს-დან არაბთა შემოსევებამდე არსებობდა). კავკასიის ალბანეთის დაშლის შემდეგ, ლეზგების ნაწილი დერბენდის სამფლობელოს შემადგენლობაში შევიდა, დანარჩენი უფრო დიდი ნაწილი კი ლაქვის (ლექვის) სახელმწიფოში ბინადრობდა (XIII ს-მდე) (თოფჩიშვილი 2007: 137-138).

ლეზგებში ძველთაგანვე განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ხელოსნობამ. მთისწინა ტყიან ზონაში აღსანიშნავია ხის ნაწარმის წარმოება. საყოველთაოდ განვითარებული იყო ტყავის დამუშავება, ქეჩის დამზადება, მეხალიჩეობა, მაუდის წარმოება. განვითარებული იყო კერამიკული წარმოებაც, ლითონის დამუშავებაც, ქვაზე კვეთის ხელოვნებაც და ა.შ.

VII ს-ის შუა ხანებიდან, დაღესტანში არაბების შემოჭრის შემდეგ, არაბი ისტორიკოსები დაღესტნის ტერიტორიაზე ასახელებენ **ყუმუკის ან ტუმანის** „სამეფოს“. ეს არის თანამედროვე ეტაპზე ლაკებით დასახლებული ტერიტორია (მთიანი დაღესტნის ცენტრალური ნაწილი, მდინარეების ლაზი-ყუმუხის ყოსიუსა და კულის აუზები და მათი მიმდებარე ტერიტორია). ტუმანის სახელით მოიხსენიებენ ლაკებს მეზობელი ავარიელები (ბუტაევი 1962: 25). ლაკების ძველი ისტორიიდან თითქმის არაფერია ცნობილი. ლაკებს ურთიერთობა და კონტაქტი IV ს-ში დაღესტანში შემოჭრილ მომთაბარე ჰუნებთან უნდა ჰქონოდათ, შემდეგ კი - თურქულენოვან ხაზარებთან. (არქეოლოგიური, ლინგვისტური, ანთროპოლოგიური, ეთნოლოგიური მონაცემების ურთიერთშედარებამ მეცნიერები დაარწმუნა იმაში, რომ ლაკები იმ ტერიტორიის უძველესი მკვიდრნი არიან, თუმცა არსებობდა განსხვავებული მოსაზრებებიც, კერძოდ მათი არადაღესტნური წამომავლობის შესახებ. არც იმას გამორიცხავენ, რომ ლაკების ეთნოგენეზში ინდოევროპულმა მოსახლეობამაც მიიღო მონაწილეობა. ეს ინდოევროპული მოდგმის ხალხი კი ირანელები უნდა ყოფილიყვნენ (თოფჩიშვილი 2007: 134)).

რაც შეეხება **სერირს**, ეს არის ავარიის (რომელთაც ქართულ ენათმეცნიერებაში ტრადიციულად ხუნძებს უწოდებენ, რაც ავარიის ერთ-ერთი დიდი სოფლისა და საზოგადოების სახელწოდებიდან - ხუნძახიდან მომდინარეობს) სამეფოს სპარსულ-არაბული სახელწოდება, რაც ტახტის მფლობელს ნიშნავს (sāhib 'as-sarīr). სერირის სახელით ის სპარსულსა და არაბულ წყაროებში მოიხსენიება (ბელაძური 1927: 204). ამ ტერმინთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, „სერ“ უნდა იყოს არა არაბული, არამედ სპარსული ძირი სიტყვისა „მთა“ და სერირი იგივეა, რაც ქართული „მთიულეთი“ (ერემიანი 1939: 44). რაც შეეხება მის კიდევ ერთ სახელწოდებას, „ავარიას“, მეცნიერები

ფიქრობენ, რომ იგი დაკავშირებულია სერირის მეფე ავართან, რომელიც V ს-ში მეფობდა (ამის შესახებ ცნობა მოეპოვება X ს-ის არაბ ისტორიკოსს იბნ-რუსტას) (თოფჩიშვილი 2007: 86).

სერირის შესახებ ცნობები სირიულ წყაროებში უკვე VI ს-დან გვხვდება (პიგულევსკაია 1941: 82). თუ არაბულ წყაროს დავეყრდნობით, სერირის ადგილობრივი მმართველი სასანიდებს ემორჩილებოდა. ჩრდილოეთითა და დასავლეთით სერირს ემეზობლებოდნენ ხაზარები და ალანები. მათ შორის საზღვარს წარმოადგენდა მდინარე სულაკი. სერირის დედაქალაქი იყო ქალაქი **ხუნძახი**.

ამ ქვეყნის მცხოვრებთ განვითარებული ჰქონდათ მეურნეობის სხვადასხვა დარგი: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა. სერირის სამეფოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო კავკასიის მეზობელ სახელმწიფოებთან, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან (შიხსაიდოვი 1969: 39).

ჩრდილოეთ კავკასიის მეზობლად ერთ-ერთი ასეთი მსხვილი სავაჭრო მნიშვნელობის ქალაქი იყო ხაზართა სახელმწიფოს (შეიქმნა VII ს-ში კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთით) დედაქალაქი **სემენდერი**. VII ს-ის 70-იანი წლებისათვის ხაზართა ძალაუფლება ვრცელდებოდა აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის ტერიტორიასა და ასევე შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოებზე (არტამონოვი 1962: 174). IX ს-თვის ხაზართა სამეფოს სამხრეთი საზღვარი დერბენდის ჩრდილოეთით გადიოდა (იაკუბოვსკი 1949: 462). სემენდერი იყო მსხვილი ქალაქი, რომელიც აღმოცენდა ვოლგისპირეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ სტეპების კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელ სავაჭრო გზაზე. (მისი ზუსტი მდებარეობა დღემდე დავის საგანია მეცნიერთა შორის). სემენდერი ხაზართა დედაქალაქი იყო VIII ს-ის 30-იან წლებამდე. არაბთა ინტენსიური ზეწოლის შედეგად ხაზართა ხაკანი იძულებული გახდა დედაქალაქი ჩრდილოეთით ქალაქ **იტილიში** გადაეტანა. თუმცა ქალაქ სემენდერს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. X ს-თვის იგი კვლავ რჩებოდა სატრანზიტო ვაჭრობის მნიშვნელოვან პუნქტად (შიხსაიდოვი 1969: 46), რომელშიც სახლობდნენ მუსლიმებიც და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. მუსლიმები აგებდნენ მეჩეთებს, ქრისტიანები - ტაძრებს, ხოლო ებრაელები - სინაგოგებს (ბარტოლდი 1940: 35).

გარდა დერბენდის, სემენდერისა და ზირიჰგერანისა, რომლებიც ჩართული იყო საერთაშორისო სავაჭრო პროცესებში, ჩრდილოეთ კავკასიაში სხვა ბევრი შედარებით პატარა, წარმოების თვალსაზრისით ადგილობრივი მნიშვნელობის, ქალაქი იყო. ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრების წარმოშობის პროცესი ნათლად ასახეს ადრე შუა საუკუნეების წერილობითმა წყაროებმა (შიხსაიდოვი 1997: 52).

კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში სამეურნეო საქმიანობის ზრდა და მისი წარმატება უშუალო კავშირში იყო ვაჭრობის განვითარებასთან. ცნობილია, რომ VII-VIII სს-დან მოყოლებული ახლო აღმოსავლეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან, ვოლგისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელმა მნიშვნელოვანმა სავაჭრო გზებმა კასპიის ზღვის აუზთან გადაინაცვლა. ეს იყო არაბთა სავაჭრო საქმიანობის აყვავების პერიოდი. VIII ს-თვის მათი სავაჭრო საქმიანობა ვრცელდებოდა კავკასიის ტერიტორიაზეც. იქამდე, რომ აქ თითქმის ყველა ადგილობრივ ფულის ერთეულს არაბული მონეტის გამოყენება სჭარბობს (პახომოვი 1935: 743). ვაჭრობაში ჩართული იყო დაღესტნის არა მარტო სანაპიროს, არამედ შიდა რეგიონებიც. ეს სამეურნეო საქმის გამოცოცხლებას უწყობდა ხელს (შიხსაიდოვი 1969: 62).

მამასადამე, შემთხვევითი არ ყოფილა არაბთა დაინტერესება კავკასიითა და, კერძოდ, დაღესტნის ტერიტორიით, რადგან დაღესტანი მნიშვნელოვანი სტრატეგიული რაიონი იყო, რომელიც კავკასიას იცავდა ხაზართა თავდასხმებისაგან. VII ს-ის შუა ხანებისათვის სახალიფოს ჩრდილოეთ საზღვარი დერბენდთან გადიოდა და ამ რაიონის დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ამისა, ამ დროისათვის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი ეკონომიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან ტერიტორიას წარმოადგენდა, რადგანაც სწორედ აქ გადიოდა აღმოსავლეთ ევროპის ცენტრალური აზიის ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზა, ხოლო მდინერე დონისა და ვოლგისპირეთის, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ცენტრალურ აზიასა და ახლო-აღმოსავლეთის ქვეყნებთან გაძლიერებული კავშირები არაბებს უკარნახებდა, ფეხი მოეკიდათ კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებში და დამკვიდრებულიყვნენ კონკრეტულად იმ სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე, რომელიც კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გასდევდა. ამასთან, არაბთათვის აღმოსავლეთ კავკასიაზე გაბატონება ნიშნავდა არა მარტო სტრატეგიული სავაჭრო გზის

ხელში ჩაგდებას, არამედ აგრეთვე პირობების შექმნას კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის მდიდარი მიწების თავისუფალი ექსპლუატაციისათვის.

ჯერ კიდევ ხალიფა ომარის (634-644) განკარგულებით უცხოელ ვაჭრებს, რომელთაც საქონელი მოჰქონდათ დერბენდში, საქონლის 10% უნდა გადაეხადათ, ხოლო მუსლიმებს, რომლებიც ემორჩილებოდნენ არაბთა ხალიფას, უნდა გაეღოთ საქონლის 5%. ვინც დერბენდს ფლობდა, სწორედ ის აკონტროლებდა ვოლგისა და კასპიის ზღვისპირეთის სავაჭრო გზას (შიხსაიდოვი 1969: 85). ამ ყველაფრით აიხსნება ის უკომპრომისო მცდელობები, რომელსაც არაბები დერბენდის დასაპყრობად ახორციელებდნენ.

ამასთანავე, იმ დროისათვის დაღესტნის ტერიტორიაზე მოხდა ორი მსხვილი ეკონომიკური თვალსაზრისით უზარმაზარი სახელმწიფოს - ხაზართა და არაბთა სახალიფოს - ინტერესთა გადაკვეთა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ბიზანტია დიდ მხარდაჭერასა და დახმარებას უწევდა ხაზარებს არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მისი მთავარი კონკურენტი იყო ახლო აღმოსავლეთზე პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მოპოვების გზაზე.

დერბენდის ისლამური დაპყრობების ისტორია ხალიფა ოსმანის (644-656 წწ.) დროს იწყება და **სალმან იბნ რაბიას** სახელს უკავშირდება. სალმანმა ციხე-სიმაგრეში გამაგრებული სპარსული გარნიზონის წინააღმდეგობა გატეხა და ქალაქიც დაიწვია, მაგრამ 653 წელს სალმანის ჯარი ხაზარებმა გაანადგურეს და არაბები დერბენდის საზღვრებიდან განდევნეს.

სალმანის მარცხის შემდეგ VII ს-ის ბოლომდე არაბთა შემოტევები კავკასიის რეგიონზე დროებით მიწყნარდა. ეს განპირობებული იყო იმ მოვლენებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა არაბთა სახალიფოში. ეს იყო ხელისუფლებისათვის ბრძოლა და დაპყრობილ ხალხთა მასობრივი გამოსვლები დამპყრობელთა წინააღმდეგ, რაც დროებით აღმოფხვრილ იქნა ენერგიული და ჭკვიანი მმართველის ხალიფა აბდ ალ-მალიქის დროს (685-705წწ.).

VIII ს-ის დასაწყისში კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს რეგიონში არაბული ექსპანსიის ახალი ტალღა გაძლიერდა და იგი გეგმიური ტერიტორიული ექსპანსიის სახით გარქმელდა. არაბები თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე სისტემურად და დაჟინებით ცდილობდნენ დაღესტნის რაიონში დამკვიდრებას. მიუხედავად პოლიტიკური დაქსაქსულობისა და დაღესტანში პოლიტიკურად გამაერთიანებელი ცენტრის არარსებობისა, არაბებს აქ გასაოცარი წინააღმდეგობები შეხვდათ. დაღესტნელმა ხალხებმა მათ მთების სიღრმეში შესვლის საშუალება არ მისცეს. არაბები ერთი-მეორის მიყოლებით

ახორციელებდნენ შეტევებს აღმოსავლეთ კავკასიის მნიშვნელოვან პუნქტებზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისევ დერბენდს, როგორც მნიშვნელოვან სავაჭრო და საწარმოო ცენტრს, სადაც დღითიდღე ცხოველდებოდა ვაჭრობა, ქალაქი კი სულ უფრო იზრდებოდა, მდიდრდებოდა და ვითარდებოდა (შინსაიდოვი 1969: 81-85).

არაბთა მიერ დაღესტნის დაპყრობის ყველაზე დიდი მცდელობები ორი დიდი სარდლის - ჯარაჰისა და მასლამას - სახელებს უკავშირდება.

ჯარაჰი სომხეთის არაბი მმართველი იყო (722 წლიდან), რომელმაც ხაზარებს მნიშვნელოვანი დარტყმები მიაყენა. ჯარაჰი შეიჭრა ბააბ ალ-აბვაბიში (დერბენდის არაბული სახელწოდებაა (bāb al-'abwāb - „მთავარი კარიბჭე“) იმ პერიოდში, როცა ის არაბული სახალიფოს შემადგენლობაში შედიოდა VII-XIII სს.) და დაიკავა იგი, მაგრამ ბააბ ალ-აბვაბი მოიცავდა არა მარტო საკუთრივ დერბენდს, არამედ აგრეთვე მასზე პოლიტიკურად დაქვემდებარებულ ტერიტორიებს, მათ შორის, რელიგიისათვის მებრძოლებით, „ღაზიებით“, დასახლებულ ისლამურ ცენტრებს. ეს იყო კასპიის ზღვის მიმდებარე ვიწრო სანაპირო ზოლი ვიდრე მდინარე სამურამდე და ასევე მოიცავდა მასკატს (თანამედროვე მუშკური, ლეზგინებით დასახლებული რეგიონი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე). ამის შემდეგ ჯარაჰმა მისი შემოგარენის დაპყრობა განაგრძო და ერთმანეთის მიყოლებით დაიკავა ჰოსეინის სასახლე, ქალაქი იარგუ (თანამედროვე ტარკი) და ერთ-ერთი ცნობილი ციხე-სიმაგრე - ბალაჯარი (დერბენდ-ნამე 1993: 517-519).

მასლამა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არაბი დამპყრობელი, ხალიფა აბდ ალ-მალიქის ვაჟი და იბნ ჰიშამის ძმა იყო. არაბებმა უძლეველი სარდლის, სირიასა და ბიზანტიასთან ომში მოპოვებული გამარჯვებებით სახელგანთქმული ჰაბიბ იბნ მასლამას მეთაურობით VIII ს-ის დასაწყისში აიღეს ალბანეთის სამეფო (თანამედროვე ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორია) და მისი დედაქალაქი. მასლამამ (725 წელს სომხეთისა და აზერბაიჯანის მმართველად დაინიშნა) უკომპრომისო ბრძოლა წამოიწყო აღმოსავლეთ კავკასიის დასაპყრობად. მთის სამფლობელოებთან, კერძოდ კი, შირვანის, ლირანის, თაბასარანის, ლაკზის, ფილანისა და მასკატის (მუშკურის) მმართველებთან მიღწეული იქნა სამშვიდობო შეთანხმება. ამის შემდეგ გზა გაიხსნა დერბენდისაკენ, რომელიც უკვე არაბებს ემორჩილებოდა, მაგრამ ციხე-ქალაქში 1 000 ხაზარი ოჯახი სახლობდა, რომლებიც არ ეპუებოდნენ მათ. მასლამამ ისინი გამოკეტა ციხე-სიმაგრეში, ლოდსატყორცნებით ქვები და რკინის ბურთები დაუშინა, სასმელი წყლის მიწოდება შეუწყვიტა ციხე-სიმაგრეს და



ხაზარებმა იქაურობა დატოვეს. მასლამამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა ქალაქის გასამაგრებლად, რომელიც შემდგომი ბრძოლების გასაგრძელებლად პლაცდარმად უნდა ქცეულიყო. მან აქ 24 000 შეწყალებული სირიელი ჩამოასახლა. ააგო შენობები სანოვაგისა და იარალის შესანახად, ასევე აღადგინა ქალაქში ომის შედეგად დანგრეული ადგილები (ბელაძური 1927: 214). მასლამამ მოკრიბა დაღესტნის ყველა სამფლობელოდან გადასახადები და შეავსო ხაზინა, რათა საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობისა და ჯარის ხარჯებისათვის გამოეყენებინა (დერბენდ-ნამე 1993: 543).

სწორედ მასლამას უკავშირდება დაღესტნის, და კერძოდ, დერბენდის ისლამიზაციის პირველი მცდელობები. „დერბენდ ნამეს“ მიხედვით მასლამამ „დერბენდის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ისლამის მიმდევრად აქცია, ხოლო შემდეგ ქალაქში მცხოვრები მუსლიმები შვიდ საცხოვრებელ კვარტლად დაჰყო და თითოეულ კვარტალს აუშენა თავის სამლოცველო მეჩეთი. თითოეულ მეჩეთს სახელწოდება კვარტალის მცხოვრები ხალხის მიხედვით მიაკუთვნა. ესენი იყო: ხაზართა მეჩეთი, პალესტინელთა მეჩეთი, დამასკოელთა მეჩეთი, ჰომსის მეჩეთი, კეისარიელთა მეჩეთი, ჯაზირას მეჩეთი და მოსულელთა მეჩეთი. გარდა ამისა, მასლამას აუგია ჯუმას საკრებულო მეჩეთი (masǧid lilǧamī) პარასკევის ლოცვებისთვის (დერბენდ-ნამე 1993: 544). თანამედროვე დრომდე მხოლოდ ჯუმა მეჩეთმა მოაღწია. დანარჩენი კვარტლის მეჩეთების კვალიც არ ჩანს და არც ზეპირსიტყვიერებაში მათ შესახებ რაიმე ცნობა დაცული.

როგორც ჩანს, მასლამას მიერ განხორციელებული მოქმედებების შედეგად ისლამმა დერბენდში მტკიცედ მოიკიდა ფეხი, ამის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი და დასაყრდენი ქალაქის არაბული მოსახლეობა აღმოჩნდა. არაბული კოლონიზაცია ერთ-ერთი საშუალება იყო დაპყრობილ ტერიტორიებზე სახალიფოს ხელისუფლებისა და ისლამის პოზიციების გასამტკიცებლად. მოსახლეობის უკმაყოფილო ნაწილის სახალიფოს სხვადასხვა რაიონში გადასახლებით სოციალური წინააღმდეგობების შესუსტება ხდებოდა. ასეთ გადასახლებებს სახალიფოს მიერ დაპყრობილ ბევრ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი: აზერბაიჯანში, ირანში, სომხეთში, ცენტრალურ აზიაში.

ხალხის მასების მიგრაციის ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა, სწორედ, კავკასიასა და დაღესტანშიც. ესპანელი არაბი კოსმოგრაფი ალ-ღარნატი (1080-1169) წერდა მოსულიდან, დამასკოდან და სხვა ქალაქებიდან დაღესტნის სხვადასხვა რაიონში 24 000 ოჯახის გადმოსახლების შესახებ (ალ-ღარნატი 1925: 83-84).

დალესტნელი მკვლევარი შიხსაიდოვი არ გამორიცხავს, რომ იმ დროისათვის არაბები დალესტნის გარდა დასახლებულიყვნენ სემენდერის ტერიტორიაზეც, მაგრამ შედარებით უფრო მცირე რაოდენობით, ვიდრე დერბენდსა და მის შემოგარენში (შიხსაიდოვი 1969: 94).

„დერბენდ-ნამედან“ მასლამას მიერ კვარტლის მეჩეთების აგებისა და მათი დასახელების შესახებ ზემოთ მოყვანილი ცნობიდან მართლაც ირკვევა, რომ დერბენდში სახლობდა პალესტინიდან, დამასკოდან, ჰომსიდან, კეისარიიდან, ჯაზირადან და მოსულიდან წამოსული არაბულენოვანი მოსახლეობა. როგორც ჩანს, გადმოსახლებულ ხალხებს განასახლებდნენ ტომობრივი პრინციპით (რომელსაც იცავდნენ არაბულ ჯარში).

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ არაბები ბააბ ალ-აბვაბში (დერბენდი) ჯერ კიდევ არაბთა დაპყრობებამდე, სასანიდების პერიოდში მოვიდნენ, როცა, როგორც ცნობილი არაბულენოვანი ასტრონომი და გეოგრაფი ალ-ჯურჯანი ამის შესახებ წერდა, ირანის შაჰმა ხოსროვ ანუშირვანმა (531-579) სირიიდან, მოსულიდან და ჯაზირადან ქალაქში გაგზავნა ხალხი მცდარი გზით მავალთა სამეთვალყურეოდ (კოზუბსკი 1906: 41).

დერბენდსა და მის შემოგარენში არაბთა ჩასახლება გრძელდება მთელი VIII ს-ის მანძილზე. იაკუბის ცნობით, 750 წლის შემდგომ პერიოდშიც, მას შემდეგ, რაც ომაელთა დინასტია დაემხო, სომხეთის მმართველმა იაზიდ ას-სულამმა დერბენდის რაიონში გაგზავნა ტომით არაბი მშენებლები. ახალმოსულები დერბენდის შემოგარენში დასახლდნენ მათ მიერვე აშენებულ პუნქტებში: კამახიში (დერბენდიდან დასავლეთით 20 კილომეტრის დაშორებით), ალ-მუჰამედიში (თანამედროვე ჰიმეიდი, რომელიც დარვაგის მეზობლად, დერბენდიდან დასავლეთით, 30 კილომეტრის მოშორებით) და ბააბ-ვაკიში (თანამედროვე დარვაგი). სახელწოდებით „ბაბ-ვაკი“ დასახლებული პუნქტი თანამედროვე ეტაპზე არ ფიქსირდება. გენკოს მოსაზრებით აქ იგულისხმება თანამედროვე დარვაგი -  $اق[اب]=[dār]wāq=dār wāg$  (გენკო 1941: 87.)

იაკუბის ამ ცნობას ადასტურებს აგრეთვე ალ-კადარი: „იაზიდ ას-სულამმა აქ სირიიდან, მესოპოტამიიდან და მოსულის წრიდან გადმოსახლა 7 000 მუსლიმი თავიანთი ოჯახებით. მათ ებრძანათ მეჩეთების აგება რუკელიში, კალა-სუარიში, მიტაგიში, მუგატირში, მარაგესა და ბილგადიში“ (ალ-კადარი 1929: 25).

აღმოსავლეთ კავკასიის ადგილობრივმა ტოპონიმიკამ (აზერბაიჯანსა და დალესტანში) კარგად ასახა არაბებით დასახლებული პუნქტების ფორმირების პროცესი. აქ გვხვდება

სახელწოდებები: არაბლიარი, არაბი, არაბალი, არაბლარი, არაბბაბირხანი, არაბლი, არაბარი და ბევრი სხვა (გენკო 1941: 88-89).

დერბენდში დამკვიდრებულმა არაბებმა გადაწყვიტეს, სხვა რეგიონებშიც გადასულიყვნენ. ისინი დაღესტნის შუაგულში ლაკების, ხაიდაყელებისა და თაბასარანელების მიწებზე შეიჭრნენ. თავად არაბულ-მუსლიმური წყაროები აღწერენ იმ მედგარ წინააღმდეგობებს, რომლითაც ხვდებოდნენ მათ დაღესტნელი ხალხები. ასე დაიხოცა ხაიდაყის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელსაც არ სურდა, დამორჩილებოდა მოსულ დამპყრობელს და მიეღო ისლამი. რამდენიმე მძიმე შებრძოლება მოუხდათ არაბებს ლაკებთან, რათა დაემორჩილებინათ ისინი. თაბასარანელები დიდ ხანს უძლებდნენ არაბთა შემოტევებს, მაგრამ ბოლოს იძულებულები გახდნენ დროებით დამორჩილებულიყვნენ, რადგან მათი დიდი ნაწილი დახოცეს, ან ტყვედ აიყვანეს და ძალა აღარ დარჩათ შეტევების მოგერიებისთვის. ამის შემდეგ მასლამა ავარიის მხარეში შეიჭრა და საბოლოოდ მოახერხა დაღესტნის რეგიონის დამორჩილება. შემდეგ მათზე დააწესა გადასახადები, რომლის ყოველწლიური აკრება და ჩაბარება დერბენდის მმართველს დაავალა (შიხსაიდოვი 1969: 98).

როგორც შემდგომდროინდელი მოვლენების ქრონიკიდან ჩანს, დაღესტნის რაიონები მხოლოდ დროებით იქნა დამორჩილებული. შემდეგი ექვსი დიდი შეტევა დაღესტანზე VIII ს-ის 30-იან წლებში (732-739 წწ.) აღ-ჯაზირას, სომხეთისა და აზერბაიჯანის არაბი მმართველის იბნ მერვანის სახელს უკავშირდება. ცნობილია, რომ მერვანი არასოდეს ამახვილებდა განსაკუთრებულ ყურადღებას დაღესტნელ ხალხებთან ურთიერთობისას მათი ისლამიზაციის საკითხზე და ცდილობდა, გადასახადთან დაკავშირებით შეთანხმებისათვის მიეღწია. მოსახლეობას კი საშუალებას აძლევდა, თავისი რელიგიური შეხედულებები შეენარჩუნებინა.

ბელაძურის ცნობით, მერვანმა მხოლოდ ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების შედეგად მიაღწია სერირის, ტუმანის, ზირიჰგერანის, ჰამზინის, თაბასარანის, ლაკზისა და ფილანის მმართველებთან შეთანხმებებს, რომლის მიხედვითაც მათ დაუწესდათ ყოველწლიური გადასახადი (ბელაძური 1927: 215-216). მერვანის მხრიდან ერთი და იმავე რეგიონის დამორჩილების მრავალრიცხოვანი მცდელობა ცხადყოფს მისი წინამორბედის, მასლამას, მცდელობების შედეგების ბათილობას. როგორც არაბთა დაპყრობების შედეგმდროინდელი ქრონიკა მეტყველებს, თავად მერვანის მიერ მიღწეული შედეგებიც დროებითი აღმოჩნდა.

საბოლოოდ, თითქმის ერთსაუკუნოვანი დაპყრობების შედეგად არაბებმა დამკვიდრება მოახერხეს მხოლოდ დერბენდში, რომელსაც მართავდა მუსლიმური დინასტია, ხოლო დაღესტნის დანარჩენი რეგიონები, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი რჩებოდა. ეს მნიშვნელოვან წილად უკავშირდებოდა ადგილობრივი ხალხების წინააღმდეგობებს და მუდმივ გამოსვლებს არაბთა წინააღმდეგ, რომლებიც სულ უფრო მწვავედებოდა არა მარტო დაღესტანში, არამედ სახალიფოს მიერ დაპყრობილ ყველა სახელმწიფოში, აბასელთა პერიოდში კი პიკს მიაღწია. ამასთანავე VIII ს-ის მეორე ნახევარში ხაზარები კვლავ გააქტიურდნენ და რამდენიმეჯერ გაარღვიეს არაბთა რიგები. დაღესტანში კი არაბი მმართველის მიმართ უკმაყოფილება სულ უფრო იზრდებოდა. ხალიფა იძულებული გახდა, შეეცვალა იგი. ამ სიტუაციით ისარგებლეს ხაზარებმა და კიდევ ერთხელ შემოიჭრნენ კავკასიაში. მხოლოდ დიდი და მძიმე ბრძოლებისა და დაღესტნის მსხვილი ფეოდალების დახმარების წყალობით მოახერხა აზერბაიჯანის, შირვანისა და დერბენდის ახალმა მმართველმა იეზიდ იბნ მაზიადმა, დაებრუნებინა დერბენდი, რომელიც ამის შემდეგ საბოლოოდ შევიდა სახალიფოს შემადგენლობაში (შიხსაიდოვი 1969: 96-101).

ამით კავკასიაში არაბთა დაპყრობების მეორე ტალღა დასრულდა და შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება დადგა. დაღესტანში დაიწყო დიდი მშენებლობების პერიოდი. აყვავდა მეურნეობა, მოწესრიგდა სარწყავი სისტემა. დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის წინააღმდეგობებით დასუსტებულ სახალიფოს არ შესწევდა ძალა და რესურსი დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად ემართა დერბენდი, ამიტომ არაბები ეგუებოდნენ ადგილობრივი და განსაკუთრებით სპარსული წარმოშობის ფეოდალი მმართველების ხელისუფლებაში ჩართვას. მაგრამ IX ს-ის ბოლოსა და X ს-ის დასაწყისისათვის, როცა სახალიფოს დაცემა უკვე ოფიციალურად დადასტურებული ფაქტი გახდა, კავკასიაში, ისევე, როგორც ეგვიპტეში, ირანში, თუნისში, მაროკოსა და ცენტრალურ აზიაში, ჩამოყალიბდა ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოები დამოუკიდებელი მმართველი დინასტიებით. დერბენდის მმართველი არაბული წარმოშობის ჰაშიმიანთა დინასტია გახდა, რომელიც მართალია ექვემდებარებოდა შირვანს, მაგრამ ზოგჯერ დამოუკიდებელ პოლიტიკასაც ახორციელებდა (საჩოი 1923: 12-14).

არაბული ელემენტი, ინარჩუნებდა რა დიდი ხნის მანძილზე ეთნიკურ სიწმინდეს, დაღესტნის მოსახლეობის ისლამიზაციის პროცესში მუსლიმური მმართველი დინასტიის

საყრდენს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ისინი კომპაქტურად განსახლდნენ დაღესტანში, არ შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და კიდევ დიდ ხანს შეინარჩუნეს თავიანთი ეთნიკური სახე, თავიანთი ენა და ჩვეულებები.

შიხსაიდოვს თავის წიგნში „ისლამი შუა საუკუნეების დაღესტანში“ მოჰყავს ორი ისტორიკოსის ცნობა დაღესტნის ეთნიკურად არაბ მოსახლეობასთან დაკავშირებით. პირველი მათგანი ეკუთვნის ალ-მას'უდის, X ს-ის შუა ხანების ისტორიკოსს. ალ-მას'უდი წერს ჯიდანსა და ბააბ ალ-აზვაბს შორის განსახლებულ არაბებზე, რომლებიც კარგად მხოლოდ არაბულად საუბრობენ და რომლებიც აქ ჯერ კიდევ არაბთა დაპყრობების დროს ჩამოასახლეს (ალ-მას'უდი 1861-1877: 39-40) (შიხსაიდოვი 1969: 114).

მეორე ცნობა XII საუკუნისაა. იმავე არაბი მოსახლეობის შესახებ, რომლებიც დერბენდის მახლობლად ორ პუნქტად სახლობდნენ, ორი საუკუნით გვიან წერს ალ-ფარიკი, „მაიაფარიკინის“ ისტორიის ავტორი. როდესაც იგი აფხაზეთის მეფე დიმიტრის აცილებდა, რომელიც სტუმრობდა დერბენდს, გზად შეხვდა უმაიას, ქინდისა და სხვა არაბული ტომების წარმომადგენელთ, რომლებიც აქ 500 წლის წინათ დასახლდნენ და რომლებმაც სუფთად შეინარჩუნეს თავიანთი ენა. მათ ალ-ფარიკს უთხრეს, რომ ისინი თავად გადასცემდნენ ამ ენას თაობიდან თაობას. ყოველი დედა თავის შვილს მხოლოდ არაბულად ესაუბრებოდა და ბავშვებიც საუბარს სწორედ ამ ენაზე სწავლობდნენ (მინორსკი 1963: 223-224).

არაბული ელემენტი გზადაგზა მდიდრდებოდა ახალი ნაკადით, მაშინაც, როცა არაბული დაპყრობები ისტორიის ნაწილად იქცა, კერძოდ, XI-XVII სს-ის მანძილზე, მაგრამ ეს უკვე არა დაპყრობებთან, არამედ მშვიდობიან გადასახლებებთან ან ცალკეული პირების მისიონერულ მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული (შიხსაიდოვი 1969: 212).

არსებობს ცნობა XIV საუკუნეში დაღესტანში, კონკრეტულად ლაზი-ყუმუხში, იემენიდან არაბთა გადმოსახლების შესახებ (საიდოვი 1957: 120). XIII-XIV სს-ში დაღესტანში არაბული ელემენტის გადმოსვლის ფაქტს ადასტურებს აგრეთვე ახტის რაიონში, ლგარის დასახლებაში, ნაპოვნი ყურანის ხელნაწერების ფურცლის არეებზე გაკეთებული მინაწერები, სადაც საუბარია ბაღდადიდან გადმოსახებულ პირზე. ეს ხელნაწერი ჰიჯრით 618 წლით თარიღდება (1233 ქრ. შ-ით) (შიხსაიდოვი 1958 : 12).

ისტორიამ რამდენიმე სხვა მუსლიმი მისიონერის სახელიც შემოინახა, რომლებიც დაღესტანში არაბეთიდან სხვადასხვა დროს მოდიოდნენ და ისლამს ქადაგებდნენ: კარარის

დასახლებაში (ხივის რაიონი) შეიხი ხალიფა (აღმოჩენილია მისი საფლავი, რომელიც თარიღდება ჰიჯრით 815 წლით, რაც შეესატყვისება 1412/1413 წლებს); კარახის დასახლებაში სულთანის შეიხი აჰმადი; მუგადირში (თანამედროვე აგულის რაიონი) პირ ჰაშიმი (214). იურახი-სტალის დასახლებაში (თანამედროვე სულეიმან სტალსკის რაიონი) საფლავის ქვაზე აღმოჩენილია წარწერა-ეპიტაფია უსამართლოდ მოკლული ვინმე ჰასანისა, რომელიც იყო შამის ვილაიეთიდან, ქალაქ დამასკოდან და აქ ჩამოვიდა ჰიჯრით 1295 წელს, რაც შეესატყვისება ქრ-ით 1878 წელს (შიხსაიდოვი 1969: 225).

ტრადიციული შეხედულებით იმ კავკასიელ არაბთა გაქრობა და მათი დენაციონალიზაცია, რომელთა აღმოსავლეთ კავკასიასა და დაღესტანში გამოჩენა არაბი ხალხისათვის საგმირო ეპოქაში (VIII-IX ს-ში) მოხდა, მონღოლთა პერიოდს (XIII-XIV სს.) უკავშირდება.

ბარტოლდი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენ არ გავქვს ცნობები დერბენდთან, კავკასიაში არაბიზმის ცენტრთან დაკავშირებით, თუ როდის იქნა გამოდევნილი აქედან თურქი ემიგრანტების მიერ არაბული ელემენტი. როგორც ჩანს, ეს გადასვლა უკავშირდება აზერბაიჯანისა და სპარსეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სხვა ტერიტორიების თურქიზაციას სელჩუკთა პერიოდის შემდგომ (მაკკვენზი 1997: 377). მაგრამ ისტორიაში ცნობილია XII ს-ში დერბენდის არაბი მმართველის საიფ ად-დინ ას-სულამის სახელი, როგორც იმ დროის დერბენდში არაბთა უპირატესობის დადასტურება თურქებთან შედარებით (ბარტოლდი 1963: 32).

XIII ს-ის არაბი მოსახლეობისა და მათი როლის შესახებ, საინტერესოა ესპანელი არაბი გეოგრაფის იბნ სა'იდის ცნობა, რომელიც წერდა, რომ სერირის მთიანი რეგიონის მოსახლეობაში (ავარიის მხარე) არაბული ელემენტის თურქულთან შერევა მოხდა (გენკო 1941 : 85). XVIII ს-ის 80-იანი წლების ევროპელი მოგზაურის რაინეგის ცნობით (იგოდა რა აღმოსავლური ენები და განსაკუთრებით თურქული) ხაიდაყიში, დერბენდიდან ჩრდილოეთით, შეხვდა კლასიკური არაბულით მოლაპარაკე ადამიანს, რომელიც ნოღაურ თურქულს ურევდა არაბულად საუბრისას (რაინეგისი 1796: 84).

XVIII ს-ის პირველი ხანებისათვის კავკასიაში ეროვნებით არაბი მოსახლეობის არსებობა დასტურდება 1722-1731-1735 წლების კასპის ზღვის სანაპიროს დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროს რუსული ოკუპაციისა და რუსეთ-თურქეთის მიერ ირანისაგან

მითვისებული კავკასიის ტერიტორიის აღწერის დოკუმენტებიდან, რომელიც პოლკივნიკ ჰერბერის მიერ 1728 წელს არის შედგენილი (ჰერბერი 1760: 307-308).

მოგზაურ ჰასელის შრომაში (XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე) „რუსეთის სამეფოს აზიური სამფლობელო მიწების აღწერილობები“ (1821 წ.) თავმოყრილია ბოტანიკოსების - ბიბერშტეინისა და სტივენის და ასევე კლაპროტის ცნობები, რომლებიც კავკასიის ამა თუ იმ ნაწილში განსახლებულ არაბთა წარმომავლობას შეეხება. ჰასელი წერს: დერბენდის მოსახლეობას შორის არიან არაბები, რომლებიც იმ არაბული კოლონიის მცხოვრებთა შთამომავლებს წარმოადგენენ, რომლებიც აქ კავკასიის დამპყრობელმა ხალიფებმა ჩამოასახლეს. ეს იყო დაახლოებით 800 ოჯახი (ჰასელი 1821: 742).

ი. კლაპროტი თავის წიგნში „რუსეთის კავკასიური პროვინციების აღწერილობანი“ წერდა: დერბენდის რეგიონში სახლობენ თურქმენები და გარკვეული რაოდენობით არაბები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად 4 000 ოჯახს შეადგენენ (გენკო 1941: 73).

არაბული მოსახლეობის არსებობის ფაქტის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე 1905 წელს სტატისტიკური კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიც, რომელიც კავკასიის ხალხთა მშობლიური ენის კუთვნილების მიხედვით აღწერას ითვალისწინებდა (გულისხმობდა კავკასიის მსხვილი ადმინისტრაციული ცენტრების მონაცემებს). ამ მონაცემების მიხედვით, XIX ს-ის ბოლოსათვის კავკასიის გუბერნიებში 955 ადამიანი ცხოვრობდა, რომელთათვისაც არაბული მშობლიური ენა იყო. აქედან 912 ეროვნებით არაბი დაღესტნის ოლქში სახლობდა (გენკო 1941: 86).

მეცნიერი ა. გენკო XX ს-ის 20-იან წლებში დაღესტანში მოგზაურობისას ერთ-ერთ სოფელში თავად შეხვდა არაბულ ენაზე მოსაუბრე ხალხს, რომელთათვისაც ეს ენა მშობლიური იყო. ეს სოფელი დერბენდისაგან დასავლეთით, 35 კმ-ის მოშორებით მდებარეობდა მთებში. დასახლების სახელწოდებაა **დარვაგი**. იმ დროისათვის არც თაბასარანში, არც ლეზგებით დასახლებულ რაიონსა და არც წახურში, არც რუთულისა და სამხრეთ დაღესტნის არცერთ სხვა რაიონში მსგავსი (არაბული მოსახლეობით) დასახლების არსებობა უკვე აღარ დასტურდება (გენკო 1941 : 87).

როგორც ჩანს, დაღესტანში არაბული მოსახლეობა, რომელიც არაბულ ენას შემდგომი ასწლეულების მანძილზეც ინარჩუნებდა, გაცილებით გვიანდლამდე შემორჩა. XIX ს-ის დასაწყისისათვის მათ საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკარგული თავიანთი

მშობლიური ენა, მიუხედავად იმისა, რომ, თითქმის, შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ირანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში VIII-IX ს-ში არაბთა გაბატონებამ და არაბული ტომების ჩასახლებამ თან მოიტანა ამ რეგიონებში ისლამის რელიგია და არაბული ენა, როგორც რელიგიის, რელიგიური ლიტერატურისა და სახალიფოსთან ოფიციალური ურთიერთობების საშუალება. ისლამის რელიგიის გავრცელების შედეგად სახალიფოს მართვა ისლამის ნორმებით ხდებოდა. მას შემდეგ, რაც დაღესტანი სახალიფოს ნაწილი გახდა, ეს ნორმები მასზეც გავრცელდა და თანდათანობით დაღესტნის საზოგადოებების ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე გავლენის მოპოვება დაიწყო.

## 2.2. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის რეგიონის ისლამიზაცია X-XVI სს-ში

ისლამი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო დაღესტნელი ხალხის იდეოლოგიურ ცხოვრებაში, რომელმაც დაღესტანი საუკუნეებით დააკავშირა მუსლიმურ აღმოსავლეთთან. თითქმის ცხრა საუკუნე დასჭირდა დაღესტნელ და ასევე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რაიონების ხალხებში ისლამის საბოლოოდ დამკვიდრებასა და სხვა რელიგიური - მონოთეისტური თუ წარმართული - შეხედულებების გამოდევნას, რაშიც არაბების გარდა სხვა დამპყრობლებსაც მიუძღვით წვლილი.

მიუხედავად ეთნიკური მრავალფეროვნებისა, ლინგვისტური და კულტურული სხვადასხვაობისა, რომელიც ახასიათებს დაღესტნის რეგიონს, მის მოსახლეობას აერთიანებდა საერთო წარმომავლობა, საერთო ისტორიული ბედი, ეთნო-ტერიტორიული კონტაქტები, სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული კავშირები, დაღესტნელი ხალხების ტენდენცია ინტეგრაციისადმი. ისლამის რელიგიის გავრცელება დაღესტნის ტერიტორიაზე ასევე მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს რელიგიურ ნიადაგზე მთიელთა გაერთიანებას ერთ კულტურულ ერთობად. ისლამის მიღების შემდეგ ისინი სწორედ ამ ნიშნით აღმოჩნდნენ გაერთიანებულები (აბდულაევა 2000: 17).

მუსლიმური ისტორიოგრაფია, რამდენადაც, ტენდენციურია, როდესაც წერს დაღესტნელი ხალხების მიერ ისლამის ნებაყოფლობით მიღების შესახებ. არადა,



ადგილობრივი წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ დაღესტნელი ხალხები თავის ჩრდილოელ მეზობლებს, ხაზარებსაც კი შეეკრნენ არაბ მუსლიმთა წინააღმდეგ (შიხსაიდოვი 1996: 82). არაბთა გაბატონების საფრთხე დაღესტნელთ უბიძგებდა საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული გამოსვლებისაკენ, მაგრამ მაშინდელი (VII-VIII სს-ის) პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პირობები საშუალებას არ იძლეოდა ამ მისწრაფების განხორციელებისათვის.

ადგილობრივ რელიგიურ კულტებთან ჭიდილში მუსლიმების მიერ ნადგურდებოდა ისლამამდელი საკულტო ნაგებობები და აღჭურვილობები. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ რეგიონში, სადაც სანაპირო რაიონებში ქრისტიანობას უკვე ეჭირა მნიშვნელოვანი პოზიციები, ერთი მონოთეისტური რელიგიის ჩანაცვლება მეორე მონოთეისტური რელიგიით უმტკივნეულოდ მოხდებოდა, თუმცა ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლები იმაზე მეტყველებენ, რომ არაბებს ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებთან და ქრისტიანი და იუდეველი მოსახლეობისადმი გაცილებით მოკრძალებული დამოკიდებულება ჰქონიათ, ვიდრე წარმართული რელიგიის მიმდევრებისადმი (შიხსაიდოვი 1969: 116).

ზოგი არაბი ავტორი და ასევე ადგილობრივი ქრონიკებიც დაღესტანში ისლამის VII ს-ში გავრცელებას მასლამას პერიოდს უკავშირებენ. მათ შორის ყველაზე ადრეული არის ალ-ღარნატის (რომელმაც იმოგზაურა დერბენდსა და კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე 1130-1160 წლებს შორის პერიოდში) ცნობა დაღესტნელი **თაბასარანელების** (იგი მათ უწოდებს თაბარსალანებს) შესახებ, რომელიც 1162 წლით თარიღდება. ავტორი საუბრობს თაბასარანის მუსლიმ მოსახლეობაზე, რომელმაც ისლამი ჯერ კიდევ მასლამას დროს მიიღო (ალ-ღარნატი 1925: 82-85). მოგვიანო პერიოდის ეპიგრაფიკული მასალაც ამ მოსაზრების გავლენას ატარებს.

მასლამას მიერ წამოწყებული ისლამიზაციის პროცესი, მართლაც, მოიცავდა არა მარტო დერბენდს, არამედ დაღესტნის დანარჩენ ტერიტორიასაც, რამეთუ „მუსლიმთა ძალაუფლების საზღვრები ემთხვეოდა ისლამის გავრცელების საზღვრებს“ (ბარტოლდი 1918: 94). მას ჰქონდა ისლამის გავრცელების მცდელობები ხაიდაყში, ზირიჰგერანში, ყუმუხში, დაღესტნის სამხრეთ ნაწილში, და შესაძლოა, აქ გარკვეულ შედეგებს მიაღწია კიდევ, მაგრამ ამ რაიონების მცხოვრებნი, როგორც კი ამისი შესაძლებლობა მიეცემოდათ თავინთ ისლამამდელ რელიგიურ შეხედულებებს უბრუნდებოდნენ.

მეცნიერ ბ. ალიევის მტკიცებით დაღესტანში, აკუმას ტერიტორიაზე, პირველი მუსლიმური მეჩეთი, რომელსაც მოგვიანებით ყალა-მეჩეთი უწოდეს, აშენებულია ჰიჯრით 115 წელს (733-734 წ.). ამას იუწყება სამიდან ერთ-ერთი ქვა, რომელიც მეჩეთის კედელშია ჩაშენებული. მასზე წარწერებია მეჩეთის აშენების (115 წ. ჰ.), მისი დანგრევის (1361 წ.) და აღდგენის (1409 წ.) თარიღებით. მ. კოვალევსკიც მოიხსენიებს აკუმას მეჩეთს, როგორც დაღესტნის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ყველაზე ძველს. თუმცა, ალი დასანოვი ამასთან დაკავშირებით წერდა: „შესაძლოა გარკვეულ ადგილებში (მაგალითისათვის დერბენდსა და მის შემოგარენში, თაბასარანში, ხაიდაყში) მათ (არაბებმა) მართლაც ააგეს მეჩეთები, დანიშნეს მოსამართლეები და მმართველები, მაგრამ ის, რომ მათ ეს VIII ს-ში გააკეთეს აკუმაში, ხუნძახში, ყუმუხსა და ახტახში, ძნელი დასაჯერებელია. აქ მათ ეს შეეძლოთ გაეკეთებინათ მხოლოდ ორი-სამი საუკუნით გვიან, როდესაც არაბულმა კულტურამ თავის განვითარების კულმინაციას მიაღწია და როდესაც ისლამის მისიონერებმა კავკასიის ხალხების თვალში ასწიეს ხალიფას ავტორიტეტი“ (მაგომედოვი 2005: 3).

არაბთა მიერ რეგიონის ისლამიზაციის წარუმატებლობა იმითაც იყო განპირობებული, რომ მათ დაღესტნელთა მეზობელ ძლიერ ძალასთან - ხაზარებთან - გამკლავება მოუწიათ. მხოლოდ მას შემდეგ მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას, რაც დერბენდსა და მის შემოგარენში ჩაასახლეს არაბი მუსლიმი მოსახლეობა და დერბენდი მუსლიმურ ფორფოსტად აქციეს, თუმცა, ჯერ კიდევ X ს-თვის ისლამს აღიარებდა მხოლოდ დერბენდისა და მის გარშემო სანაპირო ზოლის დასახლებები (შიხალიევი 2012: 4). ეს იყო დერბენდი, თაბასარანი და ლაქზის ის ნაწილი, სადაც არაბთა ხელისუფლება ვრცელდებოდა, ხოლო დანარჩენ რეგიონებში, სადაც არაბთა ბატონობა ერთგვარად გარდამავალ ხასიათს ატარებდა, ისლამმა ფეხი კარგა ხანს ვერ მოიკიდა (მინორსკი 1963: 46-70).

მნიშვნელოვანი იყო დერბენდის როლი მეზობელი ხალხების ისლამიზაციის პროცესში, რასაც ადასტურებს ალ-ჰამაზანის ცნობა იმის შესახებ, რომ X ს-ში დერბენდის ერთ-ერთი კედელი „ჯიჰადის კარიბჭის“, ანუ „სარწმუნოებისათვის ბრძოლის“ სახელწოდებას ატარებდა.

რაც შეეხება დაღესტნის ცენტრალურ, დასვლეთ და ჩრდილოეთ რეგიონებს, აქ ისლამის მყარ პოზიციებზე X ს-ის დასაწყისისათვის საუბარი არც არის. არცერთი აღმოსავლელი ავტორი არ ადასტურებს აღნიშნულ რეგიონებში ამ დროისათვის მუსლიმური ელემენტის არსებობას. თუმცა, მე-X ს-ის შუა ხანები დაღესტნის ფეოდალურ

სამფლობელოებში ისლამის გავრცელებისა და მისი შემდგომი განმტკიცებისათვის გარდამტეხი ეტაპი აღმოჩნდა. ამ პროცესის ტემპის დაჩქარება და მონოთეისტური რელიგიის საბოლოო დამკვიდრება გარკვეულმა შიდა და გარე ფაქტორებმა განსაზღვრა და ეს პროცესი, ძირითადად მაინც, XV ს-თვის დასრულდა. შიდა საზოგადოებრივ ფაქტორს წარმოადგენდა სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის მკვეთრად გამოხატული პროცესი და ამასთან კავშირში ახლადჩამოყალიბებული კლასობრივი ურთიერთობების იდეოლოგიურად გაფორმებისა და გამართლების აუცილებლობა, ხოლო გარე ფაქტორებს წარმოადგენდა დამპყრობელთა ისლამიზაციის პოლიტიკა და ამის თანამდევნი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურულ-ეკონომიკური კავშირების განმტკიცების პროცესები (შიხსაიდოვი 1969: 118-124).

თუ ისლამიზაციის პირველ ეტაპზე (VIII-X სს.) აქტიურ როლს თამაშობდა არაბული ელემენტი, რომელიც იძულებით ავრცელებდა ისლამს, ახალ ეტაპზე (XI-XVI სს.) აქტიურ როლშია თურქული ელემენტი - სელჩუკები, შემდეგ მონღოლები და თემურ ლენგი. ეს ეტაპი არსებითად განსხვავებულია პირველისაგან, რადგანაც ისლამის ძალითა და სამხედრო ოპერაციებით გავრცელების ნაცვლად, აქ ვხვდებით წინა პლანზე წამოწეულ კულტურულ-პოლიტიკურ ასპექტებს, რომლებიც გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა. ამასთანავე, ამავე პერიოდში დიდ როლს თამაშობდა ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობაც ე.წ. „დაზიები“. XI-XII სს-ში ისლამის გავრცელების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თურქ-სელჩუკებმა. თურქული ელემენტები დაღესტნის ტერიტორიაზე შემოსვლას გაცილებით ადრე, X ს-მდე, იწყებენ, მაგრამ X-XI სს-ში მასიური შემოდინება იწყება ჩრდილოეთიდან ყივჩაღების, ხოლო სამხრეთიდან ოღუზების სახით (შიხალიევი 2012: 4-7).

XI ს-ის დასაწყისში მცირე აზიაში შევიდნენ თურქული ელემენტები, რომელთაც მართავდნენ სელჯუკიდების მოდგმის მმართველები. მათ ბიზანტიას მნიშვნელოვანი დარტყმები მიაყენეს და იწყეს დამკვიდრება ცენტრალური და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. სელჯუკიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა ცენტრალური აზიის, ირანის, ერაყისა და მცირე აზიის უზარმაზარი ტერიტორია. ამ უზარმაზარმა იმპერიამ თავისი ყურადღება მიაპყრო შირვანსა და დაღესტანსაც. 1067 წელს სელჩუკთა სულტნის არპ არსლანის ჯარმა აიღო ქალაქი დერბენდი. ამის შემდეგ თურქული გავლენა დერბენდზე ძლიერდება და თურქული ელემენტები სულ უფრო დიდ როლს თამაშობენ ქალაქის

ცხოვრებაში. XII-XIII სს-დან მოყოლებული დერბენდის მმართველთა მონეტებზე გვხვდება თურქული სახელები (ბექ-ბარსი, არსლანი), რაც ასახავს არა მარტო სიუზერენების გავლენით სახელთა თურქიზაციის, არამედ აგრეთვე ქალაქის თურქიზაციის საერთო პროცესს (შიხალიევი 2012: 12).

სელჩუკები, რომლებმაც სუნიტური ისლამი მცირე აზიაში მათ მოსვლამდე კარგა ხნით ადრე მიიღეს, ამ რელიგიას ავრცელებდნენ მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებსა და ხალხებშიც და სუნიტური ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს. დერბენდი გადაიქცა სელჩუკთა იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ პოსტად კავკასიაში. ამდენად, ის აგრძელებდა დადესტანში ისლამის იდეების გავრცელების მთავარ ცენტრად დარჩენას.

სელჩუკთა გამოჩენასთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში სუფიზმის იდეების გავრცელება აქტიურდება. ისლამი სელჩუკთა შორის სწორედ სუფიზმის ფორმით გავრცელდა. განსაკუთრებით „მევლევიებისა“ და „ქუბრავიების“ სამშობი იყო გავრცელებული. სელჩუკიდების მიერ სუფიების მხარდაჭერაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სულტან მალიქ-შაჰის ვეზირმა ნიზამ ალ-მულქმა დააარსა ცნობილი მედრესე ბაღდადში, სადაც ასწავლიდა ერთ-ერთი უდიდესი სუფი სწავლული-მისტიკოსი აბუ-ლ-ჰამიდ ალ-ღაზალი. სწორედ ამ სკოლაში გადიოდნენ სასწავლო კურსს დერბენდის სწავლული სუფიები. სელჩუკი მმართველები მფარველობდნენ სუფი შეიხებს, რამეთუ ხედავდნენ მათს მზარდ ძალას და ცდილობდნენ მათი მეშვეობით კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინათ ქალაქ დერბენდის მაცხოვრებლებთან. სწორედ სელჩუკთა პერიოდში ჩნდება ჩრდილოეთ კავკასიაში სუფიური რელიგიური ცენტრები: ზავიები, ხანაკები, სადაც ცხოვრობდნენ სუფიები (მიურიდი შეიხების დროს). სელჩუკი შეიხები ხელს უწყობდნენ ასეთი ცენტრების შექმნასა და მათ სუბსიდირებას, რაც შეიხების მხრიდან მათი გაკონტროლების სურვილითაც იყო განპირობებული, მაგრამ საბოლოო ჯამში ისინი გადაიქცეოდა ხოლმე მსხვილ ცენტრებად, რომელთა ფუნქციებიც მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა. ისინი გადაიქცეოდნენ ხოლმე სუფიური „სამშოს“ ორგანიზაციულ და ეკონომიკურ ბაზად, საიდანაც ეწეოდნენ სუფიზმისა და ისლამის პროპაგანდას (შიხალიევი 2012: 14)

სავარაუდოდ, (რისთვისაც საკმარისი საფუძველი არსებობს) სუფიზმის იდეები დერბენდში გავრცელდა უკვე IX ს-ის დასაწყისში. ხოლო X-XI სს-ში დერბენდი წარმოადგენდა არა მარტო ისლამის გავრცელების ცენტრს კავკასიაში, არამედ ასევე მსხვილ

სასულიერო ცენტრს, სადაც მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა სუფიური ტრადიცია, რომელიც გახდა რეგიონის შემდგომი ისლამიზაციის ფორმა. ადგილობრივი სუფიები, რომლებიც ხალიფატის საგანმანათლებლო ცენტრებში იღებდნენ განათლებას, წერაკითხვას ავრცელებდნენ მოსახლეობაში. ისინი სახალიფოს ცენტრალურ ქალაქებში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავს სკოლებს აარსებდნენ დაღესტანშიც (შიხალიევი 2012: 2).

XIII ს-ის შუა ხანებისათვის მონღოლთა იმპერია ორ მსხვილ - ოქროს ურდოსა და ილხანთა - ჰულაგიდების - სახელმწიფოებად დაიშალა. თუ XIII ს-ის მეორე ნახევრამდე მონღოლები ისლამის გავრცელების შემაფერხებლის როლშიც კი გამოდიოდნენ, XIII ს-ის ბოლოდან მოყოლებული მათი დამოკიდებულება ისლამისადმი მნიშვნელოვნად შეიცვალა. მას შემდეგ, რაც ორივე მონღოლურ სახელმწიფოში ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მონღოლი ხანები კვლავ განაგრძობდნენ სუფი შეიხების მხარდაჭერას. მონღოლთა უზარმაზარმა არმიამ 1239 წელს აიღო დერბენდი და იგი თავის შემდგომი დაპყრობებისათვის საყრდენ პუნქტად გადააქცია. აქედან მოყოლებული XIV ს-ის დასაწყისამდე დაღესტნის ვაკე ტერიტორიები ამ ორის შეტაკებების ადგილი გახდა. ამ ორი სახელმწიფოსათვის დერბენდი გარდამავალი საზღვარი აღმოჩნდა. მისი სამხრეთი ნაწილი ილხანთა სახანოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში რამდენიმე მსხვილი ფეოდალური გაერთიანება (ხაიდაყი, ყუმუხი) - ოქროს ურდოს დაქვემდებარებაში იყო (შიხალიევი 2012: 4).

ოქროს ურდოს მმართველი ხანები დაინტერესებულები იყვნენ აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებით და ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ კავკასიის ტერიტორიას მნიშვნელოვან პუნქტად მიიჩნევდნენ. სავაჭრო გზაზე გაბატონებისათვის ბრძოლაში რელიგიის საკითხს თავიანთ სასარგებლოდ და ადგილობრივ მუსლიმთა გადმობირებისათვის იყენებდნენ.

XIV ს-ის 50-იან წლებში ცენტრალურ აზიაში ჩინგიზ-ხანების სახელმწიფოს ადგილას ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მეთაურმა თემურ ლენგმა (1370-145) ჩრდილოეთ კავკასიის გეგმიური დაპყრობა დაიწყო. აქ მისი ინტერესები გადაიკვეთა ოქროს ურდოს ხანთან, თოხთამიშთან. 1395 წელს მისმა მეომრებმა დაარბიეს და გაძარცვეს მთისწინა დაღესტნის ავარიელებითა და დარგუელებით დასახლებული პუნქტები, შემდეგ შეიჭრნენ ზირიჰგერანსა და ხაიდაყში. მხოლოდ ამის შემდეგ მიუბრუნდნენ ისინი დერბენდს. თავისი

დამპყრობლური პოლიტიკის გატარებისას თემურ ლენგი ოსტატურად იყენებდა ისლამსა და ერთმორწმუნეობის მომენტს. იმდენად, რომ ადგილობრივი სასულიერო ელიტა მასში დიდ დასაყრდენს ხედავდა. მოხდა ისე, რომ სწორედ თემურ ლენგის წყალობით ყუმუხსა და ხუნმახში ისლამი საბოლოოდ დამკვიდრდა XIV ს-ში. მისი გავლენა მეზობელ მიწებზე თანდათან სულ უფრო ფართოვდებოდა (შიხალიევი 2012: 18). ხუნმახი XI-XIII სს-ის დაღესტანში ავარიელებით დასახლებული ტერიტორიების მთავარი ცენტრი და ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული პუნქტი იყო. ისლამი ყველაზე მძლავრად აქ შეეჩეხა მეორე მონოთეისტურ რელიგიას - ქრისტიანობას, რომელმაც აქ X-XI სს-ის მანძილზე მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავა და კიდევ უფრო ღრმად ვრცელდებოდა მთის ცალკეულ აულებში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ყუბაჩის მცხოვრებთა ისლამიზაციის ისტორია. IX-X სს-ში, სადაც წინათ ზირიჰგერანის სამეფო იყო. ამ დროისათვის კი იგი წარმოადგენდა ორ დასახლებულ პუნქტს, რომელიც XII ს-ის შუა ხანებისათვის ჯერ კიდევ ძლიერი პოლიტიკური ერთეულია და დიდ წინააღმდეგობას უწევს დერბენდის მმართველს. გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზირიჰგერანის მკვიდრნი დერბენდიდან, დაღესტანში ერთ-ერთი უძლიერესი ისლამური კერიდან ასე ახლოს, არ იღებენ ისლამს. შესაძლოა X-XI სს-თვის მუსლიმური ელემენტი ზირიჰგერანში იყო, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ალ-ღარნატი თავის ისტორიულ წყაროში არ საუბრობს XII ს-ში ზირიჰგერანში ისლამური ელემენტის არსებობაზე. აქ ქრისტიანობის გავლენა გაცილებით ძლიერი იყო. ამ ტერიტორიაზე სამი ქრისტიანული ტაძრის ნანგრევია აღმოჩენილი. ერთ-ერთ მათგანზე XIII ს-ის დასაწყისით დათარიღებული წარწერებია შემორჩენილი (შილინგი 1949: 13). ლეგენდა ყუბაჩის ისლამიზაციას სწორედ XIII ს-ეს უკავშირებს, კონკრეტულად კი, მონღოლთა დაპყრობების შემდგომ პერიოდს, როცა ისლამიზაციის პროცესი აქტიურდება. XIV ს-ის პოლიტიკურმა პროცესებმა და თემურ-ლენგის მეომრების გამოჩენამ ისლამის გავრცელების პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური ტემპებით წაიყვანა. ისტორიული წყაროების მწირი მონაცემების მიხედვით, როგორც ზირიჰგერანი, ისე ხაიდაყი XIV ს-თვის უკვე მუსლიმური კერების რეგიონში შედიან (შიხსაიდოვი 1969: 194-198).

ჩინგის-ხანის ხმლის ქვეშ გაერთიანებულმა მონღოლებმა და თემურ ლენგმა დიდი დარტყმა მიაყენეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ადგილობრივი ხალხების კულტურასა

და ეკონომიკას. მოიშალა რეგიონალური და საერთაშორისო ურთიერთობები ამერიკავკასიის ცენტრებთან, წინა აზიასთან და აღმოსავლეთ ევროპასთან (შიხალიევი 2012: 4). ამასთანავე, მონდოლთა დაპყრობებმა ხელი შეუწყო თურქულენოვანი ტომების გავრცელებასა და თურქული ელემენტის კიდევ უფრო გაძლიერებას დაღესტანში (ბარტოლდი 1996: 19).

დაღესტნის სამხრეთ რეგიონი, რომელიც ოქროს ურდოს შემადგენლობაში შედიოდა, XIV-XV სს-თვის ჯერ კიდევ პოლიტიკურად დაქსაქსული იყო ახტის, წახურის, რუთულის, კარახის, ტპიგის, ხივისა და ხნოვის დამოუკიდებელ გართიანებებად, ისლამიზაციის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. აქ ისლამის პოზიციები თანდათან გამყარდა XV ს-თვის. აღნიშნული დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე შემორჩენილია მეჩეთები, არაბული (მათ შორის ქუფური) წარწერებით, რომლებსაც დამწერლობის ტიპისა და ზოგი ადგილობრივი წერილობითი წყაროს შეჯერების საფუძველზე X-XII სს-ით ათარიღებენ. ამავე რეგიონის ბევრი აულის დასახლებულ პუნქტში შემორჩენილია ასევე ქუფურით შესრულებული არაბული წარწერები, რომლებიც აღწერენ ისლამიზაციის პროცესებს XIII-XIV სს-ში (შიხსაიდოვი 1969: 156-157).

XIV-XV სს-ში ისლამის პოზიციები დერბენდში იმდენად განტკიცდა, რომ ის ახალი იდეოლოგიისა და მუსლიმური კულტურის მატარებელთა მთავარი ცენტრი გახდა. ამ ვითარებას იმჟამინდელი პოლიტიკური სიტუაციაც უწყობდა ხელს და ისიც, რომ ქალაქ დერბენდს არ დაუკარგავს თავისი, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა. ვაჭრები და მწარმოებლები გარკვეული პრივილეგიების მოლოდინში, ხშირ შემთხვევაში, ნებაყოფლობით იღებდნენ ისლამს (შიხსაიდოვი 1969: 151).

ამგვარად, დაღესტნის ისლამიზაციის პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდა, თითქმის, შვიდი საუკუნის განმავლობაში (შემდგომი 2-3 საუკუნის მანძილზე ისევ გრძელდება, დაღესტნის რიგ რაიონებში ისლამის საბოლოოდ დამკვიდრებისათვის). ამის უპირველესი მიზეზი შუა საუკუნეების დაღესტნის პოლიტიკურ გაერთიანებათა მრავალრიცხოვნებად იყო და ისიც, რომ ისლამი მთიან დაღესტანში დაუპირისპირდა ქრისტიანობას, რომელსაც იქ წამყვანი პოზიცია ეჭირა. მაგრამ, ისლამი დაღესტანში გავრცელდა სუფიზმის სახით. ეს იყო კავკასიაში ისლამის იდეოლოგიის არსებობისა და დანერგვის ფორმა, რომელიც გადახედავდა ისლამამდელ რელიგიურ შეხედულებებსა და რწმენის პრაქტიკას და საკუთარი სწავლების პრიზმაში ატარებდა. ეს რეგიონში მუსლიმური იდეოლოგიის

ფართოდ გავრცელებას უწყობდა ხელს. მუსლიმი მისიონერების აქტიური მოღვაწეობის წყალობით ისლამმა ბევრი ისლამამდელი წარმართული რწენა-შეხედულება, შედარებით, უმტკივნეულოდ ჩაანაცვლა.

### 2.3. კულტურული კონტაქტების გაძლიერება მუსლიმური აღმოსავლეთის ქვეყნებთან VII-XV სს-ში

ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის ისტორიის მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც არაბთა დაპყრობებს უკავშირდება, არის არსებული კულტურული კავშირების გადამისამართება: შესუსტდა კავშირები შორეულ აღმოსავლეთთან და აღმოსავლეთ ევროპასთან და წინა პლანზე წამოვიდა კავშირები წინა აზიასთან. „თუმცა, ეს არსებითად ვერ ცვლიდა ისტორიული განვითარების სვლის საერთო მიმართულებას: კულტურული, და განსაკუთრებით, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების სამხრეთულ კურსს, რომელიც პრიორიტეტული იყო სასანიდური ირანის დროსაც. IX-XV სს-ის პოლიტიკურ-კულტურულმა მოვლენებმა მხოლოდ ხელი შეუწყო ამ პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებას“ (შიხსაიდოვი 1969: 122).

დაღესტნის რეგიონის ისლამიზაცია არ გულისხმობდა მხოლოდ ამ რელიგიის გავრცელებასა და დამკვიდრებას სასულიერო პრაქტიკაში, არამედ აქ მოიაზრება საკითხების მთელი რიგი, როგორცაა: მუსლიმური სკოლების ფორმირება, ისლამური განათლების სისტემის ჩამოყალიბება, ადგილობრივი მუსლიმური ელიტის ფორმირება, მოსახლეობის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ცვლილებები, რომელმაც საუკუნეებით განსაზღვრა ჩრდილოეთ კავკასიის კულტურული განვითარების გზა.

VII-XV სს. დაღესტნის ისლამიზაციის პროცესებთან ერთად ხასიათდება ახლო აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის, პირველ რიგში კი, არაბული ენისა და არაბულ-მუსლიმური კულტურის, გავლენის მომძლავრებით. კულტურული ღირებულებები, რომლებიც ერთი სახელმწიფო რელიგიის მქონე ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში



არაბულ ენაზე იქმნებოდა, სწრაფადვე ვრცელდებოდა სახალიფოს სხვა ნაწილებში, რაც კულტურული კონტაქტების დამყარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

VIII ს-ის შუა ხანებისათვის არაბებმა მთელი ყურადღება დამპყრობლური პოლიტიკიდან სახელმწიფოს შიდა პრობლემებზე გადაიტანეს. სწორედ ამ დროისათვის სამწიგნობრო კულტურის განვითარებისათვის ხელსაყრელი პერიოდი დადგა. ახლო აღმოსავლეთის კულტურული ცხოვრების კერებს წარმოადგენდა ქალაქები, რომლებშიც თავს იყრიდნენ სწავლულები და პოეტები და ასევე მედრესეები (مدرسة) - უმაღლესი მუსლიმური სასულიერო სასწავლებლები, რომლებიც სახალიფოს აღმოსავლეთ ნაწილში უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე მის ცენტრალურ და დასავლეთ რეგიონებში. (როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ისინი პირველად მავრანაჰრსა და ხორასანში დაარსდა X ს-ში) (ბარტოლდი 1918: 6).

მას შემდეგ, რაც ბაღდადი (დაარსდა 762 წელს) სახალიფოს დედაქალაქი და მისი ადმინისტრაციული ცენტრი გახდა, ძალიან მალე სახალიფოს იდეოლოგიურ ცენტრად, კულტურულ კერად და ინტელექტუალური ცხოვრების საუკეთესო ნიმუშების შექმნის ადგილადაც გადაიქცა. იგი მწიგნობრობის ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი გახდა. სწორედ ბაღდადს უკავშირდება ჯერ კიდევ IX ს-ში წიგნთსაცავების ჩამოყალიბების ისტორია. X-XI სს-ში დაარსდა რამდენიმე დაწესებულება ე. წ. „მეცნიერების სახლი“ (مكتبات). XI ს-ის მეორე ნახევრიდან ისინი ჩაანაცვლა ბიბლიოთეკებმა, მეჩეთებმა და მედრესეებმა. ბაღდადში პირველი მედრესე აიგო 1064-1066 წლებში სელჩუკთა ვეზირის ნიზამ ალ-მულქის მიერ. რადგან ტრადიციულად მედრესეები დამაარსებლის სახელს ატარებდნენ, მას ნიზამია დაარქვეს. ბიბლიოთეკები ეწყობოდა ხოლმე სუფიურ მონასტრებსა და მავზოლეუმებში. ისინი წარმოადგენდნენ ბიბლიოთეკისა და მედრესეს, ან მედრესესა და მეჩეთის ერთიან კომპლექსს. ნიზამიაში, რომელიც შაფიიტურ მედრესეს წარმოადგენდა, აგრეთვე იყო უზარმაზარი ბიბლიოთეკა (შიხსაიდოვი 1997: 6-8).

ადრეკლასიკური პერიოდი (VIII-XIII სს.) იყო ადამიანური ცნობიერების სხვადასხვა სფეროს თავისუფალი განვითარების, არაბულენოვანი წიგნის მეშვეობით სულიერი ღირებულებების აქტიური საერთაშორისო გაცვლის, ცენტრალური აზიის დიდი სწავლულების მიერ ძლიერი შემოქმედებითი სულის გამოვლენის ეპოქა. ისლამის, როგორც იმ დროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების რელიგიურ-კულტურული კომპონენტის, ტრანსლაციის შედეგად არაბულ აღმოსავლეთსა და ე. წ. „აჯამის“ ქვეყნებში გავრცელდა

არაბული ენა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის „მეტა ენა“. ცენტრალურ აზიაში არაბული ენის აუცილებელი ცოდნა გახდა უმნიშვნელოვანესი მომენტი არაბული ენათმეცნიერების განვითარებისათვის. ამის შედეგად რეგიონში ჩამოყალიბდა სწავლულ-არაბისტთა მთელი თაობა. ბევრი მათგანი განათლებას იღებდა არაბულ ქვეყნებში: სირიაში, ერაყში, ჰიჯაზსა და სხვა კულტურულ ცენტრებში. ამის წყალობით, აღნიშნულ არეალში ადგილი ჰქონდა მუდმივ სამეცნიერო კონტაქტებს. ყველაზე ცნობილი სწავლულები იყვნენ მაჰმუდ აზ-ზამახშარი, იბნ ჰაიათი, აჰმად ალ-ბარკანი და სხვები. მუსლიმური სამყაროს სხვადასხვა რეგიონს შორის მჭიდრო კავშირები უზრუნველყოფდნენ კულტურული ღირებულებების სწრაფ გადატანას (ბარტოლდი 1918: 69-90).

ადრეკლასიკურ პერიოდში, ახლო აღმოსავლეთის ქალაქების როლი სულ უფრო იზრდება. მექას, მედინას, ქუფასა და ბასრას დაემატა აღმოსავლური რეგიონების ქალაქები მზარდი პრესტიჟითა და მუსლიმ სწავლულთა მნიშვნელოვანი კონტიგენტით. ასეთები იყო: ნიშაბური, ბალხი, შირაზი, ბაიხაკი, ბუხარა, მერვი, სამარყანდი, რეი, ჰამადანი, ჰომსი, ალეპო, იერუსალიმი და სხვები.

როგორც ირკვევა, დაღესტანში საგანმანათლებლო კულტურის კერები „მედრესეები“, ადრე შუა საუკუნეებშივე გაჩნდა და ყოველთვის არ იყო კონცენტრირებული დიდ ქალაქებზე. მედრესეები შეიქმნა, როგორც დერბენდსა და ყუბაჩიში, ასევე დაბის ტიპის მსხვილ დასახლება წახურში, რომელსაც უკავშირდება მედრესეების შესახებ ყველაზე ადრეული ცნობები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამხრეთი დაღესტანი განათლების კერების დაარსებისა და ფუნქციონირების პროცესში ადრიდანვე აქტიურად იყო ჩართული და ისლამური სამყაროს ბევრ სხვა რეგიონს წინ უსწრებდა ამ თვალსაზრისით (შიხსაიდოვი 1969: 221).

ზაქარია ყაზვინი წერდა: „წახური“ (رخن) არის დიდი და დასახლებული ქალაქი, რომელიც განჯიდან ექვს გადასასვლელზე მდებარეობს.... ამ ქალაქში არის „მედრესე“, რომელიც ვეზირმა ნიზამ ალ-მულქ ალ-ჰასან იბნ ისჰაკმა დააარსა (დმერთმა გაანათლოს მისი სული). მედრესეში არიან მასწავლებლები და ფაკიპები“..... (დორნი 1847: 537).

არსებობს ტოპონიმის رخن სხვაგვარი წაკითხვის მცდელობებიც, თუმცა, ა. გენკოს მოსაზრებით, رخن-ის ქვეშ უნდა ამოვიცნოთ სწორედ თანამედროვე წახური, რომელიც მდინარე სამურის ზემო წელში მდებარეობს, მთებში, რომელშიც ისმის კავკასიური ენებისათვის სპეციფიკური აფრიკატი ბგერა „წ“. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ თვითონ

ყაზვინის თხზულების ხელნაწერ ზოგიერთ ვარიანტში ეს ბგერა 2-თია გადმოცემული - ۲خ. წახურში აღმოჩენილ ერთ-ერთ წარწერაშიც, რომელიც 1433 წლით თარიღდება და წახურში არსებული ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის შეიარაღების შესახებ დეტალურ აღწერილობებს შეიცავს, „წახური“ გადმოცემულია ۲خ۲ ფორმით (ეს წარწერა თარგმნა და კომენტარებითურთ ორგზის გამოსცა ნ. ხანიკოვმა) (გენკო : 96).

ა. შიხსაიდოვის აზრით, მართალია, წერილობითი წყაროები XIV ს-მდე მხოლოდ სამი მედრესეს (დერბენდის, ყუბაჩისა და წახურის) შესახებ ცნობებით შემოიფარგლება, მაგრამ, სავარაუდოდ, მედრესეები სხვა მსხვილ დასახლებულ პუნქტებშიც იქნებოდა. შიხსაიდოვს სამაგალითოდ მოჰყავს ერთ-ერთი ქართული წყაროს ცნობა იმის თაობაზე, რომ თემურ ლენგმა ავარიელ ხალხს აუკრძალა არაბულ ენაზე სწავლა, რის საფუძველზეც ვარაუდობს, რომ აქ, მუსლიმურ მედრესეზე უნდა იყოს საუბარი, რომელიც არსებობდა ავარიის აულებში, და კერძოდ, ხუნძახში (შიხსაიდოვი 1969: 222).

XV ს-ში დერბენდში ჯუმ'ას მეჩეთთან 879/1474-5 აშენებულ იქნა მედრესეს დაწესებულება, რომელიც ყველაზე ძველია დაღესტანში დღემდე შემონახული მედრესეებიდან. ეს მოხდა შირვან-შაჰის ფარუხ იასარის მმართველობის ეპოქაში, როცა სამხრეთი დაღესტანი შირვანის მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა.

არსებული წერილობითი ცნობების საფუძველზე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სამხრეთ დაღესტნის ტერიტორიაზე XIII-XIV სს-ში ყალიბდება და წარმატებით ფუნქციონირებს მუსლიმური განათლების სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფდა განათლების გავრცელებას არა მარტო საკუთარ, არამედ აგრეთვე მეზობელ რეგიონებშიც. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა მოგვიანებითაც.

როგორც ვიცით, XII ს-თვის დაღესტანში, დერბენდში, საკმაო რაოდენობით სახლობდნენ არაბი მიგრანტები. მაგრამ ისლამური განათლების სიტემა გათვლილი იყო არა მატრო მათზე, არამედ აგრეთვე ახლადგამუსლიმემულ ადგილობრივ მოსახლეობაზეც. თუ როგორ მუშაობდა ეს სკოლები, და როგორი შედეგები ჰქონდათ მასში შეგვიძლია, ვიმსჯელოთ იმ ცნობებით, რომელსაც შუა საუკუნეების მუსლიმი ავტორები გვაწვდიან, რომ ლაქზის მცხოვრებნი იყვნენ არა მარტო კარგი მოსწავლეები, არამედ ძალიან ძალე მათ ისე აიმაღლეს საკუთარი ცოდნა, რომ თავად გახდნენ მასწავლებლები. თუ იბნ ბატუტას ცნობაც ვენდობით, რომ შაფიიტ მასწავლებელთა შორის ოქროს ურდოს დედაქალაქ ბაქი-სარაიში იყო „ფაკიჰი“ ღირსეული იმამი სადრადდინ სულეიმან ალ-ლაქზი, გამოდის, რომ

დაღესტნელი წარმოშობის მასწავლებლები XIV ს-ის ოქროს ურდოს მედრესეებში ასწავლიდნენ შაფიიტურ სამართალს, როგორც აღიარებული ავტორიტეტები (იარლიკაპოვი 2003: 6).

დაღესტნის მედრესეებში, უპირველეს ყოვლისა, ისწავლებოდა მუსლიმთა წმინდა წერილის ენა და მისი მეშვეობით ვრცელდებოდა ყურანის შესახებ ლიტერატურაც, რაც იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი და გამნმაპირობებელი იმისა, რომ ისლამი და ისლამური კულტურა (და მათთან ერთად არაბული ენაც) საკმაოდ ღრმად შევიდა დაღესტნის ხალხების ყოფასა და ფსიქოლოგიაში, მათ ტრადიციებსა და კულტურაში (აბდულაევა 2000: 17).

მართალია, მთავარი ადგილი ეთმობოდა რელიგიური მეცნიერებების შესწავლას, მაგრამ სხვა მიმართულებებითაც ინტერესდებოდნენ, კერძოდ, ენის, ისტორიის, გეოგრაფიისა და ფილოსოფიის მეცნიერებებით. ამ პროცესზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ნაწარმოები „მუთალიმის მოგონებები“ (გამოცემული და კომენტირებულია ა. ომაროვის მიერ). მასში აღწერილია სასწავლო პროგრამა მედრესეში: „არაბული ანბანის შესწავლის შემდეგ ასწავლიან რელიგიის ყველაზე მნიშვნელოვან წესებს, რომლებიც თავმოყრილია წიგნში „უსულ ად-დინ“. ამის შემდეგ იწყება „თაფსირების“ სახელმძღვანელოს შესწავლა. ეს არის არაბული გრამატიკის შემოკლებული კურსი, რომელიც მოიცავს ასევე ეტიმოლოგიას (სიტყვათწარმოებას). ამის კვალად ისწავლება სახელმძღვანელო „მიათუ ამილ“, რომელიც ხსნის სიტყვათა დაბოლოებების ცვლილებებს. შემდგომ იწყებენ საად ად-დინის წიგნზე მუშაობას, რომელიც წარმოადგენს „თაფსირებს“ - სახელმძღვანელოს განმარტებებს. შემდგომ მუშაობენ დინკუზისა და ვაფიას სახელმძღვანელოებზე, რომლებიც ასევე განმარტავენ სიტყვათწარმოების წესებს. ამის შემდეგ ისწავლება ჯამის საკმაოდ ვრცელტანიანი სახელმძღვანელო, რომელიც განმარტავს სიტყვის დაბოლოებათა ცვლილების წესებსა და სიტყვათა მნიშვნელობებს. ჯამის დასრულების შემდეგ რამდენინე სახელმძღვანელოს შეისწავლიან, რომელიც წარმოადგენს ლოგიკის შესავალს, კერძოდ, ეს არის „ისა-გუჯი“, „შამსია“ და „ფანარი“. ლოგიკის შემდგომ შეისწავლიან მაანის წიგნს, რომელიც არაბული ენის მჭევრმეტყველების საკითხებს სწავლობს. რიტორიკას მოსდევს რამდენიმე სახელმძღვანელო არაბული ლექსთწყობის საკითხებთან დაკავშირებით“... ამის შემდგომ მოგონებების ავტორი აგრძელებს სამართლის, ყურანის მეცნიერებების, მათემატიკისა და ფილოსოფიის სახელმძღვანელოების შესახებ საუბარს (ისაევი 2013: 4-5).

იმ ხელნაწერ ლიტერატურულ ძეგლთა შედგენილობა და შინაარსი, რომლებიც დაღესტანშია დაცული და რომლებიც აღმოსავლეთიდან ვრცელდებოდა, მოწმობს, რომ დაღესტნელები იცნობდნენ შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ბევრ ტრადიციულ ნაწარმოებს, როგორებიცაა: ყურანი, თაფსირები, ჰადისები, გრამატიკული ტრაქტატები, ლექსიკოგრაფიული შრომები, სახელმძღვანელოები მუსლიმური სამართლის, თეოლოგიის, ეთიკის, ფილოსოფიის, ისტორიის სფეროში. დაღესტანში შესრულებული აღმოსავლელ ავტორთა მხოლოდ თვალის გადავლევაც კი საკმარისია იმის მისახვედრად, თუ რაოდენ მდიდარია იგი შედგენილობის თვალსაზრისით და რაოდენ დიდია დაღესტნელ სწავლულთა ცოდნის დონე და ინტერესის სფერო, ასევე დაღესტანში წიგნიერი კულტურის გავრცელების არეალი (შიხსაიდოვი 1997: 15).

ადრე შუა საუკუნეების დერბენდის ინტელექტუალური სახე, მისი კულტურული და სამეცნიერო ცხოვრების დონე, მასში ჰადისებისა, ფიკჰის, სუფიური და ისტორიული ლიტერატურის მტკიცე ტრადიციები ასევე მოწმობენ ახლო აღმოსავლეთის დიდ ქალაქებთან დაღესტნის მჭიდრო კავშირს. „უკვე X-XI სს-თვის ქალაქი დერბენდი სახალიფოს სულიერ ცხოვრებაში აქტიურად მოქმედი ქალაქების ორბიტაზე მოიაზრებოდა. რაც შეეხება შემოქმედებით კონტაქტებს, იგი ყველაზე მჭიდრო სწორედ დერბენდთან იყო“ (ალიკბეროვი 1999: 6).

ცნობილი დაღესტნელი სწავლულის აბუ ბაქრ მუჰამედ ად-დერბენდის შემოქმედების გაცნობისას ასეთი კონტაქტები არაბულ სამეცნიერო სამყაროსთან საკმაოდ ნათლად იკვეთება. იგი სწავლობდა ქალაქ არდაბილში, რეიში, ყაზვინში, ნიშაპურში, ისპაჰანში, მექაში, მადინასა და ბაღდადში. მისი ნაშრომის ძირითადი წყაროები იყო მისი თანამედროვე ცნობილი შაფიიტების ნაწარმოებები. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მისი ნაწარმოების ძირითადი ნაწილი დაწერილია 1099-1101 წლებში მისი ბაღდადში ყოფნისას. მან ბაღდადის ფაკიჰის წოდებაც კი მიიღო იქ ცხოვრების პერიოდში (შიხსაიდოვი 1997: 16).

მუსლიმური აღმოსავლეთის ყველაზე პრესტიჟულ სკოლაში სწავლა ჰპოვებდა თავის ლოგიკურ გაგრძელებას - სწორედ იმ ნაწარმოებების ხელნაწერები ვრცელდებოდა დაღესტანში, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ნიჰამიასთან ან მის ცნობილ მასწავლებლებთან. ეს ნათლად აისახა დაღესტანში დაცულ ხელნაწერებზეც. ზოგი მათგანი სახალიფოს დედაქალაქსა და მის სასწავლო და სასულიერო ცენტრებში პირდაპირ

ორიგინალიდანაა გადაწერილი, რაც მოწმობს დადესტნელ სწავლულთა ყოფნას ბაღდადში, სახალიფოს კულტურულ ცენტრში. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ „მარკ ათ-თანბიკის“ ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია 1290-1291 წელს ბაღდადში „ნიზამიას“ - მედრესეში, ნაპოვნია მიშლემის დასახლებაში, წახურის მახლობლად. „ნიზამიასთანაა“ ასევე დაკავშირებული აბუ ისჰაკ ისმაილ აშ-შაფის სახელი, რომელიც 1066-1083 წლებში ასწავლიდა ამ დაწესებულებაში სამართლის თეორიასა და მეთოდოლოგიას („უსულ ალ-ფიკჰ“). „ას-სიჰაჰის“ უძველესი ნუსხებიც სწორედ ნიზამიაში უნდა იყოს გადაწერილი აბუ მანსურ მაუჰიბ ალ-ჯავალიკის უშუალო მონაწილეობით, რომლებიც ნიზამიაში ლექციებს კითხულობდა „ფილოლოგიურ მეცნიერებებში“. ცნობილი დადესტნელი სწავლულის იბრაჰიმ ალ-ხუნლიკი ად-დერბენდის ვაჟიც - ჰაკიმი ამავე ნიზამიაში სწავლობდა და მისი მასწავლებელი იყო შაფიიტური სკოლის ცნობილი მასწავლებელი ალ-ღაზალი (შიხსაიდოვი 1997: 25).

XIII ს-ის არაბ ავტორს ზაქარია ყაზვინის ზემოთ ნახსენებ წყაროში ისმის მნიშვნელოვანი ცნობები აღმოსავლეთის ქალაქებთან, და კერძოდ, ბაღდადთან დადესტნის კავშირის შესახებ: რომ დადესტანში, წახურში იყო ერთ-ერთი უძველესი, თუ არა ყველაზე ძველი მედრესე მთელ კავკასიაში, რომელში მოღვაწე მასწავლებლებმაც „თავიანთ ლეზგიურ ენაზე გადათარგმნეს „მუჰენის შემოკლებები“ და აგრეთვე იმამ შაფი'ის წიგნი და ასწავლიან ამით (ამ წიგნებით)“. ყაზვინის წყაროში ისმის ცნობა შაფიიტური მარჯაბის ორი ძალიან ცნობილი ეგვიპტელი მასწავლებლის ორი შაფიიტური ნაწარმოების წახურში თარგმნის შესახებ, რომელიც ადასტურებს იმას, რომ დადესტანი (და ქალაქი წახური) იყო ერთ-ერთი კულტურული კერა, რომელიც მუდმივად ინარჩუნებდა კავშირს მუსლიმურ კულტურულ სამყაროსთან და ადგილობრივ მოსახლეობაში პროპაგანდას უწევდა შაფიიტური სამართლის მოძღვრებებს, მის საუკეთესო წარმომადგენლებსა და წიგნებს (შიხსაიდოვი 1997: 6).

ყველა აღნიშნული ფაქტი მეტყველებს კულტურის სფეროში დადესტნელთა კონტაქტებზე სახალიფოს მსხვილ ცენტრებთან (ბაღდადი და ბუხარა) და იმაზე თუ რაოდენ დიდი იყო დადესტნის მცხოვრებთა მუსლიმური სამართლისა და სუფიური თხზულებების ცოდნა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ X-XIII სს. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის (დადესტნის) ისტორიაში ისტორიულ-კულტურული დიალოგის ძალიან მნიშვნელოვანი

ეტაპია. „არაბულ-მუსლიმური სამყაროს ცენტრალურ და პერიფერიულ რეგიონებს შორის კავშირი, რომელიც მომდევნო საუკუნეების მანძილზეც გაგრძელდა, მოწმობს, რომ ეს რეგიონის კულტურული განვითარებისა და შემდგომში (XVIII-XIX სს-ში) დაღესტანში ორიგინალური არაბულენოვანი ლიტერატურის ჩამოყალიბებისათვის მძლავრი ფაქტორი იყო“ (შინსაიდოვი 1997: 6). თავისი უმნიშვნელოვანესი როლი მთელ ამ პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის სკოლებმაც ითამაშა, რომლებიც ცოდნასა და წიგნის კულტურას თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

ასეთი სკოლების წყალობით X ს-დან დაღესტანში ჩამოყალიბებას იწყებს საზოგადოების ახალი სოციალური ფენა - მუსლიმური სასულიერო ელიტა. ისლამის იდეოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე ისინი მმართველთა წრის წარმომადგენლებიც იყვნენ, და რაც ყველაზე მთავარია, მათ გარშემო იქმნებოდა და ვითარდებოდა არაბულ-მუსლიმური კულტურა. X ს-ის დასაწყისიდან მოყოლებული მასში სჭარბობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსული სხვა ეთნოსის სწავლული-წარმომადგენლები, მაგრამ უკვე X ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ადგილობრივ სწავლულთა რიცხვი, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს საერთო მუსლიმური კულტურის განვითარებაში, სულ უფრო იზრდება. ამის მიზეზი იყო არა მარტო ისლამის გავრცელების ტემპები, არამედ აგრეთვე ისიც, რომ ინტენსიურად მიმდინარეობდა განათლების კერების მშენებლობა და საგანმანათლებლო პროცესების გაშლა. ადგილობრივი სწავლულები ასევე საზღვარგარეთაც მიდიან აღმოსავლეთის მსხვილ კულტურულ კერებზე თავიანთი განათლების გასაღრმავებლად. მონღოლთა შემდგომ პერიოდში სასულიერო ელიტის წარმომადგენელთა პოზიციები დაღესტანში მნიშვნელოვნად გამყარდა. შეიძლება ითქვას, რომ შემდგომში სწორედ ამ სწავლულებმა დაუდეს საფუძველი დაღესტანში არაბულენოვანი ლიტერატურის „რენესანსის“ (XVIII-XIX სს.) ეპოქას.

#### **2.4. არაბული ენის გავლენის მომძლავრება VII-XIV სს-ის დაღესტანში და არაბულენოვანი ორიგინალური მწერლობის ტრადიციის ჩამოყალიბება**

მუსლიმური სამყაროს სხვადასხვა რეგიონთან დაღესტნის ხალხების პოლიტიკურმა, სავაჭრო-ეკონომიკურმა და იდეოლოგიურმა კავშირებმა, კერძოდ კი, რეგიონში არაბული ენისა და არაბული ლიტერატურის გავრცელებამ, გავლენა იქონია ადგილობრივი კულტურის განვითარებაზე, რასაც, თავის მხრივ, უკავშირდება დაღესტნის ხალხთა ორიგინალური მწერლობის ტრადიციის ფორმირებაც. ამ საქმეში უზარმაზარი როლი

შეასრულა ისლამმა. მან შეამზადა საფუძველი არაბული სამწიგნობრო კულტურის გავრცელებისათვის ფართო არეალზე, რომელიც გასცდა არაბთა პოლიტიკური ძალაუფლების საზღვრებს.

როდესაც ნ. კონრადი ლიტერატურულ კონტაქტებსა და ასეთი კონტაქტების შესაძლო ფორმებზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიტერატურათა ურთიერთგავლენის მაგალითზე საუბრობს, როგორც ერთი ქვეყნის ლიტერატურის გავრცელებაზე სხვა სამყაროში, წერს: „კულტურის განვითარებისა და ერთა შორის სამეცნიერო და კულტურული გაცვლის ადრეულ ეტაპებზე ამა თუ იმ ენაზე შექმნილი ნაწარმოებები წარმოადგენენ ნაციონალური ლიტერატურის დაბადების პირველ წერილობით ფორმებს“. დადესტანში ასეთი როლი არაბულმა ლიტერატურამ და არაბულმა ენამ ითამაშა.

არაბული ენის როლი დიდია სახალიფოს მიერ დაპყრობილი ქვეყნების ისტორიაში. ადგილობრივი სამწერლობო ენების ტრადიციებს ჩაანაცვლებდა ხოლმე არაბული ენა და დამწერლობა, რომელიც საბოლოოდ მთელი მუსლიმური სამყაროსათვის საერთო სახელმწიფო ენა გახდა.

IX ს-ის ბოლოსათვის სახალიფოს აღმოსავლეთ პროვინციებში ყალიბდება ირანული კულტურული და ნაციონალური აღორძინების კერები. სპარსული ენა აქ აძევებს არაბულ ენას ჯერ ლიტერატურიდან და პოეზიიდან, ხოლო შემდეგ ზოგიერთი ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან (ისტორია, გეოგრაფია), მაგრამ არაბული ენა ინარჩუნებს მნიშვნელობას, როგორც ყურანისა და რელიგიურ-კანონიკური და ზოგი მეცნიერების (მედიცინა, მათემატიკა, ასტრონომია, ქიმია) და ასევე ფილოსოფიის ენა (შიხსაიდოვი et al 2001: 17).

X-XV სს., როგორც შუა საუკუნეების კონკრეტული ეტაპი, არაბული, სპარსული, თურქული და კავკასიური კულტურების ფუნქციონირებისა და მათი განახლებული ლიტერატურის აყვავების პერიოდია. აქ არაბული ლიტერატურა იმ ბევრი სხვა ერისათვისაც, რომლებიც ამავე კულტურულ წრეში მეზობლად ვითარდებოდნენ, მათი ლიტერატურების წამყვანისა და თავის ლიტერატურულ პროცესში ჩამთრევის როლში გამოდიოდა (მაგომედოვა 2012: 2). ამ პერიოდში არაბული ლიტერატურა კავკასიისა და დადესტანის ხალხების კულტურულ ცხოვრებაზე გავლენას ახდენდა, როგორც ამ რეგიონის კულტურის განვითარების წყარო, ხოლო საკუთრივ არაბული ენის დაუფლება, იყო მთის ხალხების სულიერი მოთხოვნების გამოხატულება, რომელთაც სურდათ მსოფლიო ცივილიზაციის მიღება და დაუფლება (შიხსაიდოვი 1997: 15).



არაბული კულტურისა და არაბული ენის პირველი ტალღა კავკასიის რეგიონზე ადრეული მუსლიმური დაპყრობების შედეგად გავრცელდა. ქრონოლოგიურად არაბული ენა დაღესტანში VII ს-ში ვრცელდება, ხოლო არაბული დამწერლობა VIII-IX სს-ში, ადრე აზასელთა პერიოდში. საწყის ეტაპზე ეს პროცესი არაბებით დასახლებული დერბენდითა და მისი შემოგარენით შემოისაზღვრებოდა, მაგრამ, როგორც დაღესტნელი მეცნიერი ა. ალიკბეროვი შენიშნავს, შესაძლოა, ეს პროცესი ცოტა უფრო ადრეც, დერბენდის სანახებში არაბული მოსახლეობის გამოჩენისა და მასლამას მიერ კვარტლის მეჩეთების აგების (733 წ.) პერიოდში, დაწყებულიყო (ალიკბეროვი 2009: 2). მაგრამ ადგილობრივმა ტრადიციამ დაღესტანში არაბულის გავლენის გავრცელების შესახებ ადრეული ცნობები არ შემოინახა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ პროცესს დაბეჯითებით უკავშირებს გაცილებით გვიან პერიოდს (XVII ს-ის დასასრულს). VIII-IX სს-ში არაბულ ენაზე შესრულებული რაიმე სახის ლიტერატურა შემორჩენილი არ არის. ამ პერიოდის წიგნების კოლექციების დაკარგვა დაღესტანში განვითარებულ შიდა პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება. კერძოდ, კი არაბებმა მძიმე ბრძოლები გადაიტანეს ხაზარებთან, ადგილობრივი მმართველების მხარდამჭერ მეზრძოლ ძალასთან. როგორც ჩანს, ამ დროს განადგურდა არსებული არაბულენოვანი ლიტერატურაც. თუმცა, ამ სიცარიელეს შეიძლება, ავსებდეს ის ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება დაღესტნის სამწიგნობრო კულტურის საფუძვლებს. ქუფურით შესრულებული წარწერები მოწმობენ დაღესტანში არაბული დამწერლობის გავრცელებას უკვე IX-X სს-ში (მაგომედოვა 2012: 2).

აკად. ე. კრაჩკოვსკი დაღესტანში (და მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაში) ადგილობრივი ორიგინალური ლიტერატურის შექმნის ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ წერდა: „კავკასიაში ჩვენ არაბულის გავლენის ორ ტალღაზე შეიძლება ვისაუბროთ. პირველი თან სდევდა არაბულ დაპყრობებს და არც ისე ღრმად არ მოუცავს ადგილობრივი კავკასიის მოსახლეობა, ხოლო მეორემ, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა და მძლავრდებოდა, XVI ს-თვის თან მოიტანა დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ადგილობრივი ორიგინალური არაბულენოვანი ლიტერატურა“ (კრაჩკოვსკი 1960: 204).

ევროპელი და რუსი მეცნიერები, მართალია, ადრევე მიუთითებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ადგილობრივი მწერლობის ტრადიციის ფორმირებისა და რეგიონზე არაბული კულტურისა და დამწერლობის გავლენის ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVII ს-მდე გაცილებით

ადრე, თუმცა, სათანადოდ ვერ ასაბუთებდნენ (შიხსაიდოვი 1969: 129). ერთ-ერთ ასეთ ფაქტს წარმოადგენს ზაქარია ყაზვინის ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ხსენებული XIII ს-ის ცნობა, რომელმაც თავის დროზე მეცნიერთა წინაშე კავკასიურ-არაბული კულტურული კერის ტერიტორიული და ქრონოლოგიური საზღვრებისა და განვითარების პირობების დადგენის რთული ისტორიული პრობლემა დააყენა.

ზაქარია ყაზვინი ასახელებს არაბულ ნაწარმოებებს: „იმამ შაფი'ის წიგნსა“ (كتاب الامام شافى) და „მუზენიას შემოკლებებს“ (موسمى مختصر), რომლებიც ითარგმნა ლეზგიურ ენაზე. პირველი წიგნი იმამ შაფი'ის მიერ იყო დაწერილი ქრისტეშობით 820 წელს და მის მიერვე შემუშავებულ ისლამის დოგმატიკის საკითხებს ეხება, ხოლო მეორე იყო შაფიიტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელო მუჰამადის სამართლის შესახებ, რომლის ავტორიც, სახელად ისმაილი (ისმაილ იბნ იაჰია ალ-მუზანი იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურა შაფიიტების სკოლის კლასიკოსთა შორის) ჰიჯრით 264 (/878 ქრ-ით) წელს გარდაიცვალა. ეს უკანასკნელი უნდა იყოს ე. წ. „ისმაილის ყურანი“, რომლის შესახებაც საუბრობენ რეინეგსი და კავკასიის სხვა ეთნოგრაფებიც, როგორც ძველ არაბულ სამართლის კოდექსზე, რომელსაც ლეზგები სამართალთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად მიმართავდნენ (გენკო 1941: 21).

რეინეგსის ცნობით ამ ნაწარმოებებით ხელმძღვანელობდნენ ლეზგები დაღესტნის შემდეგ დასახლებებში: **ერპელიში, ყარაბუდახკენტში, გუბდენში**. (ეს დასახლებები დაღესტნის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში მდებარეობს. პირველი ორი ყუმუხებითაა დასახლებული, ხოლო მესამე - დარგუელებით) (რეინეგსი 1796: 84). მეცნიერ ა. გენკოს განმარტებით „რეინგერსის ეს ცნობა ერთგვარად წინააღმდეგობაში მოვიდოდა ფრენის ცნობასთან, რომ არა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი ტერმინების - ლეზგი და დაღესტნელი - აღრევისა, რომელიც შენიშნული ფაქტია შესაბამის სამეცნიერო ლირერატურაში. ამასთან, არაბი კოსმოგრაფის ზაქარია ყაზვინის გეოგრაფიული თხზულება „სამყაროს ღირსშესანიშნაობები“, რომელიც 1275 წელს დაიწერა, კლასიკურ არაბულ გეოგრაფიულ და ისტორიულ ლიტერატურაში ყველაზე ავტორიტეტულად ითვლება. ამ ნაშრომში ლეზგინებად (كلكل) იწოდებიან დაღესტნის სამხრეთით მცხოვრები ტომები, რომლებიც სახლობენ მდინარე სამურის აუზსა და მისგან სამხრეთით კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ გაშლილ ზეგანზე, ვიდრე მდინარე ატაჩაიმდე“ (გენკო 1941: 96).

ზაქარია ყაზვინის ცნობამ (და ასევე აღმოჩენილმა ეპიგრაფიკულმა მასალამ) მეცნიერებს საშუალება მისცა XIII ს-ის წახურში საგანმანათლებლო დაწესებულებისა და არაბული ენისა და დამწერლობის არსებობის ფაქტები უეჭველად მიეჩნიათ, რამაც ცხადი გახადა დაღესტნის სამხრეთ რეგიონზე არაბული ენის გავლენის ფაქტი და გააქარწყლა შეხედულება დაღესტანში მისი (არაბულის გავლენის) გაცილებით გვიან გავრცელების თაობაზე.

მოგვიანებით ცნობილი გახდა ასევე აშტის დასახლებასთან დაკავშირებული (ქვემო დახადაევსკის რაიონი) ძალზედ მნიშვნელოვანი წერილობითი ცნობა იმის შესახებ, რომ ამ დასახლებაში, ჰაჯი მუჰამად-ყადის მედრესეში, ვინმე მუჰამად ბენ უმარმა 624/1227 წელს გადაწერა თხზულება „მა'ამილ ათ-თანზილ“ (შიხსაიდოვი 2003: 2).

დაღესტნელი მკვლევრები (გ. გაზმატოვი, ა. შიხსაიდოვი, მ. მაგომედოვა, ი. რაჯაბოვა, მ. საიდოვი და სხვები) არაბული ენის გავლენის მომძლავრების ე. წ. „მეორე ტალღისა“ და ორიგინალური არაბულენოვანი ლიტერატურის შექმნის ქრონოლოგიურ ჩარჩოს გაცილებით აფართოვებენ და მის საწყის პერიოდად X ს-ს მიიჩნევენ, ხოლო VII-XIV სს-ს დაღესტანში ორიგინალური არაბულენოვანი სამწერლობო კულტურის ფორმირების ცალკე, საწყის, ეტაპად გამოყოფენ. ამ პერიოდში დაღესტნის ლიტერატურა არსებობდა მხოლოდ არაბულენოვან ჩარჩოში. ის წარმოადგენდა საკუთრივ არაბული ლიტერატურული ტრადიციისა და ადგილობრივ ხელოვანთა მიერ შემუშავებული შემოქმედებითი პრინციპების ერთგვარ ნაზავს. არაბულენოვანი საკუთრივ დაღესტნური, ძირითადად, ისტორიული და სუფიური შინაარსის ლიტერატურა X-XI სს-თვის იწყებს ჩამოყალიბებას (რაჯაბოვა 2005: 17).

XI-XV სს-ში დაღესტნის რეგიონში არაბული ენის მნიშვნელობის მნიშვნელოვნად გაზრდას, მოწმობს დერბენდში, თაბასარანში, ახტახში, რუთულიში, წუდახში, ყუმუხსა და ხუნზახში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული მასალებიც.

X-XV სს-ის მანძილზე დაღესტანში ვხვდებით არაბული ენისა და არაბულენოვანი ლიტერატურული ტრადიციის ფორმირების განმაპირობებელ ერთმანეთთან დაკავშირებულ სამ მომენტს. ესენია: არაბული ლიტერატურული ნაწარმოებების გავრცელება დაღესტანში, არაბული ხელნაწერი პროდუქციის გადაწერის საქმის ორგანიზაცია და ორიგინალური, საკუთრივ დაღესტნური, არაბულენოვანი ნაწარმოებების გაჩენა.

დაღესტანში არაბული სამწიგნობრო კულტურის გავრცელება სტიმულს აძლევდა სასწავლო დაწესებულებების (მექთებესა და მედრესეს) მშენებლობას და მასში ყურანის ენისა და ყურანის ლიტერატურის, ასევე შუა საუკუნეების აღმოსავლური მწერლობისათვის ტრადიციული სხვა დისციპლინების: ფილოლოგიის, გრამატიკული ტრაქტატების, ლექსიკოგრაფიის, ფილოსოფიის, სამართლის შესწავლას.

არაბულენოვანი სამეცნიერო-ლინგვისტური და სასწავლო-სახელმძღვანელო ლიტერატურა, რომელიც გამოირჩეოდა ლაკონურობით, სტილის თანმიმდევრულობითა და მეთოდის თავისებურებებით აღმოსავლეთის სამეცნიერო სახლებში იქმნებოდა არაბული ენის გრამატიკისა და მისი ლექსიკის ინტენსიური ათვისების მიზნით, რის გამოც ისეთი პოპულარობა მოიპოვეს, რომ რამდენიმე საუკუნის მანძილზე მახლობელი აღმოსავლეთის მედრესეებში მათ იყენებდნენ, როგორც ძირითად სახელმძღვანელოებს (ბარტოლდი 1918: 10). დაღესტანში ასეთი ლიტერატურის გავრცელების დამადასტურებელი „კონკრეტული მასალა VII-X სს-თვის არ გვაქვს, მაგრამ ამაზე მეტყველებენ XI-XV სს-ის მონაცემები (შიხსაიდოვი 1969: 122).

აღმოსავლეთმცოდნეთა არქეოგრაფიულმა საქმიანობამ დაღესტანის რაიონებში გამოავლინა საკმაოდ დიდი რაოდენობით ძველი ხელნაწერი ლიტერატურა, რომლებიც დაღესტანში ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან მოხვდა. მათ შორისაა: ქუფურით შესრულებული ყურანი (აღმოაჩინეს ჯიბახნიში, ხაიდაყის რაიონში) თარიღდება XII-XIII სს-ით; აბუ ნასრ ისმაილ იბნ ჰამმად ალ-ჯავჰარის (გარდ. 1003 წელს) არაბული ენის ლექსიკონის „ას-სიჰაჰი“ ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია ბაღდადში 510/1118 წლებში; შუა საუკუნეების ყველაზე ცნობილი მაკამების ავტორის აბუ მუჰამად ალ-კასიმ ალ-ჰარირის (1054-1122) მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია 568/1173 წელს; აბუ ჰამიდ ალ-ღაზალის (გარდ. 1111 წ.) სუფიზმის შესახებ მოძღვრების „იაჰია ალ-ულუმ ად-დინ“ („რწმენის შესახებ მეცნიერებათა გაცოცხლება“) ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია 589/1191 წელს; ალ-ღაზალის იურიდიული ტრაქტატი „ალ-ვაჯიზი“ („შემოკლებული“), გადაწერილი 709/1310 წწ-ში. როგორც ხელნაწერიდანვე ირკვევა, ხელნაწერი დაღესტანში ჩამოიტანეს და გადასცეს ადგილობრივი დასახლების მუხის (მუგის) მმართველს, რათა დასახლების მართვისას მისით ეხელმძღვანელა, შაფიიტთა სკოლის ცნობილი ფაკიჰის აბუ ისჰაკ აშ-შირაზის (გარდ. 1027 წელს) პოპულარული თხზულების კომენტარების „შარჰ ათ-თანბიჰ

ფი-ლ-ფიკვ“ ორი ხელნაწერი. პირველის გადამწერია ჰასან იბნ ალ-ჰაზილი, რომელიც შესრულებულია ბაღდადში 694/1295 წელს, ხოლო მეორე გადაუწერია აბუ-ლ-აჰმად ალ-მაუსილის 690/1291 წელს; ცნობილი ფილოლოგისა და ლიტერატორის მაჰმუდ იბნ უმარ აზ-ზამახშარის (არაბული, სპარსული და თურქული ენების) შედარებითი ლექსიკოლოგიის მიმართულების ნაშრომი „მუკადდამათ ალ-ადაბ“, რომელიც გადაწერილია 731/1330 წელს ხვარაზმში; 871/1466 წლებში გადაწერილი ზამახშარის გრამატიკული შინაარსის თხზულება ალ-მუფასსალი; მუსლიმური სამართლის სფეროდან ჯამალ ად-დინ ალ-არდაბილის (გარდ. 799/1396-97 წწ.) უმსხვილესი ძეგლის „ალ-ანვარ“ ხელნაწერები: მუჰამად ალ-ისფარაინის მიერ გადაწერილი 808/1405 წელს, ზაინადდინ ალ-ბირბუნის მიერ გადაწერილი 856/1452 წელს, უცნობი გადამწერის მიერ შესრულებული ორი ხელნაწერი, რომლებიც დათარიღებულია 888/1483 და 890/1485 წწ-ით და სხვა.

დაღესტნის აღმოსავლური წარმომავლობის არაბულენოვანი ხელნაწერი ძეგლების შესწავლამ აჩვენა, რომ ისინი დაღესტანში, როგორც წესი, ხვდებოდნენ XV ს-მდე, ხოლო XVI ს-ის შემდომ პერიოდში - ძალზედ იშვიათად. მხოლოდ რამდენიმე ერთეული წიგნის დასახელება შეიძლება, რომლებიც XVI-XX სს-ის მანძილზე მოხვდა დაღესტნის ტერიტორიაზე. რაც ასევე დაღესტნის აღმოსავლეთთან სამწიგნობრო კულტურის სფეროში ურთიერთობის ისტორიაში XI-XV სს-ის ცალკე ეტაპად გამოყოფის საშუალებას იძლევა (მაგომედოვა 2012: 22). დაღესტანში გავრცელებული ხელნაწერი ძეგლების თემატიკა კი მოწმობს, რომ ადგილობრივი ინტელექტუალური ელიტა იცნობდა მუსლიმური სამყაროსათვის ტრადიციულ ძირითად ნაწარმოებებს.

ეს სახელმძღვანელოები არა მარტო შემოდიოდა დაღესტნის ტერიტორიაზე, არამედ მუშაობდა მთელი სტრუქტურა ადგილობრივი გადამწერებისა, რომლებიც ინტენსიურად გადაწერდნენ და ავრცელებდნენ ამ ნაწარმოებებს (ხელნაწერთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ XV საუკუნეშია გადაწერილი და, ძირითადად, მუგის (აკუშას რაიონი), შირინის (თანამედროვე შირი, ქვემო დახადაევსკი), ღაზი-ღუმუქის დასახლებებშია შესრულებული.

თეორიულ დონეზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ნაწარმოებების გადაწერა ქრონოლოგიურად თანხვედბა ყველაზე ადრეული ხელნაწერების შემოსვლას, მაგრამ ფაქტებით ამ მოსაზრების დადასტურება შესაძლებელია, მხოლოდ XII ს-ითა და შემდგომი პერიოდით დათარიღებული მასალის საფუძველზე. დაღესტანში ასეთი ხელნაწერების რიცხვი ძალზედ დიდია, რაც ერთა შორის კულტურული დიალოგის შედეგია და რაც

მთავარია, მოწმობს ადგილობრივი სამწერლობო-სამწიგნობრო კულტურის გაჩენას და არის დასტური იმისა, რომ არაბული დამწერლობა და არაბული ენა აქ ფართოდ იყო გავრცელებული და არა მარტო მმართველი ელიტის წევრებს შორის (შიხსაიდოვი 1997: 15).

ამავე პერიოდში (X-XV სს-ში) არაბულ ენასა და კულტურასთან კონტაქტში შეინიშნება მასალის ორი გზით გათავისება: ზეპირი თარგმანისა და წერილობითი თარგმანის გზით. ზეპირი თარგმანის პრაქტიკა დაფიქსირებულია დერბენდში. ამ ცნობას გვაწვდის ცნობილი არაბი მოგზაური და სწავლული აბუ ჰამიდ ალ-ღარნატი (გარდ. 1170 წელს), როცა საუბრობს დერბენდის მეჯლისებზე წაკითხვა-ბაასის ტრადიციის შესახებ, სადაც დერბენდის ემირი პოლიგლოტი ცნობილი არაბი ავტორის აბუ-ლ-ჰასან აჰმად ალ-მაჰამილის იმ დროისათვის პოპულარული შაფიიტური ტრაქტატის „ქითაბ ალ-მუკნის“. ტექსტს განმარტავდა თითქმის ყველა ძირითად დაღესტურ ენაზე და ამასთანავე ალანურ, არაბულ, თურქულ და სპარსულ ენებზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლიტერატურასთან გაცნობის მსგავსი პრაქტიკა შესაძლოა გავრცელებული ყოფილიყო სხვა ადგილებშიც, რამეთუ XI ს-ის ბოლოსა და XII ს-ის დასაწყისისათვის დერბენდში სუფიური მეჯლისები, რომლებშიც გაიშალა სასწავლო საქმიანობა, მეჩეთები, მედრესეები ან ხანაკა დიდი რაოდენობით გვხვდება (შიხსაიდოვი 2003: 2). ხოლო XV ს-თვის დაღესტანში ასეთი დაწესებულებები არსებობდა დერბენდში, გუბდენში, კალა-ყორეიშში, კარაკიურეში, რუთულიში, ფიტიში, რიჩაში, ბურშაგიში, თათილში, ხნოვში, ხივში, დარვაგიში, ახტიში, ყუმუხში, აშტიში, ხუდუწში, არკასიში, ყუბაჩიში, ტპიგში, მაჩადაში, ხუნზახში და სხვაგან. არსებობს ზაქარია ყაზვინის კიდევ ერთი ცნობა: „რკინის კარიბჭესთან და თითქმის ყველა ციხესთან მდებარეობს მეჩეთები იმათთვის, ვინც ახლომახლო სახლობს და იმათთვისაც, ვინც დაკავებულია რელიგიური მეცნიერებებით“ (შიხსაიდოვი 1997: 168).

მუსლიმური აღმოსავლეთის სამეცნიერო-ლიტერატურული ტრადიციებისა და სამწერწერლობო კულტურის ძეგლთა შეთვისების ორმხრივი პროცესი, რომელიც ორიგინალის ენაზე და ასევე ადგილობრივ ენებზე თარგმანის მეშვეობით (წერილობითი და ზეპირი გზით) მიმდინარეობდა ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტია, რომელიც წინ უძღოდა ადგილობრივი ორიგინალური ტექსტებისა და ადგილობრივი ისტორიოგრაფიული თხზულებების გაჩენას და მთლიანად გასდევდა ამ პერიოდის ისტორიულ-კულტურულ პროცესებს.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის რეგიონზე არაბული ენის ახალი ტალღის გავრცელებისა და მასში არაბული ენის მოქმედების არეალის გაფართოვების ახალი ეტაპი დაკავშირებულია რამდენიმე მომენტთან, მათ შორის ყველაზე მეტად ახალი ორიგინალური დაღესტნური ლიტერატურის შექმნასთან (შიხსაიდოვი 1997: 15). მათი პირველი ნიმუშები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შეიძლება, X ს-ს მივაკუთვნოთ. დაღესტნური სამწერლობო ლიტერატურის წარმოშობას ბიძგი მისცა და მისი შემდგომი განვითარებისათვის ერთგვარი ბაზა გახდა ახლო და ცენტრალური აღმოსავლეთის ხალხების წერილობითი ლიტერატურა. მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა მიერ არაბულ ენაზე შესრულებული კულტურული ღირებულებების გათავისება დაღესტნელ ხალხს საკუთარი, ორიგინალური შემოქმედების შექმნის სურვილს უღვიძებდა. როგორც დაღესტნელი მკვლევარი შიხსაიდოვი აღნიშნავს: „ჯერ კიდევ არ გვაქვს დაღესტნის არაბულენოვანი ლიტერატურის თემატური მარავალფეროვნების თვალსაზრისით შეფასების სრული სურათი, თუმცა ფაქტია, რომ ისტორიული და სუფიური ტრაქტატები, იმავდროულად, შუა საუკუნეების სამწერლობო-სამწიგნობრო კულტურის ჩვენს დრომდე მოღწეული ნარატიული ძეგლების პირველი ნიმუშებია“ (შიხსაიდოვი 2003: 2).

ისტორიოგრაფიული ლიტერატურის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი დაღესტანში, ი. რ. სახალიფოს სხვა ტერიტორიებზეც, არაბთა ძლიერი გავლენით ხასიათდება, რაც დაღესტანში VIII-X სს-ში საკმაოდ დიდი რაოდენობით არაბული მოსახლეობის არსებობას უკავშირდება. „ჯერჯერობით, არ არის შესაძლებელი დაღესტანში ისტორიული ცოდნის ფიქსაციის ზუსტი საზღვრების დადგენა, მაგრამ მის შექმნასა და ასევე იმ ნახევრად ლეგენდარული ისტორიული სიუჟეტების შენახვაში, რომლებიც დაღესტნის ცხოვრების ისლამამდელ და ისლამიზაციის ისტორიულ პერიოდებს შეეხება, დაღესტნის არაბული მოსახლეობის როლი უდავოა“ (შიხსაიდოვი 1997: 15).

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიული შინაარსის ლიტერატურის წერილობითი ძეგლების გაცნობამ ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა. X ს-დან მოყოლებული იქმნება ვიწრო ლოკალური ხასიათის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. აქ იგულისხმება შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი რეგიონების ისტორიული ქრონიკები, რაც ამ (ისტორიოგრაფიის) ჟანრის კერძო სახეს - მცირე ფორმის ისტორიოგრაფიას - წარმოადგენს. ასეთებია: „აბუ მუსლიმის ისტორია“ (X ს.); „ახტი-ნამე“ (X ს.), „კურკლის აულის ქრონიკა“ , „შირვანისა და დერბენდის ისტორია“, რომელიც ანონიმი ავტორის მიერ XII ს-ის დასაწყისში დერბენდში

შეიქმნა და რომლის წერა დასრულდა 1106 წელს. ეს არის ფუნდამენტური ისტორიული თხზულება, უმნიშვნელოვანესი წყარო შუა საუკუნეების აღმოსავლეთ კავკასიის (დაღესტნის) ისტორიისათვის, რომელიც VIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან 1075 წლამდე საომარი და პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ბევრ ასპექტს ასახავს; ქრონოლოგიური თვალსაზრისით მას მოჰყვება ორი მსხვილი ისტორიული ქრონიკა - „დაღესტნის ისტორია“ (XIV ს.) და „მუჰამედ ხინალუკის ქრონიკა“ (XV ს.), „დაღესტნის ისტორია“ (XIV ს.) (მუჰამედ რაფის მიერაა შედგენილი და მოგვითხრობს X-XIV სს-ის მოვლენების შესახებ), „დერბენდ-ნამე“ (ისტორიული ქრონიკა მუჰამედ ავაბ აკტაშის მიერ XVII საუკუნეშია შედგენილი, მაგრამ იგი X-XI სს-ის ჩანაწერებისა და გადმოცემების კრებულს წარმოადგენს), პარალელურად იქმნებოდა მცირე ქრონიკები, ცალკეული აულის შესახებ: წახურის ისტორია (XIII ს.); „ხარახაიდაყის ისტორია“ (XV ს-ის ბოლოსა და XVI ს.); „კურკლის აულის ისტორია“ (XV ს.). „მუჰამედ ხინალუგელის ქრონიკა“, რომელიც მოგვითხრობს თემურ ლენგის საომარი და ადმინისტრაციული საქმიანობის, მისი შირვანისა და დერბენდის მმართველებთან ურთიერთობის, შირვანსა და დაღესტანს შორის პოლიტიკური, დიპლომატიური და XIV ს-ში მათს დინასტიებს შორის ურთიერთობების შესახებ. ეს ქრონიკა დაიწერა 1456 წელს (შიხსაიდოვი 2003: 8-10), (მაგომედოვა 2012: 2-6). ზოგიერთი მცირე ქრონიკა ჩვენამდე უფრო გვიანი პერიოდის ხელნაწერის სახითაა მოღწეული.

როგორც ხ. გიბი აღნიშნავდა: „უკვე IX ს-დან სახალიფოს სხვადასხვა პროვინციული რეგიონის სწავლულები იწყებენ ადგილობრივი ისტორიული გადმოცემების შეგროვებასა და ლოკალური ისტორიული ქრონიკების შედგენას. ამ დროისათვის რეგიონალური ისტორიული ქრონიკების ჟანრი განსაკუთრებით პოპულარული ხდება. ძალიან რთულია საერთო და პროვინციულ ისტორიოგრაფიას შორის მკვეთრი ზღვრის გავლება“ (შიხსაიდოვი 1997: 5).

ისტორიოგრაფიული ჟანრის ერთ-ერთი ზემოთ ხსენებული ნიმუში „შირვანისა და დერბენდის ისტორია“ მრავალთავიანი, რთული შედგენილობის ნაწარმოებია (ამ ნაწარმოების პირველ მეცნიერულ გამოცემას თარგმანითა და კომენტარებით სამეცნიერო სამყარო უმაღლის ვ. მინორსკის), რომლის დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ წყაროს შედგენისას ადგილობრივი, დაღესტნის მასალები (ისტორიული ქრონიკები) წამყვან ადგილს იჭერენ. ნაწარმოების ისტორიის სისავსე, მასში ზუსტი მონაცემები,



სტრუქტურული სრულყოფა, რომელსაც ავტორი იყენებს, მეცნიერებს ავარაუდებინებს, რომ ისტორიოგრაფიის სფეროში ამ დროისათვის უკვე არსებობდა ისტორიული ასახვის გარკვეული ტრადიცია .

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის შესწავლამ აჩვენა, რომ სამწერლობო და წიგნიერი კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესები იმავდროულად მონუმენტური მწერლობის სფეროშიც აღწევდა და აისახებოდა და სამწერლობო კულტურის განვითარების, ერთგვარად, მთლიან პროცესს წარმოადგენდა. ეპიგრაფიკული კულტურის ძეგლები, როგორც დაღესტნის ხალხთა სამწერლობო კულტურული მემკვიდრეობა, ვითარდებოდა, როგორც დაღესტნის ისტორიული ჟანრის ლიტერატურის უშუალო ნაწილი. სავარაუდოა, რომ ლაპიდარული ტექსტები (განსაკუთრებით ეპიტაფიის ჟანრი) და ისტორიული ჩანაწერები, ქრონოგრაფები ან კიდევ ისტორიული თხზულებები დაღესტანში ერთმანეთის პარალელურად ვითარდებოდა, იმდენად, რამდენადაც ორივე შემთხვევაში მათი განვითარების წარმართველ ფაქტორებს წარმოადგენდა: არაბული ენის საკმაოდ ფართო გავრცელება; ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში ფართოდ ცნობილი ლიტერატურის ძირითად ძეგლთა გაცნობა და ადგილობრივ მკითხველთა წრის გაჩენა. ამ თვალსაზრისით ეპიგრაფიკული მასალების დიდ მასაში, რომელიც მეტად მრავალფეროვანია შინაარსის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ე. წ. წარწერა-ქრონიკები, როგორც ისტორიული თხრობის ორიგინალური ჟანრი (სოფელ რიჩაში ნაპოვნია წარწერები, რომლებზეც ასახულია მონღოლთა ჯარების შემოსვლა რიჩასა და მის მეზობელ დასახლებებში; 1356 წლით დათარიღებული წარწერა კარახის დასახლების საზღვართან; წარწერა, რომელიც ცნობას გვაწვდის წახურის მცხოვრებთა მიერ წარმოებული ბრძოლების შესახებ ყარა-ყოიუნლისა და რუთულის ხალხთა გაერთიანებული ძალის წინააღმდეგ და სხვა) (შიხსაიდოვი 1997: 15).

ეპიგრაფიკული მასალა მოიცავს აგრეთვე იდეოლოგიური თუ სამეურნეო საქმიანობის მრავალ ასპექტს: საომარი დანიშნულების ნაგებობების, ხიდების და მეჩეთების მშენებლობას, ბუნებრივ სტიქიებს და ეპიდემიურ დაავადებებს, ცნობებს აულის მკვიდრთა გარდაცვალების და მეზობელი აულის მკვიდრებთან, ან კიდევ სხვა მიწის ხალხთან საომარი მოქმედებების შესახებ და ა.შ (შიხსაიდოვი 1969: 223). წარწერები, როგორც წესი, ტრაფარეტულია. მაგალითისთვის, მშენებლობასთან დაკავშირებულ წარწერებში საუბარია მშენებლობის ან რესტავრაციის ობიექტზე, მითითებულია ოსტატის სახელი, პროფესიული

წოდება, მწერლის სახელი და მშენებლობის თარიღი. საფლავის ქვებზე კი მითითებულია ერთღმერთიანობის აღიარების ფორმულა ან ტექსტი ყურანიდან, კონკრეტული საფლავის მფლობელისა და მისი მამის სახელები და გარდაცვალების თარიღი. ეს ყველაფერი მოწმობს იმას, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ფლობდა არაბულ ენაზე წერა-კითხვას და ქმნიდა ამ ტექსტებს დანარჩენი მოსახლეობისათვის.

არაბული ლიტერატურული ტრადიციის (რომელიც ვრცელდებოდა დაღესტანში) მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა სუფიური, თავისი შინაარსით ეთიკურ-დოგმატური ლიტერატურა. ისეთი ჟანრებით, როგორებიცაა სუფიური ლიტერატურა და ჰადისები. როგორც ვიცით, ისლამი დაღესტანში სწორედ სუფიზმის სახით გავრცელდა, რომელსაც რელიგიის ფილოსოფიასაც უწოდებდნენ. სუფიური და მთლიანად რელიგიური შინაარსის ლიტერატურა მნიშვნელოვან ადგილს იჭერს დაღესტნელების მიერ შექმნილ ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის (მაგომედოვა 2012: 2).

დაღესტნის კულტურული ცხოვრების წარმომადგენელი ადგილობრივი ავტორები, რომლებმაც რელიგიური შინაარსის ორიგინალური ნაწარმოებები შექმნეს არაბულ ენაზე იყვნენ: იუსუფ იბნ ალ-ჰუსეინ იბნ დაუდ აბუ იაკუბ ალ-ბააბი ალ-ლაქზი (გარდ. 1089-90 ს.), რომელიც იყო დერბენდში ალაბიდების დინასტიის ისტორიოგრაფი და ჰადისების დიდი მცოდნე; მუჰამად ად-დარბანდი (გარდ. XII ს-ის პირველ ნახევარში), რომელიც იყო უნიკალური სუფიური ენციკლოპედიური ლექსიკონის ავტორი; დერბენდელი სწავლული აბუ-ბაქრ მუჰამად იბნ მუსა იბნ ალ-ფარაჯ ად-დარბანდი (გარდ. XII ს-ის მე-2 ნახევარში) სელჩუკთა ეპოქის ყველაზე ცნობილი სუფია, რომელმაც დაწერა მოცულობითი შრომა სუფიზმზე „სიმართლის ბაზილიკა და სინაზის ბაღი“. ეს ნაწარმოები დაიწერა XI-XII სს-ის მიჯნაზე და გადაწერილი იქნა 1342-1343 წლებში. სუფიური მოძღვრების შესახებ დაღესტანში შექმნილ ყველაზე პირველ, უმნიშვნელოვანეს და უმსხვილეს ნაწარმოებებს შორის ასევე აღსანიშნავია ად-დერბენდის სუფიურ მორალურ და ეთიკურ ტერმინთა, რელიგიურ-სამართლებრივ ნორმათა და რიტუალურ წესთა შესახებ მსხვილი ენციკლოპედია „ვაფკ ალ-მურად“ („სურვილთა კვალად“) ე.წ. „სულუქის“ შესახებ (მუსლიმის სარიტუალო ქცევების ნორმათა კრებული) დაღესტანში შექმნილი ერთ-ერთი პირველი კრებული. იგი დაწერილია 1443 ან 1444 წელს ცნობილი სწავლულის კაიროს უნივერსიტეტის „ალ-აზჰარის“ მასწავლებლის აჰმად იბნ იბრაჰიმ იბნ მუჰამად ალ-იამანის მიერ, რომელიც დაღესტნის დასახლება ყუმუხიში პროპაგანდას უწევდა ისლამის

რელიგიას (შიხსაიდოვი 2003: 2); უმარ უსმან იბნ ალ-მუსადდად იბნ აჰმად ად-დარბანდი, რომლის სახელიც გასცდა დაღესტნის საზღვრებს; შაფიიტური სკოლის ფაკიჰი ჰაკიმ იბნ იბრაჰიმ იბნ ჰაკიმ ალ-ლაქზი ალ-ხუნლიკი ად-დარბანდი, რომელიც სამართალს პირადად ცნობილ სწავლულთან აბუ ჰამიდ მუჰამმად ალ-ლაზალისთან (გარდ. 1111 წელს) სწავლობდა, რომლის ნაწარმოებები დიდ ინტერესს იწვევდა XV-XVI სს-ის დაღესტანში (მაგომედოვა 2012: 2) და სხვები.

როგორც მეცნიერი ა. შიხსაიდოვი შენიშნავდა: „თითქოს, ისტორიული შინაარსის ნაშრომები, რომლებიც დაღესტანში წამყვან ადგილს იჭერს, უპირისპირდება მრავალრიცხოვან რელიგიურ ლიტერატურას. ადგილობრივ შემოქმედებით ძალთა და არაბულენოვანი ლიტერატურის კონცენტრირება არა რელიგიის ისტორიის, არა რელიგიური მიმდინარეობების, არამედ საკუთარი ხალხის ისტორიასა და განმათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიებზე, ასახავს ადგილობრივი კულტურის განვითარების ახალ ეტაპს, რომელიც უკავშირდება მათი, როგორც ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, რისი ბიძგის მიმცემიც აღმოჩნდა არაბულენოვანი ისტორიული და გეოგრაფიული შინაარსის ლიტერატურა, და შესაძლოა, ეს უკავშირდებოდა ოფიციალურ თეოლოგიური შინაარსის ლიტერატურასთან ოპოზიციურ განწყობა-დამოკიდებულებასაც (შიხსაიდოვი 1969: 223).

ჩრდილოეთ კავკასიაში არაბული ენის გავრცელებას განაპირობებდა არა იმდენად ამ ენის მატარებელთა გაჩენა და არსებობა ამ ტერიტორიაზე, რამდენადაც ისლამის გავრცელება და კულტურული კონტაქტები მუსლიმურ აღმოსავლეთთან. მართალია, თავდაპირველად დაღესტანში არაბული ენით დაინტერესება ყურანისა და რელიგიური ლიტერატურის შესწავლას უკავშირდება: არაბული ენისადმი ინტერესი გაჩნდა, როგორც მუსლიმთა წმინდა წიგნის, ყურანის, ენისადმი, მაგრამ ენის გამოყენების სფერო შემდგომში თანდათან გაფართოვდა მას შემდეგ, რაც აქ წინა პლანზე გამოვიდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ხალხებთან ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების კულტურული კონტაქტები. „მას შემდეგ, რაც დაღესტანში X-XIV სს-ის მანძილზე გავრცელდა არაბულ ენაზე შესრულებული უზარმაზარი, მდიდარი ლიტერატურა, რომელიც მოიცავდა შუა საუკუნეების მეცნიერების სხვადასხვა სფეროს, არაბული ენა თანდათან არა მარტო ღვთისმსახურების, არამედ გრეთვე მეცნიერებისა და ლიტერატურის ენაც გახდა. ამასთანავე, საქმისწარმოების, დიპლომატიური

ურთიერთობებისა და კერძო მიმოწერის საშუალებად იქცა“ (შიხსაიდოვი 1997: 15). სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიც, რომელიც ვითარდებოდა X-XII სს-ში და სულ უფრო ფართოვდებოდა XIV ს-თვის, ასევე განაპირობებდა არაბული ენის, როგორც სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ურთიერთობის საშუალების, გავრცელებას. ბარტოლდის სიტყვებით: „არაბული ენა ამ დროისთვის (XIV-XV სს-თვის) მუსლიმი ხალხებისათვის ერთა შორის ურთიერთობის საშუალებად იქცა“ (ბარტოლდი 1918: 9).

ამ ეტაპზე დაღესტნის ხალხებში ყოველდღიურ და ადგილობრივ ერთა შორის ყოფითი ურთიერთობების საშუალებად კვლავაც ადგილობრივი ენები რჩება. არაბულს ფლობდა და იყენებდა დაღესტნელი ხალხების ნაწილი, რომელიც არაბულენოვან განათლებას იღებდა მუსლიმურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაგრამ ხალხის ფართო მასებისათვის არაბული ენა, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ მიუწვდომელი იყო.

## 2.5. არაბული ენის ადგილი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში XV ს-დან მოყოლებული ვიდრე XX ს-ის 20-იან წლებამდე

X-XV სს-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს, ბუნებრივია, დაღესტნის ისლამიზებული საზოგადოების ტრანსფორმაციაც მოჰყვა, რომლის რელიგიის ენაც გახდა არაბული. არაბული ენის ცოდნამ ახლად გამუსლიმებულ არაარაბ ხალხს საერთო ისლამურ კულტურულ კონტექსტში ჩართვის საშუალება მისცა. არაბული ენა გახდა გაცილებით პრესტიჟული, როგორც გამარჯვებულთა, მათი რელიგიის ენა. რაც შეეხება არაბულ კულტურასა და არაბულ დამწერლობას, მათ გაცილებით ფართო გავრცელება ჰპოვეს, ვიდრე ვრცელდებოდა არაბთა სამხედრო-პოლიტიკური ძალაუფლება.

სელჩუკებისა და მონღოლების შემდგომ პერიოდში, XV-XVII სს-ის მანზილზე, მუსლიმი მისიონერების მიერ ისლამის გავრცელების წყალობით არაბული ენა რელიგიის ენა გახდა ჩრდილოეთ კავკასიის, თითქმის, მთელ ტერიტორიაზე. ამ ხნის განმავლობაში (XV-XVII სს.) დაღესტნის ზოგი პერიფერიული რეგიონის ისლამიზაცია ჯერ კიდევ გრძელდებოდა. ამ პროცესის დასასრულად შეიძლება, ჩაითვალოს XVI ს-ის ბოლო და XVII ს-ის დასაწყისი, როდესაც ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრები დაღესტნელები (დიდოელები,

ჭამალალები, ბაგუალები და სხვები) იღებენ ისლამს, როგორც წამყვან რელიგიას (შინალიევი 2007: 8).

XV ს-ის დასაწყისისათვის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის დასავლეთით ვხვდებით ადიღეელთა სამთავროს; რეგიონის ცენტრალურ ნაწილში (მდინარე ყუბანის ზემო დინებასა და თერგს შორის) მდებარეობს ყაზარდო. რეგიონის აღმოსავლეთით მდებარეობდა ძლიერი სახელმწიფო, ლაზი-ყუმუხის საშამხლო (ლაკებით დასახლებული ტერიტორია), რომლის ძლაუფლებაც მთისწინა დაღესტნის თავისუფალ ერთობებსა (მდინარეებს თერგსა და სულაკს შორის ტერიტორიაზე) და ჩეჩნეთის აღმოსავლეთ რეგიონებზეც ვრცელდებოდა და ცდილობდა თავისი გავლენის სფეროები თერგიდან დასავლეთით კიდევ უფრო გაეფართოვებინა. კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში დაღესტნის მთისწინა ზოლზე მდებარეობდა აგრეთვე დარგუელთა, ავარიელთა, ანდიელთა, ნახთა (ჩეჩნებისა და ინგუშების), ოსთა, ყარაჩაელთა, ბალყართა აულებად განსახლებული ერთობები. XV ს-ის ბოლოსათვის მთისწინა დაღესტნის ცხოვრებაში ხუნძახის (ავარიელთა) სახანო განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა (აჰმადოვი 2010: 258).

XV ს-თვის დაღესტნის სამხრეთ ნაწილში, ადულებით, ლეზგებით, თაბასარანელებითა და რუთულებით განსახლებულ ტერიტორიებზე, მცირე დასახლებათა (50-მდე ოჯახის) შედარებით მსხვილ ერთობებად ფორმირების პროცესი დასრულდა. ასეთები იყო: ახტი, წახური, რუთული, მიკრახი, კურუში, ხივი, კარახი, ხუ(ჭ)ჩნი (კაშაევი 2000: 24).

XV ს-ში ჩრდილოეთ კავკასიის გეოსტრატეგიული მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ორი დაპირისპირებული ძალის - თემურ-ლენგისა და ოქროს ურდოს - დაცემა. რის შემდეგაც რეგიონში შექმნილი სიტუაციით შირვანმა ისარგებლა, დამოუკიდებლობა მოიპოვა (თემურიდებისაგან) და ამიერკავკასიაში სამეურნეო თვალსაზრისით ყველაზე განვითარებული რეგიონი გახდა. შირვან-შაჰ ხალილუ-ლ-ლაჰ 1-ლის დროს მან დაღესტნის სამხრეთ რეგიონის მნიშვნელოვან ნაწილზე მოიპოვა გავლენა, რაც საკმაოდ კარგად აისახა დაღესტნის სამხრეთ რეგიონზე: სამხრეთ დაღესტანი, პრაქტიკულად, ჩართული აღმოჩნდა შირვანის სახელმწიფოებრივ და ეკონომიკურ სისტემაში, რამაც განსაზღვრა მისი ბედი შემდგომი რამდენიმე ასწლეულის მანძილზე. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე რეგიონში მიგრაციის პროცესების გააქტიურება და დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება, რამეთუ, XIII-XV სს-ში გადატანილი უმძიმესი დარბევების შედეგად (დაღესტანი იყო

ხულაგიდებს, ოქროს ურდოს, თემურ-ლენგსა და თოხთამიშს შორის არსებულ დაპირისპირებათა არენა) დაღესტნის სამხრეთის, კასპიის ზღვის სანაპირო და მთისწინა რეგიონები, პრაქტიკულად, დაცარიელებული იყო. მოსახლეობა მთიან რაიონებს აფარებდა თავს. XV ს-ის ბოლოდან დაღესტნის სამხრეთში შირვანიდან წამოსული თუქმენული და თათის ირანული ტომების შემოსვლა დაიწყო (პაშაევი 2000: 120).

XVI ს-ის დასაწყისში საერთაშორისო ვითარების გართულებამ, უ. ყ. ირანის ტერიტორიაზე სეფიანთა დინასტიის წარმოქმნამ, დაღესტნის რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. ისევ ჩრდილოეთ კავკასიაზე გადაიკვეთა იმ დროის რამდენიმე აღმოსავლური დერჟავის ფლანგი: დასავლეთიდან - ოსმალებისა და ყირიმის სამეფოსი, ჩრდილოეთიდან რუსეთისა და „ოქროს ურდოს“ მემკვიდრე „დიდი ურდოსი“ და ასევე ასტრახანის სახანოსი, სამხრეთიდან სეფიანთა ირანისა და ქართული სამეფოების. დაღესტანი, ისევე როგორც კავკასიის დანარჩენი რეგიონები, ხანგრძლივი დროით ოსმალეთის იმპერიასა და სეფიანთა ირანს შორის დაპირისპირების არენად გადაიქცა.

უკვე XVI ს-ის დასაწყისში ირანის შაჰმა, ისმაილმა, მოახერხა და დაიმორჩილა შირვანი. ამის შემდეგ ეტაპობრივად დაიმორჩილა დაღესტნის, პრაქტიკულად, მთელი სამხრეთი რეგიონიც და XVI ს-ის 30-იანი წლებიდან აქტიური ჩასახლებების პოლიტიკა წამოიწყო. მოსახლეობის იძულებითი მიგრაცია, ყველაზე ხშირად, ხორციელდებოდა დერბენდსა და მისი შემოგარენის ტერიტორიებზე. ჩამოსახლებული რუმლუს, ბაიათის, გურჩიანისა და კოიდურშის ირანული ტომის ხალხების ძირითად მასას წარმოადგენდნენ შიიტები. სავარაუდოა, რომ სეფიანთა დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანს რეგიონის მოსახლეობის რელიგიური შედგენლობის ცვლაც წარმოადგენდა. ირანისა და თურქეთის გადასახლებების პოლიტიკისა და თურქულენოვანი მოსახლეობის მოჭარბების შედეგად სამხრეთ დაღესტნის რეგიონმა, და განსაკუთრებით, დერბენდმა ეთნიკური შედგენილობის თვალსაზრისით სრულიად იცვალა სახე (პაშაევი 2000: 90-94).

1555 წელს ირანსა და თურქეთს შორის წარმოებული მოლაპარაკების მიხედვით ირანის პოზიციები გამყარდა ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილზე - კასპიისპირეთში, ხოლო თურქეთის რეგიონისა - მის დასავლეთ შავი ზღვისპირა ნაწილზე (აჰმადოვი 2010: 258). 1585 წელს თურქულმა ჯარებმა დაიკავეს დერბენდი და მთელი სამხრეთ დაღესტნის ტერიტორია. 1590 წლის ირან-თურქეთის სამშვიდობო ზავით მთელი სამხრეთ დაღესტანი (დროებით) მოექცა ოსმანთა პოლიტიკური ძლაუფლების ქვეშ (ორაზაევი 2009: 1).

დაღესტნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში, ყველაზე მეტად კი დერბენდში, საკმაოდ ვრცელი პერიოდის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც იგი ოქროს ურდოს პოლიტიკურ და სამწერლობო-კულტურულ არეალში შედიოდა, XVI ს-ის ბოლოს ახალი, ოსმალეთის იმპერიის გავლენის, ეტაპი დადგა, რის შედეგადაც დაღესტნელი ხალხების კულტურამ მნიშვნელოვანი გარდატეხა განიცადა: არაბულმა სამწერლობო ტრადიციამ, რომელსაც დაღესტნის სამწერლობო კულტურის ისტორიაში წინა რამდენიმე საუკუნის მანძილზე წამყვანი ადგილი ეჭირა, მეორე პლანზე გადაინაცვლა და მის ზოგიერთ რეგიონში თავისი მონოპოლიური ხასიათის კარგვა დაიწყო. გარკვეული პერიოდით, კერძოდ კი, XIV-XVI სს-ში, რეგიონში თურქული და სპარსული ენების გავლენა სალიტერატურო, სახელმწიფო-ადმინისტრაციულ და სამეცნიერო სფეროებში განსაკუთრებით გაძლიერდა. ეს ენები შეიჭრნენ ლიტერატურულ პროცესებში და ზოგან (დერბენდსა და ენდერიში) წამყვანი პოზიციებიც დაიკავეს (ორაზაევი 2009: 3).

ოსმალ-თურქული სამწერლობო ტრადიციის გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა XVI ს-ის ბოლოსა და XVII ს-ის დასაწყისიდან. ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ ოსმალური თურქეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს შორის, რომელიც ამ დროისათვის მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ძალად იქცა, ის არაბული ქვეყნებიც იყო, რომლებშიც მუსლიმთა წმინდა ადგილები მდებარეობდა და რომლებსაც ხშირად სტუმრობდნენ მორწმუნეები. ასეთი მოგზაურობების შედეგად დაღესტნელები მონახულებდნენ არა მარტო არაბულ ქალაქებს, არამედ აგრეთვე თურქული პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების კერებსაც, საიდანაც (ვოლგისპირეთიდან, აზერბაიჯანიდან, ამიერკავკასიიდან) ჩამოჰქონდათ დიდი რაოდენობით თურქულენოვანი ხელნაწერი და წიგნი. ასეთ რეგიონებში ნაწარმოებთა თურქულ ენაზე არაბული გრაფიკით შესრულების კულტურა საბჭოთა პერიოდამდე განაგრძობდა არსებობას.

აღმოსავლეთიდან თურქულენოვან ხელნაწერთა გავრცელებისა და დაღესტანში ადგილობრივი წარმოშობის თურქულენოვანი მასალების გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა: ის, პრაქტიკულად, არ გვხვდება დასავლეთ მთისპირა რეგიონში, მაგრამ ხშირია ჩრდილოეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ დაღესტანში (კასპისპირეთში), ნაწილობრივ შიდა დაღესტანშიც. რაც მთავარია, ისინი შესრულებულია, არა მარტო თურქული წარმოშობის ხალხების ყუმუხების, (დერბენდში მცხოვრები) აზერბაიჯანელების, თურქმენების, ნოღაელებისა და თათრების, არამედ აგრეთვე ლაკების, ავარიელების, ლეზგების,

თაბასარანელების, წახურების, რუთულების, დარგუელების, ხაიდაყელების, ანდიელებისა და სხვათა მიერ მათი ისტორიული განსახლების რეგიონებში. ამასთან, არაბოგრაფიულ თურქულენოვან ხელნაწერებთან ერთად გვხვდება იმავე პერიოდში შესრულებული ტექსტები ყუმუხურზე, აზერბაიჯანულის სხვადასხვა ადგილობრივ დიალექტზე, ნოღაურ, ოსმალ-თურქულ და აგრეთვე „თურქთა“ სამწერლობო სალიტერატურო ენის ადგილობრივ - ჩრდილოკავკასიურ - ვარიანტზე.

უნდა აღინიშნოს მათი შინაარსობრივი და ჟანრული მრავალფეროვნებაც. მათ შორისაა: ადგილობრივ ფეოდალთა და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის სხვა სახელმწიფოებრივი ერთობებისა და ჯამაათების მცხოვრებთა შორის და ასევე რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ოფიციალურ-დიპლომატიური (ძირითადად, განეკუთვნებიან XVI-XVII სს-ს) და საქმიანი კორესპონდენციები (განეკუთვნებიან XVIII-XIX სს-ს); პოეტური ნაწარმოებები: პოემები და ლექსები; პროზაული ჟანრის ნაწარმოებები მხატვრული და სამეცნიერო, რელიგიური ჟანრის ორიგინალური ან ნათარგმნი ლიტერატურა; სააქტო მასალები; ქრონოლოგიური ჩანაწერები; გრამატიკული ტრაქტატები; გენეალოგიური მასალები; ეპიგრაფიკა; ორ და სამენოვანი ხელნაწერი ლექსიკონები (არაბულ-თურქული, არაბულ-სპარსულ-თურქული, არაბულ-ყუმუხური და სხვა). ლექსიკოგრაფიული შრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხუნძახელი დიბირ ყადის „ორი ენის სიტყვათა (ლექსიკის) კრებული მოძმე ენათა შესასწავლად“. ეს იყო სპარსული ენის ლექსიკონი არაბულ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმანებითურთ (ორაზაევი 2009: 4-9).

თურქულენოვან ხელნაწერთა შეხვედრის ფართობისა და აგრეთვე მათი შინაარსიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ თურქული ენები შუა საუკუნეებში, ვიდრე XX ს-ის 30-იან წლებამდე, რეგიონში ეთნოსთა შორის (ყოფითი თუ ოფიციალური) ურთიერთობის საშუალების როლს ასრულებდნენ, კერძოდ, ყუმუხური ენა (თურქულ ენათა ყივჩაღური ქვეჯგუფიდან) ჩრდილო-აღმოსავლეთ დაღესტნის რეგიონისათვის, როგორც „ლინგვა ფრანკა“ (Lingua franca) და აზერბაიჯანული - სამხრეთ დაღესტნისა და ამიერკავკასიის რეგიონისათვის. ამ გარემოებას პოლიტიკური სიტუაციის გარდა ხელს უწყობდა რეგიონის მულტიეთნიკური და მულტიენობრივი შედგენილობა და ეთნოსთა შორის კულტურული ურთიერთობისათვის ერთიანი ენის საჭიროება (ორაზაევი 2009: 1). ყუმუხური ენა (ყუმუხთა წინაპარი თურქული ენა, შემდეგ კი თვით ყუმუხური ენა) ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენა იყო ჯერ კიდევ ხაზართა დროიდან



დაწყებული. XVI ს-დან მოყოლებული ყუმუხური კავკასიის ხალხების რუსეთის მეფეებთან ოფიციალური მიმოწერის ენაც იყო (თოფჩიშვილი 2007: 59).

მიუხედავად აღნიშნულისა, დაღესტნის რეგიონში XV-XVII სს-ის მანძილზე შექმნილი ხელნაწერი მემკვიდრეობის ძირითადად მასას, მაინც, არაბულენოვანი ხელნაწერები შეადგენს, ხოლო თურქულენოვანი ხელნაწერები რაოდენობის თვალსაზრისით მეორე ადგილზეა. თუმცა, ეს უფრო აგილობრივ გადამწერთა ინტენსიური მოღვაწეობის შედეგია. ამ ახალ ეტაპზე არაბულენოვანი წიგნების გადამწერთა საქმიანობამ გრანდიოზული მასშტაბები შეიძინა. ხელნაწერებს გადაწერდნენ, თითქმის, ყველგან. დაღესტნის სხვადასვა დასახლებაში არსებულ საგანმანათლებლო კერებზე (მედრესეებში) ჩამოყალიბდა გადამწერთა სპეციალური სკოლები, რომლებშიც მიმდინარეობდა და ვითარდებოდა გადამწერთა სამოყვარულო და სასწავლო და ასევე მთარგმნელობითი საქმიანობა. გაჩნდნენ პროფესიონალი გადამწერები - „ქათიბები“. XV ს-ის პირველი ნახევრის დაღესტანში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გადამწერი იყო აჰმად იბნ იბრაჰიმ იბნ მუჰამად ალ-იამანი, გადამწერი წიგნისა „სურვილთა კვალდაკვალ“. ის იყო რელიგიური პირი, მასწავლებელი-სწავლული და ისლამის გამავრცელებელი დაღესტანში.

XV-XVII სს-ში დაღესტანში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სასწავლო-შემოქმედებითი ცენტრი ხდება ყუმუხი. არსებობს ცნობები XVI ს-ის დასაწყისისათვის დაღესტანში ათამდე უმაღლესი საფეხურის სასწავლებლის, მედრესეს, ფუნქციონირების შესახებ, თუმცა, კონკრეტული (ფაქტობრივი) მასალა მხოლოდ სამ მათგანთან დაკავშირებით მოიპოვება.

XVI-XVII სს-ში და შემდგომ დაღესტანში გადაწერილი არაბულენოვანი ხელნაწერები შესრულებულია დაღესტნის ავარიელებით, დარგულებით, ყუბაჩელებით, ლაკებითა და თაბასარანელებით დასახლებულ შემდეგ დაბებში: მუგი, შირინი (თანამედროვე შირი, ქვემო დახადაევსკი), ლაზი-ლუმუკი, აკუშა, ყუბაჩი, ზირიჰგერანი, ბიხლი, ჰიმეიდი, ჩაქი, კიშა, გოწათლი, წადა, გოჩობი, კეგერი, კარატა, მულეზკი, ური, მუგურუხი.

ამ ცენტრებში არაბულ ენაზე ითარგმნებოდა და მთელ დაღესტანში ვრცელდებოდა აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს საუკეთესო მხატვრულ-პოეტური ნიმუშები და მეცნიერული ტრაქტატები. აქ არაბულ ენაზევე ვრცელდებოდა შუა საუკუნეების სხვადასხვა მიმართულების (ფილოსოფიური, ასტრონომიული, სამედიცინო, მათემატიკის, ისტორიული, გეოგრაფიული, რიტორიკის, ლოგიკისა და სხვა სახის) სამეცნიერო ლიტერატურა. ამასთან კავშირში, XVI-XVII სს-ის დაღესტანში სულ უფრო იზრდება

ბიბლიოთეკების რიცხვი, რომლებშიც მდიდარი ორიგინალური და აღმოსავლური წარმომავლობის არაბულენოვანი ლიტერატურა გროვდებოდა. ისინი ასევე თავს იყრიდა მეჩეთებში, მეჩეთებთან არსებულ სკოლებსა და მთელ მუსლიმურ სამყაროში აღიარებული ავტორიტეტების, არაბისტი-სწავლულების, კერძო კოლეჯებში. ერთ-ერთი მათგანი იყო, მაგალითად, მუჰამად იბნ მუსა ალ-კუდუკი, რომელმაც იმოგზაურა ეგვიპტეში, ჰიჯაზში, იემენში და ბოლოს დამკვიდრდა ალეპოში, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1717 წელს (მაგომედოვა 2012: 2).

XV-XVII სს-ში დაღესტანში ძლიერდება ორიგინალური რელიგიური შინაარსის ლიტერატურის შექმნის პროცესი, ძირითად, არაბულ, ასევე სპარსულ და თურქულ ენებზეც (გამზატოვი et al 1982: 8).

XVI ს-ის დასაწყისიდან რეგიონში ოსმალეთის გავლენის გაძლიერებამ რუსეთის მეფის პოლიტიკის გააქტიურება გამოიწვია. მოსკოვმა ყაზარდოელი და ადიღეელი ელჩების მრავალჯერადი სტუმრობის შემდეგ ოფიციალურად მიიერთა მათი სამთავროები, თუმცა, იმ პერიოდის პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით ეს უფრო სამოკავშირეო ურთიერთობა იყო, რომელსაც ორივე მხარე საჭიროებდა, რადგანაც რუსები, ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ოქროს ურდოს მემკვიდრეების მხრიდან (უ. ყ. ყირიმისა და ყაზანის სახანოების სახით), რომელთა უკანაც, საბოლოო ჯამში, თურქეთი იდგა, მძიმე ექსპანსიას განიცდიდნენ. რუსეთის გამარჯვებამ ვოლგაზე და ჩრდილოეთ კავკასიაზე გასვლამ საერთაშორისო საქმეებში მთის ლიდერთა და სამეფო-საფეოდალოთა პოლიტიკური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გააძლიერა. ამ პერიოდიდან მოყოლებული დაიწყო მათი ჩართვა პერიფერიულ ევროპულ ცივილიზაციაში (აჰმადოვი 2010: 259-280).

უკვე XVII ს-ის დასაწყისიდანვე ირანსა და თურქეთს შორის დაპირისპირება კავკასიაზე ბატონობისათვის ახალი ძალით განახლდა. მათ შორის მრავალწლიანმა საომარმა დაპირისპირებებმა მნიშვნელოვანი დაბრკოლება შეუქმნა სავაჭრო ურთიერთობებსაც, რომელიც კასპის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე გამავალ რუსეთის ამიერკავკასიასა და ირანთან დამაკავშირებელ სახმელეთო გზაზე ხორციელდებოდა (პაშაევი 2000: 119).

XVII ს-ის 90-იანი წლებიდან, როდესაც მთელი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკური მდგომარეობა სულ უფრო დამაბული გახდა, რუსეთის ახალგაზრდა

ხელისუფალმა პეტრე პირველმა ოსმალური საფრთხის საპირისპიროდ ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო. მის მიზნებში იყო შავ და კასპიის ზღვებზე (რომლებიც არ იყინება) გასვლა და ამ გზით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ სავაჭრო გზების მოწყობა (აჰმადოვი 2010: 298).

XVII ს-ის შუა ხანებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების რთულ სისტემაში ჩეჩნური ერთობებიც აღმოჩნდა ჩათრეული და მისი მონაწილეობა ამ პროცესებში სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა. მართალია, ჩეჩნეთი XVII ს-თვის რუსეთთან მიმართებით საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით ჯერ კიდევ გამორჩეულ როლს არ თამაშობდა, მაგრამ მისი როლი ჩრდილოეთ კავკასიის რუკაზე სულ უფრო იზრდებოდა (აჰმადოვი 2010: 280).

VIII-XII სს-თვის ჩეჩნეთის ბარის რაიონები ალანიის პოლიეთნიკური ადრეკლასობრივი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ჩეჩნეთის მთიანი ზოლი ადრეული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის, „სერიის“ სამეფოს შემადგენლობაში იყო. შემდგომში ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე (რასაც მეცნიერები მონღოლთა შემოსევებს უკავშირებენ, თუმცა იმასაც ფიქრობენ, რომ ეს პროცესი უფრო ადრე ხაზართა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ (X ს-ში) უნდა დაწყებულიყო) ჩეჩნები გარკვეული ხნის განმავლობაში (XV-XVI სს-მდე) ჩრდილოეთ კავკასიის ბარში მკვიდრობას წყვეტენ, და ძირითადად, მთებში ცხოვრობდნენ. დაბლობში პირველი ჩეჩნური დასახლებები ხელახლა XIV ს-ის ბოლოს გაჩნდა. XVII ს-ის შუა ხანებისათვის მდინარე არღუნის მარცხენა სანაპიროზე ჩეჩნეთის სამთავრო ჩამოყალიბდა, რამაც ხელი შეუწყო ჩეჩნეთის ეთნო-პოლიტიკური ბირთვის ჩამოყალიბებას. XVIII ს-ის ბოლოსათვის კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე ნახური მოდგმის ხალხების კონსოლიდაცია და ჩეჩნეთის მსხვილ ერად ჩამოყალიბება საბოლოოდ დასრულდა. (აჰმადოვი 2009: 39).

XVI-XVIII სს-ის ჩეჩნურ საზოგადოებებში ადგილობრივი წარმოების განვითარებისა და ასევე სავაჭრო გზებისა და მთლიანად კავკასიის რეგიონის მასშტაბით მნიშვნელოვანი სავაჭრო-საწარმოო ცენტრებისა და ქალაქების სიახლოვის წყალობით კარგად ვითარდებოდა ვაჭრობა, რის საფუძველზეც, ჩეჩნეთი გარკვეული დოზით აღმოჩნდა ჩართული იმ დროის საერთაშორისო-ეკონომიკურ სისტემაში. ეს იყო დაღესტნისა (ძირითადად, ყუმუხურისა და ანდიურის გზით) და ირანის სუბკონტინენტალური

(მრავალრიცხოვანი ირანელი, აზერბაიჯანელი, სომეხი ვაჭრების მეშვეობით, რომლებიც გადმოდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში) რეგიონალური ეკონომიკური სისტემა. იმ სავაჭრო გზის მეშვეობით, რომელიც კასპიისპირეთსა და დაღესტანს შავ და აზოვის ზღვებსა და ყირიმის ნახევარკუნძულთან აკავშირებს და სრომელიც ჩეჩნეთზე გადის, იგი ოსმალური კონტინენტალური ეკონომიკური სისტემის გავლენის სფეროში მოექცა (აჰმადოვი 2010: 94).

XVI-XVIII სს-თვის ჩეჩნეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე ისლამი თანდათან მკვიდრდებოდა. ცენტრალურ და დასავლეთ ტერიტორიებზე მცხოვრებ ნახურ მოსახლეობაში ისლამმა დაღესტნიდან დაიწყო შეღწევა XVI ს-ში (გადმოცემების თანახმად, ჩეჩნეთში ისლამს დაღესტნელი, ხუნძი და ყუმუხი, მოლები ავრცელებდნენ, რომლებიც ჩეჩნურ სოფლებში მწყემსებად მოდიოდნენ), მაგრამ საბოლოოდ, მხოლოდ, XIX ს-ის შუა ხანებში, დაღესტნელთა და ჩეჩენტა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში დამკვიდრდა. მას შემდეგ, რაც ნახური ერთობების მმართველებმა თავის თავზე გამოსცადეს ისლამური სამხედრო და კულტურული ექსპანსია, თავადაც ავრცელებდნენ ამ რელიგიას ქვეყნის დასავლეთით და ასევე ინგუშეთისაკენაც. მკვლევარ მ. მუჟუხოვის აზრით მთიან ინგუშეთში ისლამი მთელი XIX ს-ის მანძილზეც მკვიდრდებოდა.

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ისლამის, როგორც წამყვანი საზოგადოებრივი იდეოლოგიისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ძირითადი ფორმის, დამკვიდრებამ მთელი ქვეყანა, როგორც ეთნიკური სუბიექტი, ახალ მისთვის უცხო მსოფლიო წესრიგის რელიგიურ და კულტურულ სისტემაში ჩართო: ისლამთან ერთად ჩეჩნეთში ვრცელდებოდა მუსლიმური სოციალურ-სამართლებრივი ნორმები და მუსლიმური კულტურა, რომელიც მას აღმოსავლეთის სამყაროს განვითარებულ ქვეყნებთან აკავშირებდა.

ჩეჩნეთის სხვადასხვა რეგიონში უძველესი ისლამური ძეგლები XVI ს-ის დასაწყისიდან ვიდრე XVIII ს-მდე მერყეობს. ამ თვალსაზრისით ისტორიული წერილობითი და არქეოლოგიურ-არქეოგრაფიული მასალები ხშირად განსხვავებულ სურათს აჩვენებენ. ეს, შესაძლოა, იმით აიხსნას, რომ ახალი რელიგიის, ახალი ტრადიციების მიღებასა და დამკვიდრებას წლები და რამდენიმე თაობა დასჭირდებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩეჩენი ხალხის მიერ არაბული დამწერლობის გათავისებაზე. ჩეჩნეთში მუსლიმური სამართლებრივი ნორმების გავრცელებამ და ადათის შარიათით ჩანაცვლებამ XVIII ს-ის დასასრულისათვის სასულიერო წოდების პოზიცია მნიშვნელოვნად გაამყარა (აჰმადოვი 2010: 340-374).

XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ბოლოსათვის ჩრდილოეთ კავკასიის კასპიისპირა რეგიონი და ირანის ნაწილი რუსეთის სახელმწიფოებრივ საზღვრებში ოფიციალურად მოექცა (კერძოდ, საუბარია კასპიისპირა ვიწრო ტერიტორიაზე, ხოლო საკუთრივ დაღესტნის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ოფიციალური შეთანხმებების ტექსტში არაფერია ნათქვამი). ოსმალური იმპერიის მმართველები კი, განაგრძობდნენ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიებზე დამკვიდრების მცდელობებს (აჰმადოვი 2010: 327).

XVIII ს-ის 40-იანი წლებისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა ირანის მმართველის ნადირ-შაჰის აგრესიული პოლიტიკის წყალობით. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების რუსეთთან პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შედეგად, ამ უკანასკნელის გავლენა XVIII ს-ის პირველი ნახევარისათვის საკმაოდ გაიზარდა. კოლონიალისტების გააზრებული ჩანაფიქრით ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე ახალი ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა და რუსული მოსახლეობის მომრავლება დაიწყო, რაც ასევე რუს და ადგილობრივ მოსახლეობას შორის საქონლის გაცვლის პროცესსაც უწყობდა ხელს (აჰმადოვი 2010: 372).

ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტანსა და ჩეჩნეთში, XIX ს-ის პირველ ნახევარში (1801 წლის შემდგომ) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა (დაზი-მუჰამედის, გამზატ-ბეგისა და შამილის მეთაურობით), რომლის მიზანიც მეფის რუსეთის ბატონობისაგან კავკასიელი ხალხების გათავისუფლება იყო. ჩეჩნეთის მიმართ რუსეთის კოლონიური ხასიათის პოლიტიკის საპირისპიროდ 1834 წელს ჩეჩნეთისა და დაღესტნის ტერიტორიაზე თეოკრატიული ხელისუფლება, „შამილის იმამატი“, ჩამოყალიბდა. 1848 წლიდან, მას შემდეგ რაც შამილმა გადაწყვიტა სამურის ველის ტერიტორია და მასზე მცხოვრები ხალხები „იმამატისათვის“ შემოეერთებინა, მთიელთა ბრძოლების ცენტრმა ჩრდილო-დასავლეთ დაღესტანში გადაინაცვლა (ახმედოვი 1999: 175).

ამ მოვლენებთან უშუალო კავშირში XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში ჩრდილოეთ კავკასიაში (განსაკუთრებით დაღესტანში და მასთან ერთად აგრეთვე ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ყაბარდოსა და ჩრქეზეთის ნაწილში) არაბული ენის სოციალური პოზიციები სულ უფრო მტკიცდება. იმ პერიოდისათვის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ყალიბდება მეტად საინტერესო ენობრივი სიტუაცია: მრავალენოვანი რეგიონში ერთა შორის ოფიციალურ დონეზე ურთიერთობის ფუნქციას, ჯერ კიდევ თავის თავზე იღებდა თურქული ენა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თურქულმა სამწერლობო ენამ ვერ შეინაჩუნა

მეცნიერების, ლიტერატურის, საქმისწარმოების, ოფიციალური და კერძო მიმოწერის ფუნქციები. ყველა ეს ფუნქცია ისევ თავისთავზე აიღო არაბულმა ენამ, რომლის ავტორიტეტს ზრდიდა ის, რომ ის იყო მუსლიმთა წმინდა წერილის ენა (იარლიკაპოვი 2010: 44-47).

ხუნძახის დასახლებაში, სამილიალში, აღმოჩენილია არაბულენოვანი ინფორმაციული მონაცემები: სოფლის დასახლებებს შორის მოლაპარაკებები, ვაკუუმის ჩანაწერები, გადამწერთა საქმიანობის შესახებ ჩანაწერები და ისტორიული ქრონიკები და სხვა, რომლებიც XVIII-XIX სს-ით თარიღდება

XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში არაბულ ენაზე სასწავლო და ორიგინალური სამწერლობო-ლიტერატურული საქმიანობის, ერთგვარი, აღორძინება მოხდა. ადგილობრივ სწავლულთა შრომები: მუსლიმურ სამართალში, დოგმატიკაში, ეთიკაში, ლოგიკაში, მედიცინაში, მეტრიკაში, ისტორიულ მეცნიერებებში, ასევე პოეტური ტექსტები, ძირითადად, არაბულ ენაზე იწერებოდა, რომელმაც სხვა ენებთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა (შიხსაიდოვი 1997: 15).

აკადემიკოს ი. კრაჩკოვსკის სიტყვებით: „არაბული სენტენციებისა და პოეტური ამონარიდების სახით არაბულმა ენამ ღრმად შეაღწია ცხოვრების სიღრმეებში. მიუხედავად იმისა, რომ მან სრულად ვერ ჩაანაცვლა ადგილობრივი ენები ყოველდღიურ ცხოვრებაში, ის მაინც არ ყოფილა მხოლოდ სწავლულთა ეგზოტიკური ან დეკორატიული სამკაული: ის იყო ცხოვრების ორგანული ნაწილი“ (კრაჩკოვსკი 1960: 146). ამ სიტუაციის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი მომენტი ისლამური საგანმანათლებლო კერების საქმიანობაც იყო: მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამი კავკასიელი ხალხის ყოფისა და მათი ეთნოკულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მათს ცხოვრებაში, ისლამურ-კონფესიურმა სკოლებმა დიდი სოციალური პრესტიჟი მოიპოვა და მთელი ამ დროის მანძილზე მოსახლეობის მხრიდან მათზე დიდი მოთხოვნა არსებობდა. ასეთი სკოლების მთავარი მიზანი, მართალია, რელიგიური სწავლება და აღზრდა იყო, მაგრამ მათი მეშვეობით რეგიონის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ითვისებდა არაბულ-მუსლიმურ კულტურას, რომელიც დაკავშირებული იყო ადგილობრივ იდეურ ტრადიციებთან და მასთან ერთად ივისებდა არაბულ ენას. ასეთი სკოლების წყალობით დაღესტანში ჩამოყალიბდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა, რომელთაც თავიანთი მრავალმხრივი განათლება გაიმდიდრეს არაბულ-მუსლიმურ საფუძველზე და რომლებიც

ატარებდნენ ამ ცოდნას და გადასცემდნენ მომავალ თაობებს, თავიანთ შვილებს და საბოლოო ჯამში მთელ მოსახლეობას.

არაბული ენის მოხმარების სფეროების გაფართოვებასთან ერთად ისლამური განათლების კერებზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა, რის გამოც XIX ს-ის დაღესტანში მექთებეებისა და მედრესეების ქსელი განსაკუთრებით გაფართოვდა. დაღესტანთან შედარებით ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ: მუსლიმური სწავლების იგივე სისტემა მოქმედებდა ყველგან, მაგრამ არ ყოფილა ისე განვითარებული, როგორც დაღესტანში (იარლიკაპოვი 2010 : 20).

ჩეჩენი მეცნიერის ა. აჰმადოვის მტკიცებით: „უკვე XVIII ს-თვის ჩეჩენეთის ბარში ყოველ სოფელსა თუ დასახლებაში იმდენი მეჩეთი იყო, რამდენიც მსხვილი გვარი სახლობდა მასში, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყოველ მათგანში არსებობდა სასაწავლებელი, რომელშიც არაბული და თურქული ენები ისწავლებოდა“ (აჰმადოვი 2010: 237).

დაღესტანში სწავლების პირველ ეტაპზე, მექთებეებში, არაბული ენა ისწავლებოდა, როგორც არაბული ენის გრამატიკის წესების კრებული, რომლის ცოდნაც აუცილებელი იყო ყურანის ტექსტის სწორად გაგებისათვის, ისევე, როგორც ბევრი სხვა დისციპლინაც, რომლებიც საბოლოო ჯამში, ყურანისა და ყურანის შესახებ მეცნიერებების შესწავლისათვის დამხმარე მასალას წარმოადგენდა (გაჯიევა 2004: 296).

ისლამური განათლებისა და არაბული ენის დაუფლებისათვის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა აგრეთვე მუსლიმი სწავლულების, ალიმების, ინდივიდუალური სასწავლო კურსები, რომელსაც კონკრეტული პირები ამავე წოდების („ალიმი“ - სწავლული) მიღების მიზნით გადიოდნენ. სასწავლო პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ კერძო წიგნთსაცავები და მეჩეთებთან არსებული ბიბლიოთეკები. დიდი პოპულარობით სარგებლობდა აკუშასა და უსიშას დასახლებების ბიბლიოთეკები, რომლებიც განათლების მაძიებელთ დაღესტნის სხვადასხვა კუთხიდან მრავლად იზიდავდა.

არაბული წერა-კითხვის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი იყო განათლებული მშობლებისა და ნათესავების როლიც, რომლებიც თავიანთ შვილებსა და ახლობლებს ასწავლიდნენ არაბულ ანბანს, ყურანის კითხვასა და ლოცვებს. მშობლები და განათლებული ადამიანები ამას თავიანთ ვალად თვლიდნენ, რათა მათს შვილებს შემდგომში შეძლებოდათ, როგორც მინიმუმ, ყურანის წაკითხვა, მითუმეტეს, რომ ბევრი

ადამიანი თავისი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ასეთი განათლების ამარა რჩებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ეს მომენტი იყო გოგონებისათვის, რომლებისთვისაც არ იყო ხელმისაწვდომი ისლამური განათლების შემდგომი საფეხურები.

XIX ს-ის დაღესტნელი ეთნოგრაფი აბდულა ომაროვი წერდა: „როცა კი საუბარი დავიწყე მშობლები მშობლიურ ენასთან ერთად მასწავლიდნენ არაბულ ენასა და ლოცვებს, ისე, რომ ჯერ კიდევ არ ვიცოდი საკუთარი ხელის თითების ჩამოთვლა მშობლიურ ენაზე, რომ ამის გაკეთება უკვე შემეძლო არაბულად (იარლიკაპოვი 20110: 9).

იმის გამო, რომ შუა საუკუნეების მუსლიმური სკოლა არ იყო ოფიციალური სახელმწიფო დაწესებულება და ხელისუფლების მიერ არ ფინანსდებოდა, „მედრესეების“ და „მექთებების“ რიცხვის ზუსტად განსაზღვრა ძალიან ძნელია. ასეთი სკოლები არსებობდა და ფუნქციონირებდა იქამდე ვიდრე მას საამისო სახსარი გააჩნდა, შემდეგ კი იხურებოდა. მისი დაარსება შეეძლო ნებისმიერ სწავლულს. მართალია, არ ვიცით ზუსტად რამდენი ერთეული სკოლა არსებობდა მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე და შესაბამისად რა რაოდენობით მოსწავლე სწავლობდა მათში (ამ ტიპის პირველი სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ XIX ს-ის ბოლოსათვის გვაქვს დაღესტნის რეგიონთან დაკავშირებით), მაგრამ უეჭველია ის, რომ მთელი კავკასიის მასშტაბით ყველაზე მეტი მუსლიმური ტიპის სასწავლებელი სწორედ დაღესტანში იყო. ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ დაღესტანი კავკასიაში ისლამური კულტურისა და მეცნიერების ცენტრი გახდა (ისაევი 2013: 4).

ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ მუსლიმურ სასწავლო დაწესებულებებში არცერთ მის საფეხურზე არ არსებობდა ასაკობრივი შეზღუდვა განათლების მიღების მსურველთათვის და სწავლაც უფასო იყო, რაც ხელს უწყობდა მთის მოსახლეობის ართ თუ მცირე ნაწილის მიერ განათლების მიღებას (იარლიკაპოვი 2012: 14).

XVIII-XIX სს-თვის ობოდში, კუდუთლიში, კუდალში, ახტიში, ყუმუხში, ურადში, ალკადარში, ენდირეიში, აქსაისა და კიდევ ბევრ სხვა დასახლებაში ფუნქციონირებდა არა მარტო დაღესტანში, არამედ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში ცნობილი მედრესეები. ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მედრესე სოფელ სოღრათლიში, რომელსაც სწავლულთა დიდ კერას უწოდებდნენ (იარლიკაპოვი 2010: 24-26). როგორც XIX ს-ის 70-იანი წლების დაღესტნელი სწავლულის მუჰამედ ტაჰირ ალ-კარახის ბიოგრაფიიდან ირკვევა, იგი იმ დროის ტრადიციისამებრ დასახლებიდან დასახლებაში გადადიოდა და კარგი



განათლებაც მიიღო, საგანთა კურსი განვლო კოროდას, მოკსოხის, გოწათლის, დადათლისა და გონოხის (დონოხის) დასახლებების მედრესეებში (მაგომედოვა 2012: 2).

დაღესტნის მედრესეებში არსებული სასწავლო დისციპლინებისა, არაბული ენის შესწავლის დონესა და შემდგომი მისი მოხმარების სფეროებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის აბდარაჰმან ღაზი-ლუმუკელი. აბდარაჰმანი წერს: „ყველაზე დიდ ყურადღებას ჩვენთან უთმობენ მორფოლოგიასა და სინტაქსს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შეცდომები ენაში არ დავუშვათ. ასევე მნიშვნელოვანია სამართალწარმოების შესწავლა სამოქალაქო საქმეების წარმოებისათვის და შემდეგ ყურანის დამხმარე მეცნიერებები, რომლებიც აუცილებელია ყურანის ტექსტის განმარტებისათვის, ასევე მეტრიკა, რათა შევქმნათ პოეზია არაბულ ენაზე, ასევე კამათისა და დისკუსიის ხელოვნება, რათა წარიმართოს დისკუსია სწავლულთა შორის...“ (იარლიკაპოვი 2010: 27).

არაბული ენის შესწავლის დონისა და მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ დაღესტნის ხელნაწერთა ფონდში დაცულ აღმოსავლური წარმოშობის არაბულენოვან ხელნაწერთა შორის, დაახლოებით, 800 ორიგინალური თხზულებიდან, რომელთა შექმნის ქრონოლოგიური ჩარჩო XV-XX სს-ია, ყველაზე დიდი რაოდენობით ხელნაწერი წარმოდგენილია ფილოლოგიური მეცნიერებებიდან. ძირითადად კი, ეს არის ენის სახელმძღვანელოები, რომლებმაც გაუძლეს დროს და რომლებიც ცნობილი იყო მთელ არაბულ-მუსლიმურ სამყაროში. „მათი ერთი ნაწილი დაღესტნის მედრესეებში კომენტარების გარეშე ისწავლებოდა, მეორე - კომენტარებითურთ, ხოლო მესამე ნაწილი კომენტარებმა ჩაანაცვლა. რაოდენობრივი თვალსაზრისით ისინი ყურანი ტექსტებსა და ყურანის შესახებ მეცნიერებებში შექმნილ ნაწარმოებებს ბევრად აღემატებიან“ (აბდულხალიკოვა 2012: 17).

როგორც ბ. შიდფარი წერდა, „არაბები იყვნენ მათ მიერვე შემუშავებული „ანთოლოგიური“ - უნივერსალური განათლების სისტემის მომხრეები და გამგრძელებლები, რომლის დაუფლებასა და შეთვისებასაც დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. პროფესიონალი პოეტი ან სწავლული-ფილოლოგი შეეძლო გამხდარიყო მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც დიდ ბუნებრივ ნიჭს, კოლოსალურ ენერგიასა და მოთმინებას ფლობდა. ამის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ენის ყველა კომპონენტის შესწავლა, რომლის ცოდნაც უეჭველად მოეთხოვებოდა. მას ასევე სჭირდებოდა მეხსიერების გამორჩეული შესაძლებლობები, რათა ძველი პოეტების დივანები სრულად

დაესწავლა ზეპირად. ამის გარეშე ადამიანი „ადიბად“ (განათლებულ პროფესიონალ ფილოლოგად) ვერ ჩაითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ, როგორც არაბი (ჯერ კიდევ ისლამამდელ ავტორთა ნაწარმოებები), ისე სპარს და თურქ ცნობილ ავტორთა ხელნაწერები ფართოდ ვრცელდებოდა დაღესტნის ტერიტორიაზე. არაბული პოეზიიდან დაღესტნელები იცნობდნენ: მუკაფას, აბუ ნუვასს, აბუ თამამს, ალ-მუთანაზბის, აბუ ალა ალ-მარის, ომარ იბნ ფარიდს, ალ-ჰარირს და სხვებს. ასევე აღორძინების ეპოქის პოეტებს: ფირდოუსს, ნიზამის, ომარ ხაიამს, საადს, ჰაფეზს, ჯამის, ნავოის, ფიზულისა და სხვებს.

დაღესტნელი სწავლულები იცნობდნენ მეცნიერულ ნაშრომებს ლიტერატურის ცალკეული პრობლემებისადმი. როგორებიცაა: ალ-ჯაჰიზის „რიტორიკისა და სტილისტიკის საკითხები“ (kitāb al-bayyān wa-t-tabīyyin), იბნ ქუთაიბას „პოეტთა და პოეზიის წიგნი“ (kitāb aš-ši‘r wa-š-šu‘ar’ā’), ჰუსეინ ალი ამიდის „აბუ თამამისა და ალ-ბუჰთურის შედარება“ (al-muwāzana bayna abu-tammām wa al-butḥuri), იბნ ჰიჯა’ ალ-ჰამავის „ლიტერატურის საგანძური“ (ḥizānat al-adab) და „წიგნი მეცნიერებასა და ლიტერატურაზე“ (kitāb ‘ani-l-‘ilm wa-l-adab), სადრ ად-დინ ალ-მუზანის «Арраби фи анван аль-бади» „პოეზიის სახეთა გაზაფხული“ (ar-rabī‘ fi ‘unwān al-bādī’) და სხვა (აკამოვი 2011: 4).

დაღესტნელი პოეტები იცნობდნენ ისეთი მსხვილი პოეტების პოეტიკისადმი მიძღვნილ ტრაქტატებს, როგორებიცაა: მუხი ად-დინ იბნ არაბის „ალ-ფასისი“, ალ-დაზალის „რწმენის შესახებ მეცნიერების აღორძინება“, აბდარრაჰმან ჯამის „მეგობრობის სურნელი წმინდანთა პალატებიდან“ და სხვა.

როგორც ჩანს, XVIII ს-ის ბოლოსათვის ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმური საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში არაბული ენის ცოდნის დონე საკმაოდ მაღალია. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იემენელი არაბი სწავლულის აშ-შაუკის მოსაზრება, რომელიც ერთ-ერთ დაღესტნელზე წერდა: „მე არ მინახავს მისი მსგავსი არაბული ენის მცოდნე, რომელიც საუბარში არ იყენებდა არავითარ ვულგარიზმს, მეტყველებდა შესანიშნავად, იმდენად, რომ გამოცა კიდევ“ (კრაჩკოვსკი 1960: 209).

ვ. ბარტოლდი წერდა: „რევოლუციამდელ პერიოდში, წინა ათწლეულისათვის კავკასიაში (დაღესტანსა და ჩეჩნეთში) ვხვდებით არაბული ენის ცოდნისა და გავრცელების ისეთ დონეს, როგორსაც არცერთ სხვა ქვეყანაში, რომელშიც არაბული მშობლიურ ენას არ წარმოადგენს“ (ბატროლდი 1963; 72).

დალესტნის ერთ-ერთი ასეთი ნიჭიერი სწავლული და არაბული ენის უზადლო მცოდნე იყო დაუდი უსიშიდან, რომელმაც საფუძველი დაუდო დალესტნურ მედრესეებში არაბული ენის სწავლების მუჰამედ ალ-კუდუკისეულ მეთოდოლოგიას და რომელმაც დააარსა თავის სამშობლოში, უსიშაში, არაბული ენისა და არაბულენოვანი მეცნიერებების შემსწავლელი ცენტრი. ამ ცენტრში ისწავლებოდა სამეცნიერო დისციპლინები და დიდი ინტენსივობით გადაიწერებოდა იმ პერიოდისათვის პოპულარულ არაბ და დალესტნელ ავტორთა ნაწარმოებები. დაუდის ნაწარმოებების სიმრავლითა და მათი შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ აღმოსავლეთში პოპულარული არაბულ ენაზე შექმნილი არცერთი გრამატიკული ტრაქტატი არ დარჩენილა მისი ყურადღების მიღმა, რასაც მოწმობს მისი კომენტარები ან კიდევ თავისსავე ორიგინალურ ნაშრომებში ციტირებები ამ ტრაქტატებიდან.

თავად დაუდი, როგორც ჩანს, განსწავლული ყოფილა მეცნიერების არაერთ დარგში. მათ შორის ფილოლოგიაში, ლოგიკაში, მუსლიმურ სამართალში. ამაზე მეტყველებენ მისი ნაშრომები - არაბული ენის გრამატიკისა და ლოგიკის მეცნიერებებში აღმოსავლეთის ავტორთა ცნობილი ნაწარმოებების კომენტარები. ამას გარდა მან აღმოსავლური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები დარგოულ ენაზე თარგმნა, რათა უფრო ფართო მასებისათვის გამხდარიყო მისი გაცნობა შესაძლებელი. მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ხაშია დაუდ“, რომელიც XVIII ს-ის პირველ ნახევარში შეიქმნა, როგორც ჩანს, ავტორის სიცოცხლეშივე პოპულარული იყო, თუ ვიმსჯელებთ ხელნაწერთა სიმრავლით. იგი დაწერილია თითქმის ყველა რაიონში, სადაც კი გადამწერთა სკოლები ფუნქციონირებდა. ამ ნაშრომის ცალკეული ხელნაწერი ნუსხები დალესტნის გარეთ, საქართველოსა და სომხეთშიც, არის აღმოჩენილი. რაც შეეხება მის ორ გრამატიკული შინაარსის ნაშრომს: „შარჰ თასრიფ ალ-'იზი“ და „შარჰ 'ალა ალ-კარი“ („*šarḥ taṣrīf al-'izzī*“; „*šarḥ 'alā al-qarī*”), მათ შესახებ მხოლოდ სარწმუნო ცნობები მოგვეპოვება, საკუთრივ ტექსტები მიკვლეული არ არის (ალხასოვა 2005: 12-14).

ცნობილია, რომ ამ პერიოდის დალესტნელი სწავლულები, რომლებიც საუკეთესოდ ფლობდნენ არაბულ ენას, გავლენას ახდენდნენ, როგორც დალესტნელთა კულტურაზე, ისე მათს პოლიტიკურ ცხოვრებაზე და არა მარტო დალესტანში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. კაიროში XVIII ს-ის ბოლოს გამოცემულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში მოხსენიებულია ხუთი დალესტნელი სწავლული, რომლებიც დაფუძნდნენ დამასკოსა და

ალეპოში, როგორც არაბული ენისა და კანონიკური მეცნიერებების მასწავლებლები (იარლიკაპოვი 2010: 4). ცნობილია აგრეთვე კ. სნუკ-ხიურგრონის ცნობა დაღესტნიდან წამოსული სწავლულების მნიშვნელოვანი როლის შესახებ მექის სამეცნიერო წრეში XIX ს-ის 80-იან წლებში (გენკო 1974: 80).

არაბული ენისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურული შემოქმედების როლის ზრდა დაღესტნის სამწერლობო ლიტერატურასა და მის სამწერლობო ტრადიციების ჩამოყალიბებაში განაპირობა იმანაც, რომ არაბული ანბანი საფუძვლად დაედო ჩრდილოეთ კავკასიის (დაღესტნური) ენებისათვის ე. წ. „აჯამურ“ დამწერლობებს. არაბული გრაფიკა VIII-X სს-დან მოყოლებული ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამსა და ისლამურ კულტურასთან ერთად ვრცელდებოდა და თანდათან შეეწყო ადგილობრივი ენების ბგერით სისტემებს. არაბული ანბანის ვარიანტი „აჯამე“ XV ს-დან გავრცელდა, რომელიც დაღესტნური ენების ფონეტიკურ თავისებურებებთან იყო მისადაგებული (შიხსაიდოვი 1997: 15).

მიუხედავად ცნობების სიმწირისა და ფრაგმენტულობისა (ჯერ ალბანურისა და შემდეგ ჰუნთა ენის გრაფიკის საფუძველზე, რომელიც VI ს-ში შეუქმნია სომეხ მისიონერს), ისინი ადასტურებენ დაღესტნელი ხალხების მიერ დამწერლობის შექმნის მცდელობებს არაბთა მოსვლამდე, მაგრამ, სავარაუდოდ, მისი გავრცელების არეალი მეტად ვიწრო იყო, ისევე როგორც მის მცოდნეთა და მომხმარებელთა სფერო (შიხსაიდოვი 1969: 48). დაღესტანში არაბთა მოსვლისა და მათ მიერ ისლამისა და მასთან ერთად არაბული ენის გავრცელების შემდეგ (ვიდრე XX ს-ის 20-იან წლებამდე) ადგილობრივი ენებისათვის არაბულის გარდა სხვა გრაფიკის საფუძველზე დამწერლობის შექმნის მცდელობას ადგილი არ ჰქონია (შიხსაიდოვი 1969: 224).

ჩვენამდე მოღწეული ავარიელი, დარგუელი, ლეზგი, ლაკი და ყუმუხი ხალხების მიერ შექმნილი წერილობითი მასალა, რომელიც არაბული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი დამწერლობითაა შესრულებული, ძირითადად, XVIII ს-ის პირველი მეოთხედიდან მოყოლებული ვიდრე XX ს-ის ბოლომდე პერიოდით თარიღდება, ხოლო XVI-XVII სს-ის მასალა ცალკეული სიტყვების ან ტექსტის მცირე მონაკვეთების თარგმანებს წარმოადგენს, რომლებიც არაბული ხელნაწერების ფურცლის არეებზეა შესრულებული. თუმცა, XX ს-ის მეორე ნახევრის არქეოგრაფიული საქმიანობების შედეგად აღმოჩენილმა ახალმა ლიტერატურულმა მასალამ მეცნიერებს საშუალება მისცა, ევარაუდათ, რომ არაბულის საფუძველზე შექმნილი დამწერლობა არსებობდა და გამოიყენებოდა გაცილებით ადრე, არა

უგვიანეს XIII ს-ისა. ამის დასტურია ზაქარია ყაზვინის ცნობა (რომელზედაც ზემოთაც გვქონდა საუბარი) XIII ს-ში წახურის დასახლებაში ადილობრივი სწავლულების მიერ მათს მშობლიურ ენაზე ისლამის დოგმატიკის ორი სახელმძღვანელოს თარგმნის შესახებ. გენკოს მოსაზრებით: შესაძლოა, ეს იყო შაფიიტური სკოლის ორი სახელმძღვანელოს არაბულ გრაფიკაზე დაყრდნობით წახურ ენაზე თარგმნის ერთ-ერთი პირველი მცდელობა, მაგრამ თავად ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ამ დამწერლობას თარგმანის სფეროში უკვე უნდა ჰქონოდა გარკვეული ისტორია და ტრადიცია (შიხსაიდოვი 1969: 224).

მ. საიდოვის მიერ ე. წ. „აჯამური“ დამწერლობის შექმნის ისტორიის კვლევამ მეცნიერთათვის ხელმისაწვდომი გახადა ყუმუხურ, ხუნძურ (ავარიულ), ლეზგიურ, დარგოულ და ლაკურ ენებზე შექმნილი უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ამ დამწერლობის ფართოდ გავრცელებასა და გამოყენებაზე მიუთითებს.

**ყუმუხურ** ენაზე შექმნილ არაბოგრაფიულ ხელნაწერ ტრადიციას ყველაზე ადრეული ფესვები აქვს. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე ადრინდელი ძეგლია „დერბენდ ნამე“ - დაღესტნის ხალხთა ისტორიის ერთ-ერთი პირველი ორიგინალური წყარო, რომელიც XIV ს-ს განეკუთვნება. (ყუმუხურს კიდევ უფრო ძველი და მდიდარი დამწერლობითი ტრადიცია აქვს. დადგენილია, რომ ის ტომები, რომლებიც, ასე თუ ისე, მონაწილეობდნენ ყუმუხთა ეთნოგენეზში, ალბანური და რუნული (ძველთურქული) გრაფიკებით სარგებლობდნენ) (თოფჩიშვილი 2007: 80).

**ხუნძებმა** თავიანთი ენისათვის არაბული გრაფიკის საფუძველზე დამწერლობა XV-XVI სს-ში შექმნეს. (მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჯერ კიდევ არაბთა გამოჩენამდე დაღესტანში ხუნძები ალბანური და ქართული დამწერლობით სარგებლობდნენ) (თოფჩიშვილი 2007: 86-87)). **ახვახელებს**, რომლებიც იმავე ხუნძურ-ანდიურ-ცეზურ შტოს განეკუთვნებიან, XIX საკუთარი არაბული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი დამწერლობა ს-ის დასაწყისიდან ჰქონდათ. **ანდიელებიც** (იმავე შტოდან) რევოლუციამდელ პერიოდში საქმისწარმოებასა და ღვითსმსახურებაში არაბულ დამწერლობას იყენებდნენ, ლიტერატურასა და ღვითსმსახურებაში კი არაბულ გრაფიკაზე დაფუძნებულ ხუნძურს (თოფჩიშვილი 2007: 99). არაბული ანბანის საფუძველზე შექმნილი დამწერლობა XV ს-დან თანდათან **ლაკებსა** და **ლეზგებს** შორისაც გავრცელდა (ლეზგების წინაპრები თავდაპირველად ალბანურ დამწერლობასაც იყენებდნენ), რომელიც ლეზგიური და ლაკური ენების თავისებურებებთან იყო მისადაგებული (თოფჩიშვილი 2007: 133; 172).

ცნობილია, რომ არაბული ენა და არაბული დამწერლობა გარკვეული დოზით ჩეჩენ ხალხებში ჯერ კიდევ მონღოლურის შემდგომი პერიოდიდან იწყებს გავრცელებას, მაგრამ ჩეჩენტათვის არაბული ენა და დამწერლობა წერილობითი კომუნიკაციის საშუალებას არ წარმოადგენდა და გამოიყენებოდა მხოლოდ „ენტუზიასტების“ წრისა და სასულიერო ფენების წარმომადგენელთა მიერ, მაგრამ მათში ყოველთვის არსებობდა საკუთარი დამწერლობის, ორიგინალური ლიტერატურის, პოეზიის, დრამატურგიის შექმნის მოთხოვნილება. ეს მხოლოდ XIX ს-ის შუა ხანებისათვის განხორციელდა, როცა შექმნა არაბულ ანბანზე დაფუძნებული „აჯამური“ დამწერლობა, რომელმაც XX ს-ის 20-იანი წლების ბოლომდე იარსება, მაგრამ ზოგი მეცნიერის მოსაზრებით, დაღესტანთან შედარებით მეზობელ ჩეჩნეთში აჯამური დამწერლობის შექმნის პროცესის მთელი 5 საუკუნით დაგვიანების საკითხი ეჭვს იწვევს. მაშინ, როცა მათი ცხოვრებისა და ყოფის სხადასხვა სფეროში ამის საჭიროება იქამდეც არსებობდა. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის აღმოჩენები მათ აფიქრებინებთ, რომ ჩეჩნეთში, ისევე როგორც დაღესტანში (თუმცა არც ისე ფართოდ, როგორც დაღესტანში), არაბული გრაფიკა გაცილებით ადრეც გამოიყენებოდა ჩეჩნურ ენაზე ტექსტების ჩასაწერად. წარსულში, და განსაკუთრებით, XX ს-ში ჩეჩენი და ინგუში ხალხების დეპორტაციის პირობებში ყოველგვარი მატერიალური მასალა, რომელიც ამ ხალხების შორეულ თუ ახლო ისტორიას უკავშირდებოდა, მიზანმიმართულად განადგურდა, მათ შორის, სავარაუდოდ, აჯამური დამწერლობით შესრულებული ტექსტებიც. სწორედ ამიტომ მოხდა ისე, რომ ბოლო პერიოდში ჩეჩნურ ენაზე არაბული გრაფიკით შესრულებული XIX ს-ითა და უფრო ადრეული პერიოდით დათარიღებული ხელნაწერი დოკუმენტები, ძირითადად, ჩეჩნეთის ტერიტორიის გარეთ იქნა აღმოჩენილი. ისინი დაღესტნის ხელნაწერთა და წიგნთსაცავებში, კერძო ბიბლიოთეკებსა და ასევე სანქტ-პეტერბურგის ხელნაწერთა ფონდებში იქნა მიკვლეული და დაცული (გადაევი 2010: 4-7).

XX ს-ს მიეკუთვნება აგრეთვე არაბული გრაფიკის საფუძველზე ადიღური ენისათვის ალფავიტის შექმნის პირველი მცდელობა (1825 წელს). ამ ალფავიტმა ძალიან ცოტა ხანი იარსება. მისი ავტორი, შორა ნოგმოვი, 1830 წელს ისევ მიუბრუნდა ამ საკითხს, ოღონდ ამჯერად მან ალფავიტი შექმნა რუსული გრაფიკის საფუძველზე. (იქამდე, 1821 წელს, ოსური ენისათვის ახალი ანბანი შეიქმნა ქართული ანბანის საფუძველზე) (ბეკოევა 2011: 3).

XV ს-დან მოყოლებული XX ს-ის 20-იან წლებამდე „აჯამური“ დამწერლობების მეშვეობით დაღესტნური ორიგინალური ლიტერატურის მშობლიურ საფუძველზე გადატანის პროცესი მიმდინარეობს. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური ხდება მას შემდეგ, რაც XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე დიბირ-ყადი ხუნზახელმა არაბული გრაფიკის საფუძველზე კიდევ ერთხელ გადაამუშავა ალფავიტი დაღესტნური ენებისათვის. მანვე შეასრულა „ქილილასა და დამანას“ თარგმანი სპარსულიდან ავარიულ ენაზე. აქედან მოყოლებული მასიურად იწყება ნაწარმოებების შექმნა მშობლიურ ენებზე, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეავიწროვეს არაბული ენა და არაბულენოვანი ლიტერატურა, მაგრამ მრავალენოვან დაღესტანში ლიტერატურული ორენოვნება კიდევ დიდ ხანს გაგრძელდა. ი. კრაჩკოვსკის სიტყვებით: „ამ პერიოდის დაღესტანში იმავდროულად ვხვდებით არაბულენოვანი ლიტერატურის ერთგვარ „რენესანსს“ (რაჯაბოვა 2005: 200).

მიუხედავად იმისა, რომ არაბული ანბანი ჩრდილოეთ კავკასიის ადგილობრივი ენებისათვის დამწერლობის შემუშავების საფუძველი აღმოჩნდა, იმავდროულად სწორედ არაბული ენა ეწინააღმდეგებოდა ამ დამწერლობების ფართოდ გავრცელებასა და დამკვიდრებას. წერილობითი ლიტერატურა, ძირითადად, მაინც არაბულ ენაზე იქმნებოდა (შიხსაიდოვი 1969: 225). ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ არაბულის, როგორც უზარმაზარი ლიტერატურის ენის, ტრადიციებსა და შესაძლებლობებს. შესაძლოა, თავისი როლი ითამაშა ადგილზე შექმნილი ოროგინალური თუ აღმოსავლური წარმომავლობის ლიტერატურის სქოლასტიკურმა შინაარსმაც.

აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურული კონტაქტების გაღრმავებამ და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე არაბულენოვანი კულტურის გავლენამ, რომელიც საუკუნეები გრძელდებოდა და ნიადაგი მოამზადა შემდგომში არაბული აღმოსავლეთის ლიტერატურის, როგორც სტრუქტურის, ისე მისი ფორმების ნაციონალურ საფუძველზე გათავისებისათვის (მალომაგომედოვი 2005: 25).

დაღესტნის არაბულენოვანმა მწერლობამ არაბული მწერლობისაგან ისესხა მისთვის დამახასიათებელი ლიტერატურული ჟანრები და ფორმები, თუმცა, კიდევ გადაამუშავა ისინი თავისებურად, ისე, რომ ფორმისა და შედგენილობის თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავდებიან არაბული ტარდიციული ჟანრებისა და მათი ფორმებისაგან (მაგომედოვა 2012: 2). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დაღესტნური არაბულენოვანი ლიტერატურა, ითავისებდა რა აღმოსავლური ლიტერატურის გამოცდილებას, იმავდროულად საკუთარ

ახალ შტრიხებს გამოიმუშავებდა და შემდგომი განვითარების საკუთარ გზას საზღვრავდა, იგი მაინც ვითარდებოდა, როგორც აღმოსავლეთის ტიპიური კლასიკური ლიტერატურა. დაღესტნელი მწერლები და პოეტები, რომლებიც არაბულ ენაზე წერდნენ, თემათა ფართო წრეს ამუშავებდნენ (აკამოვი 2012: 23).

აკად ეგ. კრაჩკოვსკი ასეთ დახასიათებას აძლევდა დაღესტნის ორიგინალურ არაბულენოვან მწერლობას: „ის ენციკლოპედიურია, მაგრამ მისი ყურადღების ცენტრში დგას კანონიკური მეცნიერებები, განსაკუთრებით კი, ეგზეგეტიკა და სამართალი. XV-XVIII სს-ის დაღესტნელი სწავლულები მთელი სისრულით ფლობენ თავიანთ არაბ წინამორბედთა საერთოარაბულ მემკვიდრეობას. მათ ამავე ხარისხში აინტერესებდათ გრამატიკის, მათემატიკური თუ ასტრონომიული მეცნიერებებიც“ (კრაჩკოვსკი 1960: 176).

დაღესტნის კულტურული ცხოვრების ყველაზე ცნობილი ადგილობრივი ავტორები, რომლებიც XV-XVIII სს-ის მანძილზე სხადასხვა დროს ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს არაბულ ენაზე, იყვნენ: მუჰამედ რაფი - 1465 წელს შედგენილი ისტორიული ქრონიკის ავტორი; შაბანი ობოდიდან, რომელმაც შექმნა ალ-ბადავის ჰადისების კრებულის ვრცელი კომენტარები (გარდ. 1667 წელს); მუჰამედ კუდუთლეი - გრამატიკული სახელმძღვანელოსა და ცნობილი არაბი გრამატიკოსების გრამატიკულ ტრაქტატთა კომენტარების ავტორი (გარდ. 1717 წელს); დაუდ უსიშელი (გარდ. 1757 წელს) ცნობილი გრამატიკოსის დუნკუზის ტრაქტატების კომენტარების ავტორი; დამადანი მეგებიდან (გარდ. 1724 წელს) - ასტრონომიული და სამედიცინო შინაარსის ტრაქტატების ავტორი; მუჰამედ ტაჰირ ალ-კარახი (გარდ. 1880 წელს), რომელიც არის ცნობილი ისტორიული ქრონიკებისა და ასევე გრამატიკული ტრაქტატების ავტორი; დასან ალკადარი (გარდ. 1910 წელს) - ისტორიულ-პოეტური და ფილოსოფიური ნაშრომების ავტორი; ნაზირ დურგლეი (გარდ. 1935 წელს), რომელიც არის ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოს ავტორი (მაგომედოვა 2012: 2). ცალკე უნდა ითქვას XIX ს-ის მოღვაწის ალი კაიაევის შესახებ დაზიყუმუხიდან (წერდა ყუმუხურ, არაბულ და თურქულ ენებზე) და მისი ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებების შესახებ, რომლის საუკეთესო ნიმუშია „დაღესტნის სწავლულთა ბიოგრაფიები“ (ორაზაევი 2009: 1) და სხვები.

XVII-XIX სს-ში დაღესტანში არაბულ ენაზე შეიქმნა და გადამუშავდა ისტორიული ჟანრის ნარატიული ნაწარმოებები: მრავალრიცხოვანი მცირე ისტორიული ქრონიკები, რომლებიც ფართოდაა ცნობილი. მათ შორისაა მუჰამედ ავაბი აკტაშის (XVII ს.) „დერბენდ-



ნამე“, ასევე „თარის დაღესტან“, „წახურ-ნამე“ და მრავალი სხვა ცალკეული აულის შესახებ ისტორიული ქრონიკები, რომლებიც საბოლოო ჯამში მოიცავენ ისტორიულ ფაქტებს ჩრდილოეთ კავკასიის საკმაოდ ვრცელი რეგიონისა და სამხრეთ კავკასიის ნაწილის შესახებ (ორაზაევი 2009: 4).

XIX ს-ის 20-30-იან წლებში შეინიშნება არბულენოვანი მწერლობისა და კულტურის კიდევ ერთხელ ახალი ძალით გამოცოცხლება, როცა შამილის მეთაურობით მთიელთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლები გაიშალა და არაბული ენა შამილის მიერ შექმნილი საომარ-თეოკრატიული სახელმწიფოს, „იმამატის“, ოფიციალური ენა გახდა. ამ პერიოდში არაბულმა ენამ ჩრდილოეთ კავკასიის ერთა შორის ოფიციალური ურთიერთობების ფუნქციაც შეითავსა.

ა. გენკოს თავის მონოგრაფიაში „არაბული ენა და კავკასიოლოგია“ მოჰყავს ავანტიურისტ შტუკერის მოგონება, რომელიც ჩერქეზეთში იმყოფებოდა 1857-1858 წლებში და ესწრებოდა ბევრ პოლიტიკურ შეხვედრას, რომელსაც შამილის ცნობილი „ნაიბი“ მუჰამედ ამინი აწყობდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. შტუკერის სიტყვებით: „ასეთი საზოგადოებრივი შეკრება, როგორც წესი, რომელიმე გაშლილ ველზე რომ ეწყობოდა, მიჰყავდა ნაიბს..... მის ირგვლივ ისხდნენ მეზობელი სოფლებისა და დასახლებების მმართველები, ხოლო ორივე მხრიდან ედგა შეიარაღებული კოლონა. იგი დამსწრეთ მიმართავდა არაბულ ენაზე, შესაძლოა იმოტომ, რომ უფრო ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინა მათზე, ხოლო თარჯიმანი უთარგმნიდა მათ. ასეთი შეკრებები ბარე შვიდ საათს გრძელდებოდა და ბოლოს მთავრდებოდა ლოცვით, რომელსაც ასევე კრების წამყვანი ასრულებდა“. შტუკერის ცნობა სწორედ ცხადჰყოფს იმას, რომ იმ დროისათვის არაბული ჩრდილოეთ კავკასიაში არ იყო მხოლოდ რელიგიის ენა, რომელიც მხოლოდ მეჩეთებში გამოიყენებოდა, არამედ ისმოდა ცოცხალ მეტყველებაშიც ხალხთა იმ შეკრებებზე, რომელზედაც მომავალში ჩრდილოეთ კავკასიაში ჩერქეზთა დამოუკიდებელი არსებობის საკითხი წყდებოდა. შტუკერის შენიშვნას მუჰამედ ამინის მიერ არაბული ენის გამოყენების მოტივთან დაკავშირებით, ა. გენკო გადაჭარბებულად მიიჩნევს. სინამდვილეში მას არ სცოდნია ჩერქეზული ენა. არაბული კი იყო ენა, რომლის მცოდნენიც იყვნენ ჩერქეზთა შორისაც (გენკო 1974: 96).

როდესაც საუბარია XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში დაღესტნური მუსლიმური საზოგადოების ცხოვრებაში არაბული ენის გავრცელების მასშტაბებსა და მის

როლზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია არაბოგრაფიული ბეჭდური და ლითოგრაფიული კულტურის განვითარებაც, რომელსაც დაღესტანში ხელნაწერ ძეგლთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ და აგრეთვე პერიოდული გამოცემების დაარსებამაც მისცა იმპულსი. იმ პერიოდში დაღესტანი ერთნაირი სიძლიერით განიცდიდა ორი კულტურის გავლენას: არაბულ-მუსლიმურისას, რომელიც დაკავშირებული იყო ადგილობრივ იდეურ ტრადიციებთან და რუსულისას, რომელიც სულ უფრო მძლავრ გავლენას ახდენდა დაღესტნის იდეურ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. დასაწყისისათვის სტამბები დაღესტანში რუსული კულტურის გავრცელებას უწყობდა ხელს და მასში წიგნებიც, ძირითადად, რუსულ ენაზე იბეჭდებოდა, ხოლო რაც შეეხება არაბულენოვან ლიტერატურას, რომელიც აღმოსავლეთიდან ვრცელდებოდა, ძირითადად, კვლავაც ხელნაწერების სახე ჰქონდა. არაბულენოვანი ბეჭდური პროდუქცია XX ს-ის დასაწყისამდე, პრაქტიკულად, არ გვაქვს.

XX ს-ის დასაწყისამდე ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში არსებულ საწარმოებში, ძირითადად, რუსულ ენაზე ბეჭდავდნენ: სახვადასხვა ბლანკს, განცხადებებს, ადგილობრივი ადმინისტრაციების ანგარიშებს, პერიოდულ გამოცემებს: „დაღესტნის რეგიონის მდგომარეობის მიმოხილვა“, „დაღესტნის კრებული“, „ადგილობრივ დაღესტნელთა განცხადებები“ და სხვა. დაღესტნის ოლქის ადმინისტრაცია ადგილობრივი ლითოგრაფიების სუსტი ტექნიკური გამართულობის გამო სერიოზული მასალების თბილისში დაბეჭდვას ამჯობინებდა (ყურბანოვა 2002: 12).

მხოლოდ XX ს-ის დასაწყისისათვის დაედო სათავე დაღესტანში წიგნის არაბულ ენაზე ბეჭდვის საქმეს. პორტ-პეტროვსკის ტიპოგრაფიაში (რომელიც 1876 წ-დან არსებობდა) უკვე 1904 წელს გამოიცემოდა წიგნები არაბულ ენაზე. 1907-1908 წლებში არაბული წიგნის ბეჭდვა თემირ-ხან-შურას მ. მავრაევის მიერ დაარსებულ „ისლამურ ტიპოგრაფიაშიც“ დაიწყო, რომელიც მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოსცემდა სხვადასხვა თემატიკის (გრამატიკა, ლიტერატურა, პოეზია, ენათმეცნიერება, ფიქვი, სუფიზმი, ღვთისმეტყველება, დოგმატიკა, ლოგიკა, რიტორიკა, პრაქტიკული ასტრონომია და სხვა) წიგნს არაბულ ენაზე (ორაზაევი 2009: 7).

დაღესტნისა და თერგის რეგიონებში (თემირხანშურაში, პორტ-პეტროვსკსა და ხასავიურტში) XX ს-ის დასაწყისში გამოცემული 400-მდე დასახელების (დღემდე მიკვლეული და შესწავლილი) ნაბეჭდი წიგნიდან თითქმის ნახევარი თურქულენოვანია

(ძირითადად, ყუმუხურ ენაზე), ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი - არაბულენოვანი, ხოლო დანარჩენი იბეჭდებოდა დარგულ, ავარიულ, ლაკურ, ყაზარდულ, ყარაჩაი-ბალკანურ, ჩეჩნურ და სხვა ენებზე. ნაბეჭდი პროდუქციაც ისეთივე მრავალფეროვანი იყო ჟანრულ-თემატური თვალსაზრისით, როგორც ხელნაწერები, მაგრამ ბეჭდური პროდუქციის 50 % რელიგიური შინაარსისა იყო, ხოლო სასწავლო სახელმძღვანელოები წარმოადგენდა მხოლოდ 6%-ს (ორაზაევი 2009: 1-3).

დაღესტნის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში ინახება პორტ-პეტროვსკის ტიპოგრაფიაში არაბულ ენაზე გამოცემული სამი არაბული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოების 11 ეგზემპლარი: შეიხ-ზადეს „ქაშიფ ალ-კინა‘ ‘ალა კავა‘იდ ალ-‘ი‘რაბ“ (გამოცემულია მ. ასადოვის მიერ 1910 წელს), ‘აბდარაზხმან ჯამის „შარჰ მულა ჯამი“ (გამოცემულია მ. მავრავის მიერ 1905 წელს), ალ-არდაბილის „შარჰ ალ-ინმიზაჯ“ (გამოცემულია მ. მავრავის მიერ 1905 წელს), ასევე 2 ლოგიკის სახელმძღვანელო (სულ 5 ეგზემპლარი), ერთი სახელმძღვანელო სუფიზმში და ერთი ფიქსისა. როგორც ჩანს, ადგილობრივ სტამბებში არაბულენოვან წიგნებს შორის საკმაო რაოდენობით იბეჭდებოდა არაბული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები, მასზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა XV-XX სს-ის მანძილზე გრამატიკის ხელნაწერი სახელმძღვანელოების გადაწერის სიხშირე და რაოდენობაც, რის შესახებაც ზემოთ უკვე შევნიშნეთ.

პირველი მსოფლიო ომის წლების პერიოდში დაღესტნის რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრ თემირ-ხან-შურაში (თანამედროვე ბუინასკი) გამოჩნდა არაბულენოვანი პერიოდული გამოცემა, გაზეთი „დაღესტანი“, რომელიც რევოლუციამდე არაბულის გარდა თურქულ ენაზეც გამოდიოდა. ამავე სტამბაში 1913-1918 წლებში, დაღესტნისა და მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონისათვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში, როცა ბოზოქრობდა ცენზურა და იკრძალებოდა ყოველგვარი თავისუფალი აზრი, გამოდიოდა გაზეთი „ჯარიდა დაღესტან“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა დაღესტნის საზოგადოებების ცხოვრებაში და ამ პირობებში საკმაოდ დიდხანსაც იარსება. იწერებოდა არაბულ სალიტერატურო ენაზე, რის გამოც იმ პერიოდის ცენზურისათვის მიუწვდომელი რჩებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მკითხველთა მხოლოდ ნაწილისათვის აღმოჩნდა ხელმისაწვდომი (ორაზაევი 2009: 18).

თემატური თვალსაზრისით სტატიები, რომლებიც გაზეთის ფურცლებზე არაბულ ენაზე იბეჭდებოდა მეტად მრავალფეროვანი იყო: განათლება და რელიგია; რეგიონის სულიერი განვითარების დონე, ამ სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; მეცნიერებისა და სწავლულ-მეცნიერთა მდგომარეობა დაღესტანში, მათი ფუნქცია და დანიშნულება; სასწავლო მეთოდების კრიტიკა და მათი რეფორმირების აუცილებლობა; ქალთა საკითხი; ადათები; ასტრონომია, გეოგრაფია, მედიცინა და ჯანდაცვა; კლიმატი და რეგიონის მეურნეობა, ისტორია და ისლამის ისტორია და სხვა. სპეციალური გვერდები ეთმობოდა: მხატვრულ ლიტერატურას, ლიტერატურულ წერილებსა და განცხადებებს.

როგორც ირკვევა, XIX ს-ის დასაწყისისათვის დაღესტნის რეგიონის არც თუ მცირე ნაწილი იღებდა განათლებას მუსლიმურ სასწავლებლებში და ეუფლებოდა სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინას, მაგრამ არბულ-მუსლიმური მეცნიერების განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროპულსა და ასევე რუსულისასაც. ამ მიზნით იწყება დაღესტანში XIX ს-ის 30-იანი წლებისათვის რუსი სწავლულების მიერ რუსული ტიპის სკოლა-დაწესებულებების დაარსება, რომლებიც დაღესტნელთ განათლების მიღებას უფრო მაღალი სტანდარტებით სთავაზობდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული დაღესტანი სულ უფრო აქტიურად შედის რუსულენოვან კულტურულ სივრცეში. რუსულ კულტურასთან დაახლოვების კვალდაკვალ დაიწყო კულტურული ორიენტაციის აღმოსავლეთიდან რუსეთის მიმართულებით გადამისამართებაც.

ცოტა უფრო ადრე, XIX ს-ის დასაწყისისათვის **გასპრინსკის** მიერ ბაღჩისარაიში (ყირიმის ნკ-ზე) დაარსებული იქნა მედრესე, რომელშიც სწავლება ახალი მეთოდოლოგიით მიმდინარეობდა. ეს სკოლა შემდგომში გახდა მაგალითი და მისი მსგავსი სკოლები იმპერიის სხვა რეგიონებშიც გაიხსნა. ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ასეთი სკოლა პირველად დერბენდში გახსნეს. დაღესტნელთა პასიურობამ და მასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობამ ცხადჰყო, რომ მთიელთა ფსიქოლოგიის გარდაქმნა არც ისე ადვილი იქნებოდა და რომ ასეთ სკოლებში რელიგიური მეცნიერებების შენარჩუნება, რომლებიც იკითხებოდა არაბულ-მუსლიმურ სასწავლებლებში, უბრალოდ, აუცილებელი იყო. რეგიონის ამ თავისებურების გათვალისწინებით, რუსული მხარე თავიდან იმ დათმობაზეც წავიდა, რომ სკოლებში შენარჩუნებული იქნა, არა მარტო მუსლიმური საღმრთო სწავლება, არამედ მასთან ერთად არაბული ენაც (სავალდებულო იყო რუსული ენის სწავლაც), მაგრამ XIX ს-ის შუა ხანებიდან მოყოლებული დაღესტანში ერთი-მეორის მიყოლებით იხსნებოდა ორ და

ოთხკლასიანი დაწყებითი სკოლები, რომლებშიც სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც რუსეთის მხრიდან დაღესტნის მოსახლეობაში რუსული წერა-კითხვის გავრცელების, ადგილობრივი მოსახლეობის რუსულ კულტურასთან ზიარების და ამ გზით არა მარტო არაბული ენის, არამედ აგრეთვე, დაღესტნელთა მშობლიური ენების რუსულით ჩანაცვლების მიზანმიმართული ქმედება იყო (მუსლიმოვა 2002: 282).

ახალი ტიპის ფასიანი სკოლები ხელმისაწვდომი იყო დაღესტნის მხოლოდ შეძლებული ფენის წარმომადგენელთა შვილებისათვის. XIX ს-ის ბოლომდე დაღესტანში რუსულენოვანი სკოლების რიცხვის ზრდის მიუხედავად რელიგიური სკოლების მედრესეებისა და მექთებეების რაოდენობა არ შემცირებულა (ისაევი 2013: 4).

თუკი XIX ს-ის პირველ ნახევარში დაღესტანზე გარკვეული პრეტენზიები ჰქონდათ ირანს, თურქეთსა და რუსეთს, საუკუნის ბოლოსათვის ხდება ამ პროცესის, ერთგვარი, ინტერნაციონალიზაცია. ამ დაპირისპირებაში ჩართული აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატებიც კი. ამიტომაც, რუსულ მმართველობას უნდა მოეფიქრებინა და რაც მთავარია, უნდა განეხორციელებინა ისეთი პოლიტიკა, რომელიც ყველა აქ მცხოვრები ხალხის ნაციონალურ-ეთნიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინტერესებს გაითვალისწინებდა (ახმედოვი 1999: 175).

XIX ს-ის მეორე ნახევარში მეფის ხელისუფლების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესისათვის მეტად მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა. გაუქმებულ იქნა მუსლიმური სამართალი. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კავშირები რუსეთთან სულ უფრო მტკიცე ხდებოდა. ამ დროისათვის რუსი სწავლულების დაინტერესება ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ისტორიისა და კულტურის თავისებურებებით განსაკუთრებით გაიზარდა.

„ცივილიზების კურსის“ იმ რეფორმების ფარგლებში, რომლებსაც რუსეთი ატარებდა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში, რუსეთის სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები ხედავდნენ თავიანთ მისიას, ჩაერთოთ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი რუსეთის იმპერიის ჩივილიზებულ სივრცეში „მშვიდობიანი“ ანუ ჰუმანიტარული საშუალებებით (წერა-კითხვისა და განათლების გავრცელებით მთის მცხოვრებლებში). კავკასიით დაინტერესებული მკვლევრები აღნიშნავდნენ: „იმ პირობებში, როცა ხდება ცვლილებები ეროვნულ თვითშეგნებაში, მუსლიმური ცივილიზაცია, არაბული ენა და არაბული დამწერლობა, იცვლებიან: მცირე ერები ახალ ცივილიზაში ერთვებიან და მისი ნაწილი

ხდებიან, ითავისებენ მას და თავადაც შეაქვთ მასში გარკვეული ცვლილებები“ (ბეკოევა 2011: 24).

რუსი სწავლულები მიზნის მიღწევის მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნევენ მეცნიერების აკლიმატიზაციას მთიელთა ტრადიციულ საფუძველზე. ისინი ხვდებოდნენ აქ არსებული სიტუაციის სიმძიმესა და სირთულეს და თვლიდნენ, რომ თუ ადგილობრივი ახალგაზრდობის სწავლება მოხდებოდა ნაციონალურ ენებზე, რომელიც გასაგები იქნებოდა მთელი საზოგადოებისათვის და არა საზოგადოების გარკვეული ფენისათვის, როგორც ეს იყო არაბული ენის შემთხვევაში, უფრო სწრაფად და ეფექტურად მოხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ინტეგრაცია საერთო რუსულ და მსოფლიო ცივილიზაციის სივრცეში.

რუსი სწავლულები გამოდიოდნენ რეგიონში ბილინგვური სწავლების სისტემის ჩამოყალიბების მოწოდებებით. მათი აზრით დაღესტნელების მიერ სკოლებში მშობლიურ ენებთან ერთად რუსული ენის შესწავლას, და რაც მთავარია, რუსული ენის შესწავლას მათს მშობლიურ ენებზე, დადებითი შედეგები უნდა გამოეღო და დროთა განმავლობაში რუსულ ენას მრავალენოვან რეგიონში „საერთაშორისო“ ენის დატვირთვა უნდა შეეძინა.

XIX ს-ის 50-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც შეიქმნა „კავკასიელთა სწავლების წრე“, კავკასიოლოგიისა და კავკასიური ენათმეცნიერების ფუძემდებლები (ნ. ვორონოვი, მ. ზავადსკი, ე. მაქსიმოვი, ვ. მილერი, პ. უსლარი, ა. შიორგენი, კ. იანოვსკი და სხვები) რუსი სწავლულები იწყებენ კავკასიური ენებისათვის დამწერლობების შექმნის სამეცნიერო-პედაგოგიურ პროცესს. ისინი სწავლობდნენ კავკასიურ ენებს, ადგენდნენ მათს ანბანსა და მის თავისებურებებს, ქმნიდნენ მთიელთა სკოლებისათვის ამ ენების გრამატიკის სახელმძღვანელოებს.

XIX ს-ის 70-იანი წლებიდან ახალი ბილინგვური სწავლების მეთოდით გამართული სკოლების რიცხვი სულ უფრო იზრდება. 1865 წლიდან 1875 წლამდე პერიოდში ასეთ სკოლებში განათლების მიღების მოსურნეთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა (ბეკოევა 2011: 25). შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა ნელ-ნელა თავის მიზანს აღწევდა, და განსაკუთრებით, ეს ითქმის ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რეგიონებზე, ჩეჩნეთსა და ინგუშეთზე, რომლებიც ისედაც ჩამორჩებოდნენ დაღესტნის რეგიონს მუსლიმური განათლების კერების რაოდენობისა და ხარისხის თვალსაზრისით. დაღესტნის რეგიონში კი არაბულ-მუსლიმურ საგანმანათლებლო კერებზე მოთხოვნილება მაინც არ იკლებდა და 1892 წლისათვის ოფიციალური მონაცემებით 646 მუსლიმური სასწავლებელი

ფუნქციონირებდა, რომლებშიც 4 306 მოსწავლე იღებდა განათლებას (გაჯიევა 2004). ხოლო 1913 წლისათვის დაღესტანში დარეგისტრირებული იყო 766 მუსლიმური სასწავლებელი, რომლებშიც 7 727 ადამიანი სწავლობდა (იარლიკაპოვი 2010 : 344-353).

XX ს-ის დასაწყისში ისლამის რეფორმაციის კვალდაკვალ მუსლიმური აღმოსავლეთის ქვეყნებში დაიწყო აღზრდისა და სწავლების სისტემის განახლების „ჯადიდიზმის“ სახელით ცნობილი მოძრაობა. ამ მოძრაობის წევრები სკოლების ახალი, ევროპული, მეთოდებით აღჭურვის მოწოდებებით გამოდიოდნენ. ამ იდეების გავრცელება დაღესტანში გაზეთ „ჯარიდა დაღესტანის“ ფურცლებიდან ხდებოდა, რომლის რედაქტორი და ამ მოძრაობის იდეების მომხრე და გამავრცელებელი იყო XX ს-ის ცნობილი დაღესტნელი სწავლული და პედაგოგი ალი კაიაევი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩრდილოეთ კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთაც (გაჯიევა 2004: 196). გაზეთ „ჯარიდა დაღესტანში“ თანამშრომლობის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე ის იმყოფებოდა კაიროში, სადაც გაეცნო XX ს-ის ისლამის მოდერნიზატორ ცნობილ წარმომადგენლებს: მუჰამედ აბდოს, ჯამალადდინ ალ-აფღანის, რაშიდ რიდას და მათ იდეებს. ისინი გამოდიოდნენ მუსლიმი ხალხების ევროპულ ცივილიზაციასთან გაცნობისა და დაახლოვების მოთხოვნით, პროპაგანდას უწევდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ნაციონალურ კულტურას, ცდილობდნენ ისლამის კაპიტალისტურ ურთიერთობებთან შეხამებას (ორაზაევი 2009: 26).

ალი კაიაევიც, რომელიც რეგიონის განვითარების ჩამორჩენილობის გამომწვევ სხვა უამრავ მიზეზთან ერთად განათლების სისტემის სიძველესაც ასახელებდა, თავის მხრივ, გაზეთ „ჯარიდა დაღესტანის“ ფურცლებიდან მოუწოდებდა დაღესტნის სკოლებში სწავლების მეთოდთა გადახედვის აუცილებლობასა და დაწყებით კლასებში განათლების პროცესის მთლიანად მშობლიურ ენაზე წარმართვის აუცილებლობაზე. იგი თვლიდა რომ ახალ მეთოდთა შემუშავებისას უნდა დაყრდნობოდნენ იბნ ხალდუნის მეთოდურ შეხედულებებს, კერძოდ, არაბული ენა და ლოგიკა უნდა ექციათ ინსტრუმენტად სხვა მეცნიერებების შესასწავლად. მისმა მეთოდებმა შესანიშნავი შედეგები გამოიღო მისსავე სკოლაში, ღაზი-ყუმუხში, სადაც არაბული ენა მშობლიურ ენაზე შეისწავლებოდა. არაბული ენის შესწავლისას აქ არ შემოიფარგლებოდნენ ენის წესების შესწავლით, არამედ მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარების გამომუშავებაზეც ზრუნავდნენ.

კაიაევსა და მის თანამოაზრეებს მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხთან დაკავშირებით ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, სწორედ, მუსლიმი სწავლულების მხრიდან შეხვდათ, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს მ. მარვაევის მიერ დაარსებულ თემირ-ხან-შურას ლითოგრაფიაში სხვადასხვა სახელმძღვანელო წიგნის დადესტნელთა მშობლიურ ენებზე გამოცემა და მალევე შეიტანეს სკოლებში არაბული ენის გრამატიკის სასწავლო სახელმძღვანელოები დადესტნურ ენებზე (გაჯიევა 2004: 198). სხვა დისციპლინების სასწავლო სახელმძღვანელოებიც ასევე დაიბეჭდა ავარიულ, ადიღეურ, დარგულ, ყაბარდოულ, ლაკურ, ლეზგიურ, ოსურ და ჩეჩნურ ენებზე (იარლიკაპოვი 2012: 344).

არაბული ენა XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული თანდათან თმობდა პოზიციებს მხატვრული შემოქმედების სფეროში. მართალია, XIX ს-ში და XIX ს-ის 30-იან წლებამდეც, 1917 წლის რევოლუციისა და რუსეთთან ოფიციალურად მიერთების შემდეგაც კი, დადესტნის ხალხთა მხატვრული ლიტერატურა ჯერ კიდევ, ძირითადად, არაბულ და ასევე ადგილობრივ ენებზე იქმნებოდა, მაგრამ ამასთანავე დაიწყო ლიტერატურული ნიმუშების შექმნა რუსულ ენაზეც. არაბული ენისა და არაბულენოვანი ლიტერატურისადმი ასეთი ინტერესის შენარჩუნება, მხოლოდ, აღმოსავლური განათლების ღრმა ტრადიციით შეიძლება, აიხსნას. ლიტერატურის, მეცნიერების, ისლამის იდეოლოგიის, ოფიციალური საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში არაბული ენა რევოლუციამდე ინარჩუნებდა დომინანტის როლს და დროდადრო გარკვეულ აღორძინებასაც აღწევდა, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე არაბული ენის ადგილობრივი და რუსული ენებით ჩანაცვლების გეგმიური პროცესის შედეგად იგი XX ს-ის 30-იანი წლებისათვის მოხმარების სხვადასხვა სფეროდან თანდათან გამოიდევნა.

თუმანსკი თავის სამეცნიერო მოხსენებაში 1910 წელს ამბობდა: „ამჟამად კავკასიაში, მის არცერთ დასახლებაში არ ისმის ცოცხალი არაბული მეტყველება. მხოლოდ პერიფერიულ დადესტანში შემორჩა დამწერლობა ამ ენაზე და მოსამართლე თავის გადაწყვეტილებებს ამ ენაზე აქვეყნებს“.

ერთ 1914 წლითა დათარიღებულ არაბულენოვან დოკუმენტში (შეეხება იმ პერიოდის ცნობილ დადესტნელ საზოგადო მოღვაწეს საიფულა-ყადი ბაშლაროვს, რომელიც დადესტანში 1914 წლის პისართა წინააღმდეგ წარმოებულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა, რის გამოც ყაზანის გუბერნიაში გაიგზავნა) ნათქვამია, რომ დადესტნელთა დიდი მღელვარება გამოიწვია რეგიონების სასამართლოებში რუსი პისარების დანიშვნამ,



რომელთაც ამიერიდან სასამართლო საქმეები უნდა ეწარმოებინათ არა არაბულ, არამედ რუსულ ენაზე (შიხალიევი 2012: 10).

1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ახალი ხელისუფლების მიერ რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ახალი რეფორმების გატარება დაიწყო, მათ შორის განათლების სფეროში. 1920 წლიდან მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში იხსნება ახალი სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები. ამასთან დაკავშირებით დაიწყო კადრების გადამზადება. თავდაპირველად ასეთ სასწავლებლებში მასწავლებლებად მოწვეულ იქნენ არაბისტი-მასწავლებლები, რომელთაც მხოლოდ სასულიერო განათლება ჰქონდათ. მათ შორის ბევრი ცნობილი მეცნიერი იყო, რომლებიც შემდგომში ახალი მშობლიური ენისათვის გრამატიკის სახელმძღვანელოების ავტორები გახდნენ. გადამზადება იმ ახალი რუსული ალფავიტის საფუძველზე შექმნილი ანბანის გადახედვასა და დამუშავებასაც გულისხმობდა, რომელიც რევკომის მიერ დაღესტნური, ოსური და ჩეჩნური ენებისათვის იყო შემუშავებული.

XX ს-ის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში დაღესტანში შეინიშნება რელიგიური კულტურის დაცემა. მასიურად უმოწყალოდ ნადგურდებოდა არაბულ ენაზე შექმნილი წიგნები და ხელნაწერები მიუხედავად მისი შინაარსისა. ხალხი, რომელიც ცდილობდა წიგნების გადარჩენას მათ სხვენებზე და ზოგჯერ კედლებში ჩაშენებულ სპეციალურ სამალავებში ინახავდა (აბდულხალიკოვა 2005: 12). ამის მიზეზი იყო ის, რომ ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების (1918 წ.) დამყარების შემდეგ მთავრობა ათწლეულის მანძილზე ატარებდა „სამეცნიერო ათეიზმის“ პოლიტიკას. ამ პერიოდში დაღესტნის ბევრი სწავლული იქნა გადასახლებული (თემიროვა 2006: 112). ეს ადამიანები, რომელთაც კარგად იცოდნენ არაბული ენა და გააჩნდათ არაბულენოვანი ლიტერატურა, რეპრესირებულები იქნენ სწორედ არაბისტობის ნიშნით (ყურბანოვა 2002: 14). 1928 წელს დაღესტანსა და სხვა მუსლიმური რეგიონებიდან 800-ზე მეტი მუსლიმი მოღვაწე იქნა გადასახლებული. ამ დროსათვის დაღესტნელები საბოლოოდ მოსწყდნენ დანარჩენ ისლამურ სამყაროსა და ისლამური განათლებისა და კულტურის ცენტრებს.

XX ს-ის 30-იან წლებში (ახალი თუ ძველი მეთოდით გამართული) მუსლიმური სასწავლებლები ოფიციალურად სავსებით წყვეტენ არსებობას. მუსლიმური სკოლების დახურვას თან ახლდა იმ პირთა ფიზიკური ჩამოცილება, რომლებიც ასწავლიდნენ ასეთ სკოლებში. მაგრამ დაღესტნის მთისა და მთისწინა რეგიონებში მუსლიმური სისტემით

სწავლების პროცესი სრულად არასოდეს შეწყვეტილა. მძიმე რეპრესიების მიუხედავად გადასახლებიდან დაბრუნებული ალიმები ადგილობრივი მოსახლეობის სურვილისა და მოთხოვნის საფუძველზე კვლავ განაგრძობდნენ ხოლმე საგანმანათლებლო საქმიანობას (იარლიკაპოვი 2012: 344). ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში სასწავლო დაწესებულებების დონე სულ უფრო დეგრადირდებოდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ არავისთვის აღარ წარმოადგენდა სადავოს ის ფაქტი, რომ თანამედროვე რუსულენოვანი განათლების კერები უკეთ უზრუნველყოფდნენ მათ ცოდნით უმნიშვნელოვანესი დისციპლინების სფეროში, არაბულენოვანი წიგნისა და მუსლიმი სწავლულების მიმართ დიდი მოწიწება, თითქმის საბჭოთა სისტემის დასრულებამდეც კი, უცვლელად შენარჩუნდა. ადამიანები, რომლებიც ფლობდნენ წერა-კითხვას არაბულ ენაზე, აქ ყოველთვის დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

### **§ 3 მუსტაფა ეფენდი ილისუის ჩრდილოეთკავკასიური (დაღესტნური)**

#### **არაბულენოვანი ხელნაწერი ძეგლი „თარის ალ-ჰარბი“**

#### **3.4. ძეგლის აქეოგრაფია.**

ჩვენი შესწავლის ობიექტია დაღესტნელი ავტორის მუსტაფა ეფენდი ილისუის ისტორიული შინაარსის პოეტური ნაწარმოების ხელნაწერი ტექსტი, რომელიც დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში

ნომრით - Лп 576/1 (დადესტნურ არაბულენოვან ხელნაწერთა კატალოგი 2002: 440). ნაწარმოების სახელწოდებაა „თარის ალ-ჰარბი“, ანუ „ომის ისტორია“. ეს არის ავტორის მოგონებები პირველ მსოფლიო ომზე. ნაწარმოებში საუბარია ომის გამომწვევ მიზეზებზე, აღწერილია მოვლენათა განვითარება.

ხელნაწერზე მითითებულია ტექსტის გადაწერის დასრულების თარიღი - ჰიჯრით 1340 წლის 18 რაჯაბი / ქრ-ით 1922 წლის 17 მარტი.

ხელნაწერი კალიგრაფიული დადესტნური ნასხითაა შესრულებული თეთრი ფერის რუსული წარმოების ქაღალდზე. მელანი შავი ფერისაა. ყველა ფურცლის ზომა ერთნაირია: 22x18; 20x14. მოიცავს რვა გვერდს. თითოეულ გვერდზე 12 სტრიქონია. ფურცლის არეებზე მინაწერები, ტექსტის განმარტებებითა და კომენტარებით, განსხვავებული კალიგრაფიითაა შესრულებული.

ძეგლის პირველი აღწერა არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური თავისებურებების თვალსაზრისით (ხელნაწერის შიფრი, ფურცელთა რაოდენობა, ზომა, საწერი მასალა, ქაღალდი, ყდა, დაცულობის ხარისხი, დამწერლობის სახეობა, მელანი, დარგი, ავტორი) მოხდა 80-იან წლებში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (მაშინდელი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის) თანამშრომლების მიერ, რომლებმაც აღწერეს და დაამუშავეს არაბული, და მათ შორის, დადესტნური წარმოშობის ხელნაწერი ძეგლები, რომელთა აღწერილობებიც შევიდა მათ მიერვე გამოცემულ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ დადესტნურ არაბულენოვან ხელნაწერთა კატალოგში.

რაც შეეხება ხელნაწერის გადაწერის ან შესრულების ადგილს, ასეთი მინიშნება ძეგლს არ ახლავს და ამის დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ჩვენ მიერ მოძიებული იქნა ამ ავტორის იმავე ნაწარმოების ნუსხა, დადესტნისა და პეტერბურგის ხელნაწერთა ინსტიტუტებში დაცულ ხელნაწერთა კატალოგებში (მათს ელექტრონულ ვერსიებში), მაგარამ ამ ავტორის იგივე, ან რომელიმე სხვა ნაწარმოები აღნიშნულ კატალოგებში არ მოიძებნა.

### 3.2. დამხმარე ნიშნები

დაღესტნელი ავტორის მუსტაფა ეფენდი ილისუის ხელნაწერი ტექსტი საინტერესოა პალეოგრაფიული, აგრეთვე დამხმარე ნიშნების თვალსაზრისით, რომლებითაც ხელნაწერი უხვადაა გაფორმებული.

სპეციალურ ლიტერატურაში დამხმარე ნიშნებს უწოდებენ: 1) დიაკრიტიკულ ნიშნებსა (ხმირ შემთხვევაში, ეს არის წერტილები) და გრაფიკულ ელემენტებს, რომლებიც შემოღებულ იქნა ადგილობრივი, კავკასიელი ხალხების („აჯამების“) მიერ, მათი ენებისათვის სპეციფიკურ იმ ბგერათა აღსანიშნად, რომლებიც არაბულში არ გვაქვს; 2) განმარტებით ნიშნებს: ხმოვნის, ან უხმოვნობის, თანხმოვნის გაორმაგების აღმნიშვნელები და ასევე სხვა მისათითებელი ნიშნები ე. წ. „ზამირუ-ლ-იშარა“, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ტექსტის სწორად წაკითხვა.

კავკასიელი ხალხი წერდა არაბულ ენაზე, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა მათი მშობლიური ენების სისტემებისაგან. ჩეჩნური, ინგუშური და დაღესტნური ენები, რომლებიც ერთად ქმნიან ენათა ნახურ-დაღესტნურ ჯგუფს, რომელთა ფონეტიკური სისტემა ხასიათდება ბევრი ისეთი ფონემით, რომლებიც არაბულ ენაში არ გვაქვს. გარდა ფონეტიკურისა ჩრდილოეთ კავკასიური ენები ხასიათდებიან მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებითაც, რომლებიც არაბულისაგან განსხვავებულ სისტემებს წარმოადგენენ.

ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების მიერ თავიანთი ენების ემფათიკური ბგერების აღსანიშნად დამატებით და განმარტებით ნიშანთა გამოყენების ცალკეული შემთხვევები შუა საუკუნეებიდან გვხვდება, კერძოდ, მონღოლური დაპყრობების შემდგომი პერიოდიდან, როდესაც არაბული ენა აღარ წარმოადგენდა რეგიონში დამპყრობელთა ენას და ერთა შორის ურთიერთობის საშუალება გახდა. დამხმარე ნიშანთა სისტემის შემუშავებაში დაღესტნის ყველა ხალხი იღებდა მონაწილეობას, რამეთუ მათი გამოყენების ნიმუშები გვხვდება ყველა ამ ხალხის მიერ შესრულებულ ეპიგრაფიკულ მასალაზე. მათ შორის უძველესია: ხუდუწის (დათარიღებულია 718/1319 წ.); კარახის (757/1356) და ხნოვის (დაახლოებით იმავე პერიოდის) წარწერები (შიხსაიდოვი et al 2001: 4).

აღსანიშნავია ისიც, რომ შუა საუკუნეებში ადგილობრივი ხალხები სპეციფიკურ ბგერათა აღსანიშნად მსგავს გრაფემებს იყენებდნენ მიუხედავად მათი დასახლებისა და ენობრივი კუთვნილებისა, ხოლო დიაკრიტიკულ ნიშნად ყოველთვის სამი წერტილია გამოყენებული, რომელიც მოთავსებულია არაბული გრაფემის თავზე ან მის ქვედა მხარეს.

დაღესტნელი მეცნიერის ა. ალიკბეროვის აზრით, უცნობია, თუ რას უკავშირდება სამწერტილის გამოყენება განმასხვავებელ ნიშნად: უკავშირდება ეს ადგილობრი ხალხების წინა სამწერლობო ტრადიციებს, კერძოდ, ალბანურ დამწერლობას, თუ, უბრალოდ, ისესხეს იგი სპარსულიდან. ლეზგიურმა ფოლკლორმა შემოინახა ერთი თქმულება, რომლის გმირიც ამბობს: „მე ჩემი სამი თითით მოვკვეთ შენს ნათქვამ სიტყვებს“. ლეზგიური ფოლკლორის ცნობილი დაღესტნელი მკვლევარი ფ. ჰაჯიევი ამტკიცებს, რომ აქ საუბარია სამ წერტილზე, რომელსაც ალბანური ენის დამწერლობაში სიტყვის მნიშვნელობათა განმასხვავებლის ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ ალბანურით შესრულებულ არცერთ ძეგლზე, რომელიც მოღწეულია ჩვენამდე, მსგავსი ნიშანი არ გვხვდება (ალიკბეროვი 2009: 2).

ბექდურ და ხელნაწერ ძეგლებში დამატებით ნიშანთა სისტემის სახით გამოყენება, მხოლოდ, XIX ს-ის შუა ხანებიდან გვხვდება, იქამდე ეს სისტემა თანდათან იხვეწებოდა და ვითარდებოდა.

დაღესტნელი მკვლევარი მ. საიდოვი, რომელიც ხუნძური ენისათვის (ასევე სხვა დაღესტნური ენებისათვისაც) ე. წ. აჯამური დამწერლობის შექმნის საკითხს იკვლევდა, ერთ-ერთ პირველ ხელნაწერ ძეგლად, რომელშიც დიაკრიტიკული ნიშნებია გამოყენებული, ასახელებს ცნობილი სწავლულის - ტაიჰიზის მიერ 1580 წელს გადაწერილ რელიგიური ხასიათის არაბულ ენაზე შექმნილ თხზულებას, რომელშიც მრავლადაა მოცემული ხუნძურ ენაზე ტექსტები კომენტარებისა და თარგმანების სახით (საიდოვი 1957: 12).

ხუნძური ენისათვის აჯამური გრაფიკის საბოლოო ჩამოყალიბება ცნობილი ხუნძი სწავლულის დიბირ ყადის (1742-1817) სახელს უკავშირდება. დიბირმა თანხმობებთან ერთად ხმოვანთა ნიშნებიც გამოიყენა. გარკვეული წვლილი „აჯამური“ ალფავიტის დადგენაში შამილსაც შეუტანია. მის მიერ შექმნილმა სწავლულთა სპეციალურმა კომისიამ დაადგინა დამატებით კიდევ ერთი გრაფემა ქ ყრუ ლატერალ ლ'-ს გადმოსაცემად.

დიბირის მიერ შექმნილი ალფავიტით მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე სარგებლობდნენ 1917 წლის რევოლუციამდე, მაგრამ ეს ალფავიტი, თუნდაც ასეთი, საბოლოოდ დადგენილი, სახით გამოყენებისას გარკვეულ უხერხულობას მაინც ქმნიდა, რადგან სამი ხმოვნით აღინიშნებოდა ხუნძური ენის ხუთი ხმოვანი, ხოლო ერთი გრაფემით რამდენიმე ბგერა გადმოიცემოდა. მაგ.: ك - გ, چ, კ, კჟ (უკანაენისმიერი მაგარი აბრუპტივი); ئ - ქჟ (უკანაენისმიერი მაგარი ასპირატი, ხშული), კჟ; ق - კჟ, ხ~ (უკანაენისმიერი დარბილებული ასპირატი, სპირანტი); خ/ح - ხჟ (უკანაენისმიერი მაგარი ასპირატი,

სპირანტი), ჯ (ფარინგალური ასპირატი); ჯ - ც, ც~ (წინაენისმიერი დარბილებული სპირანტი), წ, წჰ; ჯ - ჩ, ჩჰ (წინაენისმიერი აბრუპტივი, აფრიკატი), ჭ და სხვა.

ერთ-ერთი პირველი, ვინც არაბულენოვან დადესტნურ მწერლობაში დამხმარე ნიშნების საკითხს სპეციალური სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა დადესტნელი სწავლულის მუჰამად ტაჰირ ალ-კარახის ისტორიულ ქრონიკაზე („შამილურ ბრძოლებში მოელვარე დადესტნური მახვილები“) დაყრდნობით, იყო ა. ბარაბანოვი. ქრონიკა დაწერილია არაბულ ენაზე და XIX ს-ის ადგილობრივი ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ტოპონიმთა დიდმა რაოდენობამ, რომლებიც ჩაწერილია ავარიულ (ხუნძურ), ან ჩეჩნურ ენებზე, რუსული ენიდან მრავალრიცხოვანმა ნასესხობამ და ასევე ისტორიულ პიროვნებათა საკუთარმა სახელებმა, რომლებიც ტექსტში უხვად იყო წარმოდგენილი, ბარაბანოვს საშუალება მისცა, განესაზღვრა იმ დამატებით (დიაკრიტიკულ) ნიშანთა ბუნება, რომელსაც ავტორი ქრონიკაში არაბულისათვის უცხო ბგერების გადმოსაცემად იყენებდა.

ა.ბარაბანოვმა ასევე პირველმა ცალკე გამოყო და შეისწავლა სტრიქონსზედა და სტრიქონსქვედა განმარტებითი ნიშნების ჯგუფი, რომლებიც მკითხველის მიერ ტექსტის უკეთ აღქმა-გაგებას ემსახურებოდნენ. ეს ნიშნები მოხაზულობით ან არაბულ გრაფემებს ჩამოჰგვანან, ან არაბული ციფრების ან მათი კომბინაციების ფორმა აქვთ. ასეთი განმარტებითი ნიშნები თავდაპირველად მხოლოდ დადესტნური არაბულისათვის დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნიეს (კრაჩკოვსკი, ბარაბანოვი, მარგველაშვილი), მითუმეტეს, რომ სისტემა არაბული ციფრებისა და გრაფემებისაგან იყო აგებული.

გ. წერეთელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ განმარტებით ნიშანთა სისტემა, შესაძლოა, მომდინარეობდეს ცენტრალური აზიიდან, რასაც გვაფიქრებინებს მათი შედარება ცენტრალურაზიური წარმოშობის არაბულ და სპარსულ ძეგლებთან. ზოგი მათგანი იგივეა, რაც დადესტნური წარმოშობის არაბულ ხელნაწერებში გვაქვს (წერეთელი 1936: 27).

ლ. ყანჩაველის მოსაზრებით გ. წერეთლის ვარაუდი „ზამირ იშარას“ წარმომავლობასთან დაკავშირებით სარწმუნო ჩანს, რადგან კავკასიური მიურიდიზმიც, რომელიც ნაკშბანდიური რელიგიური მოძღვრებიდან იღებს სათავეს, ჩრდილოეთ კავკასიაში ცენტრალური აზიიდან გავრცელდა. „სავსებით შესაძლებელია, რომ რელიგიური, თუ სხვა ხასიათის თხზულებათა გადაწერისას გადამწერები ამ ნიშნებსაც გადმოიღებდნენ, მაგრამ ცენტრალურაზიური წარმოშობის სპარსულ და არაბულ

ხელნაწერებში განმარტებითი ნიშნები რაოდენობისა და ფუნქციის თვალსაზრისით ბევრად უფრო მწირია” (ყანჩაველი 1971: 31-41).

ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, ზუსტად როდის იწყება მისათითებელი ნიშნების - „ზამირ იშარას” - გამოყენება ჩრდილოეთ კავკასიის არაბულენოვან ხელნაწერ ტექსტებში, მაგრამ ყველაზე ადრეულ ძეგლად, რომელშიც იგი სისტემის სახითაა მოცემული, მუჰამად ალ-კუდუკის მიერ 1664-65 წწ.-ში გადაწერილი ბაიდავის ეგზეგეტიკური ტრაქტატი ითვლება (მარგველაშვილი 1953: 71). XVII ს-დან მოყოლებული XX ს-ის 20-იან წლებამდე ეს ნიშანთა სისტემა თხზულებებში, წერილებსა და საკანცელარიო საბუთებში ფართოდ გამოიყენება.

ა. ბარაბანოვის შემდგომდროინდელმა კვლევებმა, რომლებიც ამ სფეროში შესრულდა, აჩვენა, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული ნიშანთა სისტემა უნივერსალური არ არის: ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა ხალხი დიაკრიტიკულ და განმარტებით ნიშანთა საკუთარ სისტემას იყენებდა, თუმცა ხშირად ერთი ენის წარმომადგენლებშიც კი ამ ნიშანთა შერჩევა ინდივიდუალური ჩანს. ამასთანავე, ხელნაწერებში, რომლებიც მის შემდგომ იქნა შესწავლილი, აღმოჩნდა ისეთი ნიშნები, რომლებიც ბარაბანოვს დასახელებული არა აქვს. ეს ყველაფერი, შესაძლოა, მიუთითებდეს იმაზე, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების მიერ არაბულ გრაფიკაზე დაყრდნობით საკუთარი ანბანური სისტემების შექმნის პროცესი XIX ს-ის ბოლოსათვისაც კი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დასრულებული, თუმცა, ამასთან ძალიან ახლოს იყო.

### 3.2.1. ძეგლის პალეოგრაფია

გრაფიკული თავისებურების თვალსაზრისით ჩვენს ხელნაწერში საინტერესოა ზოგი არაბული გრაფემის მოხაზულობა:

1. ლიგატურა, ხშირ შემთხვევაში, ტიპური ლ ფორმითაა მოცემული, ზოგჯერ გვხვდება ო ფორმითაც, ხოლო არეებზე, მინაწერებში, თითქმის ყოველთვის

სპეციფიკური U გადაბმა გვაქვს. მაგ.: „გერმანელები,, -

الألمان

„იევროპულ,, -

الأوروبيين

„ჰანშიარდა,, -

في الأزدان

2. „სინი“ ( س ) უფრო ხშირად უკბილო დაწერილობისაა. ყველა ასეთ შემთხვევაში

თავზე ~ ნიშანი უზის. მაგ.:

مسيحية

- „ქრისტიანული“;

تكررت

„დაიმსხვრა“.

ზოგჯერ ასეთი ნიშანი გვხვდება სინზე მაშინაც, როცა ის კბილებიანი

მოხაზულობისაა. მაგ.:

سني

- „წელი“. ერთგან სიტყვაში, სადაც ორი სინი გვხვდება

მეზობლად, ისინი სხვადასხვა ფორმისანი არიან, მაგრამ ~ ნიშანი ორივეს უზის -

مجنس

- „ჯაშუშობა“.

„სინის“ მსგავსი დაწერილობა დასტურდება ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბულენოვან სხვა ძეგლებშიც. ზოგან „სინს“ ~ ნიშანი უზის (ყანჩაველი 1971: 42).

3. „ნუნი“ ( ن ) ბოლოკიდურ პოზიციაზე, მხოლოდ نأ და نغ წინდებულებში გაშლილია და მომდევნო სიტყვას სრულად ფარავს. „ნუნის“ ასეთი მოხაზულობა უცხო არ არის ნასხისა და არაბული კალიგრაფიის სხვა სისტემებისათვის და ტექსტის ვიზუალურ გაფორმებას ემსახურება. მისი ამგვარი მოხაზულობა ჩრდილოეთ კავკასიური წარმომავლობის სხვა ხელნაწერ ძეგლებშიც გვხვდება.

ჩვენს ხელნაწერში:

من نين

- „წლებიდან“:

من روس

- „რუსებისაგან“:

عن أعضائها

- „მისი წევრებისაგან“.

4. თითქმის არსად (ორი გამონაკლისი შემთხვევის გარდა), სადაც „ჰამზისათვის“ „ა“

ან „ი“ ხმოვნის საყრდენია ალიფი (საწყის ან შუალედურ პოზიციაზე), ჰამზა

აღნიშნული არ არის. მაგ.:


إيطاليا


- „იტალია“;


الجبل الأسود


- „შავი მთა“.




ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვა  - „თავი”, რომელიც შედის სიტყვათა კომბინაციაში, რომლის შემადგენელ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღს გამოსახავს.

შუა და ბოლოკიდურ პოზიციებზე, სიტყვაში ჰამზის საყრდენი ყოველთვის **ي**-ია. მაშინაც, როცა უნდა გვეჩვენოს ან **و**. მაგ.: ნაცვლად **بَدَأَتْ** ფორმისა  - „დაიწყო”




დაწერილობა გვაქვს; ნაცვლად ფორმისა **تَكَاتَتْ** გვაქვს  - „გაემართა”.


ზოგჯერ ჰამზა საერთოდ არ არის აღნიშნული. მაგ.: სიტყვაში **ءِجَاء** - „ექვი”  - „გააძლიერეს მათში ექვი ზარბაზნებით”; ან


 - „და რა იხილეს, რომ გადასვლა [სრუტეზე] ძნელია...”, სადაც III პ-ის მამრ. სქ-ის მრ. რიცხვის ფორმაში **رَأَوْا** ალექს ჰამზა არ უზის.


არაბული ენისათვის უცხო ბგერების გადმოსაცემად ხელნაწერში წარმოდგენილია შემდეგი გრაფემები:

1. **پ** - წყვილბაგისმიერი მკვეთრი - „პ”



მაგ.:  - „ევროპული”;  - „იაპონია”;  -

„პორტუგალია”;  - „იმპერატორი”.

2. ერთგან, სიტყვაში  - „თბილისი”, იგივე **پ** გრაფემა უნდა აღნიშნავდეს ყრუ ფშვინვიერ „ფ”-ს და არა **ف**-ს, რომელიც დაღესტნურ ენებში არ გვაქვს. სხვაგან


გვხვდება  დაწერილობა.

3. - ენაუნისმიერი აფრიკატი ასპირანტი - „ჩ”.




მაგ.: - „მიხეილ ნიკოლაევიჩი“; ასევე - „ფუნდურ ლულუჩი“ (ფურცლის არეზე ამასთან დაკავშირებით მინაწერია: „ეს იყო გერმანელი გენერალი ფონ დერ ლულუჩ ფაშა, რომელიც თითქმის 15 წლის განმავლობაში წვრთნიდა თურქ სამხედროებს“).


4. ერთგან, არეზე გაკეთებულ კომენტარში, ႁ გრაფემით გადმოცემული უნდა იყოს „ჭ“ ბგერა. პოემის ტექსტში საუბარია მუსლიმ ქალებზე, რომელთაც ამ ომის გამო მოუხდათ საკუთარი სამშობლოს დატოვება, ხოლო არეზე განმარტებულია, რომ ესენი იყვნენ „მუსლიმი ქალები ყარსის, არდაჰანის, აჭარისა და სამხრეთ კავკასიის სხვა ვილაიეთებიდან“. (გვ. 5)



### 3.2.2. განმარტებითი ნიშნები


როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, განმარტებითია ხმოვნის, ან უხმოვნობის, თანხმოვნის გაორმაგების აღმნიშვნელი და ასევე სხვა მისათითებელი ნიშნები ე. წ. „ზამირუ-ლ-იშარა“, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ტექსტის სწორად წაკითხვა.

ხელნაწერი ტექსტი სრულადაა გახმოვნებული ხმოვნის, ან უხმოვნობის, თანხმოვნის გაორმაგების აღმნიშვნელებით და ასევე სხვა ნიშნებით, რომლებიც ტექსტის სწორად წაკითხვის საშუალებას იძლევა. ხელნაწერში გვხვდება  ნიშანი, რომელიც ერთი შეხედვით, „ზამირ იშარას“ რიგისაა, მაგრამ სინამდვილეში ეს არის „ფათჰისა“ და „სუქუნის“ აღმნიშვნელთა გადაბმის შედეგად მიღებული ნიშანი, რომელშიც „სუქუნის“



აღმნიშვნელი წრე ბოლომდე შეკრული არ არის. მაგ.: - „და წამოვიდა საომრად სერბებთან და რუსებთან“.



გადაბმულია „დამმისა“ და „სუქუნის“ აღმნიშვნელებიც. მაგ.:



„სახიფათო“, - „თურქები“.

გრძელი „ა“ ხმოვნის აღმნიშვნელია ვერტიკალური ოდნავ დახრილი ხაზი, რომელიც „ალიფ მაკსურასთანაც“ გვხვდება, „მედდასაც“ უზის და ალიქსაც ახლავს გრძელი „ა“ ან

„ი“ ხმოვის აღსანიშნად. მაგ.:



„იმედოვნებდნენ დახმარებას“, - „აგვისტოს“,

- „აზიის“, - „იტალია“; და სხვა.


თითქმის ყველა „ზამირუ-ლ-იზარას“ რიგის მისათითებელი ნიშანი, რომლებიც გამოყოფს ა. ბარაბანოვმა და ფუნქციათა მიხედვით, პირობითად, ოთხ ჯგუფად დაყო, მოცემულია ჩვენს ხელნაწერში. კონკრეტულად, ტექსტში წარმოდგენილია შემდეგი ნიშნები:

სტრიქონსზედა: -ع; †; ع, م, -ع -س

სტრიქონსქვედა: - ٢ ; ٣ ; ٤ ; ٧ ; ٩ ; ٤ ; -س; -ع

-ع და ٢ სტრიქონსქვედა ნიშნებს ა. ბარაბანოვი პირველ ჯგუფში განიხილავს, სადაც იგი ათავსებს ყველა იმ ნიშანს, რომელიც აღნიშნავს ქვემდებარის კავშირს შემასმენელთან, ან სახელის კავშირს ნაცვალსახელოვან სუფიქსთან. ამათგან პირველი ჩვენს ხელნაწერში სახელის კავშირს აღნიშნავს ნაცვალსახელოვან სუფიქსთან, ხოლო მეორე - ქვემდებარისას შემასმენელთან.

-ع ნიშანი ჩვენს ხელნაწერში მხოლოდ ორგზის გვხვდება სახვადასხვა ფუნქციით და ორივეგან სტრიქონსზედა პოზიციაზეა წარმოდგენილი.



„ავსტრიამ დაიწყო საომარი მოქმედებები


მასზე [სერბეთზე], ვინც ჩაიდინა დანაშაული ამ სახელმწიფოსთან [ავსტრიასთან],

ხოლო ესენი იყვნენ სერბები, რომლებსაც სურდათ მხარდაჭერა რუსებისაგან და ვალდებულება აიღო გერმანიამ თავის თავზე შეებრძოლებოდა.”

პირველ შემთხვევაში –E ნიშანი ახლავს მიმართებითი ნაცვალსახელით - „ვინც” - გამოხატულ წევრს, ხოლო მომდევნო სტრიქონის დასაწყისში ასეთივე ნიშანი უზის ჩვენებით ნაცვალსახელს „ესენი”, რომელსაც ახლავს „სერბები” ამ ნიშნით დაზუსტებულია ის, რომ მიმართებითი ნაცვალსახელით გამოხატული წევრის ქვეშ ავტორმა იგულისხმა, სწორედ, სერბები. (აქვე წინადადებაში V ნიშანი ქვემდებარისა და შემასმენლის კავშირს გამოხატავს, ხოლო -س ნიშანი კი - სახელისა და ჩვენებითი ნაცვალსახელისას).

მეორე შემთხვევაში ხელნაწერში იგივე –E ნიშანი გამოყენებულია, როგორც ნიშან-სიმბოლო, რომელიც გატანილია არეზე და განმარტება ახლავს. შესაბამისად, იგი სტრიქონზე აღარ მეორდება. ხელნაწერში ასეთივე ფუნქცია აქვთ I და -P ნიშნებს.

ქვემდებარისა და შემასმენლის კავშირს აღნიშნავს ʹ ნიშანი სტრიქონსქვედა პოზიციაზე შემდეგ წინადადებაში:




„ომის კერა იყო სერბეთის მიწა

ყოვლისშემძლე და უდიდესი შემოქმედის საქმით (განგებით)

გააოგნა [ომმა] სამყარო მისგან [სერბეთის მიწისაგან] აღმოსავლეთით და დასავლეთით”.

მისათითებელი ʹ ნიშნის მეშვეობით ცხადი ხდება, რომ ზმნის „გააოგნა” ქვემდებარეა „ომი”, რომელიც პირველ წინადადებაში სახელს მსაზღვრელად ახლავს. (აქვე ʹ ნიშანი გამოხატავს სახელისა და ნაცვალსახელოვანი სუფიქსის კავშირს).


მომდევნო მაგალითში:



„...და წამოვიდა ბულგარელთა ჯარები და საფრანგეთს შეებრძოლა, ხოლო ამათ [ბულგარელებმა] ზურგი აქციეს რუსებს და გადავიდნენ ავსტრიის მხარეს”.

¶ ნიშანი უზის ზმნას „შეიბნენ”, რომლის ქვემდებარეა „ჯარები”. (აქვე -ს ნიშანი სახელსა და ჩვენებით ნაცვალსახელს აკავშირებს).


იმავე ¶ ნიშნით რამდენიმე ადგილას სახელისა და ნაცვალსახელოვანი სუფიქსის კავშირიცაა გამოხატული:



„რამდენი საპორტო ქალაქი დაეცა

და მასში [საპორტო ქალაქში] იყვნენ მამაკაცები, ისინი სამშობლოს მოშორდნენ”.

¶ ნიშანი პირველად „საზღვაო ქალაქებს”, ხოლო მეორედ, იმავე სტრიქონზე ნაცვალსახელოვან სუფიქსს ახლავს და მასთან აკავშირებს.




„ტრაპიზონზე, ისევე როგორც ერზრუმზე, გაიმარჯვეს

მასზე [ტრაპიზონზე] რუსის ჯარებმა და მასში [ტრაპიზონში] გააოხრეს”....

აქაც ¶ ნიშნით გამოხატულია ნაცვალსახელოვანი სუფიქსების კავშირი სახელთან.

ქვემდებარისა და შემასმენლის კავშირს აღნიშნავს ასევე ხელნაწერში: ¶ (ზემოთ მოყვანილ ერთ-ერთ მაგალითში უკვე შეგვხვდა მისი ამ ფუნქციით გამოყენების შემთხვევა), ¶ და ¶ ნიშნები.




„რამდენი ქვეყანა, თუნდაც განდიდებული დაიმცრო


და რამდენი ქალი თავის სამშობლოს მოშორდა”...

¶ ნიშანი აკავშირებს შემასმენელს თავის ქვემდებარესთან, რომელიც წინ უსწრებს მას. (აქვე ¶ ნიშანი ნაწილაკისა და ზმნის კავშირს აღნიშნავს).

სხვაგან <sup>9</sup> ნიშანი ნაცვალსახელოვან სუფიქსს სახელთან აკავშირებს:




„მიხეილ ნიკოლაევიჩი გახდა მეფის წარმომადგენელი და „კამანდირი“ კავკასიაში და იყო კმაყოფილი და იმპერატორი ნიკოლაი (ნიკოლოზი), რომელიც გადავიდა საჩქაროდ თბილისს წამოვიდა ეს [იმპერატორი] მისგან [მიხეილისაგან] დაიმედებული.“ ქვემდებარისა და შემასმენლის კავშირს აღნიშნავს <sup>3</sup> ნიშანი შემდეგ სტროფში:



„თურქთა გაზეთები გერმანიის ნავსადგურებში განადგურდა და მოიპოვა [გერმანიამ] ძალაუფლება ბალტიაზე“.

<sup>3</sup> ნიშნის გარეშე რთული იქნებოდა ზმნისათვის ქვემდებარედ ამ სახელის მოაზრება, რომელიც წინა წინადადებაში მსაზღვრელია.

სხვაგან იგივე <sup>3</sup> ნიშანი ასევე სტრიქონს ქვედა პოზიციაზე გამოყენებულია სახელსა და შესაბამის პირის ნაცვალსახელს შორის კავშირის დასაზუსტებლად. მაგალითად, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ წინადადებაში:




„რამდენი პორტი დაეცა იქ და მასში [პორტში] რამდენი კაცი, ისინი [კაცები] სამშობლოს მოშორდნენ...“

<sup>3</sup> ნიშანი პირველად ახლავს „კაცებს“, ხოლო მეორედ - პირის ნაცვალსახელს, რომლის მნიშვნელობასაც აკონკრეტებს.

ა. ბარაბანოვი მეორე ჯგუფში განიხილავს -س და <sup>3</sup> ნიშნებს და ყველა იმ სიმბოლოს, რომელიც მიმართებით და ჩვენებით ნაცვალსახელებს აკავშირებს მეტყველების სხვა

ნაწილებთან. ამ ორიდან ჩვენს ხელნაწერში დასტურდება მხოლოდ პირველი და ყოველთვის აღნიშნული ფუნქცია აქვს:




„რამდენჯერ ჩამოუგდო ომი ზღვებზე

ავსტრიამ საფრანგეთსა და ინგლისს და ამან [ავსტრიამ]....”

-სნიშანი ჩვენებითი ნაცვალსახელის ა - „ეს” მიმართებას აზუსტებს სახელთან س - „ავსტრია”.

მესამე ჯგუფში ა. ბარაბანოვი ათავსებს و يسა და ყველა იმ ნიშანს, რომელიც აკავშირებს წინდებულ ნაწილაკებსა და ზმნიზედებს - ზმნის, მიმღობის, ან მასდარის ფორმებთან, ასევე დამხმარე ზმნებს - ძირითად, ზმნებთან. ჩვენს ხელნაწერში و يس ნიშანი მხოლოდ ერთხელ დასტურდება:



„და დაევანა დასავლეთის მკვიდრთა შორის საშინელი სიმწირე,


რომელთა საკვების მარაგის შენობებს მოხვდა [ბომბები] და დააზიანა

იმით, რომ დაიკავეს თურქებმა ესენი [დასავლეთის მკვიდრნი]. ამბავი გავრცელდა ფუნდურ ღულუჩის ხალხის საშუალებით”.

აქ არ ჩანს ისეთი ტიპის კავშირი, რომელზეც საუბრობს ბარაბანოვი. ამ შემთხვევაში و يس ნიშანი მეორდება სტროფზე, მაგრამ არ გამოხატავს კავშირს ორ სხვადასხვა წევრს შორის არამედ ახლავს ორ სინტაქსური თვალსაზრისით მსგავსი ფუნქციის მქონე წევრს, რომლებიც სხვადასხვა წინადადებაში სხვადასხვა ზმნას უკავშირდებიან.

მეოთხე ჯგუფში ბარაბანოვი განიხილავს -غ ნიშანს, რომელიც ერთდროულ ან თანმიმდევრულ მოქმედებას გამოხატავს და ასევე გვხვდება საგანთა ან მოვლენათა ჩამოთვლისას. ამ ჯგუფის ნიშანიც ჩვენს ხელნაწერში მხოლოდ ერთხელ გვხვდება

სტრიქონსქვედა პოზიციაზე და ერთი და იმავე ფუნქციის ორ წევრს (წინადადების დამატებებს) ახლავს:



„როცა დაინახეს, რომ გადასვლა ძნელი იყო,

ხოლო რუსების დატოვება მოლოდინში გართულდებოდა....”

დასკვნის სახით შეიძლება, ითქვას, რომ ხელნაწერში შეინიშნება განმარტებით ნიშანთა სიმრავლე, რომლებიც არ არიან განაწილებული მკაცრად განსაზღვრული კონკრეტული ფუნქციებით. განსაკუთრებით, ეს ითქმის იმ ნიშანთა შესახებ, რომლებიც გამოხატავენ კავშირს სახელსა და ნაცვალსახელოვან სუფიქსსა და ასევე სახელსა და ზმნას შორის. ავტორისათვის მთავარია, არაბული რთული სინტაქსის პირობებში წინადადების აზრი, რომელშიც, ზოგჯერ, წყობა და წევრთა პოზიციაც კლასიკურ არაბულთან მიმართებით დარღვეულია, გასაგები გახადოს მკითხველისათვის. ამისთვის იგი წევრთა შორის კავშირის, ან ურთიერთმიმართების დასაზუსტებლად წყვილ ნიშნებს იყენებს, რომელთა შერჩევაც, ხშირ შემთხვევაში, ნებისმიერია და სხვაგან იმავე ნიშანს სულ სხვა ფუნქცია აქვს.


### 3.3. ძეგლის ენობრივი თავისებურებანი



#### 3.3.1. ფონეტიკა-ფონოლოგია

პოემაში გადმოცემულ ომის ეპიზოდებში ბრძოლები, ძირითადად, ევროპასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარეობს. ტექსტში გეოგრაფიულ, ეთნიკურ და საკუთარ სახელთა არაბულად გადმოცემისას ადგილი აქვს კონსონანტთა მონაცვლეობას. ხშირად, ერთმანეთს ენაცვლებიან ერთი ჯგუფის მონათესავე თანხმოვნები:

1. უკანაენისმიერი მჟღერი „გ“ ევროპულ სახელმწიფოთა სახელწოდებებსა (რომლებშიც ამოსავალი არ უნდა იყოს მათი არაბული ფორმები) და ეთნიკურ სახელებში და ასევე, სავარაუდოდ, რუსულის გზით შესულ სამხედრო



ტერმინოლოგიის აღმნიშვნელ სიტყვებში გადმოცემულია ك-ით. მაგ.:  -


„ბელგია“ (არაბ. بَلَجِيَا);  - „გერმანია“ (არაბ. كَرْمَان);  -

„ინგლისი“ (არაბ. اِنْكَلِيْس); ერთგან ასევე სიტყვაში  -


„გენერალი“ (генерал) მოსალოდნელი გ < غ მონაცვლეობის ნაცვლად გვხვდება არაბული ك-ი. სამხედრო ჩინის აღმნიშვნელი ეს ტერმინი სხვა ჩრდილოეთკავკასიურ ძეგლებში დასტურდება اَلْكَوَال ფორმით (ყანჩაველი 1982: 52; მარგველაშვილი 1952: 60; ზელკინა 2000: 98)); სხვაგან უკანაენისმიერი

მჟღერი „გ“ გვამლევს غ-ს. მაგ.:  - „ტელეგრაფი“ (телеграф);  -



„პორტუგალია“ (არაბ. پَوْرَتَغَالِيَا) და სხვა.


2. რუსული „K“ გვამლევს ك-ს. მაგ.:  - „მიხეილ ნიკოლაევიჩი“


(михаил николаевич), მაგრამ სხვაგან ასევე რუსული სიტყვის არაბიზულ ფორმაში

 - „კამანდირად“ (камандир) გვამლევს არაბულ ق-ს. გეოგრაფიულ

სახელწოდებებში, რომლებშიც ამოსავალი არ არის არაბულის პოზიცია, გვაქვს ق-ი.

მაგ.:  - „კავკასიის“ (არაბ. قَفْقَاز, ასევე  - „ამერიკაში“

(არაბ. اَمْرَاكَا),  - „ბალტია“ (არაბ. بَلْتِيَا).

3. ფორმაში  , სავარაუდოდ, ამოსავალი უნდა იყოს მისი რუსული ფორმა

Балтика, რომელშიც რუსული „Т“ გვამლევს ت-ს, ასევე სიტყვაში телеграф т < ت

მონაცვლეობა გვაქვს სიტყვაში  - „ტელეგრაფი“.


### 3.3.2. მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები

ჩვენებითი ნაცვალსახელები (ერთი გამონაკლისის გარდა) ყოველთვის ან (მამრ. სქ.) ან

ذِي (მდ. სქ.) „ეს“ და ذَاكَ - „ის“ სახითაა წარმოდგენილი. მაგ.: **فَذَاصْرَبٌ** - „და ესენი იყვნენ სერბები“, **ذِي سَلْطَنَةٍ** - „ამ სახელმწიფოზე“, **ذَلِكَ الْجَيْشِ** - „ის ჯარი“.

მოყვანილი შემთხვევების გარდა ჩვენებითი ნაცვალსახელები ან გათიშულია თავის საზღვრულთან, ან კიდევ მის გარეშეა წარმოდგენილი. ჩავარდნილი საზღვრული, ხშირ შემთხვევაში, სხვა წინადადების წევრია. ავტორი ჩვენებითი ნაცვალსახელის სახელთან კავშირის დასადგენად „ზამირუ-ლ-იშარას“ იყენებს, რის შესახებაც ზემოთ უკვე არაერთი მაგალითი მოვიყვანეთ.

როცა საზღვრული ჩავარდნილია და განმარტებითი ნიშანიც არ არის დასმული, კომენტატორის მიერ გაკეთებული მინაწერი გვხვდება და საზღვრული ამ გზით არის დაზუსტებული, როგორც მაგალითად შემდეგ წინადადებაში:




„მიახლოებით ორი თვის გასვლის შემდეგ გამოჩენიდან

ამისა [ამ ომისა] თურქები წამოვიდნენ საომრად და გაახარეს.....”

ჩვენებითი ნაცვალსახელის - „ამის“ - ქვემოთ მინაწერია: „ანუ ომის“.


ნაწარმოებში, იშვიათად, გვხვდება ქვემდებარისა და შემასმენლის სქესსა და რიცხვში შეუთანხმებლობის შემთხვევები. მაგ.:



„აილო გერმანიამ თავის თავზე ვალდებულება შეებრძოლებოდა და წამოვიდა საომრად სერბებსა და რუსებთან გამოცხადებულად”.

ორივე ზმნას ერთი და იგივე ქვემდებარე ჰყავს - كَرْمَانٌ - „გერმანია“, რომელთანაც ზმნა ერთ შემთხვევაში მამრობითის, ხოლო მეორე შემთხვევაში მდედრობითი სქესის ფორმით გვხვდება.

ანალოგიური სიტუაცია გვაქვს შემდეგ მაგალითშიც:



„და დაწინაურდნენ გერმანელები ომში ჰაერში

და გააოცეს ამათ [გერმანელებმა] დედამიწის მკვიდრნი და საგონებელში ჩააგდეს”.

დამატებითი ნიშნების მეშვეობით ირკვევა, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელი **أَهْلَ** უკავშირდება სიტყვას **الْأُمَّانَ** - „გერმანელები” (კრებ. სახელი) და ქვემდებარის როლშია. რომელთანაც ზმნა „გააოცეს” მამრობითი სქესის ფორმით გვხვდება (როგორც იყო კიდევაც მოსალოდნელი), ხოლო პირველ წინადადებაში ზმნა „დაწინაურდნენ” - მდედრობითი სქესის ფორმით.

გეოგრაფიული სახელები, რომლებიც „ა” ხმოვანზე ბოლოვდებიან • სავრცობითაა

წარმოდგენილი. მაგ.: **وَرَشَوَه** - „ვარშავა” (არაბ. **وَأَسْو**), **لِقَعْقَابِيَّة** - „კავკასიის” (**أَقْفَز**),


**رُومَانِيَّة** - „რუმინეთი” (**رُومَانِي**), **رُوسِيَّة** - „რუსეთი” (**رُوسِي**) და სხვა.

გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც თანხმოვანზე ბოლოვდებიან თენვინიანია.

მაგ.: **بُورْتُغَالِيَّة** - „პორტუგალია” (**بُورْتُغَال**), **وَأَنْكَلِيْس** - „ინგლისი” (**أَنْكَلِيْس**), **مَس** -

„ავსტრია” (**أَسْ**). ამ უკანასკნელის ხან თენვინიანი ფორმა გვხვდება და ხანაც უთენვინო.

პარალელურად რამდენჯერმე გვხვდება ამ გეოგრაფიული სახელის არაარაბული ფორმა:



ხშირად, გეოგრაფიული სახელები (ისინიც, რომელთა ამოსავალი ფორმა არაბულია)



არტიკლით გვხვდება. მაგ.: **الْإِيْطَالِيَا** - „იტალია” (არაბ. **إِطَالِيَا**), **الْأَفْرِيْقَا** - „აფრიკა”


(არაბ. **أَفْرِيْقَا**), **الْيَبُوزِيَّة** - „იაპონია” (თუმცა, ეს უკანასკნელი ზოგჯერ თენვინითაც

გვხვდება **الْأَنْكَلِيْسَان** (არაბ. **أَنْكَلِيْسَان**), **الْأَرْضُ رُوم** - „ერზრუმი” (არაბ.

**أَرْضَ رُوم**) და სხვა.


გეოგრაფიულ სახელებს საზოგადო თენვინიანი სახელების მსგავსად ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებები აქვს, როცა წინდებულიანია, ან კიდევ, როცა იზაფეთის მეორე


წევრად გვხვდება. მაგ.:  - „ავსტრიაში“,  -

„საფრანგეთსა და ინგლისზე“,  - „გერმანიის თვიდმფრინავები“,


 - „გერმანიის ნავსადგურები“ და სხვა.


თანხმოვანზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები ზოგჯერ „სუქუნით“ ბოლოვდება. ხშირად, თენვინიანია გეოგრაფიული სახელები, რომლებიც სახელთა

ჩამონათვალში, ან წყვილში პირველ ადგილზე დგანან. მაგ.:  -



„არდაჰანსა და ყარსში“,  - „ამერიკასა და აზიაში“. შესაძლოა, გეოგრაფიულ სახელთა სუქუნიანი დაბოლოებები ლექსთწყობის თავისებურებებითაც იყოს გაპირობებული.

იგივე წესი მოქმედებს გეოგრაფიული ან ეთნიკური სახელების წყვილის შემთხვევაში მაშინაც, როცა ერთ-ერთი ქვემდებარეა (ან ქვემდებარის მსაზღვრელის როლშია), ხოლო

მეორე დამატებაა. მაგ.:  - „და წამოვიდა ბულგარეთის


ჯარები და საფრანგეთს შეებრძოლნენ“,  - „იაპონია ავსტრიაზე წამოვიდა ომით“.

რუსული საკუთარი სახელები ხან სუქუნითაა წარმოდგენილი, ხანაც თენვინიანი

ფორმით:  - „მიხეილ ნიკოლაევიჩი“, მაგრამ  - „ნიკოლოზი“.


ნისბიანი წარმოების სადაურობისა და წარმომავლობის სახელები მხოლოდითი რიცხვის ფორმით მხოლოდ ორგან გვხვდება. პირველ შემთხვევაში გვაქვს

 - „გერმანული შეთანხმების“, ხოლო მეორეგან:




- „და რამდენი მკერდი სომხებისა [სომხური] იქნა მოკვეთილი“. „ნისბას“ არ ახლავს „თემდიდი“, მაგრამ სტრიქონის ქვემოთ გრძელი „ი“ ხმოვნის აღმნიშვნელი ვერტიკალური ხაზი გვაქვს. სავარაუდოდ, ეს არის ნისბიანი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც თავის საზღვრულთან - „მკერდი“ - ზმნითაა გათიშული. იმ შემთხვევაში, თუ ავტორმა სახელი მართლაც გამოიყენა მრავლობითი რიცხვის ფორმით, რამეთუ სტრიქონის ქვემოთ სიტყვასთან დატვირთვით მინაწერია „სიტყვა მკერდის მრავლობითი რიცხვის ფორმა“, აქ მოსალოდნელი იყო ნისბიანი ზედსართავი სახელის მდებარეობითი სქესის ფორმა.

გვხვდება ზოგიერთი სახელის კლასიკური არაბულისათვის უცხო მრავლობითი რიცხვის ან კრებითის ფორმა. განსაკუთრებით, ეს შეეხება ეთნიკურ სახელებს. მაგ.:




- „ყოველი ბელგიელი და სერბი“, სადაც <sup>بَلَكِيَّةٌ</sup> ეთნიკური სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმაა (არაბ. <sup>بَلَكِيَّةٌ</sup> ასევე წინადადებაში




- „შეჯგუფდნენ თურქები სომხების განსადევნად“ (არაბ. <sup>أَرَامٌ</sup>).

კლასიკურ არაბულში <sup>حِطْرٌ</sup> აღნიშნავს მრავლობითის ფორმას სიტყვისა „ევროპელი“, მაგრამ ჩვენს ტექსტში იგი „საფრანგეთის“ ანუ გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობით გვხვდება. მისი მნიშვნელობა განმარტებულია კომენტარით „იგულისხმება საფრანგეთის მთავრობა“. სხვაგან გვხვდება მისი <sup>حِطْرٌ</sup>-ით გავრცობილი ვარიანტი





- „ბულგარეთის ჯარები საფრანგეთს შეებრძოლნენ“. ტექსტში ეთნიკური სახელის მნიშვნელობით გვხვდება <sup>فَرَنْكٌ</sup> ფორმა:





- „ომის ცეცხლი ფრანგებში აელვარდა“.


კლასიკურ არაბულთან მიმართებით განსხვავებული მრავლობითი რიცხვის ფორმები საზოგადო სახელებისათვისაც გვხვდება: 1) მრავლობით რიცხვში მოსალოდნელი <sup>كَلِمٌ</sup>


ფორმის ნაცვლად გვაქვს **مما ليك** თენვინიანი ფორმა  - „რამდენი სამეფო”. ხმოვნის სიგრძე სიმოკლის თალსაზრისით კლასიკური არაბულის პოზიციიდან მცდარი, ხმოვნის სიგრძე სიმოკლით განსხვავებული ფორმები, შესაძლოა, ლექსთწყობის მოთხოვნებითაც იყოს გაპირობებული და ჩვენს ხელნაწერში ასეთი სხვა ფორმებიც გვხვდება. 2) სიტყვის **ثدي** „მკერდი” მრავლობითი რიცხვის მოსალოდნელი ფორმის **أثدي**

ნაცვლად გვაქვს **ثدي**  - „რამდენი მკერდი”, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მას ახლავს განმარტება, რომ ეს არის სიტყვის „მკერდი” მრავლობითი რიცხვის ფორმა. შესაძლოა, კომენტატორი ასეთ დასკვნას აკეთებს იქიდან გამომდინარე, რომ აქ, მართლაც, მოსალოდნელი იყო სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს სახელის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა, რომელიც არასწორადაა გახმოვნებული. 3) არაბული სიტყვის **بنية** სწორი მდედრობითის მრავლობითის ფორმანტი იწარმოება, მაშინ,


როცა მოსალოდნელი იყო მისი მსხვრეული მრავლობითის ფორმა **بنب**   - „ძირს დასცა ფრანგების დროშა ბომბებით”.


კლასიკურ არაბულთან მიმართებით განსხვავებულია ასევე რამდენიმე არაბული ლექსემის გახმოვნება: სიტყვის **أقال** „არხი” ფორმის ნაცვლად **أقل**

 - „ჩამოვიდნენ თურქები ამ არხით [იარაღით] აღჭურვილები”. განსხვავებული გახმოვანებითა და მრავლობითი რიცხვის ფორმით

გვხვდება ასევე ლექსემა **أغطس**:  - „ავსტრიის წყალქვეშა ნავები”. წყალქვეშა ნავის არაბული სახელწოდებაა **أغطاس** (ლეინი 1865: 4830; ალ-ვასიტი 2004: 685). სიტყვის მნიშვნელობა დგინდება მისი განმარტებიდან ფურცლის არეზე: „გამოყენებულია სიტყვა **أغطس**, რომელიც არის საბრძოლო გემი, რომელიც იძირება წყალქვეშ და სიგნალს გამოსცემს ზღვის სიღრმეში ისე, რომ არ ჩანს”.



ნაწარმოებში გვხვდება წინდებულთა შენაცვლების შემთხვევები, რაც სხვა ენის გავლენაზეც შეიძლება, მიუთითებდეს. მაგალითად, მოსალოდნელი **أوجب** ფორმის

ნაცვლად გვხვდება:  - „იაპონიის გვერდით”. **ب** და **في** წინდებულთა ჩანაცვლების შემთხვევები სხვაგანაც გვხვდება. მაგ.:

 - „გააძლიერეს მათში ეჭვი ზარბაზნებით”.

სტროფის ყოველი **მუხლი** ან სახელით მთავრდება, ან ზმნით. ყოველ მათგანს ერთნაირი დაბოლოება აქვს: ერთსა და იმავე ხმოვანზე მთავრდება, ან კიდევ სუქუნიანი ფორმებით. ამის გამო, ზოგჯერ არ გვხვდება სახელის ამა თუ იმ ბრუნვის მოსალოდნელი დაბოლოება, ხოლო ზმნებთან გვხვდება ხოლმე განუპირობებელი სუქუნი, ან კიდევ გრძელი „ა” ხმოვნიანი დაბოლოება, რომელიც ზმნის პერქექტივის ორობითის ფორმას ჩამოჰგავს, რაც, რა თქმა უნდა, რითმის გამართვის აუცილებლობითაა გაპირობებული და არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მორფოლოგიურად მცდარი ფორმები.

რითმის გაწყობის მიზნით, ხშირ შემთხვევაში, ავტორის მიერ წინადადების წყობა შეგნებულად არის დარღვეული. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ისევ და ისევ ზემოთ განხილული მისათითებელი ნიშნები. მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში შემასმენლის ქვემდებარესთან ან დამატებასთან ურთიერთმიმართებას აზუსტებს მინაწერი, რომელიც კომენტარების ავტორის მიერ არის გაკეთებული. მაგ.:


„დასავლეთ ევროპა გაიხლიჩა და დაემსგავსა

საწყაოს (სასწორს) რომლის ერთ-ერთი **ჯამი** გადაწონა

**ავსტრია-გერმანიამ**, ხოლო შემდეგ ერთმანეთს მიჰყვნენ...”

სიტყვას „ჯამი ახლავს მინაწერი „ზმნის „გადაწონა” წინსწრებული დამატება”, ხოლო ავსტრია-გერმანიას ახლავს განმარტება, რომ ის არის ზმნის „გადაწონა” ქვემდებარე.

ზოგჯერ კომენტართაა დაზუსტებული სხვაგვარი სინტაქსური მიმართებაც. მაგ.:



„კავკასიის სამხრეთი გადაიქცა **ბრძოლის ველად** მუში, თბილისი და ვანი კი [გადაიქცა] **სასაკლაოდ**”.


ამ სტროფთან კომენტატორი შენიშნავს: „მისი სიტყვა „მუში“ უკავშირდება ნაგულისხმევ (ან გამოტოვებულ) ზმნას „გადაიქცა“, ხოლო „სასაკლაო“ უკავშირდება სიტყვას „ბრძოლის ველი“ და ეს შეერთება-დაკავშირება იმ ტიპისაა, როდესაც ერთ მმართველ სიტყვას უკავშირდება ორი მართული სიტყვა მაკავშირებლის საშუალებით და ეს არის დასაშვები შემთხვევა”. მაკავშირებლის როლში კომენტატორი, შესაძლოა, გულისხმობდეს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილების მსგავს ფორმებს.

### 3.3.3. ლექსიკა


როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ავტორმა პოემა შექმნა დაღესტანში არაბულონოვანი სამწერლობო ტრადიციის მიწურულს (პოემა გადაწერილია 1922 წელს). ეს იყო ეპოქა, როცა დაღესტნელთა ენებზე რუსული ენის გავლენა ძალიან ძლიერი იყო. რუსულიდან დაღესტნურ ენებში და იქიდან ასევე არაბულშიც შედიოდა გარკვეული სიტყვები, ძირითადად, ისინი, რომლებიც ყოველდღიურ მოხმარებაში იყო და რომლის შესატყვისებიც არაბულსა და კავკასიურ ენებს არ გააჩნდა. ასეთი იყო რუსული ჩინების, წოდებების აღმნიშვნელები, სამხედრო ტერმინები და სხვა სიტყვები, რომლებიც უშუალოდ რუსულიდან შედიოდნენ ადგილობრივ ენებში (კრაჩკოვსკი 1960: 21-23). XIX ს-ის მანძილზე შექმნილ ისტორიული (და არა მარტო ისტორიული) შინაარსის დაღესტნურ არაბულენოვან ძეგლებში მრავლად არის წარმოდგენილი „რუსიციზმები“. ასევე თურქულ-სპარსული არაბიზებული სიტყვები, რომლებიც ასევე შესულია კავკასიის ენებში. მათში აგრეთვე გვხვდებით ლექსემათა არაბიზებულ ფორმებს ადგილობრივი ენებიდან.

ეპოქიდან და ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარე უცხოენოვანი არაბიზებული ლექსიკის არსებობა ჩვენს ხელნაწერშიც იყო მოსალოდნელი, მაგრამ ნაწარმოებში მხოლოდ რამდენიმე რუსული სიტყვის არაბიზებულ ფორმას ვხვდებით. როგორებიცაა:







- „камандир“ (სხვაგან გვხვდება



დაწერილობით),



„გენერალი“; და




- „телеграф“.

სხვა არარაბული წარმომავლობის არაბიზებული ლექსიკა ნაწარმოებში წარმოდგენილი არ არის. თუ არ ჩავთვლით ერთ ლექსემას, რომელიც, შესაძლოა, კომენტარების ავტორის ენის კუთვნილება იყოს.

ერთგან, ტექსტში, ნათქვამია, რომ „წამოვიდნენ (მოწინააღმდეგეთა) საომარი გემები ბელგიის შუაგულზე, სერბეთის მიწაზე და რუსეთის სამეფოზე და ავსტრიაზე იაპონიის მხარდამხარ“. კომენტატორის მიერ ამ წინადადებასთან დაკავშირებით არეზე გაკეთებულ

კომენტარში გამოყენებულია სიტყვა -



- حَيْرَانًا რომელიც გახმოვნებული არ

არის და რადგან მისი მნიშვნელობა არ ვიცით და არც ის, თუ რომელი დაღესტნური ენის კუთვნილებაა, შესაბამისად, ძნელია იმის ზუსტად დადგენაც, რომელ ბერას აღნიშნავს ამ შემთხვევაში حَيْرَانًا გრაფემა. კომენტარი ახლავს სიტყვას "حَيْرَانًا" (ავსტრია) და დაახლოებით ასეთი შინაარსისაა: „ის მასთან მოხსენიებულია სიტყვებით حَيْرَانًا „უსამართლო“ და حَيْرَانًا და მისი საფუძველი არის სახელი ჯინების ქვეყნისა, ვისგანაც დაიქირავეს გერმანელებმა [ისინი] თითქმის 90 წლით. იაპონელებს არ მოსწონდათ ეს საქმე და გერმანელებზე [ბრაზისაგან] ყოველთვის თითებს იჭამდნენ და ჩამოვარდა ომი მათ შორის და ნიშანი მისცეს იაპონიას და 50 დღის გასვლის შემდეგ (სავარაუდოდ, ომის დაწყებიდან) იაპონელები ზღვით გამოემართნენ გერმანელების დასახმარებლად უზარმაზარ ევროპულ სახელმწიფოებთან საომრად“.

ხელნაწერი პოემის ენა მდიდარია ლექსიკის თვალსაზრისით. ავტორი, უდავოდ, კარგად ფლობს არაბულ ენას და ეფექტურად იყენებს ამ ენის მდიდარ ლექსიკასა და მის შესაძლებლობებს. თავს არიდებს ნასესხები არარაბული ლექსიკის გამოყენებას.

## ძირითადი დასკვნები

რამდენადაც ენობრივი სიტუაცია სხვადასხვა ენის, ან კიდევ ერთი ენის სივრცითი და სოციალური კომპონენტების ურთიერთქმედების შედეგია, შესაბამისად, შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ენობრივი სიტუაციის შესწავლა მოითხოვდა გეოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული მონაცემების გაანალიზებას, რომელთა ფარგლებშიც შეიძლება განისაზღვროს კონკრეტული ენობრივი სიტუაცია და მისი თავისებურებები. ისტორიულად ჩრდილოეთ კავკასიაში ენობრივი სიტუაციის სურათის ცვლა გამოწვეული იყო მიგრაციებით, ეთნოსთა შერევითა და ეთნოენობრივი პროცესებით. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა მდგომარეობა იცვლებოდა დროითი, სივრცითი და სოციალური პერსპექტივების თვალსაზრისით.

კავკასია ისტორიულად ყოველთვის წარმოადგენდა მეზობელი დიდი ქვეყნების ინტერესისა და ბრძოლის არენას. ამ ბრძოლების დროს ხშირად ხდებოდა კავკასიელი ხალხების დაყოფა, უცხო ეთნოსთა ჩამოსახლება და დამკვიდრება, გადასახლება და ადგილობრივი ეთნოსების გაქრობაც კი (მაგალითად, ალბანელებისა). კავკასია ხასიათდება იბერიულ კავკასიური (პალეოკავკასიური) (აფხაზურ-ადიღეური, ნახური და დაღესტნური (ძირითადად - ხუნძური, დარგუული, ლეზგიური, ლაკური, თაბასარანული)),

ინდოევროპული (რუსული, უკრაინული, სომხური, ირანული ჯგუფის: ოსი, ქურთი, თათი, თალიში ხალხის ენების), ალთაური (თურქული ჯგუფის ენაზე მოლაპარაკე ხალხების: აზერბაიჯანელების, ყარაჩაელების, ბალყარელების, ყუმუხების, ნოდაელების, თათრების, კავკასიის თურქმენების ენებისა) და სემიტური (არაბული, ებრაული, ასირიული) ენების მრავალსაუკუნოვანი ენობრივი ურთიერთობებით. ამათგან, იბერიულ კავკასიურ ენებზე მეტყველი ხალხები ძველთაგანვე ამ ტერიტორიაზე სახლობდნენ, ხოლო დანარჩენები კავკასიაში ისტორიული წარსულის სხვადასხვა პერიოდში დამკვიდრდნენ.

რეგიონის მულტილინგვიზმის პირობებში ჩვენთვის საინტერესო ისტორიული მონაკვეთის (VIII-XIX სს) მანძილზე არაბული ენა და კომუნიკაციის ადგილობრივი ფორმები გარკვეულ ფუნქციონალურ იერარქიას აჩვენებდნენ, კერძოდ, ეს არის: ადგილობრივი (ნაციონალური) ენები ვიწრო ლოკალური ჯგუფისშიგნითა ურთიერთობისათვის („შინ სახმარი“) და ჯგუფთაშორისი ყოფითი ურთიერთობების ლოკალური საშუალებები (ე. წ. „ბაზრის ენა“), რომლებიც მეტწილად, ემსახურებოდნენ არაფორმალურ ზეპირ ურთიერთობებს.

ისტორიის მანძილზე ჩრდილოეთ კავკასიაში ეთნოსთაშორისი ურთიერთობისათვის იყო ათეულობით ენა. საბჭოთა რევოლუციამდე ეს იყო: ბალყარული, ყაზარდოული, ყარაჩაული, აზერბაიჯანული, ყუმუხური, ლაკური, ნოღაური, რუსული. ამ სიტუაციის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი იყო ეკონომიკური ფაქტორი (ვაჭრობა, მეცხოველეობა-გადარეკვა), აგრეთვე განსახლების თავისებურება, განსხვავებულ ეთნიკურ საზოგადოებაში ცხოვრება და სხვა.

იერარქიის მომდევნო საფეხურებისათვის იზრდება მასობრივი და ფორმალური (უმეტესწილად, წერილობითი) საკომუნიკაციო ფუნქციები. ეს არის ადმინისტრაციის, რელიგიის, პოლიეთნიკური რეგიონის საერთო საურთიერთო საშუალების, განათლების, კულტურის, ლიტერატურისა და მეცნიერების სფეროები. ასეთად რეგიონში საუკუნეების მანძილზე გვევლინება არაბული ენა. მართალია, გარკვეული ისტორიული მონაკვეთის მანძილზე (XIV-XVI სს-ში) რეგიონში თურქული და სპარსული ენების გავლენა სალიტერატურო, სახელმწიფო-ადმინისტრაციულ და სამეცნიერო სფეროებში განსაკუთრებით გაძლიერდა, ეს ენები შეიჭრნენ, განსაკუთრებით, ლიტერატურულ პროცესებში და ზოგან წამყვანი პოზიციებიც დაიკავეს, მაგრამ არაბული ენა სრულიად ვერ გამოდევნეს აღნიშნული სფეროებიდან. ისინი აღნიშნული პერიოდის მანძილზე

თანაარსებობდნენ და არაბული ენა დიდ კონკურენციას უწევდა თურქულ და სპარსულ ენებს.

არაბულმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ეროვნებათაშორისი ოფიციალური ურთიერთობის ფუნქცია შეითავსა XVIII ს-ის ბოლოდან, განსაკუთრებით, შამილის ეპოქიდან, მოყოლებული. განსაკუთრებით დიდი როლი დაეკისრა არაბულს კავკასიური ომების პერიოდში. შამილის დროს არაბული საერთაშორისო ურთიერთობების ენა გახდა. ამ ენაზე წარიმართებოდა ერთა შორის მოლაპარაკებები, როგორც წერილობითი, ასევე სიტყვიერი. ამ ენაზე ხდებოდა ნაიბთა მთელი საქმიანი დოკუმენტაციის: განცხადებების, დეკლარაციების, პროტოკოლების, აქტების და ა.შ. წარმოება. იქამდე, XVIII ს-მდე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ეროვნებათაშორისი ოფიციალური ურთიერთობის ფუნქციას ჯერ კიდევ ხაზართა დროიდან დაწყებული საუკუნეების მანძილზე ყუმუხური ენა (ყუმუხთა წინაპარი თურქული ენა, შემდეგ კი თვით ყუმუხური ენა) ასრულებდა. XVI ს-დან მოყოლებული ყუმუხური კავკასიის ხალხების რუსეთის მეფეებთან ოფიციალური მიმოწერის ენაც იყო

არსებობს პირდაპირი კავშირი არაბული ენის სიცოცხლისუნარიანობასა და მისი სოციალური ფუნქციების რაოდენობრივ მაჩვენებელს შორის, რაც, სწორედ, ენის ძირითადი ფუნქციებითა და მისი საზოგადოების მნიშვნელოვან სფეროებში გამოყენებით განისაზღვრება, როგორებიცაა: განათლება, მეცნიერება, სასამართლო, წარმოება, ადმინისტრაციული საქმიანობა, სოციალურ-პოლიტიკური სფერო, რელიგია. მნიშვნელოვანია აგრეთვე ნაციონალური კულტურა: არაბულ ენაზე ქმნიდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები სხვადასხვა შინაარსის ორიგინალურ ლიტერატურას: მხატვრულს, რელიგიურს, სამეცნიეროს და სხვა, რაც ამ ენის რელევანტურობისა და საჭიროების ნიშანია.

არაბული ენის ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სფერო აღმოჩნდა განათლების სფერო, რადგანაც სწორედ მასში ხდებოდა ინდივიდთა ენობრივი კომპეტენციის ფორმირება, რომელზეც დამოკიდებული იყო ენის ფუნქციონირება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. რამეთუ, ენის გამოყენების ინტენსიურობისა და ფუნქციონირების გარდა მისი სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი აღმოჩნდა ბილინგვთა რაოდენობაც, რომლებიც ფლობდნენ ამ ენას. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა აგრეთვე არაბული ენის ნორმირებული ორთოგრაფიის არსებობა და მდიდარი სამწერლობო ტრადიცია.

ერთი მხრივ ეს ექსტრალინგვისტური ფაქტორები განაპირობებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში არაბული ენის ფუნქციათა შენარჩუნებასა და განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ იგი მუდმივად იდგა გარკვეული რისკების წინაშე, რომელსაც მას უქმნიდა ისტორიული ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედება, რომელთა მეოხებითაც ენობრივი სიტუაცია ხშირად არსებითად ახალ სურათს აჩვენებდა ხოლმე. მიუხედავად ამისა არაბული ენის სოციალურ ფუნქციებს სრულად ვერ ჩაანაცვლებდა რომელიმე სხვა ენა, რაშიც სხვა ფაქტორებთან ერთად გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ ენის მიმართ მის მატარებელთა ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, კერძოდ, ამ არამშობლიური ენისადმი უპირატესობის მინიჭება. ნაციონალური ენები აქ ვერ ასრულებენ ყველა სოციალურ ფუნქციას და ამ ენების მატარებელთა დამოკიდებულებით არაბული ენა წარმოადგენდა ფუნქციონალურად უფრო დაწინაურებულ ენას ამ ხალხისათვის. არაბული ენის სოციალური ფუნქციების განვითარებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობასთან ერთად მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ბეჭდვითი ორგანოების (წიგნისა და გაზეთის არაბულ ენაზე ბეჭდვა) დაარსება. ასეთი ინფრასტრუქტურის შექმნა და შენარჩუნება ადვილი იქნებოდა კიდევ დიდ ხანს, მაშინ, როცა ენას გააჩნდა გამოყენების ძირითადი ფუნქციები და სფეროები, მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ XVI-XIX სს-თვის ადგილობრივ ენებსა და არაბულს უკვე ფუნქციონირება უხდებოდათ რუსული ენის პარალელურად ან მის გარემოცვაში. რუსული კი იყო საერთაშორისო ურთიერთობების ენა უზარმაზარ ტერიტორიაზე. ამასთან რუსეთის შეგნებული და მიზანმიმართული ენობრივი პოლიტიკის წყალობით რეგიონში რუსული მოსახლეობის რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა, და რაც მთავარია, მასიურად იზრდებოდა რუსული ტიპის სკოლების რიცხვი, რომლებშიც სწავლება თავდაპირველად ორ - რუსულ და ადგილობრივ - ენაზე, ხოლო XX ს-ის დასაწყისიდან მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

არაბული ენა აღმოჩნდა ადგილობრივი ჩრდილოეთ კავკასიის ნაციონალური ენების გამდიდრების საშუალება და ერთგვარი დამაკავშირებელი საშუალება მსოფლიო და ეთნიკურ კულტურებს შორის. ამგვარი მდგომარეობა გაგრძელდა საკმაოდ დიდ ხანს, რამეთუ არაბულ ენასა და ნაციონალურ ენებს შორის (რომელთა შორისაც იყო ადგილობრივი ეთნოსთა შორის ურთიერთობის ენებიც) არსებობდა ფუნქციების განაწილების თვალსაზრისით ერთგვარად დაბალანსებული მდგომარეობა. არაბული ენა არ

ავიწროვებდა ადგილობრივ ენებს გარკვეულ სფეროებში. ასეთი წონასწორობა კი, უზრუნველყოფდა არაბული ენის ვიტალურობის ხარისხის შენარჩუნებას.

სათანადო ლიტერატურაში შენიშნულია ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტანში, ისლამის გავრცელების საქმეში არაბული ელემენტის როლზე, თუმცა ჩრდილოეთ კავკასიაში არაბული ენის გავრცელებას განაპირობებდა არა იმდენად ამ ენის მატარებელთა არსებობა გაჩენა ამ ტერიტორიაზე, რამდენადაც თვითონ ისლამის გავრცელება, ამდენად, რეგიონის ენობრივი ისტორიის ლინგვო-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით ენობრივი სიტუაციის არაბულ პერიოდს, სწორედ, კონფესიონალური თვალსაზრისით გამოიყოფენ (ე. კრაიუჩენკო).

მულტილინგვიზმი ყველაზე ხშირად ორენოვნების (ბილინგვიზმი) სახით რეალიზდება ხოლმე და იგი, ერთგვარად, შეთანხმებულია მოსახლეობის მონოლინგვიზმთან ან ბილინგვიზმთან. ასეთივე სურათი გვაქვს ჩრდილოეთ კავკასიაშიც. რუსი მეცნიერი მ. მიხაილოვი ჩრდილოეთ კავკასიაში არაბული ენის გავრცელების მასშტაბს განიხილავს, როგორც ლინგვისტური (კულტურული) ჯგუფური ბილინგვიზმის შემთხვევას, განსაკუთრებით, XVIII-XIX სს-ში, როცა ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის მიერ არაბული ენის გათავისების განსაკუთრებით აქტიურ პროცესს.

კულტურული ორენოვნების შემთხვევაში ერთი ერის წარმომადგენლებს შუძლიათ კომუნიკაცია მოახდინონ ერთმანეთში, როგორც მშობლიურ, ისე სოციუმის მეორე, ორივე მათგანისათვის არამშობლიურ ენაზე. ორენოვნება გულისხმობს ორი ენის სრულყოფილ ცოდნას, რომელსაც ბილინგვი იყენებს, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში (განათლება, კანონმდებლობა, მასმედია).

ვფიქრობთ, კავკასიის რეგიონში არაბული ენის არსებობისა და ფუნქციონირების მთელი ისტორიული პერიოდის მანძილზე, და განსაკუთრებით, XVII-XIX სს-ში ენობრივი სიტუაციის შემადგენელ იდიომთა შორის ურთიერთმიმართება უფრო დიგლოსიურს ჩამოჰგავს. დიგლოსია კულტურული ორენოვნების კერძო სახედ განიხილება, რომლისთვისაც „დამახასიათებელია ენების ფუნქციური განაწილება და იერარქია, რომელიც გულისხმობს მაღალ და დაბალ სტილთა ურთიერთობას, ამასთან, ყოველი მათგანის მოხმარების სფერო მკაცრადაა განსაზღვრული” (ფერგიუსონი).

მართალია, ისეთი ენობრივი სიტუაციები, რომლებიც ახასიათებს მულტილინგვიზმის პირობებში ენათა ფუნქციონალურ სტრატეფიკაციას, შესაძლებელია დიგლოსიის

არსებობის გარეშეც, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ იდიომების ფუნქციონალური განაწილებისას გადამწყვეტი იყო სოციუმისმიერი შეფასებისა და შედარებითი ფაქტორები. არაბული ენა მათთვის იყო გაცილებით პრესტიჟული, როგორც გამარჯვებულთა, მათი რელიგიისა და მდიდარი ლიტერატურის ენა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ არაბული ანბანი ჩრდილოეთ კავკასიის ადგილობრივი ენებისათვის დამწერლობის შემუშავების საფუძველი აღმოჩნდა, იმავდროულად სწორედ არაბული ენა და მისი პრესტიჟულობა ეწინააღმდეგებოდა ამ დამწერლობების ფართოდ გავრცელებას, მათ დამკვიდრებასა და ადგილობრივი ენების მიერ არაბული ენის მოხმარების სფეროთა ჩანაცვლებას.

- დაღესტნელი ავტორის მუსტაფა ეფენდი ილისუის ისტორიული შინაარსის პოეტური ნაწარმოების ხელნაწერი ტექსტი - „თარხ ალ-ჰარბი“, ანუ „ომის ისტორია“ (რომელიც დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში ნომრით - Лп 576/1) არის ავტორის მოგონებები პირველ მსოფლიო ომზე, რომლის მონაწილეც თავად იყო. ნაწარმოებში საუბარია ომის გამომწვევ მიზეზებზე, აღწერილია მოვლენათა განვითარება.

ხელნაწერი ტექსტის გადაწერის დასრულების თარიღია - 1340 წლის 18 რაჯაბი ჰიჯრით / 1922 წლის 17 მარტი ქრ-ით და, პრაქტიკულად, შექმნილია აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში, ორიგინალური მწერლობის არაბულენოვანი პერიოდის მიწურულს, რაც ამ ხელნაწერს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის, განსაკუთრებით, ენობრივი თვალსაზრისით.

- ხელნაწერი ტექსტი საინტერესოა პალეოგრაფიული, კერძოდ, გრაფიკული თავისებურებების და აგრეთვე დამხმარე, მისათითებელი ნიშნების ე. წ. „ზამირ იშარას“ თვალსაზრისით, რომლებითაც ხელნაწერი უხვადაა გაფორმებული. განმარტებით ნიშანთა დეტალურმა შესწავლამ აჩვენა, რომ ისინი არ არიან განაწილებულები მკაცრად განსაზღვრული კონკრეტული ფუნქციებით. ავტორისათვის მთავარია, არაბული რთული სინტაქსის პირობებში წინადადების აზრი, რომელშიც ზოგჯერ წყობა და წევრთა პოზიციაც კლასიკურ არაბულთან მიმართებით დარღვეულია (რაც ლექსთწყობის თავისებურებებით უფროა გაპირობებული, ვიდრე არაბული სინტაქსის წესების არცოდნით), გასაგები გახადოს მკითხველისათვის. ამისთვის იგი წევრთა შორის კავშირის, ან ურთიერთმიმართების

დასაზუსტებლად წყვილ ნიშნებს იყენებს, რომელთა შერჩევაც, ხშირ შემთხვევაში, ნებისმიერია, სხვაგან იმავე ნიშანს სულ სხვა ფუნქცია აქვს.

- გრაფიკული თავისებურების თვალსაზრისით ჩვენს ხელნაწერში საინტერესოა რამდენიმე არაბული გრაფემის მოხაზულობა. ზოგი მათგანი მაგ. ط („სინი“) დასტურდება დადესტნური წარმოშობის სხვა არაბულენოვან ხელნაწერებშიც; „ნუნის“ მოხაზულობა გარკვეულ პოზიციებზე განსხვავებულია (მაგრამ არა სპეციფიკური) და ტექსტის ვიზუალური გაფორმების მიზანს ემსახურება. ზოგიერთი გრაფემის მოხაზულობა კი, მაგალითისათვის, ლიგატურის U გადაბმა სპეციფიკური ჩანს.

- არაბული ენისათვის უცხო ბგერების გადმოსაცემად ხელნაწერში წარმოდგენილია შემდეგი გრაფემები: ﻑ - წყვილბაგისმიერ მკვეთრ „ჰ“-სა და ერთგან წყვილბაგისმიერ ყრუ ფშვინვიერ „ფ“-ს აღსანიშნად; ﺥ - ენანუნისმიერ აფრიკატ ასპირანტ „ჩ“-ს აღსანიშნად; ﺥ გრაფემით გადმოცემულია ენანუნისმიერი მკვეთრი „ჭ“ ბგერა.

- ხელნაწერ ტექსტში გეოგრაფიულ, ეთნიკურ და საკუთარ სახელთა არაბულად გადმოცემისას ადგილი აქვს კონსონანტთა მონაცვლეობას. ხშირად ერთმანეთს ენაცვლება ერთი ჯგუფის მონათესავე თანხმოვნები: უკანაენისმიერი მჟღერი „გ“ ევროპულ სახელმწიფოთა სახელწოდებებში, სადაც ამოსავალი არ არის მათი არაბული ფორმები და ასევე რუსულ სიტყვებში გადმოცემულია არაბული ﻙ-ით, ხოლო რიგ შემთხვევებში ﻉ-ით; რუსული „к“ გვამღევს არაბულ ﻙ-ს, ხოლო ზოგან არაბულ ﻉ -ს; რუსული „т“ გვამღევს არაბულ ﺕ-ს.

- მორფოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებოა: 1) ქვემდებარისა და შემასმენლის სქესსა და რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით მცდარი ფორმების არსებობა: ერთსა და იმავე გეოგრაფიულ სახელთან მსაზღვრელი ან შემასმენელი სხვადასხვა სქესის ფორმითაა გამოყენებული; 2) გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა გადმოცემის თავისებურებები: ხმოვანზე და თანხმოვანზე დამთავრებული გეოგრაფიული სახელები განსხვავებულადაა გაფორმებული. 3) ზოგჯერ რითმის გაწყობის მიზეზით გეოგრაფიული ან ეთნიკური სახელები სუქუნიანი დაბოლოებებითაა წარმოდგენილი, სხვა შემთხვევებში სახელის ბრუნვის ფორმები ზედმიწევნითაა დაცული.

- ხშირად წინადადების წყობა კლასიკური არაბულის ნორმებთან მიმართებით შეგნებულადაა დარღვეული რითმის თავისებურებებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევებში ავტორი იყენებს „მისათითებელ“ ნიშნებს, ხოლო იქ სადაც წევრთა



მიმართება მაინც ორაზროვანი რჩება, ხელნაწერი ტექსტის კომენტატორი სიტყვიერ განმარტებებს მიმართავს.

- იშვიათად გვხვდება სახელთა კლასიკური არაბულის ნორმებისაგან განსხვავებული გახმოვანებისა და მრავლობითის წარმოების შემთხვევები, მაგრამ მრავლობითის ფორმები ყოველთვის არაბული ენისათვის ტიპური ყალიბებითაა ნაწარმოები.
- ხელნაწერი პოემის ენა მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკის თვალსაზრისით. ეპოქისა და ასევე ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარე ჩვენს ხელნაწერში მოსალოდნელი იყო უცხოენოვანი არაბიზებული ლექსიკის არსებობა, რადგანაც ეს იყო ეპოქა, როცა დაღესტნელთა ენებზე რუსული ენის გავლენა ძალიან დიდი იყო. ამის მიუხედავად, ჩვენს ნაწარმოებში მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე რუსული სიტყვის არაბიზებულ ფორმას ვხვდებით. როგორებიცაა: كماندير \_ "камандир" (სხვაგან გვხვდება كماندير დაწერილობით), كماندير \_ "генерал" და كماندير \_ "телеграф". ავტორი, უდავოდ, კარგად ფლობს არაბულ ენას და ეფექტურად იყენებს ამ ენის მდიდარ ლექსიკასა და მის შესაძლებლობებს. თავს არიდებს ნასესხები არაბული ლექსიკის გამოყენებას.

### ბიბლიოგრაფია

- 1 აბდულაევა - Абдулаева М. *Практика многокультурного образования в Дагестане: культурологический аспект*. lib.herzen.spb.ru/media/.../1/.../abdulayeva\_115\_9\_15.pdf
- 2 აბდულაევი 2000 - Абдуллаев К. *Очерки истории аула Кица*. www.odnoselchane.ru/?com=articles&id=308&page. სტატია მოპოვებულია 2015 წლის 10 თებერვალს.
- 3 აბდულხალიკოვა 2005. - Абдулхаликова М. А. (2005). *Рукописная традиция в Дагестане* (На основе материалов восточных рукописей Дагестанского государственного университета). Диссертация. Махачкала. მოძიებულია 2014 წლის 10 სექტემბერს. www.dissercat.com/rukopisnaya-traditsia-v-dagestane-na-osnove-materialov-vostochnikh-rukopisei-dagestanskogo-
- 4 აბდულჯალილოვი 2002 – Абдулжалилов И. (2002). *Функциональные особенности арабских элементов в современном литературном аварском языке*. Диссертация. Махачкала. მოძიებულია 2013 წლის 20 ოქტომბერს. www.dissercat.com/.../funktionalnye-osobennosti-arabskikh-elementov-v- sovremennom-literaturnom-avarskom-yazyke
- 5 აბდუსალამოვი 2007 – Абдусаламов М. (2007). *Кумыкские феодальные владения в политической жизни Дагестана в первой половине XVIII века*. Диссертация. Махачкала. მოძიებულია 2014

- წლის 26 სექტემბერს. [cheloveknauka.com/kumykskie-feodalnye-vladieniya-v-politicheskoy-zhizni-dagestana-v-pervoy-polovine-xviii-veka](http://cheloveknauka.com/kumykskie-feodalnye-vladieniya-v-politicheskoy-zhizni-dagestana-v-pervoy-polovine-xviii-veka)
- 6 აკამოვი 2011 - Акамов А. (2011). *Роль арабского языка и мусульманской культуры в становлении и развитии художественных традиций народов Дагестана*. г. Махачкала, Россия. მოძიებულია 2015 წლის 14 თებერვალს. [cyberleninka.ru/.../rol-arabskogo-yazyka-i-musulmanskoj-kultury-v-stanovlenii-i-razvitii-hudozhestvennyh-traditsiy-narodov-dag...](http://cyberleninka.ru/.../rol-arabskogo-yazyka-i-musulmanskoj-kultury-v-stanovlenii-i-razvitii-hudozhestvennyh-traditsiy-narodov-dag...)
  - 7 აკამოვი 2012 – Акамов. А. (2012). *Пути развития кумыкской духовной литературы*. Диссертация. Махачкала. მოძიებულია 2014 12 ოქტომბერს. [www.dissercat.com/.../puti-razvitiya-kumykskoi-dukhovnoi-literatury](http://www.dissercat.com/.../puti-razvitiya-kumykskoi-dukhovnoi-literatury)
  - 8 აკიმუშკინი 2012. - Акимушкин О. (2012). *Рукописная коллекция ИВР РАН — Фонд арабских рукописей. Исторический обзор сложения фонда арабских рукописей и их изучения. К истории формирования фонда мусульманских рукописей*. მოძიებულია 2014 წლის 14 სექტემბერს. <http://www.orientalstudies.ru>
  - 9 ალბეგოვი 2012 – Албегов С. (2012) *Что же завещал Андуник?* მოძიებულია 2015 წლის 10 მარტს. [www.fatiha.ru/istoria/andunik.html](http://www.fatiha.ru/istoria/andunik.html)
  - 10 ალიბეკოვა 2012 - Алибекова П. (2012). *Дибир-кади ал-Хунзахи – реформатор арабографической письменности в Дагестане*. М. ИЯЛИ ДНЦ РАН (Махачкала). მოძიებულია 2015 წლის 10 მარტს. [islamdag.ru/istoriya/10254](http://islamdag.ru/istoriya/10254)
  - 11 ალიევი; უმახანოვი - Алиев Б. Г., Умаханов М.С. *Союзы сельских общин в борьбе за независимость Дагестана в XVII- в перв. пол. XVIII в.* [alpan365.ru/soyuzu-obshhin-v-osvoboditelnoj-borbe-dagestana-v-xvii-xviii-v/](http://alpan365.ru/soyuzu-obshhin-v-osvoboditelnoj-borbe-dagestana-v-xvii-xviii-v/) მოძიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს.
  - 12 ალიკბეროვი (1991) - Аликберов А.К. (1991). *"Райхан ал-хака'ик ва-бустан ад-дака'ик" Мухаммада ад-дарбанди как памятник мусульманской историографии (конец Y/XI в.)*. Диссертация. Санкт-Петербург. მოძიებულია 2014 წლის 20 აგვისტოს. [www.dissercat.com/.../](http://www.dissercat.com/.../)
  - 13 ალიკბეროვი 1999 - Аликберов А.К. (1999). *Бааб ал-абваб*. მოძიებულია 26 აგვისტოს, 2014. <http://islamica.orientalstudies.ru>
  - 14 ალიკბეროვი 2003. - Аликберов А.К. (2003). *Эпоха классического ислама на Кавказе: Абу Бакр ад-Дарбанди и его суфийская энциклопедия «Райхан ал-хака'ик» (XI-XII вв.)*. Ответственный редактор С.М.Прозоров — М.: Вост. лит., 2003. მოძიებულია 2014 წლის 20 აგვისტოს. [www.central-eurasia.com/experts/alikberov](http://www.central-eurasia.com/experts/alikberov)

- 15 ალიკბეროვი 2009 – Аликберов А.К. (2009).. *Дополнительные знаки в арабской эпиграфике Северного Кавказа*. Москва - „Эпиграфика Востока“. მოძიებულია 2014 წლის 20 აგვისტოს. [www.central-eurasia.com/experts/alikberov](http://www.central-eurasia.com/experts/alikberov)
- 16 ალიკბეროვი ა. 2010 - Аликберов А.К. (2001). *Эпиграфические находки периода сефевидской экспансии XVI–XVIII вв. из Акуша-Дарго*. Дагестан и мусульманский Восток. Сб. статей. Под ред. А.К.Аликберова и В.О.Бобровникова. М., 2010. 1,2 а.л. მოძიებულია 14 სექტემბერს, 2014. [www.mekegi.com/home/epigraphic](http://www.mekegi.com/home/epigraphic)
- 17 ალ-კარაჰი 1940 - Мухаммед Тахир ал-Карахи (1940). *Блеск дагестанских шашек в некоторых Шамилевских битвах*. Перевод и подготовка сводного критического текста принадлежит А. Барабанову. С предисловием И. Крачковского. Электронная библиотека. მოძიებულია 2014 წლის 29 აგვისტოს. [Royallib.ru.royallib.com/.../hronika\\_muhammeda\\_tahira\\_al\\_karahi\\_o\\_dagestanskih\\_voynah\\_v\\_period\\_shamilya.html](http://Royallib.ru.royallib.com/.../hronika_muhammeda_tahira_al_karahi_o_dagestanskih_voynah_v_period_shamilya.html)
- 18 ალ-ღაზილუმუკი ად-დაღესტანი 1281 ჰ. - Сайид Абдурахман ал-Газигумуки ад-Дагестани (1281 х.). *Краткое изложение подробного описания дел имама Шамиля*. (Перевод с арабского, введение, комментарии и указатели Н. А. Тагировой). Москва. Издательство „Восточная литература“ 2002.
- 19 ალხასოვა 2005 – Алхасова Д. (2005). *Дауд Хадჯჯი ал-Усishi :Жизнь и творческое наследие*. Диссертация. Махачкала. მოძიებულია 2014 წლის 2 აგვისტოს. [www.dissercat.com/.../daud-khadzhzhi-al-usishi-zhizn-i-tvorcheskoe-nasledie](http://www.dissercat.com/.../daud-khadzhzhi-al-usishi-zhizn-i-tvorcheskoe-nasledie)
- 20 იარლიკაპოვი 2003 - Ярлыкапов А. (2003). *Исламское образование на Северном Кавказе в прошлом и в настоящем*. Вестник Евразии. Выпуск № 2/2003. მოძიებულია 2014 წლის 20 სექტემბერს. <http://cyberleninka.ru/article/n/islamskoe-obrazovanie-na-severnom-kavkaze-v-proshlom-i-v-nastoyaschem#ixzz3QEogT9mP>
- 21 აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არაბულენოვან ხელნაწერთა კატალოგი 1986 – *Арабские Рукописи Института востоковедения (краткий Каталог)*. Под редакцией А. Б. Халидова. Издательство „Наука“. Москва 1986. მოძიებულია 1914 წლის 25 ნოემბერს. [www.orientalstudies.ru/rus/index.php?option=com...](http://www.orientalstudies.ru/rus/index.php?option=com...)
- 22 აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი 2005 – Институт восточных рукописей Российской академии наук (1818). Российская Федерация, Санкт-Петербург 2005. მოძიებულია 2014 წლის 14 სექტემბერს. [www.orientalstudies.ru/](http://www.orientalstudies.ru/)

- 23 ახმადულინი 2010 - Ахмадуллин М. Л. (2010). *Искусство печатной книги арабским шрифтом в Урало-Поволжье в конце XIX начале XX веков*. Архитектон: известия вузов» № 29 Март 2010. მოძიებულია 2014 წლის 20 აგვისტოს. Archvuz.ru/2010\_1/8
- 24 ახმედოვი 1999 - Ахмедов, М. Т. (1999). *Южный Дагестан в первой половине XIX века*. Диссертация. Махачкала. მოძიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს. [www.dissercat.com/.../yuzhnyi-dagestan-v-pervoi-polovine-xix-veka-issledovanie-protssessa-prisoedineniya-k-rossii-i](http://www.dissercat.com/.../yuzhnyi-dagestan-v-pervoi-polovine-xix-veka-issledovanie-protssessa-prisoedineniya-k-rossii-i)
- 25 აჰმადოვი 2009 – Ахмадов Я.З. (2009). *Очерк исторической географии и этнополитического развития Чечни в XVI-XVIII веках*. Академия наук Чеченской Республики. Комплексный научно\_исследовательский институт Российской академии наук (г. Грозный) МОО «Ассоциация чеченских общественных и культурных объединений»
- 26 აჰმადოვი 2010 – Ахмадов Я.З. (2010). *Чечня и Ингушетия в 18-нач 19 века* (часть 2). გამოქვეყნებულია 2010 წლის 4 ივნისს. [chechenlaw.ru/?p=394](http://chechenlaw.ru/?p=394) მოძიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს.
- 27 ბაკიხანოვი ა. 1841 – Бакиханов А. (1841). *Гюлистан-и Ирам*. Текст воспроизведен по изданию: Аббас-Кули-ага Бакиханов. *Гюлистан-и Ирам*. Баку. Элм. 1986 Академиком М. Буниятовым. Комментарии составлен В. Г. Гаджиевим. ინტერნეტ ვერსია 2002 წელი. [www.vostlit.info/Texts/rus2/Bakihanov/framed.htm](http://www.vostlit.info/Texts/rus2/Bakihanov/framed.htm).
- 28 ბარამიძე 2013 - ბარამიძე ც. (2013). *ენობრივი სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში (ისტორია და თანამედროვეობა)*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. კავკასიოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი. „უნივერსალი“.
- 29 ბარტოლდი 1996 – Бартольд В.В. (1996). *Этнографический состав мусульманского мира. Значение арабского языка и арабской культуры // Москва. Сочинения. Т. IV.*
- 30 ბარტოლდი 1918 - Бартольд В.(1918) *Багдад и дальнейшая культурная жизнь арабов*. (изданного в 1918 году). Текст приводится по изданию: В.В.Бартольд. *Культура мусульманства*. М., "Ленон", 1998 - 112 с. ISBN 5-89711-005-4. მოძიებულია 2014 წლის 20 აგვისტოს. [www.sapov.ru/novoe/n11.html](http://www.sapov.ru/novoe/n11.html)
- 31 ბარტოლდი 1918 - Бартольд В.(1918). *. Персидская культура и ее влияние на другие страны*. Текст приводится по изданию: В.В.Бартольд. *Культура мусульманства*. М., "Ленон", 1998 - 112 с. ISBN 5-89711-005-4. მოძიებულია 2014 წლის 20 აგვისტოს. [www.sapov.ru/novoe/n11.html](http://www.sapov.ru/novoe/n11.html)

- 32 ბარტოლდი 1918 - Бартольд В.(1918). *Мусульманский мир после XVI века*. Текст приводится по изданию: В.В.Бартольд. Культура мусульманства. М., "Ленком", 1998 - 112 с. ISBN 5-89711-005-4. მოძიებულია 2014 წლის 20 აგვისტოს. [www.sarov.ru/novoe/n11.html](http://www.sarov.ru/novoe/n11.html)
- 33 ბარტოლდი 1918 - Бартольд В.(1918). *Культура мусульманства*. Текст приводится по изданию: В.В.Бартольд. Культура мусульманства. М., "Ленком", 1998 - 112 с. ISBN 5-89711-005-4. [www.sarov.ru/novoe/n11.html](http://www.sarov.ru/novoe/n11.html)
- 34 ბარტოლდი 1963 - Бартольд В. (1963). *Место прикаспийских областей в истории мусульманского мира*. // Сочинения. Т. II. Ч. 1. М., 1963, с. 691. მოძიებულია 2014 წლის 20 აგვისტოს. [publ.lib.ru/ARCHIVES/B/BARTOL'D.../\\_Bartol'd\\_V.V..html](http://publ.lib.ru/ARCHIVES/B/BARTOL'D.../_Bartol'd_V.V..html)
- 35 ბარტოლდი, ბენიგსენი 1991 – Barthold W., Bennigsen A. (1991). *Daghisran*. The Encyclopaedia of Islam. New Edition. Volume II. C-G. Leiden. Brill. 1991.
- 36 ბეკოევა 2011 – Бекоева Т. (2011). *Научно-просветительская и педагогическая деятельность российской интеллигенции в Северо-Кавказском регионе в конце XVIII - XIX вв.* Диссертация. Владикавказ. მოძიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს. [www.dissercat.com/.../nauchno-prosvetitel'skaya-i-pedagogicheskaya-deyatelnost-rossiiskoi-intelligentsii-v-severo-k](http://www.dissercat.com/.../nauchno-prosvetitel'skaya-i-pedagogicheskaya-deyatelnost-rossiiskoi-intelligentsii-v-severo-k)
- 37 ბეკოევა, ბეკოევა, კუხოვა 2012 - Бекоева Т., Бекоева Е., Кусова Л. (2012). *Ученые-кавказеды второй половины XIX столетия о проблемах школы и образования в условиях этнорегиональной образовательной системы*. Северо-Осетинский государственный университет им. К. Л. Хетагурова. მოძიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს. [www.rusnauka.com/30\\_NNM\\_2012/Pedagogica/3\\_119254.doc.htm](http://www.rusnauka.com/30_NNM_2012/Pedagogica/3_119254.doc.htm)
- 38 ბობროვნიკოვი 1997 - Бобровников В.О. (1997) *Новые эриграфические данные по истории ислама в северо-западном Дагестане*. Статья опубликована в кн.: Дагестанский лингвистический сборник . Отв. ред. М.Е. Алексеев. М., 1999. Вып. 6. С. 6-14. მოძიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს. [www.tsumada.ru/ru/text/25](http://www.tsumada.ru/ru/text/25) სტატია
- 39 გადაევი 2010 – Гадаев Р. (2010). *Формирование и развитие чеченской письменности*. Диссертация. მოძიებულია 2014 წლის 2 ოქტომბერს. Грозный. [www.dissercat.com/.../formirovanie-i-razvitie-chechenskoj-pismennosti](http://www.dissercat.com/.../formirovanie-i-razvitie-chechenskoj-pismennosti)
- 40 გამზატოვი, საიდოვი, შიხსაიდოვი. 1982 - Гамзатов Г.Г. (1982). Саидов М.С., Шихсаидов А.Р. *Сокровищница памятников письменности* // Ежегодник иберийско-кавказского языкознания. Тбилиси Вып. 9

- 41 გაჯიევა 2004 – Гаджиева Ф. (2004). *Развитие школьной системы образования в Дагестане в XIX - первой трети XX в.* Диссертация. Махачкала. მოდიებულია 2014 წლის 25 სექტემბერს. [cheloveknauka.com/razvitie-shkolnoy-sistemy-obrazovaniya-v-dagestane-v-xix-pervoy-treti-xx-v](http://cheloveknauka.com/razvitie-shkolnoy-sistemy-obrazovaniya-v-dagestane-v-xix-pervoy-treti-xx-v)
- 42 გაჯიევი 2006 – Гаджиев. Р. (2006). *Первые походы арабов и начало распространения ислама на Восточном Кавказе :середина VII - первая половина VIII вв.* Диссертация. Махачкала. მოდიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს. [www.dissercat.com/.../pervye-pokhody-arabov-i-nachalo-rasprostraneniya-islama-na-vostochnom-kavkaze-seredina-vii-p](http://www.dissercat.com/.../pervye-pokhody-arabov-i-nachalo-rasprostraneniya-islama-na-vostochnom-kavkaze-seredina-vii-p)
- 43 გაჯილოვა 2006 – Гаджилова Ш. (2006). *Историко-культурные предпосылки становления и развития арабоязычной дагестанской литературы и творчество Фахруддина из Арвани.* Диссертация. Владивосток. მოდიებულია 2014 წლის 27 აგვისტოს. [www.dissercat.com/.../istoriko-kulturnye-predposylki-stanovleniya-i-razvitiya-araboyazychnoi-dagestanskoi-literat-0](http://www.dissercat.com/.../istoriko-kulturnye-predposylki-stanovleniya-i-razvitiya-araboyazychnoi-dagestanskoi-literat-0)
- 44 გენკო 1941 – Генко А. (1941). *Арабский язык и кавказоведение.* Труды второй сессии ассоциации арабистов. 1941. Масква-Ленинград.
- 45 გირგასი 1881 – Гиргас В. (1881). *Арабско-Русский словарь к Корану и Хадисам.* Москва – Санкт-Петербург. ”ДИЛЯ” 1981.
- 46 გუდავა მ. ( 1979). *Традиции изучения арабского языка в Дагестане.* Арабский язык и литература. Тбилиси. 1979
- 47 გუდავა 1980 –Гудава М. (1980). *Традиции изучения арабского языка в Дагестане - „Шарх ат-тасрих ал-максуд“\_Мухаммеда Тахира ал-Карахи.* Диссертация. Тбилиსი ინსტიტუტ ვოსტოკოვედენია.
- 48 გუდავა 1985 - გუდავა მ. (1985). *ზოგიერთი ცნობა დაღესტნელი ავტორების არაბულენოვანი პოეტური შემოქმედების შესახებ.* სემიტოლოგიური ძიებანი II. 1985. თბილისი „მეცნიერება“
- 49 გუდავა 1988 - Гудава М.Т. (1988). *Некоторые вопросы истории дагестанской арабоязычной литературы.* Семитологические штудии IV 1988.
- 50 გურკო - Гурко В. *Первая мировая война.* მოდიებული 24 ოქტომბერს, 2014. Портал хронос/библиотека первой мировой войны/книжный каталог. <http://1914ww.ru/libris/libg/gurko61.php>
- 51 დაღგატოვი, სულაევი 2010 - Далгатов А., Сулаев И (2010). *Борьба против влияния мусульманского духовенства в Дагестане в 1920-1930-е гг.* Вопросы истории. 2010. № 6. С.

- 77-85. Опубликовано 18 Июня, 2012 г. მოძიებულია 2015 წლის 3 თებერვალს. [relig-articles.livejournal.com/50768.html](http://relig-articles.livejournal.com/50768.html).
- 52 დანლოპი 1986 – Dunlop D. M. (1986). *Bāb Al-Abwāb*. The Encyclopaedia of Islam. Volume I. A-B. Leiden. Brill. 1986.
- 53 დაღესტნის ხელნაწერი კოლექციები 2013 - *Рукописные коллекции Дагестана*. გამოქვეყნებულია 2013 წლის 22 მაისს. [Islamdag.ru/istoriya/12198](http://Islamdag.ru/istoriya/12198). მოძიებული 2014 წლის 24 სექტემბერს
- 54 დერბენდ-ნამე (1993) - Дербенд-наме (Румянцевский список). Средневековые исторические источники востока и запада. Текст воспроизведен по изданию: Дербенд-наме // Дагестанские исторические сочинения. М. Наука. 1993. [dom-stroy.com](http://dom-stroy.com)
- 55 ვაინრაიჰი 1968 - Weinreich U. (1968) *Languages in Contact: Findings and problems*. The Hague: Mouton, 1968.
- 56 ვარდჰაუ 1986 – Wardhaugh R. (1986). *An Introduction to Sociolinguistics*. Basil Blackwell. Oxford and Cambridge, MA. 1986.
- 57 ზაქარიაევი 2012 – Закарияев З. (2012) *Социально-политическое и культурное развитие дагестана в XI-XIX вв. (По новым данным эпиграфических памятников на арабском языке)*. Диссертация. Владикавказ. მოძიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს. [www.dissercat.com/.../sotsialno-politicheskoe-i-kulturnoe-razvitie-dagestana-v-xi-xix-vv-po-novym-dannym-epigrafic](http://www.dissercat.com/.../sotsialno-politicheskoe-i-kulturnoe-razvitie-dagestana-v-xi-xix-vv-po-novym-dannym-epigrafic)
- 58 ზელკინა 2000 – Zelkina A. (2000). *The Arabic Linguistic and cultural tradition in Daghestan: an historical overview*. The Book: Arabic as a Minority language. Jonathan Owens (Editor). Mouton de Gruiter. Berlin; New York. 2000. P. 88-11.
- 59 თემიროვა 2006 – Темирова М. (2006). *Ислам в современной общественно-политической жизни Дагестана*. Диссертация. Москва. მოძიებულია 2014 წლის 27 თებერვალს. [www.dissercat.com/.../islam-v-sovremennoi-obshchestvenno-politicheskoi-zhizni-dagestana](http://www.dissercat.com/.../islam-v-sovremennoi-obshchestvenno-politicheskoi-zhizni-dagestana)
- 60 თოფჩიშვილი 2007 - თოფჩიშვილი რ. (2007). *კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა* -ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი სალექციო კურსი
- 61 იბრაჰიმოვი 2008 - Ибрагимов И. (2008). *Краткая история развития арабского Языка на территории современной России*. მოძიებულია 2014 წლის 27 აგვისტოს. [www.pglu.ru/lib/publications/.../uch\\_2008\\_VI\\_00011.pdf](http://www.pglu.ru/lib/publications/.../uch_2008_VI_00011.pdf)

- 62 ისაევი 2013 - Исаев. Р. (2013). *Исламская культура и исламские традиции в Дагестан*. К научно-популярному изданию «Ислам традиционный и вымышленный» Ф.А. Хайдарова. Москва. 2013 г. მოძიებულია 2014 წლის 23 სექტემბერს. [www.proza.ru/2014/03/15/1640](http://www.proza.ru/2014/03/15/1640)
- 63 კაიმარაზოვი 2012 - Каймаразов Г. (2012). *Мусульманская школа дагестана в конце XIX – начале XX века*. მოძიებულია 2014 წლის 20 თებერვალს. [www.gramota.net/materials/3/2012/10-1/22.html](http://www.gramota.net/materials/3/2012/10-1/22.html)
- 64 კამალოვი 2011 - Камалов А. (2011) *Истоки периодической печати Дагестана*. опубликовано 13 Августа 2011 г. მოძიებულია 2015 წლის 2 თებერვალს. [www.gazavat.ru/history3.php?rub=29&art=515](http://www.gazavat.ru/history3.php?rub=29&art=515)
- 65 კარასევი 2011 – Карасев И. (2011). *Арабское письмо*. მოძიებულია 2014 წლის 30 ივლისს. [www.rbardalzo.narod.ru/4/arab.html](http://www.rbardalzo.narod.ru/4/arab.html)
- 66 კიკვიძე 1997 - კიკვიძე ზ. (1997). *სოციოლინგვისტური ოპოზიციების გამოყოფისათვის*. საენათმეცნიერო ძიებანი, VI. თბილისი, 1997: 4-6.
- 67 კოზუბსკი 1906 – Козубский Е. (1906). *История города Дербента*. I книга. Баку 2012. “Нагыл Еви”. მოძიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს. [www.shaxdag.ru/download.php?num=1003&base=books](http://www.shaxdag.ru/download.php?num=1003&base=books)
- 68 კოროტკოვა 2006 - კოროტკოვა მ. (2006). *ენობრივი კონტაქტების პრობლემა არაბულ სამყაროში*. ავტორეფერატი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი 2006.
- 69 კოდოევი - Кодзоев Н. *История Ингушетии* (краткий очерк). მოძიებულია 2015 წლის 9 თებერვალს. [www.ingushetia.ru/culture/](http://www.ingushetia.ru/culture/)
- 70 კრაჩკოვსკი 1945 - Крачковский И. (1945). *Над арабскими рукописями*. მოძიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს. [www.twirpx.com/file/795278/](http://www.twirpx.com/file/795278/)
- 71 კრაჩკოვსკი 1950 - Крачковский И. (1950). *Очерки по истории русской арабистики*. მოძიებულია 2014 წლის 27 სექტემბერს. [www.ozon.ru/context/detail/id/2455472/](http://www.ozon.ru/context/detail/id/2455472/)
- 72 კრაჩკოვსკი 1950-1960 - Крачковский И. (1955-1960) *Избранные сочинения*. Москва. т. VI.
- 73 კრაჩკოვსკი 1960 – Крачковский Н. И. (1960). *Арабская литература на Северном Кавказе*. Москва Собр. Соч. т. V.
- 74 კრაჩკოვსკი 1960 – Крачковский Н. И (1960). *Новые рукописи истории шамиля мухаммеда Тахира Ал-карахи*, Собр. Соч. т.6



- 75 კრაიუჩენკო - Крайнюченко Е.В. *Появление арабского языка на юге России*. Секция №20 Проблемы общего и сравнительного языкознания (кафедра общего и сравнительного языкознания).
